


ISSN 1987-6874

# საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გარემონტი



## Svetitskhoveli



№1, 2024

# ს ვ ე ტ ი ს ხ ე რ ვ ა ლ ი

სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი

Svetitskhoveli

Scientific Historical Journal

ISSN: 1987 - 6874

№1, 2024







საქართველოს საკატეგორიულოს,  
საქართველოს საინიციატივო კადემიკისა და  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
თეოლოგიის სასწავლო - სამეცნიერო ბაზების  
სამეცნიერო საისტორიო შერნალი

მთავარი რედაქტორი: მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე


მთავარი რედაქტორის  
მოადგილები: დეკანოზი ლევან მათეშვილი  
მამუკა მაცაბერიძე

სარედაქციო საბჭო:

დავით გურგენიძე  
ზურაბ გასიტაშვილი  
გაბრიელ გურული  
ალექსანდრე გრიგოლიშვილი  
გიორგი კაკაშვილი  
თამარ ლომინაძე  
გივი ღამბაშიძე  
არჩილ ფრანგიშვილი  
მერაბ ძელაძე  
მაკა ზართაშვილი  
თამარ ხოხობაშვილი  
თემურ ჯაგოლნიშვილი  
ივანე ჯაგოლნიშვილი  
გურამ ჯავახაძე

კასუების მმართველი მდივანი:

ქეთევან მახაშვილი



შურნალ  
„სვეტიცხოველის“, 1917 წლის დეკემბრის,  
ყდის ფრაგმენტი

## სპეციციონალი მუზეუმი მოცემულობაა საქართველოს სულიერი აღმოჩინების ფუნდამენტისათვის

XX საუკუნის დასაწყისში (1917 წელს) წმიდამღვდელმოწამე პატრიარქის კირიონ II-ის ხელდასმით დაიწყო შურნალ „სვეტიცხოველი“-ს გამოცემა, ეპლესის ერთგულ შვილთა დარაზმეისათვის რათა დამოუკიდებელი საქართველოს სულიერი აღმოჩინებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების აღდგენის მკიდრი საფუძველი შექმნილიყო.

დღეს, XXI საუკუნეში, საქართველოს არანაკლები სირთულის ამოცანები აქვს გადასაწყვეტი და გამძაფრებული ბრძოლა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერებისათვის კვლავ მოითხოვს იმ სულიერი ორიენტირების და გავლენების ახლებურ გააზრებას, რამაც საქართველო ათასწლეულების განმავლობაში გამოატარა ისტორიის გავებულ ოკეანეში და წინამდებარე შურნალიც – საქართველოსათვის საკრალური სახელდებით – „სვეტიცხოველი“ ამგვარი მისის შესრულებას პირდება მკითხველს.

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით და მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ხელდასმით შურნალი „სვეტიცხოველი“ განაგრძობს სიცოცხლეს მკითხველისათვის.



## "მოწყალების საქმე გადაარჩენს სრულიად საქართველოს" (თანადგომის დღე 1 ივლისი დაწესდა)

არიან ადამიანები, რომელთა ზრუნვაც მარტოლდენ საკუთარი თავით, ეგოისტური სურვილებით შემოიფარგლება; მაგრამ, საბედნიეროდ, ასევე არიან ადამიანები, რომლებიც სხვებისათვის ცხოვრობენ, საკუთარ თავს სხვებს უძღვნიან. ქართველი ადამიანი ბუნებით სწორედ ამით გამოირჩევა: თუკი იგი ხედავს სხვა ადამიანის გაჭირვებას, აუცილებლად მიდის და ეხმარება მას. პავლე მოციქული ამბობს: "ურთიერთ სიმბიმე იტვირთეთ და ესრედ აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესი".

როგორ შეიძლება, ვიტვირთოთ სხვისი სიმბიმე, რით შეიძლება შევეწიოთ სხვა ადამიანებს? ზოგიერთი ფიქრობს, რომ არ შეუძლია სხვისი დახმარება, რადგან თვითონაც ხელმოკლედ ცხოვრობს. ყველა ადამიანს შეუძლია დაეხმაროს სხვას, თუნ-დაც არაფერი ებადოს გასაცემი. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ დახმარება მრავალი სახისა არსებობს: არსებობს სულიერი დახმარება, არსებობს სიტყვიერი დახმარება და, რაღა თქმა უნდა, მატერიალურიც.

\*\*\*

დღეს ჩვენთან ბრძანდებიან საქართველოს საინიციატივო აპარატისა და კომპანია "მედინსერვის" წარმომადგენლები, რომლებმაც შემოგვთავაზეს, დაწესდეს "თანადგომის დღე". თანადგომა ეს იგივე დახმარებაა. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ჩვენს მოსახლეობას გაჭირვებული ადამიანების თანადგომის სურვილი აქვს. თანადგომის დღე 1 ივლისი დაწესდა. სწორედ ამან გადაგვატანინა ის პრობლემები, რომლებიც ბოლო 18 წლის მანძილზე გვქონდა.

ღმერთმა დალოცოს ისინი, რადგან ზრუნავენ გლახაკებზე და ფიქრობენ, თუ რით შეეწიონ მათ. მინდა ყველას გისურვოთ: ამაზე ფიქრი ყოფილიყოს თითოეული ჩვენგანის საზრუნავი.

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ქადაგებიდან  
სულთმოფენობის დღესასწაულზე

ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარი  
ივლისი 2008 წელი



სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქი

380005, თბილისი, შემაქანიშვილი გამზღვის ქ. მეტევათ 2  
ტელ: 99 03 78, 98 95 41 ფაქსი: (995 32) 98 71 14



CATHOLICOS PATRIARCH  
OF ALL GEORGIA

1 King Erekle II sq., Tbilisi 380005, Georgia.  
Tel.: 99 03 78, 98 95 41. FAX: (995 32) 98 71 14

## ბრძანება № 76

სრულიად საქართველოს საპატრიარქოსადმი

10 ივნისი, 2009 წელი

XIX - XX საუკუნეებში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისა  
და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გაუქმების პერიოდში მიზანმიმართულად  
ყალბდებოდა საქართველოს ისტორია და ენათმეცნიერების საფუძვლები.  
ამასთან დაკავშირებით ვბრძანება:

- I. საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნას საქართველოს რეალური ისტორიის  
დამდგენი მუდმივმოქმედი კომისია მისი მაღალყოვლადუსამღებლოւესობის,  
მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (კაფარიძის)  
ხელმძღვანელობით;
- II. საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნას ქართული ენათმეცნიერების  
პრობლემური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისია პროფესიონალურ  
მანანა ტაბიძის ხელმძღვანელობით.

სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქი



საგუნდო-სოციალური კურსი

Scientific-Historical Journal

სვეტისხოველი

SVETITSKHOVELI





## ეძღვნება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო  
ცენტრის ხელმძღვანელის პროფესორ,  
მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის  
დაბადებიდან 75-ე წლისთავს



10

*სამეცნიერო-სოცილოგიკური ჟურნალი*

Scientific-Historical Journal

სვეტიცხოველი

SVETITSKHOVELI





---

## სარკმები

მაღალყოვლადუსამღვდელოები ანანია მანგლისისა და თეთრიჯაროს მიტროპოლიტი	13
მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ბიბლიოგრაფია	15
მილოცვები	24
აკადემიკოსი დავით გურგენიძე	25
დეკანოზი ბესარიონ ცინცაძე	26
მამუკა გიორგაძე	27
თემურ ჯაგოდნიშვილი, ივანე ჯაგოდნიშვილი	29
დეკანოზი ლევან მათეშვილი	29
დეკანოზი გიორგი მალხაზიშვილი	30
მანანა ტაბიძე	31
გიორგი სალუქევაძე	33
ზურაბ გასიტაშვილი	34
ვაჟა ოთარაშვილი	36
ჯუმბერ იოსებიძე, გიორგი აბრამიშვილი	38
დავით გორგიძე, ქეთეგან მასაშვილი	38
მონაზონი იოანე (მამუკა) ცუხიშვილი	39
ნუგზარ ვანიშვილი	40
ალბანეთი ალბანეთის საკათალიკოსო და სამართველოს ეპლესის იურისდიქტია გახვთსა და ჰერეთში (გაგრძელება)	
მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე	43
ჰერეთის მოხსენიება ჩართულ ყყაროებში	43
ჰერეთის სამეცნიერო საჭრე სმბატიანის დროს და გახვთის საქორეპისპორაციის	47



12

სამეცნიერო-სოცილო ჟურნალი

Scientific-Historical Journal

სვეტიცხოველი

SVETITSKHOVELI



ჰერეთის გათავისუფლება „მწვალებელთა უღლესაბაზ“, ოათა და კახოთა სამეცნიერო ჟურნალი.....	50
თავის დასკვნა.....	60
<b>თავი III</b>	
დავით-გარეჯის მიწა-მყალი	
მყაროები ასურელ მამათა პახეთში მოღვაწეობის შესახებ.....	61
მ. ილარიონ ქართველი – დავითგარეჯის მცენები.....	65
კახეთის ძორებისკოპოსები დონაშოთა საგვარეულოდან .....	67
სალხელი და ტყეული-გულგულა (გოლგოლა) – სასაზღვრო კუნძულები.....	74
ბარდაბენელი დონაშობი და ფანარები.....	76
<b>არაბი ისტორიკოსის ცნობა</b>	
და ერედვის ეპლესის ფარგლენა.....	79
მასშიდის ცნობები .....	83
<b>ქართულენოვანი ხალხი – ფანარები</b>	
და მათი მმართველი სასულიერო პირები.....	85
ფანარების ვინაობა .....	88
თავის დასკვნა.....	93
შან რასინის პიგლიური ტრაგედიის „ათალიას“ გენეზისის საკითხისათვის ვაჟა ოთარაშვილი, ეკა კვანტალიანი .....	94
<b>ალბანეთი მიტროპოლიტ ანანია ჯავარიძის ნააზრებში</b>	
ბადრი ცხადაძე.....	102
საქართველოს ეპლესის ისტორიის აღიარებული მკვლევარი მონაზონი იოანე (მამუკა) ცუხიშვილი.....	111



მართლყოფლადუსამღვდელობისი ანანია  
მანგლისისა და თეთრიწყაროს მიტროპოლიტი



მიტროპოლიტი ანანია (ერისკაცობაში თენგიზ ჯაფარიძე). საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის წევრი 1981 წლიდან, საქართველოს საპატრიარქოს მანგლისისა და თეთრიწყაროს ეპარქიის მმართველი, ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი, რეალური ისტორიის დამდგენი საპატრიარქოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე, ქართული უნივერსიტეტის ობიექტების ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი.

დაიბადა 1949 წ. 20 აგვისტოს, ქ. ტბილისი. 1966 წ. დაამთავრა საშუალო სკოლა, 1974 წ. – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კავშირგაბმულობის ფაკულტეტი.

მცხოვრის სასულიერო სემინარიაში სწავლის პერიოდში 1979 წლის აპრილში, ბერად აღიკვეცა და ეწოდა ანანია, 1979 წ. 4 აპრილს ხელდასხმულ იქნა დიაკონად, ხოლო იმავე წლის 27 სექტემბერს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიერ ხელდასხმულ იქნა მღვდელ-მონაზონად. 1979 წ. დაინიშნა თბილისის წმინდა სამების ძეველი ტაძრის წინამდღვრად. 1980 წლის ივნისში მღვდელ-მონაზონი ანანია დაინიშნა ალავერდის მონასტრის წინამდღვრად. 1980 წ. 27 სექტემბერს მიენიჭა იღუმენის წოდება, ხოლო 1981 წ. 8 მარტს – არქიმანდრიტის წოდება.

1981 წ. დასაწყისში წმინდა სინოდის მიერ არქიმანდრიტი ანანია გამორჩეულ იქნა საეპისკოპოსო კანდიდატად, 1981 წ. 15 მარტს უწმინდესმა პატრიარქმა სვეტიცხოვლის ტაძრში აკურთხა ეპისკოპოსად და დაადგინა ნიკორწმინდის ეპარქიის მმართველად.



მიტროპოლიტ ანანიას ეპისკოპოსად კურთხევა.  
1981 წლის 15 მარტი



ეპისკოპოსმა ანანიამ 1990 წელს დააარსა ახალციხის სასულიერო სასწავლებელი (სემინარია), რომელიც ამავე დროს იყო საღვთისმეტყველო ინსტიტუტი. მის გურსდამთავრებულს დიპლომი უფლებას ანიჭებდა ეღვაწა საშუალო სკოლებში საღვთო სჯულის მასწავლებლად.

1992 წლის 25 დეკემბერს, მეუფე ანანიას მიენიჭა მთავარეპისკოპოსის წოდება და დაინიშნა მანგლისის ეპარქიის მმართველად, რომელიც იმ დროს მხოლოდ თეთრიწყაროს რაიონს მოიცავდა. მალევე მისმა უწმინდესობამ გააფართოვა ეპარქია და მას მიუერთა წალკის რაიონი. 1995 წლის 17 ივნისს ჩამოყალიბდა მანგლისისა და წალკის ეპარქია, რომლის მმართველადაც დაინიშნა მეუფე ანანია. 2001 წლის 15 ნოემბერს მთავარეპისკოპოსი ანანია აყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში.

2001 წლის 19 ოქტომბერს, მეუფე ანანიამ შეძლო საქართველოს ერთ-ერთ უდიდეს უმაღლეს სასწავლებელში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში თეოლოგიის კათედრის დაარსება.

2005 წელს მიტროპოლიტი ანანია გახდა რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი.

2007 წლის 25 დეკემბერს, მისმა უწმინდესობამ მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე) „ქართველი ერისა და საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე გაწეული ღვაწლისათვის“ დააჯილდოვა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი წმ. გიორგის ოქროს ორდენით.

1992 წლიდან, მეუფე ანანიას დაევალა ლექციების წაკითხვა თბილისის სასულიერო აკადემიის სტუდენტებისათვის ეროვნულ-საეპლესიო სულისკვეთების ამაღლების მიზნით.

2013 წელს, წმიდა სინოდმა მეუფე ანანიას სამდვდელმოძღვრო ეპარქიას უწოდა „მანგლისისა და თეთრიწყაროს ეპარქია“.

მეუფე ანანია დაჯილდოებულია ალექსანდრიის საპატრიარქოს წმინდა მარკოზის ორდენით, აგრეთვე ეკლესიის ჯილდოებით.

2009 წლის 18 აგვისტოს მიტროპოლიტი ანანია დაჯილდოვდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გიორგი ნიკოლაძის მედლით.

2013 წლის ივლისში საქართველოს პრეზიდენტმა მიტროპოლიტი დირსების ორდენით დააჯილდოვა.

2013 წლის 14 ივნისს ტექნიკურ უნივერსიტეტში თეოლოგიის კათედრის დაარსების მე-12 წლისთვის დაკავშირებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ შეკრებილების წინაშე მაღლობა გადაუხადა ცენტრის ხელმძღვანელს, მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძეს, ცენტრის შექმნისა და გაწეული ღვაწლის გამო („საქართველოს რესპუბლიკა“, 2013, 15. VI).



## მიტოპოლიტ ანანია ჯაფარიძის ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ახალციხე-რაბათი, 1983-1988 წ.
2. ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია ადამიიდან იქსომდე, თბილისი, „საქართველო“, 1994, 138 გვ.
3. ქართული ეკლესია XVII-XVIII საუკუნეებში. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1994.
4. შობა, ჯვარცმა, აღდგომა და ამაღლება უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იქსორისტები. თბილისი, 1995, 86 გვ.
5. დედა ეკლესია (ქადაგებანი, წერილები), თბილისი, განათლება, 1996, 320 გვ.
6. წმიდა დიდმოწამე ქათევან დედოფალი. წმიდა მეფე ლუარსაბ II. მეფე თეიმურაზის ბრძოლა ქართველობისათვის, ტყვეთა სყიდვა, თბილისი. 1996, 76 გვ.
7. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია (4 ტომი), გამომცემლობა "მერანი", 1996-2003, ტ. I; ტ. II; ტ. III; ტ. IV.
8. "ქართლის ცხოვრების" არქენოფილური რედაქცია. თბილისი, 1997, 65 გვ.
9. ქართველი ერის წარმოშობის შესახებ, 1997.
10. საინგილო (ქართველთა გალეკება), თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს მანგლის-წალკის ეპარქია, 1998.
11. მესხეთი (ქართველთა გამაჰმადიანება), 1998.
12. ქართლ-კახეთი (ქართველთა გასომხება), 1999.
13. ლაზეთ-თრიალეთი (ქართველთა გაბერძნება), 1999.
14. ქართველი ხალხის მომზადება მაცხოვრის მისაღებად. 2001.
15. რეგიონალიზმი შეაფერხებს ეროვნულ კონსოლიდაციას. 2002.
16. ქართული საეკლესიო (სალიტერატურო) ენის ჩამოყალიბების საკითხისათვის (იოანე ლაზარი), 2002.
17. პეტრე იბერი მართლმადიდებელი ეპისკოპოსი, 2002.
18. რჩევები უცხოეთში წამსვლელ ქართველებს, 2002.
19. სიბრძნის ხიდი მეცნიერებასა და სარწმუნოებას შორის, 2002.
20. პოლემიკა კათოლიკებთან (კათოლიკური პროზელიტიზმის შესახებ), 2002.
21. საქართველოს ეკლესიის ისტორიის წყაროები, პერიოდიზაცია და საეკლესიო ისტორიოგრაფია, თბილისი. 2002.
22. საქართველოს საეკლესიო კრებები (3 ტომი), 2003, ტ. I; ტ. II; ტ. III.
23. მსოფლიო საეკლესიო კრებები ქართველ ეპისკოპოსთა მონაწილეობით, 2003.
24. ორი თეორია ქართველი ხალხის ჩამოყალიბების დროის შესახებ, 2003.
25. წმიდა ნინოს ცხოვრება, 2004.
26. წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის ცხოვრება, 2004.
27. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია (მოკლე რედაქცია), 2004.
28. საქართველოს დედაეკლესია "საკითხავი ყმაწვილთათვის". გამომცემლობა „ციცინა-თელა“, თბილისი. 2006.
29. შიდა ქართლი (ქართველთა გაოსება), 2006.
30. აფხაზეთი (ქართველთა „გააფხაზება“), 2007.
31. თეორია საქართველოს ეკლესიის პროზელიტიზმის შესახებ და მისი კრიტიკა, თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2007.
32. დედაღვთისმშობელი – შემწე ქართული ენისა. თბილისი, გამომცემლობა „მწიგნობარი“, 2008.
33. ლევან II დადიანი „ხელმწიფე ივერიისა“, 2008.
34. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქია, თბილისი. 2008.
35. ენა და სახელმწიფო, თბილისი. 2008.
36. ეკლესია კუთხეთა ამგავშირებელი დუდაბი, თბილისი. 2008.



37. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია (მესამე გამოცემა). თბილისი, საპატ-რიარქოს გამომცემლობა „ალილო“, 2009.
38. დიპტიქი და დიასპორა. თბილისი, საპატრიარქოს გამომცემლობა „ალილო“ 2009.
39. საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი. 2010.
40. ქართველთა დენაციონალიზაცია XVII–XX საუკუნეებში. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2010.
41. ივანე ჯავახიშვილი საქართველოს ეკლესიის ერთიანობის შესახებ, საქართველოს საპატრიარქოსთან შექმნილი საქართველოს რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისიის დასკვნა. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2010.
42. სტრატეგიული კოლექტის შესახებ. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2011.
43. ქართულ-სომხური საეკლესიო ურთიერთობები. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2011.
44. უცხოური (ბერძნულ-ლათინური), სომხური და ქართული წყაროები წმიდა ნინოს შესახებ. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2011.
45. პროკოფი კესარიელი, აგათია სქოლასტიკოსი, მენანდრე, თეოფილაქტე სიმოკატა, თეოფანე, ეპიფანე კონსტანტინოპოლელი და იმპერატორი იუსტინიანე ლაზიკის შესახებ. თბილისი. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2011.
46. საეპისკოპოსოები ლაზიკაში. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2011.
47. საქართველოს წმიდა მეფეები. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2012.
48. საეკლესიო სამართალი კანონები. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი. 2012.
49. სახელმწიფო ენის განვრცობა მშვიდობისა და სტაბილურობის საფუძველი. თბილისი. 2012.
50. ფლავიუს არიანე ლაზებისა და ძიდრიტების შესახებ. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი. 2012.
51. ეგრისი. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი. 2012.
52. აბაზების ეპარქია. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი. 2012.
53. ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი. 2012.
54. აფხაზეთის საკათალიკოსო. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2012.
55. საქართველოს წმიდა სამოციქულო და მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციის საზღვრები. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2012.
56. სკანდა და სარაპანა. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2012.
57. საქართველოს ეკლესიის ისტორიის წყაროები. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2012.
58. უწმიდესი ილია II და წმიდა სინოდი არასწორი ისტორიოგრაფიული თეორიების შესახებ. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2013.
59. ქალდეა (საეპისკოპოსოები ლაზიკაში). თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2013.
60. ივანე ჯავახიშვილი და უწმიდესი პატრიარქი ილია II საქართველოს ეკლესიის ერთიანობის შესახებ. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი. 2013.
61. ალბანეთისა და ხუნძეთის საეკლესიო იურისდიქცია. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2013.



62. რეგიონების თვითმმართველობა. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2013.
63. საქართველოს ისტორია საერთ და საეკლესიო 100 რუკის მიხედვით. თბილისი, გამომცემლობა „გუმბათი“, 2014.
64. არიან-ქართლი. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2015.
65. კირიონ I. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2015.
66. სამეგრელო ლამბერტისა და ბოროზდინის აღწერით. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2015.
67. გურამ გრიგოლია ეგრის-ლაზიერის შესახებ. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2015.
68. თეორია საქართველოს პროზელიტიზმის შესახებ (წმიდა სინოდის დადგენილება იურისძიების საზღვრებთან დაკავშირებით). თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2015.

### რუსულ ენაზე

69. Краткая история грузинской апостольской святой Церкви. Тбилиси, Издательство «Меридиани», 2012.
70. Краткая история грузинской апостольской святой Церкви. Тбилиси, Издательство «Технический Университет», 2011.
71. Краткая история грузинской апостольской Церкви. Тбилиси, Издательство «Технический Университет», 2010.
72. Месхети (Мусульманизация Грузин), Тбилиси, Издательство «Универсал», 2008.

### inglisur enaze

73. Lazeti-Trialeti (Georgians' Hellenization), 1999.

74. A Short History of the Georgian Church, New York, 2014.

### Turqul enaze

75. Mesheti (Gürcülerin islamlaşması), 1998.

76. მიტოპოლიტი ანანია ჯაფარიძე; A Concise History of the Holy Apostolic Church of Georgia - 93 გვ-. Copyright © 2014 by Nova Science Publishers, Inc.

© მიტოპოლიტი ანანია ჯაფარიძე 2014. ISBN 978-1-62808-536-5

77. მიტოპოლიტი ანანია ჯაფარიძე; საქართველოს ისტორია საერთ და საეკლესიო 100 რუკის მიხედვით საქართველოს ისტორიის ატლასი (I ნაწილი) უძველესი დროიდან X-სა- ის. ჩათვლით საქართველოს რეგიონები და მისი საზღვრები ქართული და უცხოური წაყ- როები. თბილისი, გამომცემლობა „გუმბათი“, 2014. © მიტოპოლიტი ანანია ჯაფარიძე 2014. ISBN 978-9941-0-5648-2

78. მიტოპოლიტი ანანია ჯაფარიძე; არიან - ქართლი, საეპისკოპოსოები ისტორიულ ივე- რიაში. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2015. ISBN 978-9941-20-501-9

79. მიტოპოლიტი ანანია ჯაფარიძე; გურამ გრიგოლია ეგრის-ლაზიერის შესახებ. კონს- ტანტინებოლის საპატიოარქოს იურისძიების საზღვრების კვლევისთვის. თბილისი, საგა- მომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2015. ISBN 978-9941-20-501-9

80. მიტოპოლიტი ანანია ჯაფარიძე; თეორია საქართველოს ეკლესიის პროზელიტიზმის შესახებ (წმიდა სინოდის დადგენილება იურისძიების საზღვრებთან დაკავშირებით). თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2015. ISBN 97-9942-20-501-9

81. მიტოპოლიტი ანანია ჯაფარიძე; სამეგრელო, არქანჯელო ლამბერტისა და კორნელი ბოროზდინის აღწერა. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2015. ISBN 78-9941-20-501-9

82. მიტოპოლიტი ანანია ჯაფარიძე; კირიონ I. თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2016. ISBN 978-9941-20-616-0



83. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე; საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია ჩრდილოეთ კავკასიაში. თბილისი, 2018. ISBN 978-9941-8-0074-0
84. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე; ადიდების დამკვიდრება ჩრდილოეთ კავკასიაში და აფხაზეთ-სამეგრელოში. თბილისი, 2019.
85. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე; დედა ეკლესია – (მეორე შევსებული გამოცემა) თბილისი, 2019. ISBN 978-9941-8-3432-5
86. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე; ალბანეთი (ალბანეთის საკათალიკოსო და საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია კახეთსა და ჰერეთში) თბილისი, 2022. ISBN 978-9941-8-4182-8
87. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე; კონსტანტინოპოლის საპატიორქოს აღანის ეპარქიის ლოკალზაციის საკითხი და საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია ცენტრალურ კავკასიაში (ალანია და ოსეთი. თბილისი 2022. ISBN 978-9941-8-5050-9
88. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე; საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია ტომი I. თბილისი 2022. ISBN 978-9941-28-896-8 (ყველა ნაწილი) ISBN 978-9941-28-897-5 (პირველი ნაწ.)
89. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე; საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია ტომი II. თბილისი 2022. ISBN 978-9941-28-896-8 (ყველა ნაწილი) ISBN 978-9941-28-898-2 (მეორე ნაწილი)
90. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე; საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია ტომი III. თბილისი 2022. ISBN 978-9941-28-896-8 (ყველა ნაწილი) ISBN 978-9941-28-899-9 (მესამე ნაწილი)
91. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე; საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია ტომი IV. თბილისი 2022. ISBN 978-9941-28-896-8 (ყველა ნაწილი) ISBN 978-9941-28-900-2 (მეოთხე ნაწილი)
92. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე; საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია ტომი V. თბილისი 2022. ISBN 978-9941-28-896-8 (ყველა ნაწილი) ISBN 978-9941-28-9019 (მეხუთე ნაწილი)
93. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე; საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია ტომი VI. თბილისი 2022. ISBN 978-9941-28-896-8 (ყველა ნაწილი) ISBN 978-9941-28-902-6 (მეექვსე ნაწილი)
94. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე; საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია ტომი VII. თბილისი 2022. ISBN 978-9941-28-896-8 (ყველა ნაწილი) ISBN 978-9941-28-9033 (მეშვიდე ნაწილი)
95. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე; საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია ტომი VIII. თბილისი 2022. ISBN 978-9941-28-896-8 (ყველა ნაწილი) ISBN 978-9941-28-903-3 (მერვე ნაწილი)
96. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე; საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია ტომი IX. თბილისი 2022. ISBN 978-9941-28-896-8 (ყველა ნაწილი) ISBN 978-9941-28-905 (მეცხრე ნაწილი)
97. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე; საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია ტომი X. თბილისი 2022. ISBN 978-9941-28-896-8 (ყველა ნაწილი) ISBN 978-9941-28-896-4 (მეათე ნაწილი)
98. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია. საქართველოს საპატიორქოს ქართველოლოგიური კვლევითი ცენტრი, თბილისი, 2023, ISBN 978-9941-8-5265-7
99. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, ბიზანტიის ქართველი დედოფლის მართა-მარიამის უცნობი წარწერა სენტის ტაძარში. სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი „სვეტისხეველი“, №1, 2023, 19-105 გვ. ISSN 1987-6874.



- 
100. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, ალბანეთი. ალბანეთის საკათალიკოსო და საქართველოს გადახსინის იურისდიქცია კახეთსა და ჰერეთში. სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი „სვეტიცხოველი“, №1, 2023, გვ.106-122. ISSN 1987-6874.
101. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, ქეთევან მახაშვილი, გოჩა ნანიტაშვილი. ოეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი – 20 წლისაა. თბილისი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი – 100“ „ოეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი – 20“, საიუბილეო შრომათა კრებული, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2023, გვ. 4-26. ISBN 978-9941-28-947-7
102. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე; ეპარქიების (საეპისკოპოსოების) ჩამოყალიბება ისტორიულ სამხრეთ საქართველოში (ტაო და ლაზიკა). თბილისი 2023. ISBN 978-9941-8-6332-5
103. Metropolitan Anania Japaridze, Georgi Kikvadze. On the issue of recognition of ancient autocephaly and the patriarchal dignity of the Georgian Church by the Ecumenical Patriarchate. Norwegian Journal of development of the International science, #122/2023, pp. 30-32. ISBN 3453-9875.



20

სამეცნიერო-სოციულური ჟურნალი

Scientific-Historical Journal

სევიტისხეველი

SVETITSKHOVELI



თბილისის საკრებულოში მანგლისისა და თეთრიწყაროს მიტროპოლიტის, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პროფესორის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, მეუფე ანანიას დაბადებიდან 75 წლის-თავისადმი მიძღვნილი სადამო გაიმართა.

მიტროპოლიტ ანანიას ავტორობით გამოიცა მრავალი წიგნი, გამოკვლევა და პუბლიცისტური წერილი.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი, პროტოპრეზიტერი გიორგი ზვიადაძე, ბოლნელი მთავარეპისკოპოსი ეფრემი (გამრეკელიძე), ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტი დანიელი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი დავით გურგენიძე, სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პროფესორი სერგო ვარდოსანიძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი როინ მეტრეველი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ზურაბ ხონელიძე, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი ზურაბ ლომთათიძე, დეკანოზი გიორგი მალხაზიშვილი, პოეტი ვაჟა ოთარაშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი ნუგზარ ვანიშვილი, მონაზონი მარიამი.

პროტოპრეზიტერი გიორგი ზვიადაძემ უდიდესი პატივისცემა და მადლიერება გამოხატა მეუფე ანანიას მიმართ, ისაუბრა მის განსაკუთრებულ ერთგულებასა და დამსახურებაზე საქართველოს ეკლესიის, პატრიარქისა და სამშობლოს მიმართ – „მეუფე ანანია მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე მსარში ედგა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს უწმიდესსა და უნეტარესს ილია II-ს და დიდი ლირსებით ეზიდებოდა სასულიერო და სახოგადო მოღვაწის მძიმე ტვირთს“.

მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარებ გიორგი ტყემალაძემ მან აღნიშნა: „ჩვენთვის დიდი პატივია თბილისის საკრებულოში ვუმასპინძლოთ მეუფე ანანიას დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებას. მეუფე ანანიას მდგდელმთავრობისას მანგლისისა და წალკის ეპარქიაში ამოქმედდა და აშენდა მრავალი ეკლესია და მონასტერი. მისმა მოღვაწეობამ ეპარქიაში, რამდენიმე დიდი მონასტრის ამოქმედებამ, მანამდე გაუქმებული ეკლესიებისა და ახალი სამდვდელო პირების კურთხევამ მყარი საფუძველი შექმნა აღდგენილიყო XVII–XX საუკუნეებში გაუქმებული, წინა საუკუნეებში ისტორიულად არსებული წალკის ეპარქია. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში თეოლოგიის კათედრის დაარსებაც სწორედ მის მოღვაწეობას უკავშირდება. დიდია მეუფე ანანიას დავაწლი ქართული ეკლესიის აღორძინებისა და სასულიერო განათლების გავრცელებაში“.

საიუბილეო ღონისძიებას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის წევრები, საქართველოს პარლამენტისა და დედაქალაქის საკრებულოს წარმომადგენლები, კულტურისა და მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწეები, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პროფესორ-მასწავლებლები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.





22

სამეცნიერო-სოცილოგიკური ჟურნალი

Scientific-Historical Journal

სვეტიცხოველი

SVETITSKHOVELI







სამეცნიერო-სოცილოგიკური ჟურნალი

Scientific-Historical Journal

სვეტიცხოველი

SVETITSKHOVELI



# მიმოწერა



## თქვენო მადალყოვლადუსამდვდელოესობაგ! მეუფე ანანია

უდრმესი პატივისცემით და სიყვარულით მოგესალმებით და გილოცავთ თქვენი განვლილი საინტერესო ცხოვრების საიუბილეო თარიღს – 75 წელს!

თქვენ ხართ მდვდელმთავარი, განსახიერება ჩვენი ეპოქის ადამიანის, რომელსაც დიდი ღვაწლი გაქვთ საქართველოს ეკლესიის ისტორიის კვლევაში. თქვენი კვლევებით შექმენით მთელი ეპოქა, ახალი ეტაპი რეალური ისტორიის კვლევისა.

თქვენ ილია II-ის მხარდამხარ აქტიურად იბრძოდით კომუნისტ-ათეისტების მიერ სულიერებისგან დაცლილ საქართველოში. როგორც ჭეშმარიტი თანამებრძოლი მისი უწმიდესობის და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორისა, მოუწოდებდით ქართველ ერს, რომ გადარჩენა ჩვენს ერთიანობაში მდგომარეობს.

1981 წელს უწმინდესმა და უნეტარესმა საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემ მდვდელმთავრად გამოგარჩიათ.

2009 წელს კი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ და წმიდა სინოდმა გამოსცა ბრძანება №76, რომ შექმნილიყო „რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისია, რომლის ხელმძღვანელადაც თქვენ დაინიშნეთ. ეს ნიშნავდა, რომ პატრიარქმა დაგაკისრათ უმნიშვნელოვანესი და მძიმე ტვირთი ქართველობის, იდენტობისა და ეროვნულობის შენარჩუნებისა.

თქვენ, თქვენი სამეცნიერო მოდვაწეობით აქამომდე მოიყვანეთ, არამარტო საქართველოს ეკლესია, არამედ მისი სულიერ-ინტელექტუალური ბაზისიც, რამაც თვის მხრივ განსაზღვრა და ჩამოაყალიბა ქართველი ერი, საკუთარი იდენტობით – მამული, ენა, სარწმუნოება!

70-წლიანი უქმობის შემდეგ თქვენ ადადგინეთ და აამოქმედეთ საფარას, ვარძიის, ზარზმას, უდეს, ვალეს, ხვილიშას, აბასთუმნისა და სხვა ეკლესიები.

ჩვენი უნივერსიტეტი ყოველთვის სახელმწიფოს აღმშენებლობის ფერხულში იყო ჩართული და სიამაყით აღვნიშნავთ, რომ თქვენ ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ბრძანდებით თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი პირველია საქართველოში და მთლიანად ჩვენს რეგიონში, სადაც მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების ტექნიკური უნივერსიტეტების მსგავსად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით დაფუძნდა თეოლოგიის სამეცნიერო-სასწავლო ცენტრი, რომელიც ოცი წელიწადია უდიდეს როლს თამაშობს ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდა განათლებაში. თქვენი პროფესიონალიზმისა და სამეცნიერო ხედვების გარეშე ამ კარგ წამოწევებას განვითარება არ ექნებოდა. თანამედროვე გამოწვევების ფონზე თქვენ, დიდი წვლილი შეგაქვთ ქრისტიანობის და ეროვნული ღირებულებების სწავლების დანერგვის საქმეში, რის გამოც დიდ მადლობას გიხდით.

გისურვებთ, კიდევ უფრო მეტ წარმატებას, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ნაყოფიერ მოდვაწეობას ეკლესიისა და ქვეუნის საკუთილდღეოდ.

მრავალუამიერ თქვენი მადალყოვლადუსამდვდელოესობაგ.

ღმერთმა ინებოს თქვენი სიცოცხლე მრავალსა წელსა მრავალუამიერ,  
ისპოლა ეტი დესპოტა!



\*\*\*

გულწრფელი სიხარული აერთიანებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლს ერთ-ერთი გამორჩეული მღვდელმთავრის, მანგლისისა და ოთორიწყაროს მიტროპლიტის, მეუფე ანანია ჯაფარიძის იუბილეს გამო. იგი 75 წლის გახდა, ოუმცა ადვილი არ არის ერთი ადამიანის სიცოცხლე დაიტიოს ის დვაწლი, რაც მის მაღალყოვლადუსა-მღვდელოებობას მიუძღვის ქართველი ერისა და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე.

1974 წლიდან, როდესაც მცხეთის სასულიერო სემინარის სტუდენტი გახდა, მეუფე ანანიამ თავისი ცხოვრება მთლიანად მიუძღვნა საქართველოს ეკლესიის სამსახურს. შრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნებარესმა ილია II-მ მაღლებნიშნა სასულიერო მოღვაწეობის გზაზე შემდგარი, დიდი პოტენციალის მქონე გულანთებული ახალგაზრდა და იმთავითვე ანდობდა მას უაღრესად პასუხსაგებ საქმეებს. ასეთი იყო, მაგალითად, ისტორიულ მესხეთში ახალციხისა და სამცხე-ჯავახეთის ეპარქიის დაარსება 1981 წელს, რომლის მწყემსმთავრად ეპისკოპოსი ანანია დაინიშნა. მისი მზრუნველობით აღდგა და გაშენდა ისტორიული მნელბედობის შედეგად იავარქმნილი ეკლესია-მონასტრები: საფარა, ვარძია, ზარზმა, უდე, ვალე, ხვალიშა, აბასთუმანი... იქურთხა ბორჯომის, ახალდაბის, სადგერის, ტიმოთესუბნის ეკლესიები. 1990 წელს ახალციხეში დაარსდა სასულიერო სასწავლებელი, რაც დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ამ მხარეში ეროვნულ-სარწმუნოებრივი მუხტის გაძლიერების, სულიერების კერად მისი ქცევის თვალსაზრისით.

მესხეთს მანგლისის ეპარქიის დაარსება-გაძლიერება მოჰყვა, სადაც მეუფე ანანია 1992 წლიდან დღემდე მოღვაწეობს. მისი დაუცხრომელი ზრუნვით მანგლისისა და წალკაში აშენდა და ამოქმედდა მრავალი ეკლესია და მონასტრი: ასურეთის, ოთორიწყაროს, ალგეთის, გუდარეხის, ბედიანის, ფიტარეთის, ბერთას და სხვ.

მიტროპოლიტი ანანია, საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთი განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ეპარქიის მწყემსმთავრობასთან ერთად, გამორჩეულია თავისი სამეცნიერო საქმიანობით. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უდიდესი ნდობის დასტური იყო მეუფე ანანიას დანიშვნა „რეალური ისტორიის დამდგენი საპატრიარქოს მუდმივმოქმედი კომისიის“ თავმჯდომარედ, რომელმაც ნათელი მოპფინა ერისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე არაერთ საკითხს. ამ კომისიის მუშაობის შედეგები აისახა მიტროპოლიტ ანანიას დიდტანიან გამოკვლეულში: „ქართველთა დენაციონალიზაცია XVII–XX საუკუნეებში. საინგილო, აფხაზეთი, ქართლ-კახეთი, მესხეთი, თრიალეთი, შიდა ქართლი“; „მესხეთი – ქართველთა გამაპმადიანება“; „ლაზიების შესახებ“ და სხვ. მეუფის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ხედვას ცხადყოფს მისი ნაშრომი „სახელმწიფო ენის განვრცობა - მშეიძობისა და სტაბილურობის საფუძველი“; ადსანიშნავია მიტროპოლიტ ანანიას უაღრესად მნიშვნელოვანი ფუნდამენტური გამოკვლევა „საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია წრდილოეთ კავკასიაში“, ასევე, „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“ და ა.შ.

მეუფე ანანია მთელი თავისი მოღვაწეობის მანილზე, საქართველოს ეკლესიისათვის ურთელეს პერიოდში, მხარში ედგა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესა და უნებარეს ილია II-ს და მასთან ერთად მუხლაუხერებლად ეზიდებოდა ლირ-სეული სასულიერო და საზოგადო მოღვაწის მძიმე ტვირთს. ჩვენი მოკრძალებული წერილი მიახლოებითაც ვერ ასახავს მიტროპოლიტ ანანიას დამსახურებას, მაგრამ, ვფიქრობთ, მკითხველს მიანიშნებს, რამდენად ფართო და საგულისხმოა მისი მოღვაწეობის არეალი.

გულითადად ვულოცავთ მეუფე ანანიას 75 წლის იუბილეს და ვუსურებთ მრავალუმიერ სიცოცხლეს ჩვენი ერისა და ეკლესიის საკეთილდღეოდ.

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პრორექტორი  
დეკანოზი ბესარიონ ცინცაძე



## მეზობე ანანია – მეცნიერებისა და სარწმუნოების შემაპავშირებელი

„...საქართველოს ეკლესია საუკუნეთა განმავლობაში დედასაებრ მფარველობდა და ჭირნახულობდა ჩვენს ერს. ეკლესის წიაღში იწრობოდა მამულისათვის თავდაგებულ მებრძოლთა გმირული სული, სარწმუნოების ნათელი მიუძღვის ჩვენი ერის კულტურის წინსვლა-აყვავებას და, რა დასანანია, რომ ქართული ეკლესის ეს დიდი როლი, როლი სულიერი ხელმძღვანელისა და წარმმართველისა, ბოლო საუკუნეების მანძილზე შესუსტდა და მოდუნდა...“ – განაცხადა 1980 წლის 17 მარტს, მცხეთის სვეტიცხოვლის საპატიოარქო ტაძარში, არქიმანდრიტმა ანანიამ ეპისკოპოსად კურთხევის დროს.

ათეისტური კერპთაყვანისცემის პირობებში მყოფი, სახელმწიფო ცნობიერებადაკარგული ქართველი ხალხის საქუთარ, მისთვის ბუნებრივ განვითარების კალაპოტში დაბრუნება, ერში გაშლილად, დიდი მასშტაბით, აბსოლუტური ზნეობრივი ღირებულებებისა და სტანდარტების დამკვიდრება, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ეროვნული და სულიერი აღორძინებისკენ მიმავალი ურთულესი და ტკივილიანი, მაგრამ ერთადერთი სწორი გზა იყო.

უფლის განგებულობით, ამ გზაზე, გასული საუკუნის 70-იანი წლების ქართულ ეკლესიურ და საზოგადოებრივ ცხოვრებას, გამორჩეული ლიდერი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი იღია II ჩაუდგა სათავეში.

ამ ეროვნული ამოცანის რეალიზების საქმეში, მისი უწმინდესობის გვერდით, თავიდანვე გამოიკვეთა მაღალი რწმენისა და ღრმა განათლების მქონე მაშინ ახალგაზრდა, დღეს, ყველასთვის საყვარელი მეუფე და დაფასებული მეცნიერი, მანგლისისა და თეორიულის მიტროპოლიტი, მაღალყოვლადუსამღვდელოესი ანანია. ღომელმაც სვეტიცხოველშივე იმავე სიტყვაში მკაფიოდ გამოხატა თავისი მოღვაწეობის კრედო – „შენთვის ვილოცებ, ქართველო ერო და შენი სულიერი წინსვლისა და აღორძინების საქმეს შევწირავ ჩემს მომავალ მსახურებას“.

რწმენისა და ცოდნის, სასულიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის პარმონიული შერწყმა, უდევი სითბო და სიყვარული – მეუფე ანანიას გამორჩეული თვისებებია. სწორედ თვისებებმა განაპირობა მისი წარმატებული მოღვაწეობა, როგორც საეკლესიო, ასევე სამეცნიერო თუ საზოგადოებრვ სარბიელზე.

ხალხის ათეისტური განწყობებისა და მასობრივად დაცემული ზნეობის პირობებში უხდებოდა მეუფე ანანიას ათწლეულების განმავლობაში უარყოფილი სამდროო ჰემარიტების ხელახალი ქადაგება თბილისისა თუ ალავერდის ტაძრებში, რაჭის, მესხეთისა თუ ქვემო ქართლის ეპარქიებში. დიდი წინააღმდეგობების მიუხედავად ყველგან დაატყო თავისი მაშენებელი ხელი. დაცარიელებული და გაუქმებული ტაძრები გულანთებული ქრისტიანებისა და პატრიოტებად ჩამოყალიბების კერებად აქცია და მივიწყებულ ეროვნულ ტრადიციებს ახალი სიცოცხლე შთაბერა. ხელი შეუწყო გარკვეულწილად ნიპილისტურად განწყობილი საზოგადოებისთვის ეროვნულ ფასეულობათა მიმართ ინტერესის გადვივებას.

ცალკე უნდა აღინიშნოს მეუფის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა. მან დაარღვია იმპერიულ-საბჭოური ისტორიოგრაფიის სტერეოტიპები. მთელი სიდიადით დაგვანახა საქართველოსა და მისი სამოციქულო ეკლესიის მრავალთასწლოვანი რეალური ისტორია, დიდი მამულიშვილების დგაწლი. გახდა ჩვენი აწმყოს სულიერი მეგაზშირე წარსულთან. კიდევ უფრო დროდ გაგვააზრებინა საქართველოს საკაცობრიო მნიშვნელობა.

მეუფე ანანიამ დაარსა სასულიერო სასწავლებელები და საქართველოს ერთ-ერთ უდიდეს უმაღლეს სასწავლებელში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში თეოლოგიის ცენტრი. ტექნიკურ უნივერსიტეტში თეოლოგიის კათედრის ჩამოყალიბება დიდი მოვლენა იყო ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის უახლოეს ისტორიაში, რადგანაც ეს არის ერთადერთი კათედრა საქართველოს სასწავლო დაწესებულებებში, რომლის ხელმძღვანელია მღვდელმთავარი და კათედრის ლექტორთა უმრავლესობა სასულიერო პირია. ამ ცენტრის საქმიანობა საშუალებას გვაძლევს გავიმეოროთ წმ. იღია მართალის ნათქვამი



წმ ეპისკოპოს გაბრიელის მიმართ: „ბევრსა პგონია, რომ მეცნიერება და სარწუნოება ერთმანეთში მოურიგებელნი და მოუთავსებელნი არიანო. იგია მაგალითი ამ მორიგებისა და მოთავსებისა...“

მრავლისმეტყველია ის ფაქტიც, რომ მეუფე ანანია არის რეალური ისტორიის დამდგენი საპატიორქოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე. ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის 80-იან წლებში, როცა სადვოთისმეტყველო და ეკლესიის ისტორიისადმი მიძღვნილი წიგნების ბეჭდვას ათეისტური რეჟიმი ძლიერ აბრკოლებდა, მეუფე ანანიას წიგნები (განსაკუთრებით „საქართველოს ეკლესიის ისტორიის“ I ტომი), ქსეროქსზე გამრავლებული, სტუდენტებისთვის ეკლესიის ისტორიის ყველაზე სანდო სახელმძღვანელო იყო.

განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ მეუფე ანანიას საზოგადოებრივი აქტიურობა. იგი საზოგადოებრივი ცხოვრების ავანგარდში იყო და არის. ფაქტიურად, არ დარჩენილა არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი მეუფე ანანიას თავისი კომპეტენტური აზრი არ გამოეთქვა. მან გამოსცა მრავალი წიგნი და გამოკვლევა. მრავალი შრომა მიუძღვნა ქართული ენის დაცვის, საქართველოს ისტორიული კუთხეების ჭეშმარიტი წარსულის, საქართველოს ისტორიის დამახინჯებისა და ქართველოფონობის პრობლემებს.

უნდა გამოიყოს მეუფე ანანიას პუბლიციისტური წერილები მიძღვნილი განათლების სისტემის, რელიგიისა და მეცნიერების, ქართველი ხალხის ჩამოყალიბების, მისი კულტურისა და ეროვნული მისიის, ქართლიზაციის თეორიისა და ქართველების დექართველიზაციის, შიდა ეროვნული კონსოლიდაციის დაწეარებისა და ოეგიონალიზმის, როგორც მისი შემაფერხებლი გარემოების შესახებ და სხვა. გააანალიზა ქართველი ხალხისა და საქართველოს მოსახლეობის ეროვნული ერთობის საფუძვლები. ნათლად წარმოაჩინა საყოველთაო გლობალიზაციის პროცესით დაძრული საფრთხეების გასანეიტრალებლად, ეროვნული იდენტობის კულტურული და ცნობიერი კავშირის აუცილებლობა ისტორიულ ფესვებთან, ერთიანი ეროვნული ცნობიერებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვასთან.

საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის წევრი, მაღალურვლადუსამდვდელოები მეუფე ანანია ჩვეული გულისხმიერებით და შემართებით კვლავაც აგრძელებს თავის ნაყოფიერ მოდგაწეობას, რომელიც პარმონიულადაა შეზავებული მის პიროვნულ თვისებებთან.

თქვენი მეუფებავ, გვინდა შეგკადროთ უდრმესი მადლობა თქვენი ღვაწლის გამო.

ჯანმრთელობას, გამძლეობას და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებოთ ღვთის სადიდებლად, სამშობლოს გასაძლიერებლად და ადამიანთა საკეთილდღეოდ!

უღრმესი სიყვარულითა და პატივისცემით მამუკა გიორგაძე



## მეზვე ანანიას...

თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ, მოწიწებითა და უღრმესი პატივისცემით მოგილოცავთ დაბადებიდან 75 წლის იუბილეს თქვენ, ჩვენი დედა ეკლესიის ღირსეულ წევრს, სულიერ მამას...

ქართულმა ეკლესიამ ჩაუყარა საფუძველი ჩვენს ეროვნულ სულიერ და მატერიალურ კულტურას – ღვთისმეტყველებას, მწერლობას, მუსიკას, მხატვრობას, მეცნიერებას და ღირსეულად დაუმკიდრა აღგილი მსოფლიო ცივილიზაციულ ერთა შორის.

ქართული ეკლესია ქმნის ქართული ენის აწყობს და მეოხეობს მის სულიერებას, ზნეობრიობას და განათლებასა და მეცნიერებასთან ერთობლივი ძალისხმევით ქმნის ჩვენი ქვეყნის მომავალს. ამ პროცესში აუწონავია თქვენი ღვაწლი და წვლილი თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ, რაზეც მეტყველებს თქვენი შთამბეჭდავი პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობა.

ღმერთმა დიდხანს ნუ მოუშალოს ჩვენს საზოგადოებას, უნიკერსიტეტს, კოლეგებსა და სტუდენტებს თქვენი მაღალი, ჭეშმარიტად მისიონერული მოღვაწეობა.

ავლავაც იღვაწეთ მრავალ წელს ჩვენი ქვეყნის მეოხად.

პატივისცემით,  
თემურ ჯაგოდნიშვილი  
ივანე ჯაგოდნიშვილი

## თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ

გილოცავთ თქვენ 75 წლის იუბილეს. თქვენი დაუდალავი შრომით შექმნით ახალი ეპოქა, ახალი ეტაპი საქართველოს რეალური ისტორიის კვლევისა. დაწყებული 1990 წლიდან, როდესაც საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღიარება მოხდა, რომელშიც თქვენი წვლილი უდიდესია, გაგრძელებული იმ კვლევებით, რაც უმნიშვნელოვანებია როგორც ეკლესიისთვის, ასევე საქართველოსთვის. იმ საკითხთა უბრალო ჩამოთვლაც კი, რაც თქვენ შექმნით ამ წლების განმავლობაში, ძალზე შთამბეჭდავია, რომლებიც უყრდნობა როგორც ქართულ წყაროებს, ასევე სრულ შესაბამისობაშია ანგიკური ავტორების ცნობებთან. თქვენ ამ წყაროებზე დაყრდნობით დაარღვიეთ ის დადგნილი ისტორიული „გეშმარიტებანი“, რაც საბჭოთა უკოქში იქნა შემუშავებული. თქვენ შრომებს დიდი თეორიული და პრაქტიკული დატვირთვა აქვს, როგორც საქართველოს ისტორიისათვის, ასევე ეპლესიის ისტორიისათვის და აქტუალურია თანამედროვეობაშიც, რადგან ის გამოწვევები რაც ჩვენს ქვეყანას პქონდა საუკუნეების განმავლობაში, ახლაც ცოცხალია და განახლებული სიმბაფრით დღევანდელობაში თავს გვატყდება სწრაფად ცვალებად სამყაროში. გისურვებთ ჯანმრთელობასა და სამეცნიერო პროდუქტიულობას ქვეყნის და ეკლესიის საკეთილდღეოდ.

პროფესორი  
დეკანოზი ლევან მათეშვილი



30

სამეცნიერო-სოციულური ჟურნალი

Scientific-Historical Journal

სევიტისხეველი

SVETITSKHOVELI



## თბილი მაღალყოვლადუსამღვდელოსობაში, მეუფე ანანია

მანგლისისა და თეთრიწყაროს ეპარქიის სამღვდელოებისა და მრევლის სახლით, დიდი პატივისცემითა და მოკრძალებით გილოცავთ დაბადებიდან სამოცდათხუთმეტი, ულამაზესი წლების იუბილეს, რომელიც ასე მდლავრი ნაბიჯებით განვდეთ მამულისა და მკლების ერთგულ მსახურებაში.

შემთხვევითი არ იქნებოდა უწმიდესისა და უნეტარესის მიერ სამოციქულო სახელით, ანანიად სახელდება. როგორც ჩანს, მისმა ბრძნულმა მზერამ თავიდანვე განჭვრიტა, რომ თქვენ შეუცვლიდით კალაპოტს ჩვენი ერისა და კალესის გაყალბებულ ისტორიას, მის-ცემდით მას სწორ მიმართულებას, რომელიც ძალზედ დაზიანებული იყო იმპერიალისტური და შემდგომ ათეისტური წნევის ქვეშ, მრავალთ აუხელდით თვალს და გაუხარებდით გულს დაობლებულ ერს, რომელიც ყველგან მეგობარს ეძებდა და მტერს კი აწყდებოდა.

თქვენი კურთხევით აღდგა და განახლდა საქართველოს უძველესი ქრისტიანული კერძი: ნიკორწმინდა, ვარძია, საფარ, სარზმა, სამშვილდე, პირღებული, გუდარეხი, ორმოცნი, კაბენი, ფიტარეთი. მანგლისის ტაძარში დამკვიდრდა ქართული წირვა-გადობა, კომუნისტების მიერ აფეთქებული ტაძრის ადგილზე აშენდა ახალი წმ. პეტრესა და პავლეს ეკლესია, აღგეთის მთავარანგელოზის, კოდის, თეთრიწყაროს, ასურეთის, ჯორჯიაშვილის, ორბეთის, ირაგის, ჯვარას, ჭივჭავის, მარაბდის, დვალთის, დიდგორის, წინწყაროს, ერდისის, ფარცხისის და სხვა მრავალი ტაძარიდა მონასტერები. ასევე წალკის ეპარქიაში, რომელიც თქვენი კურთხევის ქვეშ იმყოფებოდა, აღდგა და აშენდა მრავალი ტაძარი და მონასტერი, განახლდა ქართული დვთისმსახურება და დვთისმსახური, გაიხსნა ქართული სკოლა.

წმიდებამ და უნეტარესმა გამოგირჩიათ ერის მანუგეშებლად და ჩვენს საიმედოდ. მრავალი წელი და ესმი არ მოაკლოს ლმერთმა ჩვენს ერს თქვენი მღვდელმთავრული კურთხევა, ისტორიული ჭეშმარიტება, მამობრივი მზრუნველობა და სიყვარული მრავალქამიერ ამინ.

**დეკანოზი გიორგი მალხაზიშვილი**



## ეპლიტისთვის, საქართველოსთვის

მეუფე ანანია ჯაფარიძეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავარს, მანგლისისა და ოთორიწყაროს მიტროპოლიტს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის წევრს, ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელს, საქართველოს რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეს მეოცე საუკუნის მიწურულიდან ვიცნობ და უდიდესი პატივისცემითა და მოწიწებით გულოცავ საიუბილეო თარიღს.

ჩემი მოკრძალებული წერილით, ცხადია, მეუფის დვაწლის სრულყოფილად აღწერის საქმეს ვერ შევჭიდები, მხოლოდ რამდენიმე საკითხზე გავამახვილებ უკრადღებას:

პროფესორი ანანია ჯაფარიძე საქართველოს რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე, იგი ამ პოზიციაზე საქართველოს პატრიარქის უწმინდესი და უხევარესი ილია მეორის ხელდასხმით დაინიშნა და დაუცხომლად ემსახურება ამ საქმეს. თავად კომისიის სახელმწოდებაშიც გვესმის მთავარი სათქმელი რეალური ისტორიის დაბენა. ცხადია საქართველოს ყველა დროში ჰყავდა გამოჩენილი და თავდადებული ისტორიკოსები, მაგრამ რუსეთის იმპერიათა (მეფისა და კომუნისტური იმპერიების) იდეოლოგია ყველანაირად უშლიდა ხელს საქართველოს ისტორიის საკვანძო მომენტების გამომზეურებას, ხშირ შემთხვევაში კი თავისი ადეპტების მიერ ისტორიის გაყალბებასაც არ ერიდებოდა. ხშირად ისტორიკოსებს საქართველოს სასიკეთო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების უფლების შესანარჩუნებლად და გადასარჩნად ზოგიერთ საკითხზე საბჭოთა ხელისუფლების მიერ დადებულ ტაბუსთან შეგუება უწევდათ. ასეთ საკითხთა შორისაა: საქართველოს წმიდა სამოციქულო და მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციის საზღვრები, თეორია საქართველოს პროზელიტიზმის შესახებ (წმიდა სინოდის დადგენილება იურისდიქციის საზღვრებთან დაკავშირებით), საეკლესიო სამართალი, ივანე ჯავახიშვილი საქართველოს ეკლესიის ერთიანობის შესახებ, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, „ქართლის ცხოვრების“ არქეოლოგური რედაქცია, ქართველი ერის წარმოშობის, საქართველოს ეთნოკულტურული მთლიანობის წინააღმდეგ გამიზნული სამხედრო-პოლიტიკური დონისძიებები (ნაშრომებში: საინგილო (ქართველთა გალერება), 1998. მესხეთი (ქართველთა გამაპმადიანება), 1998. ქართლ-კახეთი (ქართველთა გასომხება), 1999. ლაზეთ-ტრიალეთი (ქართველთა გაბერძნება), 1999), შიდა ქართლი (ქართველთა გაოსება), 2006. აფხაზეთი (ქართველთა „გააფხაზება“), რეგიონალიზმი, როგორც ეროვნული კონსოლიდაციის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა, საქართველოს ეკლესიის ისტორიის წეაროები, პერიოდიზაცია და საეკლესიო ისტორიოგრაფია, საქართველოს საეკლესიო კრებები, ენა და სახელმწიფო, ეკლესია, როგორც კუთხეთა დამკავშირებელი დუღაბი, ქართველთა დენაციონალიზაცია XVII-XX საუკუნეებში, ქართულ-სომხური საეკლესიო ურთიერთობები. სახელმწიფო ენის განვრცობა მშვიდობისა და სტაბილურობის საფუძველი და სხვა და სხვა.

აი, რა საკითხებზე ფიქრობს და ზრუნავს საქართველოს ეკლესია, რა თავდადებით ექებს წეაროებში ჰემმარიტების მარცვლებს; ამ კელევებში აშკარად ჩანს მართლმადიდებლური საქართველოს წინააღმდეგ საუკუნეთა მანძილზე მიმდინარე უწყვეტი ბრძოლა და ისიც აშკარაა, რატომ უჩნდებიან დაუნდობელი და გაავებული მტრები ესოდენ მტკივნეულ თემატიკაზე მომუშავე ისტორიკოსებს, ეკლესიის ერთგულ მსახურებს, ლოთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის ქომაგებს.

მეუფე ანანია ჯაფარიძე უშუალოდ საეკლესიო საზრუნავის გარდა არანაკლებ დგაწლს დებს სამეცნიერო საქმიანობაში. სწორედ ლვთისმსახურის მოუსყიდველი და ჰემმარიტ ფასეულობებს ნაზიარევი მზერა ეხმარება მას ისტორიული ფაქტების მიხმალული მიზეზ-შედეგობრივი ასპექტების დანახვაში.

ბევრჯერ დავფიქრებულვარ, რა მოთმინებით იტანს ზოგიერთი საკმაოდ განსწავლული ადამიანი მავანთა სიბრიუებსა და უნამუსობას, რამდენ საამებელ სიტყვასა და სადღეგრძელოს უძღვნის დაუმსახურებლად აღზევებულ რენგგატებს, მაგრამ ჰემმარიტ ლირ-



სებას მწვავედ უპირისპირდება, ეკამათება და მის დისკრედიტაციას ლამობს. ეკლესიაზე უკეთ ვინ უწყის ამგვარი მტრობის ნამდვილი მიზეზი... მაგრამ მე მაინც გავიმეორებ: როცა კონიუნქტურის საწინააღმდეგო საკითხებს იკვლევ და სასაქართველოოდ აშუქებ, ცხადია, გიმტრობენ საქართველოსა და ეკლესიის მტრები. ბევრისოფის ძნელია ამ მტრობის ატანა, ბევრი პატიოსანი მეცნიერი შეგნებულიად არიდებს თავს ამგვარი „მტრიანი საკითხების“ შესწავლას, რომ თავს არ დაიტეხოს ნომენკლატურული რისხეა... მხოლოდ ერთეულგბი არ უშინდებიან ამ სიძნელეებს და ბუნებრივია, რომ ასეთებს სარწმუნოება აძლევს ძალას.

ქართველოლოგია კომპლექსური მეცნიერებაა, რომელიც მოიცავს ქართველოა პოლიტიკურ-კულტურული ცხოვრების ყველა ასპექტს დროსა და სივრცეში. და ამ ყველა ასპექტს თავისი საკუთარი მკვლევარი ესაჭიროება. თანამედროვეობაში, როდესაც ნებისმიერი საკითხის შესახებ იმდენად დიდი მოცულობის ცოდნა დაგროვდა, რომ მთლიანი „მოზაიკური სურათის კომპეტენტური და ობიექტური ამწყობი“ იშვიათობად იქცა, განსაკუთრებით დასაფასებელია ისეთი მოღვაწეები, რომლებიც არ უშინდებიან ფაქტის მრავალმხრივ ანალიზს, და საგანთა და მოვლენათა შეფასების იმ კრიტერიუმთა გამოყენებას, რომლებიც, შესაძლოა, კონკრეტულ მომენტში გაბატონებული პოლიტიკურ-იდეოლოგიური კონიუნქტურით არ იყოს მხარდაჭერილი (შესაძლოა, იდევნებოდეს კიდეც).

კაცობრიობის ისტორიაში ხშირადაა ერთმანეთისაგან გამიჯნული ცოდნა, რომელიც სადმრთო წესრიგისა და იდეალიზმის საფუძვლებიდან ამოდის, და მეცნიერება, რომელიც მატერიალიზმის საძირკველზე დგას; თითქოსდა, ეს ორი, სხვადასხვა მრწამსზე მდგომი, მაგრამ საერთო მიზნის მქონე, ერთი და იმავე სამეცნიერო ინფორმაციითა და მეთოდოლოგიით მოსარგებლე მკვლევრები წარმატებული კვლევის შედეგად ადამიანებისოფის ღირებულებრივი თვალსაზრისით თანაბარი სიკეთის მიცემას არ ლაშობდნენ.

სინამდვილეში ხომ საქმე გვაქვს სამყაროს შემეცნებისკენ მიმავალ ორ გზასთან, რომელთა შედეგიანობის შემოწმება მხოლოდ გზის ბოლოსაა შესაძლებელი. გზა კი გრძელია, გზა შორია...

მეოცე საუკუნე სამეცნიერო აღმავლობის საუკუნე იყო და თითქოს აღარც არსებობდა დარჩენილი შეუსწავლელი და შეუფასებელი (ავად თუ კარგად) საკითხი, მაგრამ ისტორიოგრაფიას, როგორც პოლიტიკური და სოციალური კონიუნქტურის მიმართ განსაკუთრებულად მგრძნობიარე დარგს, ფაქტების გადამოწმებისა და ინტერპრეტირების ახალ-ახალი მიმართულებები კვლავ არ გამოლევია. რამდენადაც წარსული აწმუოს გაგებისა და ახსნის ერთადერთი გზაა (და შესაბამისად, მომავლის დასაგეგმადაც უმთავრეს გზამკვლევად უნდა განვიხილოთ) ისტორიის შემსწავლელ მეცნიერებას უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება.

სასულიერო მოღვაწეთა შორის საქართველოს ყოველთვის ჰყავდა დიდი მეცნიერები, ეს გზა, ღვთის მადლით, დღესაც გრძელდება. და ამას დიდი მნიშვნელობა აქვს; ჩემი კარგად ვხედავთ, რომ თანამედროვე მსოფლიოში წიგნისა და მეცნიერების სახელით (ნებისით თუ უნებლივით) ადამიანის გონებაზე უდიდესი ზემოქმედება მიმდინარეობს, და უკვე ჩანს, რომ ამ გავლენათა შედეგები ადამიანს არ მხოლოდ მიწიერ არსებობას, არამედ სულიერ გადარჩენასაც გაუმნელებს.

მეუფე ანანია ჯაფარიძე არაჩვეულებრივი სიმტკიცის ადამიანია. ის არის ნამდვილი საზოგადო მოღვაწე, რომელსაც საუკეთესოდ ესმის, რომ სწორედ აქ და სწორედ ახლა უნდა იდგაწოს ადამიანებისოფის, ეკლესიისოფის, საქართველოსოფის.

მანანა ტაბიძე  
ფილ. მეცნ დოქტორი,  
პროფესორი



## მეზობე ანანიას დღებრძელობა!

ჩემი მოკლე და მოკრძალებული წერილით მინდა გამოვხატო დიდი პატივისცემა საქართველოს მართლმადიდებელი, სამოციქულო ეკლესიის წმინდა სინოდის წევრის, პროფესორის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, მანგლისისა და წალკის მთავარეპისკოპოსის, მის მაღალყოვლადუსაღმდელოებობის მეუფე ანანია ჯავარიძის პიროვნების მიმართ.

აუწონელია მისი დვაწლი საქართველოს და მართმადიდებლური ეკლესიის ჭეშმარიტი ისტორიის დადგენის უძმიმეს და მამული შვილურ საქმეში, მისი დაუღალავი შრომით მრავალი წლის მანძილზე მან შეძლო მაღალი ღირებულების ისტორიოგრაფიული ნაშრომების შექმნა, დაფუძნებული ეროვნულ ფენომენზე, სოციურ კულტურაზე და ქრისტიანულ ფასეულობებზე. მის შრომებს საქართველოს ეკლესიის და არა მარტო ეკლესიის ისტორიულ კვლევაში ძალზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და ის ემსახურება ჭეშმარიტი რწმენის, ქართული ეროვნული ცნობიერების, ეკლესიური და სახელმწიფო ერთიანობის ინტერესებს.

როდესაც საუბარია მეუფე ანანიას შემოქმედებაზე თვალწინ წარმოგვიდგება სამშობლოს ბედზე დღენიადაგ გულატკივებული მწერალი, შემოქმედი, მემატიანე, რომელმაც ქართველი ხალხის უდიდესი პატივისცემა მოიპოვა. ის მუდამ ეროვნული ტრადიციების ერთგულად და დამცველად გვევლინება. მთელი მისი შემოქმედება ეკუთვნის მის ქვეყანას, აწყოსა და მომავალს.

მისი ხელმძღვანელობის წევალობით, ჩვენს მშობლიურ უნივერსიტეტში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შექმნილმა ოეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრმა ხელი შეუწყო და ახალ სიმაღლეზე აიყვანა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მეუფე ანანიას ქრისტიანული თავდაბლობა ადამიანებთან ურთიერთობის დროს და ბედნიერად ვთვლი თავს, რომ მეც მერგო ამ ურთიერთობის ერთი ნაპერწყალი, რისთვისაც დიდ მაღლობას მოვასხენებ მას.

თქვენ მაღალყოვლადუსაღმდელოებავ მეუფეო ანანია, კიდევ ერთხელ გილოცავთ თქვენ საიუბილეო თარიღს დაბადებიდან 75 წლისთავს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ნაყოფიერ მოღვაწეობას გისურვებთ ჩვენი ეკლესიისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ. ნუ მოუშალოს თქვენი თავი მრავალ წელს ჩვენს სამშობლოს და საქართველოს ეკლესიას.

პროფესორი  
გიორგი სალუქმაძე



## საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი გამორჩეული დიდი მოღვაწე მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

მიტროპოლიტი ანანია (ოჯგიზ) ჯაფარიძე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის წევრი, საქართველოს საპატიოარქოს მანგლისისა და თეორიწყაროს ეპარქიის მმართველი, ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი, რეალური ისტორიის დამდგენი საპატიოარქოს მუდმივმედი კომისიის თავმჯდომარე.

მეუფე ანანიას ძალისხმევითა და შრომით ამოქმედდა და აშენდა მრავალი ეკლესია-მონასტერი – საფარის, ვარძის, ზარზმის, უდეს, ვალეს, ხვილიშის, აბასთუმნისა და სხვა ეკლესიები. ამოქმედდა მონასტერიც, ბორჯომის რაიონში იკურთხა ქ. ბორჯომის ახალდაბის, სადგერის, კიმოთესუბნის და სხვა ეკლესიები.

1992 წელს მეუფე ანანიას მიენიჭა მთავარეპისკოპოსის წოდება და დაინიშნა მანგლისისა და წალკის ეპარქიის მმართველად, სადაც ამოქმედდა და აშენდა მრავალი ეკლესია და მონასტერი. მათ შორის ასურეთის, თეორიწყაროს, ალგეთის, ენაგეთის, წყლულეთის, კოდის, მარაბდის, წინწყაროს, ფარცხისის, ჭივჭავის, ირაგის, ბერთაშვილის, ჯინისის, ბარეთის და სხვა ეკლესიები. ამოქმედდა მონასტერები – გუდარეხი, ბედიანი, ფიტარეთი, ბერთა, სამება (გუნიაკალა) და სხვა.

2001 წელს მეუფე ანანიამ პატიოარქის კურთხევით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დაარსა თეოლოგიის კათედრა, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში პირველი და განუმეორებელია.

23 წლის განმავლობაში ამ კათედრაზე თეოლოგიისა და რელიგიის ისტორიის მიმართებით აღიზარდა 70 ათასზე მეტი სტუდენტი.

მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის პედაგოგიური არგალი არ გახლავთ მხოლოდ ტექნიკური უნივერსიტეტი, იგი კითხულობს ლექციებს თბილისის სასულიერო აკადემიაში.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მიტროპოლიტ ანანიას ხელმძღვანელობით შეიქმნა სადოქტორო საბჭო, სადაც არაერთი მნიშვნელოვანი სადოქტორო ნაშრომი იქნა დაცული რელიგიის ისტორიისა და ტეოლოგიის მიმართულებით, ამ სადოქტორო საბჭოში მეუფე ანანია მოწვევით მოღვაწეობებს მაღალი რანგის მეცნიერები თეოლოგიასა და რელიგიის ისტორიაში ისეთები როგორებიც არიან: პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე, დეკანოზი ლევან მათეშვილი, დეკანოზი თეოდორე გიგნაძე, პოეტი, მართვის სისტემებისა დოქტორი და თეოლოგიის დოქტორი ვაჟა ოთარაშვილი, ცნობილი მეცნიერი ვაჟა შუბითიძე და მრავალი სხვ.

მის მიერ გამოცემულია არაერთი ათეული ნაშრომი და უმნიშვნელოვანესი მონოგრაფია, მათ შორის განსაკუთრებით აქტუალურია ბოლო წლებში გამოცემული:

- საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ათგომეული, 2022;
- კონსტანტინოპოლის საპატიოარქოს ალანიის ეპარქიის ლოკალიზაციის საკითხი და საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია ცენტრალურ კავკასიაში (ალანია და ოსეთი), 2022;
- ალბანეთი (ალბანეთის საკათალიკოსო და საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია კახეთსა და პერეთში), 2022;
- ეპარქიების (საეპისკოპოსოების) ჩამოყალიბება ისტორიულ სამხრეთ საქართველოში (ტაო და ლაზიკა), 2023;
- საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია. (ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე), მესხეთი (თურქულ ენაზე) 2023;
- ეპარქიების (საეპისკოპოსოების) ჩამოყალიბება ისტორიულ სამხრეთ საქართველოში (ტაო და ლაზიკა), 2023 წელი.



მე მინდა საზოგადოებას მივმართო შესაძლებელია თუ არა ერთ პიროვნებაში სხვადასხვა მიმართულებით ამხელა აქტივობა. თითქოს შეუძლებელია ერთ პიროვნებაში შეათავსო საქმაოდ დიდ სივრცეში და არა ერთი მიმართულებით ძალზედ წარმატებული შემოქმედება, ამას ემატება მისი ყოველდღიური ლოცვა და ქადაგებანი. მგონია, რომ დიდმარწმენამ, ლოცვის მადლმა და სამშობლოს სიყვარულმა შეაძლებინა ეს ყოველივე.

მისი შემოქმედება და მისი პიროვნული ხიბლი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის ცხოვრებაზე მნიშვნელოვნად აისახა, ჩვენ გვახარებს, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა შორის არა ერთი მეუფეა და მათ შორის ერთ-ერთი კაშკაშა და ბრწყინვალე მოღვაწე სწორედ მეუფე ანანია ჯაფარიძე გახლავთ. ვფიქრობთ, რომ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მიღებული ტექნიკური განათლება გარდასახულია ანალიტიკურ აზროვნებაში. რაც აგრე რიგად დასაბუთებულად აკეთებს მნიშვნელოვან დასკვნებს.

პირადად ჩემს ცხოვრებაზეც მიტროპოლიტმა ანანიამ დიდი გავლენა იქონია, მისი შემწეობით ჩემი ხედვის პორიზონტი შეივსო იმ ისტორიული და თეოლოგიური ცოდნით, რაც უგრე რიგად მაკლდა და ალბათ არა მარტო ჩემი უნივერსიტეტის ახალგაზრდობის და ჭარმაგი პროფესორების ცოდნის არეალიც მნიშვნელოვნად გაფართოვდა.

ასევე მინდა მადლობა მოვუხადო მას, როცა იმ სოფლიდან სადაც პაპა ჩემის მამა სამსონ მძინარაშვილი მოღვაწეობდა წამოვიდა ინიციატივა რომ დაწერილიყო მამა სამსონის ხატი, მეუფე იობისა და მეუფე ანანიას კურთხევით ეს ყოველივე რეალობად იქცა და მამა სამსონის დახვრების ზუსტად 80 წლის თავზე ჩავაბრძანეთ სოფელ მოხისში (ქარელის რაიონი), სადაც მეუფე ანანიამ სოფლის ეკლესიაში იქადაგა.

მე ვთვლი თავს მის ძეგობრად, რომელმაც მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია ჩემს ცნობიერებაზე.

გუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს და ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

პროფესორი  
ზურაბ გასიტაშვილი



## საქართველოს ეპლენის ისტორიის მუსლინაშენებლი მემატიანე (მეუფე ანანია ჯაფარიძე – 75)

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მაღალი სასულიერო იერარქის – მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის მრავალმხრივი მოღვაწეობის შეფასება, მისი ამაგის წარმოჩენა ადგილი არ არის. ბრწყინვალედ შეაფასა მისი მოღვაწეობა უწმინდესმა და უნებარებამა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ: მეუფე ანანია ჯაფარიძემ „ეკლესიური ცხოვრება მაშინ დაიწყო, როდესაც მორწმუნება რიცხვი მეტად მცირე იყო და ინტელიგენციაც ათეიისტური აზროვნების ტყვეობაში იმყოფებოდა. იგი იმ პირ ველ თა განია, რომელმაც კომუნისტური რეჟიმის მიერ დაკინებულ მიმართულებას პროტესტი გამოუცხადა და ნამდვილი ისტორიის აღდგენისათვის უდიდესი ნაბიჯები გადადგა“. ამიტომაც ილია II-ის ინიციატივით საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნა საქართველოს რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისია მისი მაღალყოვლადებულების, მანგლისის და წალკის მიტროპოლიტის ანანიას (ჯაფარიძის) ხელმძღვანელობით 2009 წლის 10 ივნისს (ბრძანება №76). ეს არის უდიდესი ნდობაც და პასუხის მგებლობაც მეუფე ანანიასი.

მახსოვეს 90-იან წლებში გამოვიდა მეუფე ანანიას საოცარი წიგნი ფართო საზოგადოებისათვის გასაგებ ენაზე დაწერილი – „ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია“, რომელიც ხალხში ხელიდან ხელში გადადიოდა და მაშინვე აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონ დაკარგულ ჩვენი მოსახლეობის საყვარელ გამოცემად იქცა საქართველოში. ეს წიგნი მა შინაც და ეხლაც ჩემი სულის ნუგეშია.

„მრავალი ერი გაქრება დედამიწის ზურგიდან, მაგრამ ლვოსმშობლის წილხვედრი იბერია იქნება ქრისტეს მეორედ მოსვლამდე და კაცობრიობის ხსნა იბერიიდან მოვა“, ბრძანებდა წმინდა სერაფიმ საროველი. სწორედ, იბერიის ისტორიულ საზღვრებს, ქართული ტომების საერთო, ფსიქიურ წყობა-ერთობას და კულტურას, ქართული ეკლესიის საზღვრების უმნიშვნელოვანებს პრობლემებს ეხება მეუფე ანანიას მრავლისმთქმელი გამოცემები: „არიან ქართლი – საეპისკოპოსოები ისტორიულ ივერიაში“, „ქალდეა – საეპისკოპოსოები ლაზიკაში“, მათზე დართული რუკებით. დასახელებული გამოცემები უძვირფასები შენაძენია ქართული საზოგადოებისათვის, სადაც სრულიად ახლებურ მიდგომას და გეოგრაფიულ ლოკაციებს გვთავაზობს საქართველოს ეკლესიის ისტორიის მუხლაუხერელი მემატიანე – მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე.

არ შეიძლება ცალკე არ გამოვყო მეუფე ანანიას ბრწყინვალე შრომა: „საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია ჩრდილოეთ კავკასიაში (დაღესტანი, ალანია, ადიღე-ჩერქეზეთი, დურ ძუკეთი, ჩრდილო კავკასიის სვანეთი (!), ოსეთი, ქისტეთი, ალბანეთი)“, რომელიც ეფუძნება მდიდარ ქართულ და უცხოურ წყაროებს, ვრცელ სამეცნიერო ლიტერატურას, ჩრდილოეთ კავკასიაში შემორჩენილ ქართული კულტურის არტეფაქტებს. ავტორი ადასტურებს, რომ ოქმურ-ლენგის შემოსევამდე ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობა წარმოადგენდა საქართველოს ეკლესიის მრევლს, რომელთა მიერ აგებული ჯვარ-ხატთა ნიშები თუ ეკლესიები დღესაც შემორჩენილია. აქვეა განხილული ისეთი უმნიშვნელოვანები თემა, როგორიცაა ადიდების ჩასახლება აფხაზეთში და ისტორიულ სამეცნიერებლი. ზემოთ მოვანილ სამეცნიერო თემატიკას ეძღვნება უმნიშვნელოვანები და გასაოცარებელ მეუფე ანანია ჯაფარიძისა „კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ალანიის ეპარქიის ლოკალიზაციის საკითხი და საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია ცენტრალურ კავკასიაში (ალანია და ოსეთი)“, რომელშიც სხვა ძალზე საყურადღებო და სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად განხილულია უმტკივნეულებები პრობლემა-რეალობა: „დვალთა გადასახლება შიდა ქართლში და მთიელ ქართველთა გაოსება“. მსგავსი სამეცნიერო დონის ეკლესა ქართულ ისტორიოგრაფიაში ძალზე მცირეა.

ცალკე საზგანასმელია მეუფე ანანია ჯაფარიძის დიდი რუდუნებით შედგენილი ბრწყინვალე შრომა „საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული“, რომელშიც ქრონიკოები და გაანალიზებულია საქართველოს საეკლესიო კრებების სამარ-



თაღი, კანონები და დადგენილებები IV საუკუნიდან XX საუკუნის ჩათვლით, რომელიც 2003 წლიდან სახლიერო აკადემიის სახელმძღვანელოც არის. აქვე აღსანიშ ნავია, გარეგნულად მცირე ზომის (სხვებთან შედარებით – ვ.ო.) ნაშრომი ჩვენი მეუფისა „მსოფლიო მსაეკლესიო კრებები ქართველ ეპისკოპოსთა მონაწილეობით“, რომელიც ჩემი აზრით უნიკალური კვლევაა და დიდი ინფორმაციის შემცველია ქართული ეკლესიის ისტორიისათვის.

ინტერნეტ სივრცეში და სოციალურ ქსელში საქართველოს წინააღმდეგ გამართულ „ლაშქრობებს“ მედგრად იგერიებს მეუფე თავისი ეროვნულ-ქრისტიანული სულიერებით გაუდენილი კვლევებით. მაგალითისათვის საკმარისია დავასახელო მეუფე ანანიას ნაშრომი „ალბანეთისა და ხუნძეთის საკათალიკოსოები“ და ბოლო პერიოდში გამოცემული მისი უნიკალური სქელტანიანი წიგნი – „ალბანეთი“.

2023 წელს გამოვიდა მეუფე ანანიას 554 გვერდიანი ფუნდამენტური ნაშრომი „ეპარქიების (საეპისკოპოსოების) ჩამოყალიბება ისტორიულ სამხრეთ საქართველოში (ტაო და ლაზიკა)“. მე ვვიქრობ ეს არის „უძვირფასები ნაშრომი, რომელიც ცვლის ამჟამად გავრ ცელებულ და ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ თვალსაზრისს თითქოსდა, მე-8 საუკუნე მდე ტაო ეთნიკური სამხებით იყო დასახლებული და ქართველები აქ არაბთა შემოსევების დროს ჩასახლდნენ. სინამდვილეში კი მეუფე ანანიას დეტალური კვლევიდან ჩანს, რომ სტრაბონის, ქსენოფონტეს და სხვა უნიკალურ წყაროებზე დაყრდნობით ცხადი ხდება, რომ ტაო თავდაპირველადვე დასახლებული იყო ეთნიკური ქართველებით.

აღნიშნული ნაშრომი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ოურისდიქციის საზღვრებს სამხრეთ საქართველოში, კერძოდ, ტაოსა და ლაზიკაში. მოყვანილი ნაშრომი ჩვენი სახელმწიფო პოლიტიკის მომავალ ორიენტირებასაც წაადგება სწორი ეროვნული გეზის წარმართვაში.

ცალკე გამოსაყოფია, რა თქმა უნდა, მეუფე ანანია ჯაფარიძის „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“, რომელიც რამდენჯერმე გამოიცა სხვადასხვა ფორმატით. ანსაკუთრებით აღვნიშნავ, 2022 წელს საქართველოს ტექნიკური უნი ვერ სიტეტის მიერ საქართველოს საპატრიარქოს რეალური ისტორიის დამდგენი მუდ მივ მოქმედი კომისიის უგილით გამოცემულ ფუნდამენტალურ და უნიკალურ ათტომეულს, რომელიც მეუფე ანანია ჯაფარიძის საქართველოს ეკლესიის ისტორიის დიდი და სასოებით სავსე მემატიანის მოღვაწეობის გარკვეული ეტაპის შეჯამებაცაა. თუმცა მუხლჩაუხრელი ქრისტიანული შრომისმოყვარებით სავსე კვლევა-ძიება არ შეუწევებია მაღალ სახელიერო იერარქს. ჩემი ღრმა რწმენით მისი „საქართველოს ეკლესიის მოქლე ისტორია“ (ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე) საქართველოს ყველა უმაღლეს სახელმწიფო უნდა ისწავლებში უნდა და სკოლებში უნდა ისწავლებოდეს.

ზემოთ ჩამოთვლილი გამოცემა-შრომები მხოლოდ ნაწილია მეუფე ანანიას შრომადვაწლისა... საოცარია, ერთმა ადამიანმა როგორ შეძლო ამდენი... და იქვე ვპასუხობ: „უფლის შეწევნით და მაცხოვრის დახმარებით!“ და როგორც დავითის ფსალმუნი გვასწავლის: „ბრძანე ღმერთო ძალითა შენითა...“ (67.28) და ღმერთის ძალით აღვსილი თავმდაბალი და კეთილმობილი მეუფე ანანია ქრისტიანული რწმენის კელაპტარით ანათებს ჩვენი სამშობლოს ისტორიის იდუმალ პერგამენტებს და ერის მეხსიერებას პპატორნობს მუხლმოდრეკით ლოცვასთან ერთად! როგორც ქრისტემიერი სიყვარულით აღნიშნავს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტახტის მოსაყდრე, სენაკისა და ჩხოროწყვეს მიტროპოლიტი შიო მუჯირი: მეუფე ანანიას „მოღვაწეობის განსაკუთრებულ მხარეს წარმოადგენს უდავოდ მისი ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობა, რომელსაც საქართველოს ისტორიის კვლევაში ძალზე მნიშვნელოვანი აღგილი უკავია“.

ჩემი ღრმა რწმენით, პროფესორი მეუფე ანანია ჯაფარიძე, უნდა იყოს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.

ღმერთმა ჯანი და მზეგრძელობა არ მოაკლოს მრავალეამიერ! გილოცავთ დაბადების დღეს!...

მუხლს და ქედს ვიდრეკ მეუფეო თქმებს წინაშე დიდი სიყვარულით, თქვენი ცოდვილი სულიერი შვილი.



38

სამეცნიერო-სოციურო ჟურნალი

Scientific-Historical Journal

სევიტისხეველი

SVETITSKHOVELI



## თქვენო მაღალუსამღვდელობების მეუფე ანანია!

უფალმა დიდი ბედნიერება გვარგუნა, რამეთუ ჩვენს გვერდით ბრძანდებით თქვენ – ღმერთისა და ადამიანისადმი სიყვარულით გამორჩეული მილიონთა შორის, კეთილშობილების სიმბოლო, ჰეშმარიტი ღმერთის რწმენის გაძლიერებისათვის ხმალამოწვდილი მებრძოლი, ახალგაზრდობის სწორუპოვარი აღმზრდელი, საქართველოსა და მისი მართლმადიდებელი ეკლესიის წარსულის მუხლმოუდრევალი მკვლევარი, აწმყოსა და მომავალში მართალი გზის მასწავლებელი და დამლოცველი, სულიერი სითბოს გამზიარებელი.

მეუფევ, გისურვებთ ჯანის სიმრთელეს და უთვალავ სიხარულს, მრავალი წარმატებული კვლევის ჩატარებას და დღეგრძელობას ადამიანთა გულის გასახარად, ეკლესიისა და მამულის სასარგებლოდ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
პროფესორები:  
ჯუმბერ იოსებიძე  
გიორგი აბრამიშვილი

## თქვენო ყოვლადუსამღვდელოებისაგ, ძვირფასო მეუფე ანანია!

დიდი სიყვარულით და უდრმესი პატივისცემით გილოცავთ დაბადებიდან 75 წლის იუბილეს. თქვენ, თქვენი კვლევებით შექმნით მთელი ეპოქა, ახალი უტაკი რეალური ისტორიის კვლევისა. თქვენ ბრძანდებით საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის მემატიანე.

მოღვაწეობის თქვენებული წესით მომავლისკენ ნათელ მაგალითს უწვევებთ როგორც ახალგაზრდობას, ისე პროფესორ-მასწავლებლებს.

გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, რათა კიდევ დიდხანს გედვაწოთ ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ. ფეხბურთის გაგევლოთ შემდგომი ათწლეულები ასწლეულისაკენ.

მრავალუამიერ თქვენ საღმღვდელომთავრო მეუფებას უფლის ეკლესიის მაღალ მსახურებაში!

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
პროფესორები:  
დავით გორგიძე  
ქეთევან მახაშვილი



დაბადებიდან 75 წლისთავს გულოცავთ ჩვენი ეკლესიისა და ქვეყნის გამოჩენილ საეკლესიო და სასულიერო მოღვაწეს, ოვალსაჩინო მეცნიერსა და უმაღლესი სკოლის მასწავლებელს, საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის წევრს, საქართველოს საპატრიარქოს ოეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, მანგლისისა და თეორიულაროს მიტროპოლიტ ანანიას (ჭავარიძე).

თქვენ მაღალუოვლადუსამდგედესობაზ,

გულწრფელად გილოცავთ დაბადების დღეს.

გისურვებთ ხანგრძლივ, მრავალმხრივ მოღვაწეობას დედა-ეკლესიისა და საქართველოს საკეთილდღეოდ.

საეკლესიო მეცნიერებაში თქვენს მიერ გაკაფული გზა არის ნათელი დასტურია იმისა, თუ როგორი რწმენითა და ერთგულებით უნდა უყვარდეს ადამიანებს დედა-სამშობლო, როგორ უნდა იბრძოლონ და იღვაწონ, რათა თავიანთი მაგალითით სულიერად გააძლიერონ და რწმენაში განამტკიცონ მომავალი თაობები.

თქვენი შრომა და თავდადება სამაგალითოა მათოვის, ვისაც სურს შექმნას მატერიალური და სულიერი დოვლათი.

თქვენ ბრძანდებით შეუვალი, მტკიცე და ძლიერი ნებისყოფის მეცნიერი და მღვდელ-მთავარი.

დმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ, გაგაძლიეროთ და აგსრულებოდეთ სანუკარი ოცნება – სულ მალე საქართველოს გაერთიანებისა და გამთლიანების შესახებ გექადა-გოთ: ბიჭვინთის, ბედიის, ილორის, იკორთისა და ქეშელთის ტაძრების ამბიონიდან.

აგსრულებოდეთ ჩანაფიქრი და კვლავ აღმდგარიყოს ქართულად წირვა-ლოცვები ტაო-კლარჯეთსა და ჰერეთში, აგარაკ-ტაშირსა და ლაზეთში.

გვიყვარხართ და მადლობას გწირავთ სასულიერო, შემოქმედებითი, სასწავლო-სამეცნიერო და უბრალო, ადამიანური ურთიერთობებისთვის.

მრავალუამიერ, მრავალსა წელსა თქვენი სიცოცხლე, ამინ!

მონაზონი იოანე (მამუკა) ცუხიშვილი

ფილოლოგიისა და თეოლოგის დოქტორი, პროფესორი;  
საქართველოს საპატრიარქოს სოფლების ისტორიის შემსწავლელი  
სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი



## მისამართი ანანიას 75 ფლის 0300 დაბადების გამოცემა

1996 იბეჭდება და დღის სინათლეზე გამოდის მიტროპოლიტ ანანიას ეპოქალური შრომა, ოთხობრძეული სახელწოდებით „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“.

მრევლის დიდი ნაწილი ძნელად იგებდა არსე სიტყვის „სამოციქულო“ და მას ლიტერატურის ეწ. „სამოციქულოს საკითხავთან“ აკაგშირებდა.

ისტორიოგრაფთა მნიშვნელოვანი ნაწილი კი კატეგორიული წინააღმდეგი ყოფილა მცხოვრის ეკლესიის მაცხოვრის მოციქულთაგან დაფუძნების აღიარებისა, იქსოს მოწაფეთა ჩვენს ქვეყანასა და ერში მყოფობა-მოღვაწეობისა.

ჩვენ, საერო და რიგით ხალხს რთულად, მაგრამ მაინც რამდენადმე წარმოგვიდებინა საექლესიო იერარქის და ამასთანავე ისტორიკოსის სევდა და მღელვარება, იმ შეცდომაზე, ან ვინძლო სიყაბეზე, რომ თითქოსდა საქართველოსა და ქართველ ერს არავინ და არაუერი აკაგშირებდა ქრისტიანობასთან მირიან მეფის გვოქამდე, რომ ქვეყნისა და დედაეკლესიის ისტორიიდან ამოღვაძული იყო მაცხოვრის მოწაფეთა აქ მყოფობა-განმანათლებლობა. მრავალი დაფარული, ახალი ან მანამდე ავტორიტეტულად მიუწინეველი წყარო და ლიტერატურა მოიძია მეუფე ანანიამ ყოველივე ამის დასადასტურებლად. მიუხედავად რიგი წინააღმდეგობებისა და ისტორიოგრაფულ მეთოდოლოგიაში არსებული ზღუდეებისა ეს საკითხი ჯერ გახმოვანებული, შემდგომ ცნობილი და სამსჯელო, მაღლევე კი საყოველთაო და ეროვნული გახდა. მიტროპოლიტ ანანიას ძალისხმევით, კურთხევით, შტაგონებით აჭარაში, გონიოს ციხეში შეიქმნა წმ. მატათა მოციქულის სიმბოლური საფლავი, რომელიც მაღლევე სამლოცველოდ, დღეს კი უკვე ეკლესიად და წმინდა ადგილად იქცა.

„საქართველოსა და ქართველ ერში უქადაგიათ მოციქულთა სიმრავლეს“ – ასე იწყება ათეულობით წიგნის, ბროშურისა და სტატიის შესავალი და რეზიუმე რომელნიც მეუფე ანანიას დაუწერია და გამოუქვეყნებია. მისი შედგენილი ათეული რუკა ნათლად ასახავს პირველი საუკუნეების საქართველოს საზღვრებსა და მოციქულთა, ასევე მოციქულთა-სწორი წმ. ნინოს გზებსა და ღვაწლს. მანვე მრევლსა, სტუდენტობასა და მეცნიერ-თანამშრომლებში ფორმულად-საზეპიროდ აქცია ამონარიდი მატიანედან, რომ „წმინდა მოციქულმა ანდრიამ იქადაგა ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა“, ასევე რომ „წმ. ნინომ განანათლა ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა“. ეს ფრაზა ნათლად განმარტავს ქართველი ერის და ქართული სახელმწიფოს ერთობანობას პირველ საუკუნეებში. ჩვენი უწმინდესი პატრიარქი და მიტროპოლიტი ანანია იყვნენ ამ დიდი საქმის მესვეურნი, რომ ჩვენს ერს არ დაეკარგა ის ფასეულობა, რასაც მოციქულთა ჩვენში მყოფობა-მოღვაწეობა პეტრი, რომ ქართველ ერს არ დაეკარგა ცოდნა, რასაც ქართველი ერის საზეპურობა და ქართული ქვეყნის ღვთისმშობლისადმი წილებით მოღვაწეობა პეტრი. დღეს უკვე წარმოუდგენელია დედაეკლესიისა და სრულიად საქართველოს ისტორიის გადმოცემა ამ ჭეშმარიტად საამაყო ცნობათა გარეშე.

ალბათ მხოლოდ თვით მიტროპოლიტი ანანია შეაფასებს, თუ სად მეტი ფრონტი, წინააღმდეგობა და საგალალო გარემო იყო მისი ბერად აღმვეცისა და ეპისკოპოსად აღსაყდრებისას, დედაეკლესიის არსებულ ისტორიოგრაფიაში... თუ დედაეკლესის სამრევლოსა და სასულიერო პირთა რაოდენობრივ დეფიციტში... თუ უკარგანჯრო, უკანკელო და საყოფაცხოვებოდ გადაკეთებულ ტაძართა სიმრავლეში, მეტადრე რეგიონებში და სოფლად.

1960–70-იან წლებში გამოსულ საეკლესიო კალენდრებში (ანუ დოკუმენტებში) ჩვენ ვხედავთ რომ დედაეკლესიის 18–20–22 ეპარქიიდან თავისუფალი იყო უმეტესი, რომ რიგი მეუფები ერთდროულად რამდენიმე ეპარქიის მმართველნი იყვნენ, რომ არამცოუ რაიონები, არამედ რეგიონები იყვნენ მდგდლის გარეშე. ასე მაგალითად გადმოცემით ვიცით, რომ



მთელს (დღევანდელ) შიდა ქართლში და ცხინვალის ოფიციალური 1970 წელს არ იყო არც-ერთი მოქმედი ეპლესია.

მსგავსივე გაღმოცემა დედაეკლესიის ერთერთი უძველესი კათედრიდან, მანგლისის სიონიდან და ეპარქიიდან, რომ პირველივე წირვაზე მდგომი მეუფე ანანიას მრევლი ყოფილა ოდენ 3 ხანდაზმული და ამასთანავე არაქართველი ეროვნების ადამიანი. სუსტ და ალბათ უმრავლეს ადამიანთა ბუნებაშია ასეთ მდგომარეობაში ხელი ჩაიქნიოს, შემართება დაკარგოს, კაეშანს მიეცეს.

მიტროპოლიტმა ანანიამ ჯერ ბორჯომ-ახალციხის ეპარქიაში (იმ პერიოდში ასეთად წოდებული) და შემდგომ მანგლისის-წალენის ეპარქიაში (იმ პერიოდში ასეთად წოდებული) სხვა კონფესიების მიტაცებული ძირძველი ათეული ქართული ეპლესია აკურთხა და მოქმედად აქცია. აღადგინა, განაახლა და ააშენა ათეულობით ეპლესია სადაც დღეს ყოველ-კვირული წირვები დგება. დააფუძნა სამრევლო და სახელობო სკოლები. ფაქტობრივად ამ მთისა და მეცნიერების რაიონში სოფელი და საზოგადოება აღარ დარჩა, რომ არ პქონდეს სიახლობები და უშუალო შემხებლობა სოფლის მდგდელთან. რომელნიც თავის მხრივ გამომდინარე მეუფესთან სიახლოვე-მოსწავლეობიდან, ხშირი თანამწირველობიდან გამორჩეულნი არიან განათლებულობით, ეროვნულობით, სიდინჯით.

დღეს უკვე ერთი ბედნიერებაა და ეროვნული სიხარულია ასეულობით მოზარდისა და ახალგაზრდის ნახვა მანგლისის სიონსა და თეორიულაროს რაიონის ეპლესიებში ხილვა კვირის წირვებსა და დღესასწაულებზე.

მადლიერი მოსწავლის, სტუდენტის, აღსაზრდელისა და აღზრდილის სიმრავლე ცალსახად მეტყველებს პედაგოგის, ლექტორის, პროფესორის დგაწლზე და მიდგომებზე. მიტროპოლიტ ანანიას მიუხედავად სესხებულ რეგიონებში სასულიერო მოღვაწეობისა, თბისიდან სიშორეებისა და წლების წინ იქ არსებული უგზოობისა არასოდეს მიუტოვებია აკადემიური და პედაგოგიური საქმიანობა. შესაძლოა აქ, ამ სფეროში, ანუ აკადემია-სემინარისა და უნივერსიტეტის კათედრა-აუდიტორიებში უფრო დიდი დგაწლიც აქვს მეუფეს, ვიდრე სასულიერო და ისტორიოგრაფიულ სფეროებში. მიუხედავად ასეულობით მადლიერი ნამოწაფარის სიტყვა-მოგონებისა გავიხსენებდი ერთი ახალგაზრდა სასულიერო პირის, გორის სადგურის უბნის ეპლესის მოძრვის, უკვე სახელოვანი სამარევლო სკოლის დამფუძნებლის დეკანოზ ბასილის მოგონება-შეფასებას, რომ მეუფე იყო სათხო-თბილი, ყურადღებიანი ლექტორი და მისი კველაზე ძირფასი-საამაყო-საყვარელი მასწავლებელთაგანი. აი, სწორედ ესაა ერთერთი ბალაგერი და მიზეზი იმისა თუ რატომ და საიდანაა დედაეკლესიაში ასეთი სიმრავლე პატიოსანი და დვაწლიანი სასულიერო პირებისა. აი ასეთი სასულიერო სემინარია-აკადემია აღადგინა-შექმნა მისმა რექტორმა, ჩვენმა უწმინდესმა, შემდგომ კი სრულიად პროფესორ მასწავლებლებმა, რომელთა შორის დღესაც არის პროფესორი, მიტროპოლიტი ანანია, გამორჩეული და დღეს უპირატესი მეუფე ქიროტნიით დედაეკლესიისა.

ცალკე და აღსანიშნავი თემაა მიტროპოლიტ ანანიას ბიბლიოგრაფია. გვქონდა ინტერესი და ბიბლიოთეკის თაროებზე, სხვადასხვა საიტებზე და გამოცემებში მოვიძიეთ მისი წიგნები.

და თუ ვრცელ და სქელტანიან შრომებს (მაგალითად „საეკლესიო ქანონების კრებული“ ან „საეპისკოპოსოები ლაზიკაში“) და თხელ 40–50 გვერდიან წიგნ-ბროშურებს (მაგალითად „ქართლის ცხოვრების არმენოფილური რედაქცია“ ან „დიპტიხი და დიას-პორა“) თითოდ-ერთად ჩავთვლით-დავითვლით, მაშინ მისი ბიბლიოგრაფია უკვე 79 წიგნი-გამოცემისაგან შედგება. ერთხელაც მეუფემ შევეხეთ რა ამ თემას გაგვანდო თითქოსდა მარტივი ფორმულა ასეთი შედეგის მიღწევისა, ამდენი წიგნის დაწერისა. მისი სიტყვით საჭიროა დღეში სტაბილურად 5 და/ან მეტი თაბახის დაწერა და შეკრება. ხოლო იმ გრანდიოზულ ცოდნაზე და დგომიურ ნიჭზე, რომელიც საჭიროა ყოველდღიური და აკადემიური ამდენი წერისათვის, უკვე ჩვენ ვიმსჯელოთ.



ჩვენ, მის მოსწავლეებს, მის მრევლს გვაქვს რა საშუალება და ბედნიერება მასთან შეხვდობისა გვსურს მეუფემ სრული საუკუნე და გაცილებით მეტი შეასრულოს სასულიერო, სამეცნიერო და პედაგოგიურ აქტიურ საქმიანობაში.

ჩვენი, მისი მოსწავლეების აზრით იგი ჩვენი ეპოქის არსენ ბერი და ლეონტი მროველია როგორც ქვეყნისა და დედაეკლესიის ისტორიოგრაფი. და იქნებ ამ რეალობიდან და ობიექტურობიდან გამომდინარე ჩვენ კი, მის სტუდენტებს-დოქტორანტებს, აღსაზრდელებს და თანაშემწეებს შანსიც გვაქვს მასთან ერთად შევიდეთ ისტორიაში.

გვიხარია და გვეამაყება მიტროპოლიტ ანანიას თანამებრძოლება, ერთგულება უწმინდესისადმი. ასევე თვით პატრიარქის სიტყვა სტუ-ში თეოლოგიის კათედრის დაფუძნებისას, რომ უნივერსიტეტში მოდიოდა დედაეკლესიის ერთერთი ყველაზე განათლებული წევრი და გამორჩეული მეუფე. უდავოდ ამ კატედრისა და მიტროპოლიტ ანანიას დამსახურებაა, რომ სტუ-ის კორპუსებში ამდენი სამლოცველოა, რომ ესოდენ დიდი დასწრება-ინტერესია სტუდენტთაგან თეოლოგიის ლექციათა კურსზე, რომ ესოდენ ხშირია სამეცნიერო კონფერენციები და სასწავლო სემინარები, რომ შედარებით და აღსანიშნავად სულიერი-ეროვნული გარემოა ჩვენს უნივერსიტეტში.

ვითარცა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა უანგარო და უშუალო გული და სიყვარული პირველი და უპირველესი მასწავლებლისადმი, ისე ველოცავთ მიტროპოლიტ ანანიას 75 წლის იუბილეს. ჩვენს სურვილებზე მისადმი უკეთ დავწერეთ. და იმასდა დაგწერთ, რომ მადლიერნი ვართ ლვთისა მისი მოსწავლეობა რომ გვერგო.

მეუფეს მადლიერი სტუდენტების და დოქტორანტების  
ჯგუფის სახელით  
ნუგზარ განიშვილი



## მიზანობრივი ანალიზი კავშირის

### აღმანეთი

აღმანეთის საკათალიკოსო და საქართველოს ეპლენის  
იურისდიქცია პახეთსა და პერეტში

(გაგრძელება)

#### პერეტის მოხსენიება ქართულ წყაროებში

ქართული წყაროები (რომელთაგან ამონარიდები ქვემოთაა მოცემული), როგორც წესი, პერეტისა და რანს მუდამ ერთად იხსენიებს თითქმის მე-10 და მე-11 სის დასაწყისამდე, საქართველოს მეფე გიორგი პირველამდე, ხოლო ამის შემდეგ წყაროებში მუდამ ერთად იხსენიება კახეთი და პერეტი.

წყაროებში რანისა და პერეტის მუდამ ერთად მოხსენიება მიუთითებს იმაზე, რომ პერეტი თავდაპირველად ერქვა რანის უშუალო მეზობლად მდებარე შაქის ოლქს, ხოლო მას შემდეგ, რაც მე-9 ს-დან, არაბთა ხელშეწყობით, პერეტმა (ანუ პერეტის მონოფიზიტმა მმართველობამ) დაიპყრო სამხრეთ კახეთი, პერეტი უკვე კახეთის ნაწილს დაერქვა.

ანუ, კიდევ ერთხელ რომ ვთქვათ, რანი და პერეტი ერთად იხსენიებოდა უფრო ძველად, ხოლო დაახლოებით მე-10 საუკუნიდან უკვე ერთად იხსენიება.

წყაროებში კახეთისა და პერეტის ერთად მოხსენიება უფრო მოგვიანებით (მხოლოდ მე-10 საუკუნის შემდეგ), კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსაზრებას, რომ IX-X საუკუნეებისათვის რანის მეზობლად, მტკვრის მარცხენა სანაპროზე მდებარე შაქის ოლქმა, ანუ პერეტმა, არაბთა მხარდაჭერით, შეძლო სამხრეთ კახეთის მიწების მიტაცება და ამის გამო სამხრეთ კახეთს პერეტი ეწოდა და ისინი მუდამ ერთად იხსენიება. თავის მხრივ, რანი ერქვა მტკვრის მარჯვენა მხარეს მდებარე ბარდავისა და განძისმომცველ ოლქებს.

#### ლეონტი მროველი

#### პეროსის წილი ქუებანა

ხოლო ბარდოსს მისცა მტკუარს სამკრიო, ბერდუჯის მდინარითგან ვიდრე სადა შეკრძებიან მტკუარი და რაჭის. ამან ბარდოს აღაშენა ქალაქი ბარდავი და დაეშენა მუნ. ხოლო მოვაკანს მისცა მტკუარსა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ზღუამდე. და ამან აღაშენა ქალაქი მოვაკნეთი, და დაემკდრა მუნ. ხოლო პეროსს მისცა ქუებანა მტკურისა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ტყეტბამდე, რომელსა აწ პერან გულგულა. და ამან პეროს აღაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზანთასა. და უწოდა სახელი თვის პერეტი. და მის გამო პერან პერეტსა პერეტი. და აწ მას ადგილსა პერან ხორანთა. ხოლო ეგროსს მისცა ქუებანა ზღვს ყურისა, და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით მთა მცირე, რომელსა აწ პერან ლიხი; დასავლით ზღუა; [ჩრდილოთ] მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწუოების წუერი კავკასიისა. ხოლო ამან ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვის ეგრისი. აწ მას ადგილსა პერან ბედია. ხოლო კავკასიათა ჩრდილოთ არა იყო ხუედრი თარგამოსისა, არამედ არცა იყო კაცი კავკასიასა ჩრდილოთ; და უმკდრო იყო ქუებანა იგი კავკასიითგან ვიდრე მდინარემდე დიდად, რომელი შეხდის ზღუასა დარუბანდისასა. ამისთვის გამოიყვანა მრავალთა გმირთაგან ორნი გმირნი, ლეკან და კავკასი. და



მისცა ლეგანს ზღვთგან დარუბანდისათ  
ვიდრე მდინარემდე ლომექისა...

ხოლო გაჩიოსს მისცა ორბის ციხე  
და სკპრეთის მდინარითგან ვიდრე თავად-  
მდე აბოცისა. და ამან გაჩიოს ადაშენა  
ქალაქი გაჩიანი, რომელსა მაშინ ერქეა  
სანადირო ქალაქი. ხოლო კუხოსს მისცა  
ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქვან რუს-  
თავი, მისცა არაგვითგან ვიდრე ჰქერეთა-  
მდე, [.....შესარ]თავადმდე, მთასა კახეთი-  
სასა და მტკუარსა შუა. ხოლო კახოსს  
მისცა კავკასიასა და კახეთის მთასა შო-  
რის, არაგვთგან ვიდრე ტყებადმდე, რო-  
მელი არს საზღვარი ჰქერეთისა. და ამან  
კახოს ადაშენა ჩელეთი; კუხოს შეეწია  
შენებასა ჩელეთისასა. რამეთუ დედა-ციხე  
კახოსის ხუფრი იყო. და მისცა კახოს  
შეწევნისათვეს და შეეწია შენებასა ჩელე-  
თისასა, რომელსა ბერ ერქეა პირველ  
შენებულსა კახეთისასა.

### რანი და ჰქერეთი

...რომელ პოვეს სპარსი, ყოველი  
მოსწყვდეს ოქსთა და ქართველთა, და  
განთავისუფლდეს ქართველი, ხოლო  
რანი და ჰქერეთი დარჩა სპარსთა.

ხოლო ამას ადერკის ესხნ ეს ორნი  
ძენი, რომელთა ერქეა სახელად ერთსა  
ბარტომ და მეორესა ქართამ. და ამათ  
განუყო ყოველი ქუეყანა თვესი: მისცა ქა-  
ლაქი მცხეთა და ქუეყანა მტკუარსა შიდა  
ქართლი, მუხნარით კერძი ქალაქი და  
ყოველი ქართლი მტკუარსა ჩრდილოეთი,  
ჰქერეთითგან ვიდრე თავადმდე ქართლისა  
და ეგრისისა – ესე ყოველი მისცა ბარ-  
ტომს ძესა თვესა, ხოლო არმაზით კერძი  
ქალაქი, მტკუარსა სამხრით ქართლი,  
ხუნანითგან ვიდრე თავადმდე მტკუარისა,  
და კლარჯეთი ყოველი მისცა ქართამს  
ძესა თვესა. და მოკუდა ადერკი.

აწ ვაკსენოთ ცხოვრება მირიანისი,  
ძისა ქასრე არდაშირისი სასანიანისა ვი-  
თარცა შეიწყნარა მეფემან ქასრე ვედრება  
ქართველთა, და შეპროთ ძესა მისსა  
მირიანს ასული ქართველთა მეფისა და  
მისცა ქართველთა მეფედ ძე მისი და და-  
სუა მცხეთას. და მისცა ქართლი, სომხი-

თი, რანი, მოვაკანი და ჰქერეთი. და იყო  
მირიან მაშინ წლისა შვდისა. და თანა  
ჰყვა ქასრე მეფესა დედა მირიანისი და  
არა დაუტევა იგი მი რიანის თანა, რა-  
მეთუ უცუარდა დედა იგი მირიანისი  
ვითარცა თავი თვისი, არამედ დაუტევა მა-  
მამუმედ და განმგებელად წარჩინებული  
ერთი, რომელსა ერქეა სახელად მირ-  
ვანოზ. და დაუტევა ორმოცი ათასი მკე-  
დარი სპარსი რჩეული, და არა დასხნა  
ქართლისა საზღვართა სპარსნი იგი ფი-  
ცისა მისთვეს, რომელ ფიცებულ იყო  
ქართველთად, არამედ დასხნა ჰქერეთს და  
მოვაკანს და სომხითს. ხოლო უბრძანა  
მირვანოზს, რათა სპარსთა მათგანი რჩეუ-  
ლი შვდი ათასი მკედარი ყოვლადვე ქა-  
ლაქსა შინა იპყრას მცველად ძისა მი-  
სისა. და ესრეთ დამზადა ქართველთა, რა-  
თა კარნი და ციხენი და ქალაქი ყოველ-  
ნი იპყრნეს ლაშქრითა სპარსითა: და  
სხუა სიმრავლე სპარსთა არა იყოს ქუეყა-  
ნასა შინა ქართლისასა თანააღრეულად;  
„და იყოს შვილი ჩემი ორსა-ვე სჯულსა  
ზედა: მამათა ჩუქნოა ცეცხლისმსახურე-  
ბასა და თქუენოა კერპთასა“, რამეთუ  
პირველვე ამას ზედა მოეცა ფიცი.

და დაიპყრეს ბერძენთა თუხარისი  
და ყოველი კლარჯეთი ზღვთგან არსიან-  
თამდე. და დარჩა გარაზ-ბაქარს ქართლი  
თვინერ კლარჯეთისა, და ჰქერეთი და  
ეგრისი. მანვე ერისთავმან სპარსთამან  
წარიყვანა ტყებად შვილნი ფეროზისნი,  
ასულის წულნი მირიანისნი, მორწმუნისა  
მეფისანი, და ქუეყანა მათი საზღვარი ქარ-  
თლისა მოსცა გარაზბაქარსვე. და მოკუდა  
გარაზ-ბაქარ, და დარჩეს ძენი მისნი სამნი  
წურილნი, რომელნი ვერ იპყრობდეს  
მეფობასა.

ბერძენთა მეფესა წარმოეცა მირის-  
თვს. და ყვეს ადოჭმა და ფიცი საშინელი,  
ვითარმედ არა იყოს მტკუარი შორის  
მათსა, არამედ ერჩდეს ლეონ არჩილს ყო-  
ველთა დედეთა მისთა. წარმოვიდა არჩილ  
და დაემპლირა ეგრესს ვიდრე შორაპნა-  
დმდე და განაგნა ყო ველნი ციხენი და  
ქალაქი, და აღაშენა ციხე საზღუარსა  
ზედა გურიისა და საბერძნეთისასა. და



წარვდა ამათ შინა წელიწადი თორმეტი, და იწყო შენებად ქართლმან. ხოლო გან-რყენილ იყო საყოფელად მცხეთა. არ-დამოვიდა არჩილ ეგრისით, და დაჯდა ნაციხარსა კიდრისასა. მაშინ მოვიდა მისა მთავარი ერთი, რომელი იყო ნათესავი-საგან დავით წინასწარმეტყუელისა, სახე-ლით ადარნასე, მმისწული ადარნასე ბრძისა, რომლისა მამა მისი მზახებულ იყო ბაგრატონიანთადვე, და ბერძენთა მიერ დადგინებულ იყო ერისთავად არეთა სომხითისათა, და ტყვეობასა მას ყრუ-სასა შთასრულ იყო იგი შვილთა თანა გუარამ კურაპალატისთა კლარჯეთს, და მუნ დარწმილ იყო. ითხოვა არჩილისგან და ოქა: „უკეთუ ინებო და მყო მე ვი-თარცა მკვდრი შენი, მომეც ქუეყანა“. და მისცა შულავერი და არტანი. ამისა შემ-დგომად მოვიდა არჩილ კახეთად, და ყო-ველთა ტაძრეულთა მისთა მიუბობა კახეთი, და აზნაურ ყვნა იგინი, აღაშენა ეკლესია სამორს, შეირთო ცოლი ასული გუარამ კურაპალატისა, რომელი იყო შვილთაგან ვახტანგ მეფისათა, ბერძნის ცოლისა ნაშობთა და დაჯდა წუქეთს, და აღაშენა კასრი, და ქევსა ლაკუასტისასა აღაშენა ციხე. და პოვნა წუქეთს მთა-გარნი, რომელთადა მიებობა ვახტანგ მე-ფესა წუქეთი, და იყო მაშინ რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნთა ზედა და ყოველთა წარმართოა მის მთისათა, სახელით აბუხუასრო, და არა ინება მის-გან წაღებად წუქეთი. და აღაშენა ციხე-ქალაქი ერთი ნუხეატს ორთა წყალთა შუა. ხოლო ნუხეატელი უწინარეს იყვნეს კაცნი წარმართნი და მჯეცის-ბუნებისანი, არამედ ყრუსა მოესრა სიმრავლე მათი. და იძულებით მონათლნა არჩილ იგინი. განძლიერებულ იყვნეს სარკინოზნი ქუე-ყანასა რანისასა; დაეპურათ გაზირი და სომხითი, და პპრძოდა მასლამა ბერძენთა. ხოლო მმისწული ადარნასე ბრძისანი, რომელთა დასწუნეს მამის მმასა თუალნი, წარმოვიდეს ტარონით შავისად, სამნი მმანი, და დაემკვდრნეს მუნ, ბრძანებითა არჩილისითა, რამეთუ ყოველი პირი კავ-კასიისა, რანით კერძი, უმკვდრო ქმნილ იყო. ხოლო ჰერეთი და კახეთი ჭალაკთა

და ტყეთაგან უკეთუ დარჩომილ იყო, და დაემკვდრნეს სამნივე იგი მმანი გიღრე გულგულამდის. მასვე ჟამსა პატიახშნი ვინმე არა შეეშუნეს კლარჯეთს, სხუად წარვიდეს ნახევარნი მათგანნი, და შეიპყრეს კლდე ერთი ტაოს, რომელსა ერქეა კალმანი, და აღაშენეს ციხედ. ხოლო ნახევარნი მოვიდეს კახეთად არჩილის თანა. ერთსა მათგანსა მისცა ცო-ლად ნათესავისაგან აბუხუასროსა, რამე-თუ დაქურივებულ იყო იგი და არა ესუა ქმარი, და მიუბობა წუქეთი ციხით და კასრითურთ. უამთა მათ დაეცადნეს სარ-კინოზნი შემოსლვად ქართლად ყრუსა წარსლვითგან წელიწადსა ორმოცდამე-თესა. აქა უამამდე არღარა შემოვიდოდეს, არამედ მიიღებდეს ხარქსა ერისთავთაგან. და ესხნეს არჩილს ძენი ორნი: ჯუანშერ და იოვანქ, და ასეულნი ოთხნი: გუარან-დუხებ, მარიამ, მირანდუხებ და შუშან. ესე არჩილის წამება, და მეფეთა ცხოვრება, და ნინოს მიერ ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან აღწერა.

და ვითარ გარდაკდეს ამას შინა წე-ლიწადნი მრავალნი, მოვიდა ამირა აგა-რიანი, რომელი მთავრობდა სომხითს, ქართლს და ჰერეთს, სახელით ხუასრო; ამან აღაშენა ტფილისი ქალაქი, მოოქრებული ხაზართაგან.

### მატიანე ქართლისა, გვ.251

ბერძენთა მეფემან მოუბობა კურა-პალატობა აშოგს, და მოუძლურებულ იყვნეს სარკინოზნი, და განდიდნა აშოგ კურაპალატი. ხოლო ტფილისს არავინ დარჩა სარკინოზთაგანი თვინიერ ალი შუაბის ძისა. და გრიგოლი მთავრობდა კახეთის.

მას ჟამსა გამოილაშერა აშოგ კუ-რაპალატმან, და უშუელა თევდოსი აფ-ხაზთა მეფემან, ძემან მეორისა ლეონისმან, რომელი-იგი სიძე იყო აშოგ კურაპალა-ტისა. მოვიდა გრიგოლ კახეთით, და გრიგოლს უშუელეს მთიულთა და წა-ნართა და ამირამან ტფილელმან. და შეიბნეს ქსანსა ზედა აშოგ და გრიგოლ. გაბქციეს გრიგოლ, მთავარი კახეთისა, და დაიპყრეს ქუეყანა, რომელი ჰქონდა



ქართლისაგან. და დაიპყრა აშობ კლარჯეთითაც ვიდრე ქსნამდე.

შემდგომად ამისსა მოვიდა ხალილიზიდის ძე არაბიელი, და დაიპყრა სომხითი, ქართლი და ჰერეთი. და მოკლეს აშობ კურაპალატი გარდაბანს, ეკლესიასა შინა, და სისხლი მისი, რომელი მაშინ დაითხია, აწცა იხილვების ვითარცა ახალი.

გარდაკდეს წელნი რაოდენნიმე და მოეშენა ქუეყანა, მაშინ უკმო პკრიკე ქორეპისკოპოსმან კოსტანტი აფხაზთა მეფესა; ჩავიდეს ჰერეთად და მოადგეს ციხესა ვეჟინისასა. აფხაზთა მეფე მოადგა ზედათ-კერძო, და პკრიკე ქუემოთ. და ვითარ მისწურეს წალებად, მაშინ ადარნასე პატრიკი მოვიდა, პარასკევის ჯუარსა მიუპყრა ზავისპირი, მოსცა აფხაზთა მეფესა არიში, გავაზნი, და პკრიკეს ორჭობი. ვითარ დაიზავნეს, და შემოიქცეს. მოვიდა კოსტანტი, აფხაზთა მეფე, ილოცა ალავერდს წმიდის გიორგის წინაშე, და შემოსა ხატი მისი ოქროთა.

### გახეთი და ჰერეთი ბაგრატ III

და მივიდეს მის წინაშე ბაგრატ, აფხაზთა მეფე, და მამა მისი გურგენ, და მოსცა მათ ბასილი მეფემან პატივად გურგენს მაგისტროსობა და ბაგრატს კურაპალატობა, რათამცა ვითა მტერ ყვნა ერთმანერთისა მიმართ მამა-ძენი ესე, და ამით დონითა იმმაცუა. ხოლო გურგენ ჭეშმარიტი და წრფელი იყო, და ვერა აღძრა გული მისი ზაკოთა ამით მიზეზითა და ვერა უძლო დონისძიებითა.

და შემდგომად ამისა რაოდენთამე წელთა გარდაიცვალა ესე ურგენ მეფეთ-მეფე, მამა ამის ბაგრატ მეფისა და ძე ბაგრატ მეფე რეგუნისა, ქორონიკონსა სკე.

... გარდამოვიდა ქართლს, წარგზავნა მოციქული კახეთს, ითხოვნა ციხენი ქართლისანი, რომელი მათ პქონდეს. მას უამსა იყო ქორეპისკოპოსი დავით...

წარემართა ზემოთა ლაშქრითა, გაიარა თრიალეთი, გავლო წილი მცხე-

თისა. და მოერთნეს თანა აფხაზნი და ქართველნი. დადგა თიანეთს, დაიწყო შემუსრვად კახეთისა. ადილო ქუეყანა ჰერეთისა, და განახინა მთავრად აბულალ და წარმოვიდა შინა...კუალად მიიქცეს კაცნი ჰერეთისანი და ამიერთნეს დავითს; აღილო დაგით ჰერეთი. შემდგომად მცირედისა ქამისა მიიცვალა. კუალად გამოვიდა ყოვლითა სპითა თვისითა ბაგრატ, აღილო მეორედ ჰერეთი. დაიჭირა დინარ დედოფალი თვისად, იწყო ძებნად კახეთისა, და ძალითა მისითა მიუწყდომელითა ორ წელ წარიხუნა ყოველნი ციხენი კახეთისანი. შეაწყუდია პკრიკე ბოჭორმას, და დაუყენა ციხესა გარეშემო მცველნი წელიწდამდი, წარილო ბოჭორმაცა. და დაიპყრა სრულიად ჰერეთი და კახეთი, წარმოიყვანა პკრიკე და დაიჭირა თვისსა კარსა ზედა.

შემდგომად ამისა წმიდამან მეუფემან კათალიკოს-პატრიკიმან მელქისედევ მოიგო ქართლს: მონასტერი პალაგრა თოხითა სოფლითა; და ცუქითი შესავლითა მისითა; ყინცვისი შესავლითა მისითა; და შინდების ნახევარი; კურბითს სააზნაურო კარგი სოფელი ერთი; ჩოჩეთს უბანი ერთი, მიწა და ვენაზი სასეფეო; ზეგანთა სოფელი ერთი შიდარი; და კახეთს ახატანს უბანი ერთი და ნოსორნა სოფელი ერთი; და ჰერეთს მონასტერი დიდითა ძალითა (და) ლაგოდევი და ჰერეთსვე კატენისა ეკლესია შესავლითა მისითა; და კაკს გაჭარი ათორმეტი; და ზიარი სოფელი დიდი. ესე ყოველი სოფლები, რომელი მას მოიგო.

შემდგომად ამისა, ვითარ გარდაკდეს წელნი რაოდენნიმე და მოეშენა ქუეყანა, მაშინ უკმო პკრიკე ქორეპისკოპოსმან კოსტანტი აფხაზთა მეფესა; (ჩავიდეს ჰერეთად და მოადგეს ციხესა ვეჟინისასა. აფხაზთა მეფე მოადგა ზედათ-კერძო, და პკრიკე ქუემოთ. და ვითარ მისწურეს წალებად, მაშინ ადარნასე პატრიკი მოვიდა, პარასკევის ჯუარსა მიუპყრა ზავის პირი, მოსცა აფხაზთა მეფესა არიში, გავაზნი, და პკრიკეს ორჭობი. ვითარ დაიზავნეს, და შემოიქცეს. მოვიდა კოსტანტი, აფხაზ-



თა მეფე, ილოცა ალავერდის წმიდის გიორგის წინაშე, და შემოსა ხატი მისი ოქროთა. ხოლო ლაშქარი მისი უმრავლესი წარავლინა გზასა გარესა და ფრიად პატივ-სცა პრიკე ქორებისკოპსმან, და წარგიდა ქუეყანად თვისად. შემდგომად მცირედობა დღეთა გარდაიცვალა კოსტანტი, აფხაზთა მეფე, და იშლებოდა ქუეყანა აფხაზეთისა უამ რაოდენმე. ღამეთუ ესხნეს ძენი ორნი კოსტანტი მეფესა:

ამისსა შემდგომად ბაგრატ მეფემან მოვლო ყოველი სამეფო თვისი, აფხაზეთი, ჰერეთი და კახეთი, მოვიდა და დაიზამთრა პევთა ტაოსათა, და მო-რა-იწია ზაფხული, მოვიდა მასვე ციხესა ფანას-კერტისასა, წელსა მესამესა. და მუნ შინა გარდაიცვალა ესე ბაგრატ მეფე. მეფობდა ოცდაოქუსმეტ წელ და გარდაიცვალა შემკილი მცირით შეუნიერითა, ქონიკონისა ორას ოცდაოთხმეტსა, თუმა მაისსა შვდსა, დღესა პარასკევსა. და იყო 20 დღეთა მიცვალებისა მისისათა ტაოს და წარმოილო გუამი მისი ზვად ერის-თავთ-ერისთავმან, და დამარხა ბედიას. შემდგომად მისსა მეფე იქმნა ძე მისი გიორგი. და იყო იგიცა სავსე ყოვლითა სიკეთითა. 1-15 სტრ., 284.

### გიორგი I

ხოლო ესე გიორგი ეუფლა ყოველსა მამულსა და სამეფოსა თვისსა უამსა ოდენ სიყრმისა და სიჭაბუკისა მისისასა, რამეთუ იყო, რაჯამს მეფე იქმნა, წლისა თორმეტისა. მას უამსა გან[უ]დგა ამას ქუეყანა ჰერეთ-კახეთისა, და დადრობითა აზნაურთათა შეპყრობილ იქმნეს ერისთავნი, მათ ქუეყანით კუალადვე ეუფლენეს მათნი უფალნი, რომელთა პირველ აქუნდა იგი.

ხოლო ვითარ სულმოკლე იქმნეს ქართველნი, მორიდეს და წარმოვიდეს. წარმოუდგეს უკანა ბერძენნი და დაპოცნეს ურიცხუნი პირითა მახვლისათა...და გარდავიდა თრიალეთს. კუალადცა დაეხლენეს ურთიერთას, რამეთუ განძლიერდა გიორგი მეფე და მოირთო ძალი კახეთისა და ჰერეთისა, გარნა დაუშალეს შებმა მეორედ.

რაჯამს წარვიდა გიორგი მეფე თრიალეთს, წარმოუდგა უკანა, ასწმდება ქუეყანა ჯავახეთისა და გარდავიდა თრიალეთს. კუალადცა დაეხლენეს ურთიერთას, რამეთუ განძლიერდა გიორგი მეფე და მოირთო ძალი კახეთისა და ჰერეთისა, გარნა დაუშალეს შებმა მეორედ.

### ლაშა გიორგი

მეფემან აიღო ოროტი და ყოველნი ციხენი და მიმდგომნი მისი ვიდრე ნახსენ ვანამდე და განძას კართამდის, აიღო შანქორი. და შემოვიდეს უცხოთესლი ვინმე ლაშქარნი სომხითს და ჰერეთს, ევნორამე მცირედი მათგანცა. შეძცეულთა მიერწია ბალის წყალთა ზედა და პირველი წყლულება მათგან იქმნა. შემდგომ მოხედვითა დმრთისათა და ლმობიერ-ქცევითა მეფისა გიორგისითა გააქცივნეს და ამოსწყვდნეს გაქცეულნი. მეორესა წელიწადსა კულაცა მომართეს და დადგეს ბარდავის ჭალასა. შეიყარა სამეფო მისი და მოირთნა კარნუ-ქალაქისა ლაშქარნი, დადგა ლომთა-გორსა და აგარათა შეუდა ვიდრე ზედამისლვადმდე გაექცნეს და გარდაისუეწნეს, განვლეს დარუბანდისა გზა.

### ჰერეთის სამეფო საკლ სმბატიანის დროს და კახეთის საქორმეპისპოვო

შაქის ოლქის, ანუ ჰერეთის მფლობელმა საპლ სმბატიანმა 822 წელს თავისი ძალაუფლება გაავრცელა რანზე, ანუ არანზე, ანუ მის ხელში აღმოჩნდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ქვეყანა არანი, თავისი ქალაქებით – ბარდა, ბაილაკანი, განჯა და შამქორი.

არანს მე-9 საუკუნისათვის უწოდებდნენ არაქსისა და მტკვრის შუამდინარეთს, ეწ. მილის ველს.

საპლ სმბატიანი მართავდა ასევე ამჟამინდელ მთიან ყარაბაღს. როგორც ითქვა, მას არაბებმა მეფის ტიტული მიანიჭეს და ფინანსურად დიდი დახმარება გაუწიეს, ამავე დროს, მისი მეზობელი



კახეთი არაბთა დამსჯელი ექსპედიციების მიერ სასტიკად იყო განადგურებული.

კახეთის წინააღმდეგ საჭლ სმბატიანის ბრძოლა ასახული უნდა იყოს აშოგ კურაპალატის ცხოვრებასა და შესაძლოა, სიკვდილ შიც.

აშოგ კურაპალატი, სუმბატ დავითის ძის ქრონიკის თანახმად, აგარიანთა ხელმწიფობის გაძლიერებამდე ფლობდა თბილისსა და რანის მთავარ ქალაქ ბარდაქსაც.

მატიანე ქართლისაის თანახმად, ის (აშოგ კურაპალატი) მოკლეს გარდაბანში, ჩანს, 826 წელს. ამ დროისათვის (822 წლიდან) არანში გაბატონდა საჭლ სმბატიანი, ამიტომაც შეიძლება ამ ორი უფლის ურთიერთბრძოლას ასახავს წაჭროს მიერ გადმოცემული მომენტი, რომ აშოგი მოკლეს გარდაბანში (გარდაბანში).

„მოკლეს აშოგ კურაპალატი გარდაბანს ეკლესიასა შინა“.

ამ ეპოქაში გარდაბანი კახეთის ნაწილად მიიჩნეოდა და ის აქტიურად მონაწილეობდა კახეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

რამდენადაა შესაძლებელი, რომ აშოგ კურაპალატი ბარდის ქვეყნის მფლობელი ყოფილიყო ან პრეტენზია პეტროდა გარდაბანზე, ანუ გარდაბანზე?

საქმე ისაა, რომ აშოგ კურაპალატის მამა ადარნასე ბაგრატიონი (ვასაკის ძე) იყო გარდაბანის ერისთავი, ანუ ხუნანის ოლქის ერისთავი 742–779 წლებში.

ჯუანშერის მიხედვით, ადარნასე იყო შაქის თავდაპირველ მმართველთა ოჯახის შთამომავალი, ცნობილი ადარნასე ბრძის მმისწული, რომელსაც არჩილ მეფე გადასცა შაქი.

(მაშინ მოვიდა მისა მთავარი ერთი, რომელი იყო ნათესავისაგან დავით წინასწარმეტყველისა, სახელით ადარნასე, ძმის-წული ადარნასე ბრძისა, რომლისა მამა მისი მზახებულ იყო ბაგრატონიანთა-ვე, და ბერძენთა მიერ დადგინებულ იყო ერის-თავად არეთა სომხითისათა, და ტყვეობასა მას ყრუისასა შთასრულ იყო იგი შვილთა თანა გუარამ კურაპალატისთა კლარჯეთს, და მუნ

დარჩომილ იყო. ითხოვა არჩილისგან და რქება: „უპეტუ ინებო და მყო მე ვითარცა მკვდრი შენი, მომეც ქუეყანა“. და მისცა შულავერი და არტანი. ჯუანშერი,“ ცხოვრება ვახტანგ გორგაბლისა“.

<http://www.amsi.ge/istoria/qc/gorgasali3.html>

მაშასადამე, აშოგ კურაპალატს თავისი მამის მემკვიდრეობის შესაბამისად კანონიერი უფლება პეტროდა ემართა პერეთი და რანი გარდაბანთან ერთად, ამიტომაც მის ხელში ყოფილა კიდეც ბარდა თბილისთან ერთად.

თუ ასეა, რანისა და პერეთის კანონიერი მმართველი აშოგ კურაპალატი იყო კიდეც და „სახლად მისსა იყო ბარდავი და ტფილისი“, ის იყო ასევე გარდაბანის მფლობელი.

თუ ასე იყო, მაშინ, შესაძლოა, საჭლ სმბატიანი პერეთ-რანის უკანონო მმართველად იყო მიჩნეული.

ალბათ, აღნიშნულ ოლქებში პირველობისათვის ბრძოლებიც გაიმართა და აშოგ კურაპალატი ამის გამო მოკლეს გარდაბანზი.

საჭლ სმბატიანმა გაიმარჯვა და 822 წელს მან რანი დაიპყრო, მალევე, 826 წელს, აშოგ კურაპალატი ან მოკლეს გარდაბანზი, ანდა მან ეს ოლქი დაკარგა.

თუმცა, წყაროს ცნობით, ეს მომხდარა ხალილ იზიდის ძე არაბიელის დროს, – „შემდგომად მისა მოვიდა ხალილ იზიდის ძე არაბიელი და დაიპყრა სომხითი, ქართლი და პერეთი და მოკლეს აშოგ კურაპალატი გარდაბანს ეკლესიასა შინა და სისხლი მისი, რომელი მაშინ დაითხია, აწცა ინილვების ვითარცა ახალი“ (ქ. 1, 1955, გვ. 253).

ბარდის არაბ სარდალს „ჯარირ იბნ იაზიდა ალ-ბახილი“ პერები (ანუ შაქელები) 820 წლისათვის აუჯანყდნენ, შესაძლოა, აშოგ კურაპალატის მეთაურობით, მაგრამ დამარცხდნენ.

შაქელებს ხარები გადახდა დაგეისრათ – 500 ათას დირჰემი.

ამის შემდეგ კახელები აჯანყდნენ. არაბული წყარო წერს –



**„Затем грузины (Написано хазран надо читать: \* джурзан) возмутились против него; он двинулся на них и сражался там с санарийцами“ (История Ширвана и Албаба о царях Ширвана и баб Ал-абваба. [http://www.vostlit.info/Texts/rus13/Sirvan\\_Derbed/text.phtml](http://www.vostlit.info/Texts/rus13/Sirvan_Derbed/text.phtml)).**

**მან კახელები სასტიკი მეთოდებით დასაჯა – Он разбил их и убил многих из них. Затем он взял заложников и распял (повесил) их.**

მაშასადამე, ხალიდ იზიდის ძე (ზოგჯერ ამბობენ ხალიდ იაზიდის ძე) აჯანყებული შაქის წინააღმდეგ იღებდა დონისძიებებს, დაამარცხა შაქელები და მათგან ხარკს იღებდა, მაგრამ შემდეგ ქართველები აჯანყებულან, იგულისხმება კახეთის აჯანყება, ის გაემართა მათ წინააღმდეგ და ებრძოდა წანარებს 820–835 წლებში და დაამარცხა ისინი.

820-იან წლებში კახეთის სამთავროს ქორეპისკოპოსი გრიგოლიც აქტიურობდა, ისე გაძლიერდა, რომ აშოგ კურაპალატს პირველისათვის ებრძოდა ქსანზე. „გააქციეს გრიგოლ, მთავარი კახეთისა“ (ქ.ც.1, გვ.252). აშოგ კურაპალატს გრიგოლთან ბრძოლისას აფხაზთა მეფე თეოდოსი ლეონის ძე შველოდა, ხოლო გრიგოლს – მთიულები და წანარები.

შესაძლოა, საპლ სმბატიანმა ისარგებლა გრიგოლ ქორიკოზის დამარცხებით, ასევე არაბების მიერ კახეთის დასუსტებით, მაგრამ კახეთი დაუმარცხებელი იყო და ხალიდ (ხალიდ) არაბიელს მეორეჯერ დასჭირდა ბრძოლა კახელების, ანუ წანარების წინააღმდეგ 840-იან წლებში, ჩანს, ამ დროს წაართვა სამხრეთ კახეთის მიწები (გიშისწყლიდან გავაზის ხაზამდე) და ის გადასცა მის მეზობელ ჰერეთს, რომლის მეფე საპლ სმბატიანი არაბებს ერთგულობდა მით უმეტეს მაშინ, როცა ის უზომოდ გაძლიერდა არაბთა ხალიფას მიერ, ანუ 837 წლის შემდეგ.

ვითარება მკვეთრად შეიცვალა მას შემდეგ, რაც არცახის, რანისა და შაქის მფლობელმა საპლ სმბატიანმა არაბებს გადასცა მათი უმთავრესი მტერი, აჯანყებული ბაბები, ხალიფამ ის რანის მეფედ

ცხო და ეპონომიკურად მალებე გააძლიერა.

ამის შემდეგ, ანუ 837 წლის შემდეგ, შესაძლოა საპლ სმბატიანმა დაიპყრო სამხრეთ კახეთი გიშისწყლიდან ვიდრე ე.წ. გავაზის ხაზამდე.

სამხრეთ კახეთის მიწები ამ დროს შევიდა შაქის ჰერეთის შემადგენლობაში, ეს იქნებოდა დროებითი მოვლენა, რადგანაც მალევე, 10–15 წლის შემდეგ ბუდა თურქმა 853 წლისათვის შეიპყრო საპლ სმბატიანი, რანთა მეფე, რომელსაც ქართველები ჰერეთის მეფედ თვლიან.

მიიჩნევა, რომ არაბების რისხვის მიზეზი იყო ის, რომ ხალიდ არაბიელის კახეთში მარცხი დაბრალდა საპლ სმბატიანის უმოქმედობას და არაბებმა გავაზთან მარცხი გადააბრალეს მის ნაკლებ მხარდაჭერას.

არაბებს გავაზთან ომისას სრულიად კახეთის დაპყრობა სურდათ, მაგრამ აქ მარცხმა მათი გეგმა ჩაფუშა. ამ დროისათვის, როგორც ითქვა, მათ უკვე დაპყრობილი ჰქონდათ სამხრეთ კახეთი გიშისწყლიდან გავაზამდე.

თანდათანობით კახეთმა, ალბათ, შეძლო შაქის ჰერეთის მმართველობისაგან გათავისუფლება.

მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ შაქის სამეფომ კლავ დაიპყრო სამხრეთ კახეთის მიწები.

სამხრეთ კახეთის შემდეგი დაპყრობა უნდა მომხდარიყო საპლის შვილიშვილის, გრიგოლ ჰამამის დროს.

მცირე დასკვნის სახით შეიძლება გავიმუროთ, რომ ქართული წყაროს ცნობით, ჰერეთი მდებარეობდა „მტკვრის ჩრდილოთ“, იგულისხმება მტკვრის მარცხენა სანაპირო მხარე, ამ ქვეყნას შემდეგ „შაქის ჰერეთიც“ ერქვა. მაშასადამე, ის იყო მტკვრისპირა ქვეყნა და არა ალაზნისა და იორის ხეობების ქვეყნა, მტკვრისპირა ქვეყნაა შაქის ოლქი, რომელსაც ერქვა კიდეც ჰერეთი.

ქრისტეშობამდე გაცილებით ადრიდავე, ქართლის ცხოვრების მიხედვით, ასეთი ყოფილა თავდაპირველი მდგომარეობა, ვიდრე მე-9 სუკუნემდე.



არაბობის დროს ძველი ისტორიული საზღვრები შეიცვალა, განსაკუთრებით კახეთის, რომელიც ქართული და უცხოური წყაროების ცნობებით, თავდადებით იბრძოდა და გმირულად იგერიებდა სახალიფოს შემოსევებს, საბოლოოდ, მე-9 საუკუნეში დაირდვა კახეთ-ჰერეთის ძველი საზღვარი მდ. გიშისწყალზე და მტერმა მას დროებით ჩამოაშორა სამხრეთი მიწა-წყალი გიშისწყლიდან ე.წ. გავაზის ხაზამდე. მაგრამ ეს ტერიტორია მიურთა ისევ ქართველებით დასახლებულ შაქის სამეფოს, ანუ ჰერეთს. მისი მეფე მონოფიზიტი საჭლ სმბატიანი იმჟამად დიდად პატივცემული იყო სახალიფოს მიერ დიდი მოჯანეის, ბაბეკის შეპყრობის გამო.

მე-9 საუკუნეში შეიცვალა რეგიონის პოლიტიკური სურათი და შაქის ჰერეთი გადაიქცა უძლიერეს სახელმწიფოდ, რომელმაც თავისი ძალაუფლება გაავრცელა რანსა და არცახზე (მტკვრის მარჯვენა სანაპირო). ამ დროს მას არაბებმა გადასცეს სამართავად, ანუ მან დაიპყრო სამხრეთ კახეთის ტერიტორია ვიდრე გავაზამდე.

მაშასადამე, კახეთის სამთავრომ კი არ დაიპყრო ჰერეთის მიწა-წყალი, არამედ, პირიქით, შაქის ანუ ჰერეთის გაძლიერებულმა სახლმწიფომ დაიპყრო სამხრეთ კახეთის მიწები ვიდრე გავაზამდე, და ეს დაპყრობები გრძელდებოდა საუკუნის მანძილზე, შესაბამისად, არასწორია ჩვენში არსებული სამეცნიერო შეხედულება, თითქოსდა, კახეთი იპყრობდა ჰერეთის მიწა-წყალს.

შესაბამისად, არასწორია გამოთქმული აზრი – „კახეთის სამთავრო საზღვრების გაფართოებას თავისი მეზობელი ჰერეთის ხარჯზეც ცდილობდა. ბრძოლა ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა“

[https://ka.wikipedia.org/wiki/კახეთის\\_სამთავრო](https://ka.wikipedia.org/wiki/კახეთის_სამთავრო)

ჰერეთის გათავისუფლება  
„მწვალებელთა უღლესაბან“, რანია  
და გახთა სამეცოს წარმოშმანა

ჰერეთში მე-10 საუკუნემდე, წყაროს ცნობით, მწვალებლობა ყოფილა გავრცელებული, იმ მხრივ, რომ მმართველი ზედაფეხი მონოფიზიტობას აღიარებდა, ხოლო მოსახლეობა მართლმადიდებლობისაკენ იყო მიღრეკილი, რაც გამოხნდა წმ. დინარა დედოფლის დროს, მან, თავის შვილთან ერთად, ჰერეთს დაუბრუნა წმიდა სარწმუნოება და აღადგინა მისი კავშირი დედაეკლესიასთან, ანუ მცხეთის საპატრიარქოსთან. ამ პროცესს ვუწოდებთ ჩვენ ჰერეთის გათავისუფლებას.

როგორც ითქვა, თავდაპირველი, ანუ ისტორიული ჰერეთი ერქვა შაქის ოლქს

(ამჟამინდელი ოგუზისა და გაბალას ოლქებთან ერთად) და არა მიწა-წყალს

თელავის ჩათვლით, როგორც ამჟამადაა მიღებული (იხ. მაგ.).

[https://ka.wikipedia.org/wiki/ჰერეთის\\_სამთავრო,\\_23.07.2021](https://ka.wikipedia.org/wiki/ჰერეთის_სამთავრო,_23.07.2021).

როგორც აღინიშნა, ჰერეთს ალბანეთთან აიგივებენ, როგორც ქართველი, ისე უცხოელი მეცნიერები, მაგ.. В армянских и византийских источниках Шекинское царство традиционно представляется как «царство Албания», а в грузинских источниках как «царство Эрети».

[https://ru.wikipedia.org/wiki/Шекинско\\_царство](https://ru.wikipedia.org/wiki/Шекинско_царство).

В арабских источниках царство известно как «царство Шаки», [https://ru.wikipedia.org/wiki/Царство\\_Шаки](https://ru.wikipedia.org/wiki/Царство_Шаки)

როგორც ამჟამინდელი, ჰერეთი ქართველ წყაროებში ჰერეთი ერქვა, სომხები, ბიზანტიელები და არაბები „ალბანეთს“ და ასევე „შაქის სამეფოს“ უწოდებდნენ.

ქართველი მეცნიერების აღიარებული ნაწილი კახეთის დიდ ნაწილს ჰერეთს უწოდებს, უცხოელები კი ჰერეთს ალბანეთთან აიგივებენ, ამიტომაც მათ-თვის კახეთი იგივე ალბანეთია.




ამის გამო კახეთი ისტორიულ ალბანეთად მიიჩნევა უცხოელთა მიერ მთელი მისგან გამომდინარე შედეგებით:

ალბანეთს საკუთარი კათალიკოსი ჰყავდა საკუთარი ალბანური ენით, საკუთარი ალბანურენოვანი წირვა-ლოცვით, ალბანურ ენაზე თარგმნილი ბიბლიითა და, თუკი კახეთის დიდი ნაწილი ალბანეთში შედიოდა, მაშინ ის ალბანურენოვანი ყოფილა ალბანეთის კათალიკოსის იურისდიქციაში, ხოლო ქართული დვორისახურება და ენა აქ შემდგომ დანერგილა!

ასეთია შედეგი დაუინებული მტკიცებისა, რომ სამხრეთ კახეთი, თელავის ჩათვლით, თითქოსდა, თავდაპირველი პერიოდისანათოდ:

ასეთ მტკიცებას აქვს თავისი პოლიტიკური მდგრენელიც, მაგალითად, დავით აღმაშენებლის მიერ კახეთ-ჰერეთის შემოერთება დაინტერესე ბულ უცხოელ მეცნიერთა მიერ მიიჩნევა არა საქართველოს გაერთიანების წმინდა პროცესად, არამედ ქართველთა აგრესიად. ამიტომაც, მაგალითად, დავით აღმაშენებლის მიერ კახეთ-ჰერეთის გაერთიანებას საქართველოსთან უწოდებენ „დავით აღმაშენებლის ექვივივენს“ „Экспансия Давида Строителя“

[https://ru.wikipedia.org/wiki/Шекинское\\_царство](https://ru.wikipedia.org/wiki/Шекинское_царство).



Экспансия Давида Строителя [https://ru.wikipedia.org/wiki/Шекинское\\_царство](https://ru.wikipedia.org/wiki/Шекинское_царство)



მტკიცება, რომ კახეთი თავდაპირველად ალაპანეთის საკათალიკოსოში შედიოდა, სრულად ეწინააღმდეგება ძველ ქართულ საისტორიო თხზულებებს და ასევე სხვა წეროებს, მაგალითად, მე-5 სის ავტორის, მოვსეს ხორენაცის ცნობას, რომ წმიდა ნინომ ქართველთა შორის იქადაგა ვიდრე მასქურებამდე, ანუ მტკიცარ-არაქსის შესართავამდე (აქევ გაედინება მდ. აღსუ), მაშასადამე, ამ წყაროს ცნობით, აღსუმდე (თეთრწლამდე), ანუ მასქურებამდე ქართველები ცხოვრობდნენ, რომელთა შორისაც იქადაგა წმ. ნინომ, შესაბამისად, მოვსეს კალანკატუაცის ცნობის მიხედვით, აქამდე (მასქურებამდე) ვრცელდებოდა წმ. ნინოს მიერ ორგანიზებული საქართველოს ეკლესიის საზღვრები და არა თელავამდე.

ჩვენ ვწერთ, რომ სამხრეთ კახეთი (ანუ ტერიტორია გიშისწყლიდან ვიდრე გავაზამდე და თურდოს ხევამდე) შაქის ჰერეთის შემადგენლობაში შევიდა მხოლოდ მე-9 საუკუნეში არაბთა და საპლ სმბატიანის აგრესიის შედეგად.

ისტორიული კახეთის ტერიტორია გიშისწყლიდან გავაზამდე დაახლოებით 840-იან წლებში დაიპყრო შაქ-არცაბარანის მმართველმა საპლ იბნ სუნბატ ალ არმანმა, არაბების ხელშეწყობით. სამხრეთ კახეთით ამის შემდეგ აღმოჩნდა შაქის მმართველის ხელში.

როგორც აღინიშნა, ისტორიული, თავდაპირველი კახეთის საზღვარი ჰერეთთან, მდ. გიშისწყალზე გადიოდა. ეს ნიშნავს, რომ კახეთი მოიცავდა ტერიტორიას არაგვიდან გიშისწყლამდე, ხოლო თავდაპირველი ჰერეთი მოქცეული იყო გიშისწყლიდან და შაკისიდან ვიდრე მდ. აღსუმდე (თეთრწლამდე).

მართალია, არჩილ მეფის მიერ შეწყალებული შაკისელი ბაგრატიონები იმუამად სომხერი ენისა და კულტურის მატარებლები იყვნენ, მაგრამ ჰერები ქართულენოვანი ხალხი იყო, რომელთა გარდა ალაპანეთში ცხოვრობდნენ სხვადასხვანოვანი ხალხები.

როგორც ითქვა, ქართულენოვანი ხალხი „ჰერები“ ცხოვრობდა გიშისწყლი-

დან მდ. თეთრწლამდე, ანუ აღსუმდე, ხოლო ალაპანეთის სხვა ტომები – კასპიის ზღვის მიმართულებით. ალაპანეთის ძველი დედაქალაქი ჩორი შემდეგ დერბენდად იწოდა. ალაპანური ტომები ლიფინები და ჭილბები ცხოვრობდნენ კასპიის ზღვასთან, კავკასიონის მთის ფერდზე, უფრო სამურის ხეობაში. მე-6 ს-ში სტეპების ტომების შემოტევების გამო ალაპანეთის საკათალიკოსო ცენტრი ქალაქ ჩორიდან გადატანილი იქნა ბარდაგანძის ოლქში, ანუ რანში.

ასე რომ, ალაპანეთში მრავალი სხვადასხვანოვანი ტომი ცხოვრობდა, მათ შორის იყო ქართულენოვანი ტომი ჰერები, მცხოვრები გიშისწყლიდან ან ალიჯან-ჩაიდან ვიდრე აღსუმდე, რომელთა მმართველობა მე-9 ს-ში ხელში ჩაიგდო მოხოვიზიგმა საპლ სუნბატ ალ-არმანმა. მან შეძლო რანის დაპყრობა, მართავდა არცას და ასევე დაიპყრო სამხრეთ კახეთი გიშისწყლიდან ვიდრე გავაზამდე არაბი სარდლის ხალილ ისიდის ძის შემწეობით.

მაშასადამე, თავდაპირველი კახეთის საზღვარი მდ. გიშისწყლიდან თელავის მიმართულებით, გადავიდა მხოლოდ მე-9 საუკუნეში და მხოლოდ მე-9 საუკუნის შემდეგ მოიცვა ჰერეთმა მისი ხელისუფლების მიერ დაპყრობილი სამხრეთ კახეთის მიწები. როგორც ვახუშტი უწოდებს, ესენი იყვნენ „გაღმამხარი, საინგილო, შიგნითკახეთი, კამბეჩანი და შაქი“. ვახუშტი ბატონიშვილს წყაროთა სიმცირის გამო არ გააჩნდა სათანადო ცნობები ჰერეთის თავდაპირველი საზღვრების შესახებ, როგორც ეს გაარკვია ივანე ჯავახიშვილმა, ამიტომაც ვახუშტის თვალსაზრისი ჰერეთის შესახებ ორადა გაყიფილი და მერყევია, მაგალითად, ის ხან ტყებას ასახელებს კახეთ-ჰერეთს საზღვარად, ხან კი ამტკიცებს, რომ კახეთისა და ჰერეთის თავდაპირველი საზღვრი მდ. გიშისწყალზე გადიოდა. თუმცა ის ორივე შემთხვევაში მართალია, რადგანაც ტყება გიშისწყლის სათავესთან მდებარეობდა. შეცდომაა ტყება-გულგუ-



ლას გაიგივება თანამედროვე თელავის ახლოს, სოფელ გულგულასთან.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, პერეთს კახეთისაგან საზღვრავდა მდინარე გიშისწყალი (ქ.ც. ტ. 4. გვ.539).

ამ შემთხვევაში ჩვენ მთლიანად ვეთანხმებით ვახუშტის და მივიჩნევთ, რომ ისტორიულ კახეთსა და პერეთს ერთმანეთისაგან გიშისწყალი, ზოგჯერ კი მახლობელი მდინარე ალიჯანჩაი აშორებდა, რადგანაც, როგორც აღინიშნა, ისტორიულად, უმკელესი ხანიდანვე, კახეთის საზღვარი იყო მდინარე გიშისწყალი, ზოგჯერ კი მის მახლობლად გამავალი მდ. ალიჯანჩაი.

ქვემოთ გამოკველულია, რომ მხოლოდ მე-9 საუკუნიდან შეიცვალა პერეთის ისტორიული საზღვარი და მან გიშისწყლიდან თელავისაკენ გადმოინაცვლა, შემდგომ საუკუნეებში კახეთმა აღიდგინა ძველი საზღვარი ალიჯანჩაისა და გიშისწყალზე.

ამ სასაზღვრო მდინარეების (ალიჯანჩაისა და გიშისწყლის) სათავე კავკასიონის მთებშია, შექის (შაქის) ახლოს, და ორივე ისინი დაბლობზე უერთდებიან მტკვარს უშეალოდ ანდა მდ. ალაზნის მეშვეობით.

ეს მომენტი აღსანიშნავის იმით, რომ ცნობილი რომაელი ავტორი პლინიუს უფროსიც (23–79 წწ.) მსგავსადვე აღინიშნავს, რომ იბერიასა და ალბანეთს ერთმანეთისაგან ყოფდა მდინარე, რომელიც კავკასიის მთებიდან გამოედინებოდა და დაბლობზე უერთდებოდა მტკვარს. შემორედ ისევე, როგორც აღინიშნული მდინარეები – გიშისწყალი და ალიჯანჩაი გამოედინებიან კავკასიის მთებიდან და უერთდებიან მტკვარს.

იბერიასა და ალბანეთს შორის სასაზღვრო მდინარეს პლინიუსი ოკაზანს უწოდებს, მაშასადამე, ოკაზანი ერქვა ან გიშისწყალს ალაზნის მთავარ ტოტთან შერთვის შემდეგ, ანდა ალიჯანჩაის, რომელიც დაბლობში ერთვის მტკვარს.

შესაბამისად, პლინიუსის დროს პერეთი (ანუ შაქის ოლქი) ალბანეთის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა და მას იბერიისაგან ოკაზანი აშორებდა.

ალბანეთი 26 სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ტომით იყო დასახლებული, იგულისხმება თურქულ, სპარსულ და კავკასიურ, მათ შორის, ქართულ და ქართველურ ენებზე მოლაპარაკე ტომები, ამ სურათისა და პერეთიცს შემდგომი ისტორიის გათვალისწინებით საფიქრებელია, რომ პერეთი (ანუ ალბანეთის დასავლეთი) ნაწილი ქართულენოვანი ხალხით იყო დასახლებული, ამიტომაც მას (ანუ შაქის ოლქის) მუდმივი კავშირი ჰქონდა საქართველოსთან და იქ მე-10 საუკუნეში ქართულენოვანი წირვა-ლოცვაც აღდგა სომხურმონფიზიტური ეკლესიისაგან გათავისუფლების შემდეგ.

იქამდე პერეთი (შაქის ოლქი) იმყოფებოდა სომხური სახელმწიფოებრივი ერთეულების – არცახის სამთავროსა და ფარისოსის სამეფოს შემადგენლობაში, ის გათავისუფლდა მე-10 საუკუნის ბოლოსა და მე-11 საუკუნის დასაწყისში და მან კახეთთან ერთად ჩამოაყალიბა რახთა და კახთა სამეფო.

სახელები „რანი“ და „პერეთი“ მიღებულია ქალაქის სახელისაგან – „ხორანთა“, „პორანთა“.

სახელი „რანი“ მიღებულია სახელისაგან „ხორანთა“.

სახელი პერი ასევე ამავე „პორ-ანთა“ სიტყვისაგანაა მიღებული („პორ-ანთა“ ანუ – პერანთა (აღსანიშნავია, რომ სომხურად რანს ასევე პერანი ერქვა, ასევე, ბარდავის არრანს ადგილობრივები პერანს უწოდებდნენ), პერანი იგივე პერეთია.

ასე რომ, როგორც შაქის ოლქი, ისე რანი (არანი) ადგილობრივებისათვის იყო „პერეთი“ ან „პერანი“.

„პერ“ მიაჩნდათ ამ სიტყვის ფუძედ, ხოლო სუფიქსად „ან“ ანდა „ეთი“, აქედანაა – პერანი და პერეთი.

„პერანი“ იგივე არანი ანუ რანია, ხოლო პერეთი ერქვა შაქის ოლქს აგრიჩაიდან (გიშისწყლიდან) აღსუმდე. აქედანვე ერქვა კავკასიის ალბანეთს სპარსულად „არრანი“.

სახელი პერეთი უფრო დაუმკვიდრდა შაქის ოლქს, ხოლო რანი – ბარდავის მხარეს.



ისტორიული პერიოდი, როგორც მრავალჯერ ითქვა, მოიცავდა შაქის ოლქს, ძირითადად ტერიტორიას გიშისწყლიდან ვიდრე მდინარე თეთრწყლამდე (ადსუმდე). ის, რადგანაც ალბანეთის ნაწილს შეადგენდა და, პოლიტიკური თვალსაზრისით, მდებარეობდა ანტიკური ალბანეთის დასავლეთ ნაწილში, მისი ქართულენოვანი მოსახლეობა ალბანიზაციის პროცესში იმყოფებოდა.

ვითარება შეიცვალა ალბანეთის სახელმწიფოებრიობის შერწყევისა და სომხური ეკლესიის გაძლიერების შემდეგ მე-6 საუკუნიდან.

VI-VII საუკუნეებიდან, მას შემდეგ, რაც ჯერ დაპყრობელმა სპარსელებმა, შემდეგ კი არაბებმა გამოკვეთილად დაუჭირეს მხარი სომხური მონოფიზიტური ეკლესიის გავლენას ალბანეთსა და ქართლის დაპყრობილ ნაწილში, დაიწყო აქაური მკვიდრი მოსახლეობის არმენიზაცია.

საბოლოოდ, მე-8 საუკუნეიდან ალბანური ეკლესია არაბებმა საერთოდ გააუქმეს და დაუქვემდებარეს სომხურ ეკლესიას, შესაბამისად, პერეთიცს ანუ შაქის ოლქის მოსახლეობა აღმოჩნდა სომხურ იურისდიქციაში, ამას თან დაერთო ისიც, რომ შაქში გაბატონდა ტარონიდან ჩამოსულ სომქებელი დიდებულთა ოჯახი. მათი ყველაზე გამოჩნდილი პირი, საპლ იბნ სუნბატ ალ-არმანი, ანუ საპლ სმბატიანი, დიდად განადიდა ქვეყნის მაყრობელმა არაბმა ხალიფამ და მას, მოვსეს კალანკა-ტუაცის ცნობით, 837 წელს მიანიჭა „სომხეთის, ალბანეთისა და ივერიის“ მეფის წოდება.

რეალურად კი საპლ იბნ სუნბატ ალ-არმანი გახდა არცახ-ხაჩენის ძლიერი სომხური სამთავროს მეთაური, მის ხელში იყო რანი (არანი) და შაქი ანუ პერეთი. ანუ ისტორიული პერეთი აღმოჩნდა სომხური სახელმწიფოებრივი ერთეულის შემადგენლობაში. არაბულ წყაროებში მას (საპლ იბნ სუნბატ ალ არმანს) „სომქებატრაქს“ (უფალს) ანდა „ბატრაქ ალ არანს“ უწოდებენ, რადგანაც ის არანის ანუ რანის დიდ ნაწილს ფლობდა. რანს წინა საუკუნეებში ალბანთი ერქვა, ამ

დროისათვის სიტყვა „ალბანეთი“ დაცლილი იყო ეთნიკური ნიშნისაგან და მისი ხენება მხოლოდ ისტორიულ-გეოგრაფიულ მოგონებას წარმოადგენდა.

არაბობის ეპოქაში ამ მხარეების, მათ შორის არცახის, რანისა და პერეთის სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის მკვიდრი მოსახლეობა, როგორც ითქვა, გამძაფრებული არმენიზაციის პროცესში იმყოფებოდა.

შესაბამისად, პერეთის მკვიდრი მოსახლეობაც, მართალია, არმენიზაციის ამ პროცესის ქვეშ იყო, მაგრამ მას ქართული იდენტობას უნარჩუნებდა ის, რომ უშეალოდ ემეზობლებოდა ქართულ სამყაროს.

საპლ სმბატიანის შემდეგაც გრიგოლ ჰამამი (მე-9 ს.) იყო არა პერეთის ქართველი მეფე, როგორც ახლა წარმოუდგენიათ საქართველოში, არამედ – ხაჩენის მთავარი, სომეხი პოეტი, და, წინამორბედის მსგავსად, მართავდა შაქის პერეთს.

მაშასადამე, ასეთი თვალით თუ შევხედავთ, გრიგოლ ჰამამის დროსაც პერეთი დაპყრობილი ქვეყნა იყო.

მსგავსადვე, ოვანეს-სენექერიმი (მე-10 ს.) ჩვენში „პერეთის ქართველ მეფედ“ არის მიჩნეული. სინამდვილეში, კი ის იყო ფარისოსის (ანუ ჩრდილო არცახისა და უტიკის) მეფე, ძე საპაკ სევადისა.

ერთი სიტყვით, ძალზე უხეშად თუ ვიტყვით, ისტორიული პერეთი, ანუ შაქის ოლქი მე-9 საუკუნის შემდეგ, როგორც აღინიშნა, იმყოფებოდა სომხური სახელმწიფოებრივი ერთეულების, არცახისა და ფარისოსის შემადგენლობაში, ადგილობრივი ხალხისათვის ეს იყო დაპყრობის პროცესი.

შეიძლება დავასკვნათ, რომ რანთა და კახთა სამეფოს წარმოქმნამდე ისტორიული პერეთი (ანუ შაქის ოლქი) წარმოადგენდა უცხოელთა მმართველობის ქვეშ მოქცეულ ქართულენოვანი ხალხით დასახლებულ ქვეყნას, უცხო სომხურმონოფიზიტური რელიგიით.

კახთა სამეფოში პერეთი მხოლოდ იმის შემდეგ გაერთიანდა, რაც პოლიტიკურად გათავისუფლდა უცხოელთა (არცახის, ფარისოსის) ბატონობისაგან. ამის

შემდეგ მან, თავისი მისწრაფების შესაბა-  
მისად, რომელზეც მემატიანეც მიუთითებს,  
ინება გაერთიანება კახეთის სამეფოსთან.

კახეთისა და პერეგოს გაერთიანების  
საფუძველი უნდა ყოფილიყო ეთნიკური  
ერთგვაროვნება, ასევე, ქართულენოვნება,  
საერთო ეკლესია და აღმსარებლობა.

შედეგად, ჩამოყალიბდა გაერთიანებული „რანთა და კახთა სამეფო“ ქართული სახელმწიფო ენიო, რაზეც, მაგალითთად, სხვა უამრავ მასალასთან ერთად მიუთითებს კალაურის ეკლესიაში რანთა და კახთა სამეფო ოჯახის წევრის ქართულენოვანი ეპიტაფია.

რანთა და კახთა სამეფოების გაერ-  
თიანების პროცესის დროს ჰერეთის  
ხალხს დაუბრუნდა ქართულებისანი  
დევისმესახურება, აქ, ვახუშტის სიტყვით,  
მწვალებელთა მონოფიზიტური სარწმუ-  
ნოება შეიცვალა დიოფიზიტურით.

მემატიანებ, როგორც ითქვა, ხაზ-  
გასმით მიუთითებს, რომ პერები თავისი  
ნებით „მიერთებს“ ანუ შეუერთდნენ კა-  
ხეთს, ეს მომხდარა მას შემდეგ, რაც  
პერეთიდან წავიდა ბაგრატ III.

ო. პაპუაშვილი წერს - „1008 წლის  
სათვის ჩვენ უკვე გვაქვს პრეცენდენტი  
„რანთა და კახთა“ სამეფოს შექმნისა.  
„მატიანე ქართლისას“ ცნობაში ყურად-  
ღებას იპყრობს ავტორის სტილი მნიშვ-  
ნელოვანი ამბის გადმოცემაში: „მიიქცეს“  
და „მიმართეს“. მატიანეში კარგად არის  
არეკლილი კახეთისა და პერეთის ურთიე-  
რობიზიდულობა - მისწრავება და მიდრე-  
კილება. თუ აფხაზათა მეფებს პერეთის  
შემოერთებისათვის სჭირდებოდათ სამ-  
ხედრო ოპერაციები და, თავის მხრივ,  
პერეთის ფეოდალები არ ცნობდნენ აფ-  
ხაზთა მეფის ბაგრატ III-ის მიერ პერეთში  
მმართველად დაქნებულ კაცს, დავით  
ქორებისკოპოსსა და პერეთის ფეოდალებს  
შორის იგივე ფაქტი საცხებით უმტკიცნებუ-  
ლოდ მოხდა. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა,  
განაირობებული იყო კახებისა და  
პერების კულტურულ-ეთნიკური ერთობა-  
ერთიანობით. ამ უკანასკნელის წინა-  
პირობა იყო მე-10 საუკუნის შუა სანებში  
კახეთისა და პერეთის საეკლესიო ორგა-

ნიზაციების გაერთიანება (თ. პაპუაშვილი, რანთა და ქახთა სამეფო, გვ.205).

ჩვენს ოქმასთან დაკავშირებით,  
კიდევ უნდა ითქვას, რომ შეცდომაა,  
როდესაც ქართველი ისტორიკოსები,  
მაგალითად, გრიგოლ პამამს უწოდებენ  
„ჰერთის მეფეს“, რადგანაც ის იყო არა  
ჰერთის მეფე, არამედ ხაჩენის მთავარი,  
ამავე დროს, სომხურენივანი პოეტი.

ხახენის სამთავრო რანთან ერთად  
ასევე მოიცავდა შაქის ოლქს, ანუ ისტო-  
რიულ პერიოდს, პერეთი დამოუკიდებელ  
სამეფოდ გადაიქცევის გზას დაადგა  
მხოლოდ მისი შვილის, ანუ ადერნეს იბნ  
ამამის ანუ ადარნას პატრიკის დროს.  
ამის მიზეზი იყო ის, რომ გრიგოლ  
პამამის მემკვიდრეობა მისმა შვილებმა  
დაინაწილეს და ადარნას ხვდა შაქის  
მხარე, ანუ ისტორიული პერიოდი.

ମାଶାସାଦାମ୍ବେ, ସାକ୍ଷୁତିରୀତି କେରୁତୋଟି, ଅନ୍ୟ ଶାଜିଲେ ଉଲ୍ଲଙ୍ଘିତ ଗାତାଗିରିରୁଷୁଫଲେଖଦା କେମିତ୍ୟରି କେବେଳମ୍ଭିନ୍ଦୁଗେହରୀତି ଗରତେଜୁଲିଲେ, ଆରଚାବୋ-  
ଶାଗାବ, ଶାକ୍ରଦା ମିନ୍ଦ୍ରେଖି ମିଳିଲି ତାଗିରିରୁଷୁଫଲେଖ-  
ଦିଲୋକାର୍ଯ୍ୟ ମିଠାରାତିଜୁଲି ଧନୀଲା, ରାତ୍ରି ଗରୁଡ଼ଗଲ  
କାମାମିଲେ କୋର୍ପଦିଲିଲେ ଶେମଦ୍ଦେଶ କାମତାଗରି  
ମିଳିଲା ଶ୍ଵେତିଲେଖମା ଲାଇନାରାତିଲେଖ ଲା ଲାଇନାଶ-  
ନ୍ତିଲେ ଅଧେରନ୍ତେଖେଲେ ଫିଲାଦ ବ୍ୟଦା ଶାକିଲେ  
ଉଲ୍ଲଙ୍ଘିତ, ଅନ୍ୟ ଲେଖିଲେ କେରୁତୋଟି.

იქამდე გრიგოლ ჰამამბა დაიპურო  
და ხახნის სამთავროს შეუერთა რანი და  
ასევე სამხრეთ კახეთის მიწები გავაზის  
ხაზის ქვემოთ, როგორც ახლა უწოდებენ  
თელავს გულგულამდე, რაც საეჭვოა. ის  
უფრო გავაზის ხაზის ქვემოთ მართავდა  
კახეთის მიწა-წყალს გიშისწყლიდან გავა-  
ზამდე. კახეთის მიწები მან შეუერთა შა-  
ქის, ანუ პერეთის ტერიტორიას, სამხრეთ  
კახეთს ამის შემდეგ დაერქვა პერეთი.

უნდა დავაჯამოთ, რომ ისტორიული  
სამხრეთ კახეთის საზღვარი გიშისწყლი-  
დან გავაზის საზამდე იქნა გადატანილი  
მხოლოდ საჰლ სბატიანისა (საჰლ იბნ  
სუმბატ ალ არმანის) და მისი პოლიტი-  
კური მემკვიდრეების – გრიგოლ პამამისა  
და იანე სერექერიმის მიერ. მათ მუდამ  
ესაჭიროებოდათ ბრძოლა სამხრეთ კახე-  
თის ციხეებისათვის, რადგანაც კახელები  
მათ იძრუნებდნენ.



საბოლოოდ კი, კახეთმა შეძლო თავისი ისტორიული საზღვრის დაბრუნება გიშისწყალსა და ალიჯანჩაიზე. ამიტომ შეცდომაა ასეთი ხშირი გამონათქვამი – „კახეთმა დაიპყრო ჰერეთის მიწა-წყალი გავაზთან“ და სწორია – კახეთმა გაათავისუფლა თავისი ისტორიული მიწა-წყალი გავაზთან ომის დროს, როდესაც მან ჰერეთის ისტორიული სასაზღვრო პუნქტი დააბრუნა გიშისწყალზე.

ამ მომენტან დაკავშირებით, უკვე აღვნიშნეთ, რომ დაპყრობილი იყო თვით შაქის ოლქის ხალხი გაცილებით ძლიერი არცახისა და ფარისოსის სამეფოსა და სამთავროს მიერ, ამიტომ დინარა დედოფალი ერთგვარი განმანთავისუფლებელი იყო ამ ხალხისა, ამით უნდა ყოფილიყო გამოწვეული ის უდიდესი პოპულარობა ამ მხედ და, ჩანს, მებრძოლ ქალისა, რადგანაც მან მუსლიმანურ და მოხოფიზიტურ ყოვლისმომცველ გარემოში შეიტანა იმედის ნაპერწყალი მართლმადიდებლური სარწმუნოების სახით, რაც სიყვარულითა და ენთუზიაზმით მიიღო შაქის ოლქის მკვიდრმა მოსახლეობამ, ანუ ჰერებმა და მოიშორეს მწვალებელთა სარწმუნოება, ვახურის სიტყვით. ისინი დაუბრუნდნენ საქართველოს ეკლესიის წიაღს.

შაქის ანუ ჰერეთის ხალხი თავისი მართლმადიდებელი სარწმუნოებიდან გამომდინარე, ექვებდა კაგშირს მართლმადიდებელ კახეთთან და ბაგრატ მეფის გაერთიანებულ სამეფოსთან. ამ მიზეზის გამო ბაგრატ მეფეს უმჯობესად მიუწნევია ლაშქრობა ჰერეთში მისი შემომტკიცების მიზნით. ამ დროისათვის, ჩანს, ჰერეთის სამეფო ტახტი თავისუფალი იყო. მართლია, დინარა დედოფალს ახსენებს მემატიანე, მაგრამ მ. ბროსესა და სხვათა მიხედვით აქ უნდა იგულისხმებოდეს წმიდა დედოფალ დინარას ნეშტის გადასვენება სამეფო კარის ეკლესიაში. ასე განმარტავენ მემატიანის ნათქვამს – „ბაგრატ აღიღო მეორედ ჰერეთი და დაიჭირა დინარ დედოფალი“, ასეა თუ ისე, ბაგრატ მეფის ჰერეთში მისვლის დროიდან შაქის, ანუ „რანის მეფების“ სამეფო ტახტი თავისუფალია.

ეს ჩანს მემატიანის ცნობიდან, რომ მეფე ბაგრატის წასევლის შემდეგ პოლიტიკურ აქტიურობას იჩენენ არა შაქის სამეფო დინასტიის წევრები, არამედ ჰერეთის დიდებულები – „აზნაურები“. აგრატის ძეს საქართველოს მეფეს გიორგი I-ს განუდგა კახეთ-ჰერეთი, „დადრობითა აზნაურთათა“ შეიპყრეს მეფის მიერ დადგანილი ერისთავები. შემდგომ ისინი გადაწყვეტილ, რომ ჰერეთი დაუკავშირდეს კახეთის საქორეპისკოპოსოს. მართალაც, ეს კაგშირი შედგა, ახლა უკვე ჰერეთში შედის კახეთის ქორეპისკოპოსი კვირიკე III, უკვე როგორც კახეთ-ჰერეთის გაერთიანებული სახელმწიფოს მეთაური. არსდება „რანთა და კახთა სამეფო“ კახელი ქორეპისკოპოსების ხელქვეშ. ამით კახეთი და შაქის ოლქი, ანუ მტკვრის მარცხენა სანაპიროს მხარე გაერთიანდა. ჩამოყალიბდა ქართულენოვანი, მართლმადიდებლური სახელმწიფო, რომელსაც კახელი ხელისუფალი მართავდა. ის, თავისი ბუნებით ქართული სახელმწიფო, ქართველი ერის ინტერესების გამომხატველია. ეს გამოჩნდა შემდგომშიც, იმ უდიდესი გასაჭირის დროს, როდესაც ბიზანტიის უზარმაზარი იმპერიის არმია თვით მრისხანე იმპერატორის, ბასილი ბულგართმუსხრელის მეთაურობით შემოესია საქართველოს 1021 წელს. არისტაკეს ლასტივერტეცი წერს, თუ რა უდიდესი სისასტიკით ხოცავდა ქართული სოფლების მოსახლეობას მტერი, ქართული არმია დახვდა მტერს, მაგრამ იძლია. ასეთი გასაჭირისას მეფე გიორგი I-ს მიეშველა მისგან განდგომილი კახეთ-ჰერეთის ლაშქარი და ამით გაძლიერდა. ეთნიკური ერთობის გარდა საეკლესიო-კულტურული ერთობა, ანუ წმიდა ნინოს დვაწლი განამრავლა აქტური წმიდა ილარიონ ქართველის, დავითგარეჯის ეკლესია-მონასტერთა ბერების, არსენ ნინოწმიდელისა თუ არსენ იყალთოედის მადლმა.

ერედვის ეკლესიის წარწერიდანაც ჩანს, თუ რა დიდი პატივისცემით ლოცულობდა აფხაზთა მეფე ალავერდის ტაძარში და განაბრწყინა ის უხვი შესაწირით.



ამის გამო ქახეთ-ჰერეთი მუდამ ერთიანი ქართული სამყაროს ნაწილი იყო, რამაც გააერთიანა მთელი ერი დავით აღმაშენებლის დროს, ვითარცა „რანთა და ქახთა მეფებზე“.

საფიქრებელია, რომ რუს-ურბნისის კრებამ ქახეთ-ჰერეთი გადასცა დავით აღმაშენებელს.

რა უფლებები გააჩნდა საქართველოს ეკლესიას ქახეთში?

ქახეთსა და შემდგომ ქახეთ-ჰერეთს მართავდა ხელისუფალი, რომელსაც გააჩნდა საეკლესიო წოდება – ქორეპისკოპოსი.

თავისთავად სიტყვა ქორეპისკოპოსი ნიშნავს რეგიონში, მხარესა თუ ოლქში წარგზავნილ მთავარი ქალაქის (მეტროპოლიის) ეპისკოპოსის წარმომადგენელს.

საეკლესიო წესის თანახმად, ბიზანტიის იმპერიაში ეპისკოპოსი უნდა მჯდარიყო დიდ, ხალხმრავალ ქალაქში, ანუ მნიშვნელოვან ეკონომიკურ ანდა პოლიტიკურ ცენტრში, აქ უნდა პქონოდა კათედრა. ქალქის გარშემო სოფლური ადგილების მქონე რეგიონში დიდი ქალაქის ეპისკოპოსი აგზავნიდა თავის სასულიერო წარმომადგენელს ქორეპისკოპოსის ტიტულით, რომელსაც ევალებოდა ზედამხედველობა ოლქის სასულიერო საქმეებისა და, საჭიროების შემთხვევაში, საქვეუნო საქმეებისა, მსგავსადვე ყოფილა ქახეთიც.

შესაბამისად, ქახელი ქორეპისკოპოსები უნდა ყოფილიყვნენ რომელიმე დიდი ქალაქის ეპისკოპოსის წარმომადგენლები, ანუ ისინი შედიოდნენ რომელიმე სასულიერო ცენტრის იურისძიებისაში. პირველები ყოვლისა, ისინი სასულიერო პირები, მთავარხუცესები იყვნენ.

ჩვენ ვიცით, რომ ქახელი ქორეპისკოპოსები იყვნენ დიოციზიტები, ანუ ქალკედონიტები, ამასთანავე ქართულებნოვანები, რასაც ვარდან არეველციც მიუთითებს, ამიტომაც ქახელი ქორეპისკოპოსები არ ექვემდებარებოდნენ მონოფიზიტურ ცენტრს, მაშასადამე, ექვემდებარებონენ კავკასიაში ქალკედონიტობის ბურჯს, ქართლის საკათალიკოსოს, მცხეთის ქათალიკოსს ან, უფრო ფართო გაგებით, საქარ-

თველოს საეკლესიო კრებას, რომელიც კათალიკოსზე მადლა იდგა, რადგანაც სწორედ ის ირჩევდა კათალიკოსს.

თუ ასეა, ქახეთის ქორეპისკოპოსები იყვნენ მცხეთის ეპისკოპოსის, ანუ ქართლის კათალიკოსის ქორეპისკოპოსები.

ქახეთში ქორეპისკოპოსებმა შეძლეს ქვეყნის საერო და სასულიერო ძალაუფლების გაერთიანება თავიანთ ხელში, ამიტომ შესაძლოა მცხეთის მიმართ თავიანთ სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებასაც ამჟღავნებდნენ, მაგრამ როდესაც დადგა კრიტიკული მომენტი, როცა ამ ქორეპისკოპოსის ტახტზე ავიდა „ცუნდრუკი“ აღსართან II, უღირსი პირვნება, რუს-ურბნისის კრებამ 1103 (ანდა 1105) წელს ქახეთი, ვითარცა თავისი ქორეპისკოპოსის საზედამხედველო, გადასცა დავით აღმაშენებელს, ანუ ქორეპისკოპოსის უფლება და ტიტული ჩამოართვა თავის ქორეპისკოპოსს – ქახეთის მეფე აღსართან II-ს. ამ შეძლებით კრებამ აღსართანი უკანონო მმართველად გამოაცხადა, რითაც ხელფეხი გაუხსნა აზნაურ-დიდებულებს მის შესაპყრობად, ანუ მეფის სამოქმედო არეალი გათავისუფლდა.

საერთოდ, ქახეთი, ქართლის ხოსროიან მეფეთა საუცხვესო, ანუ სამეფო დომენი იყო, ამასთანავე ჩანს, მას ასევე მცხეთაც განაგებდა, მაგალითად, ცნობილი მთავარებისკოპოსი ქართლისა გლოონიქორი იყო „ქართლისა და ჰერეთის ერისთავი“ ჯერ კიდევ კათალიკოსობის დაწესებამდე, 440-იან წლებში მეფე მირდაგის დროს. მისი ერისთავობა შაქის ოლქში, ანუ ჰერეთში უცვნია რანის ერისთავს გლოონიქორ პიტიახშაც. ერთიცს ქვეშ აქ შაქის ოლქი რომ იგულისხმება, იქიდანაც ჩანს, რომ ამ ცნობაში რანის ერისთავიცაა ნახსენები, რანი და შაქი კი უახლოესი მეზობლები იყვნენ.

მაშასადამე, მცხეთას ქახეთში მე-5 საუკუნეშიც კი გააჩნდა თავისი საერო და სასულიერო მმართველობა, ანუ მმართველობის ის ფორმა, რომელიც შემდგომში, მე-8 საუკუნიდან ქორეპისკოპოსის ინტერესების პირნდა.

აღსანიშნავია, ისიც, რომ თ. პაპუაშვილის დაკვირვებით ქახეთში მცხეთის



სასულიერო იერარქიას საეროზე ზედა-დგომის უფლება პქონია მე-16-მე-17 საუკუნეებშიც, კახეთის სამეფოს არსებობისას. კახეთში ეპისკოპოსები ხელმძღვანელობდნენ სამხედრო ოლქებს, მათ უნდა გამოეცხადებინათ მობილიზაცია და გამოეყვანათ ლაშქარი საომრად, ქართულ ქვეყანათაგან მხოლოდ კახეთში პქონდათ ეპისკოპოსებს ასეთი საერო უფლება-მოვალეობა, სხვაგან ეს უცნობია. აგალი-თად, სამხედრო ოლქის – სადროშოს მეთაურობა ქართლში თავადებს პქონდათ მინდობილი და არა ეპისკოპოსებს.

ასე რომ, კახეთ-პერეთში ფუნქცია საერო-სასულიერო მმართველობისა მცხე-თის კათალიკოსის ზედამხედველობით არ-სებობდა წევეტილებით მე-5 საუკუნიდან მე-18 საუკუნემდე. ეს ფუნქცია, ასევე მცხეთის ზედამხედველობით, დაკისრებული უნდა პქონოდა კახეთის ქორეპისკოპოსებსაც VIII–XI საუკუნეების ჩათვლით.

ასეთ ვითარებაში, ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩინა, რომ რუის-ურბისის საეკლესიო კრებას თავისი სასულიერო-საერო სამმართველო ოლქი, კახეთ-პერეთი დეიურე გადაეცა საქართველოს მეფისათვის.

ძეგლისწერაში დავით აღმაშენებელს „რანთა და კახთა მეფე“ ეწოდა, ამით კრებამ ქორეპისკოპოს აღასართან მე-2-ის სამეფო უფლება კახეთზე ანულირებულად გამოაცხადა. მხოლოდ ამის შემდეგ კახელმა დიდებულებმა არიშიანმა (შაქიდან), ბარამბა და ქავთარ ტბელის ძემ შეიპყრეს კახეთის მეფე აღასართან II და გადასცეს დავით აღმაშენებელს. კახეთ-პერეთის ერთიან სახელმწიფოში გაერთიანება მიუღებელი აღმოჩნდა ისტორიული რანის მუსლიმანი მმართველისათვის – განძის ათაბაგისათვის. ერწუხის ომში განძის ათაბაგის დიდი ლაშქარი დაამარცხა დავით აღმაშენებელმა, რითაც ფაქტობრივად კახეთ-პერეთი საბოლოოდ დაუბრუნა ერთიანი ქვეყნის სამმართველო სისტემას.

ძველი ქართული, ანუ მე-20 საუკუნემდელი ქართული ისტორიოგრაფია, როგორც დავით თუმნიშვილის მიერ შედგენილი გენეალოგიური ხე უჩვენებს, მიიჩ-

ნევდა, რომ კახეთ-პერეთის გაერთიანება დინასტიურად მოხდა, კერძოდ, პერეთის მეფეთა კანონიერი შთამომავალი გაგიპ ბაგრატიონი იშვილა კახეთის მეფე კვორიკე დიდმა და ამით გაერთიანდა კახეთ-პერეთი ერთ სახელმწიფოდ. გაგიპი ყოფილა წმ. დინარას ძის იშხანიერის შთამომავალი, ანუ ადარნასები, პერეთის ცნობილი მეფისა. ხოლო კვირიკე დიდი კახეთის მეფე-ქორეპისკოპოსების ცნობილი შთამომავალი იყო. ამ ორი დინასტიის გაერთიანება ნებაყოფილობით მომხდარა. ამასთანავე, ორივე ეს დინასტია მართლმადიდებლური იყო, რაც ასეთი გაერთიანებისათვის არსებითი მომენტია.

ამ ცნობის საწინააღმდეგოდ, ამჟამად მიიჩნევა, რომ კახეთის სამეფო ტახტზე ავიდა სომებთა სამეფო დინასტიის წევრი.

თ. პაბუაშვილი აღნიშნავს, რომ 67 წლის მანძილზე კახეთის ქორეპისკოპოსების ტახტი ეჭირათ სომებთა სამეფოს, ანუ ტაშირ-ძორაკერტის სამეფო დინასტიიდან გამოსულ წევრებს. როგორც წყარო აჩვენებს, კახეთის ტახტზე ასული კვირიკიანები მხოლოდ მართლმადიდებლები იყვნენ, რასაც მიუთითებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობა – „კახეთს მეფობდა კვირიკე, კაცი ჭეშმარიტი ქრისტიანე“, ეს წინადადება და ასევე აგალი-თად, ფაქტი იმისა, რომ კვირიკე IV-ს სამწირველო პქონდა შიომღვიმის მონასტერში, მიუთითებს, რომ კახეთის კვირიკიანი ქორეპისკოპოსებიც, წინამორბედ ქორეპისკოპოსთა დარად, მართლმადიდებლები იყვნენ. „გამონათქვამი „ჭეშმარიტი ქრისტიანე“აღნიშნავს იმას, რაც ამჟამად გამოიხატება სიტყვით – „მართლმადიდებელი“.

იქამდე, არაბობის ეპოქაში, მტერთან თანამშრომლობის, კოლაბორაციონიზმის გამო, ქართულ თლქებს დაუფლენენ სომები დიდებულები.

ქართველი დიდებულები მუდამ იბრძოდნენ არაბებთან, ანდა მიატოვეს თავიანთი სამმართველო ტერიტორიები და დასავლეთ საქართველოში გადავიდნენ, ანდა მთებს შეეხიზენ. ამის გამო მრავალი ქართული თლქი, ე.წ. „მკვიდრის“

ანუ მიწების მესაკუთრე დიდებულის გარეშე დარჩა, ამით ძირითადად ისარგებლეს სომხეთიდან გამოსულმა დიდებულებმა, ისინი დამკვიდრდნენ შაქში, გარდმანში, ქვემო ქართლსა და სხვა ქართულ ოლქებში, სადაც მმართველებად იქცნენ.

ეს იმას ნიშნავდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა კვლავ ქართული, ძირითადად მართლმადიდებელი იყო, ხოლო მისი ზედა, მმართველი ფენა შედგებოდა სომხური წარმოშობის, ძირითადად მომონოფიზიტი დიდებულებისაგან.

ქვემო ქართლში, ყოფილ სამშვილდის საერისთავოში, მმართველი ზედაფენის მონოფიზიტობა განპირობებული იყო იმეჯამინდელი პოლიტიკური ვითარებით, კერძოდ კი, ქვეყნის მპყრობელი არაბთა სახალიფოს უაღრესად მტრული დამოკიდებულებით მართალმადიდებლური ბიზანტიის მიმართ.

არაბები თავიანთ სახალიფოში დევნიდნენ პრობიზანტიურ ქალკედონიტურ აღმსარებლობას და ხელს უწყობდნენ იმჟამად ანტიბიზანტიურ მონოფიზიტობას, რაც უმეტესად მონოფიზიტ ადგილობრივ ხელისუფალთა მიმართ მხარდაჭერით გამოიხატებოდა.

ამის პარალელურად, იდევნებოდნენ, ანდა ისჯებოდნენ ქალკედონიტი მმართველები. რასაც მაგალითად კარგად გადმოგვცემს მოვსეს კალანკატუაცის მიერ აღწერილი ამბები ეწ. ალბანეთის გარადმანის მიმართ. ალბანეთის კათალიკოსი დააპატიმრეს და გარდმანის ქალკედონიტ დედოფალთან ერთად დამცირებელი, საჯარო სიკედოლით დასაჯეს იმის გამო, რომ ისინი მართლმადიდებლები, ანუ ქალკედონიტები იყვნენ, უფრო მეტიც, ქალკედონიტური მიმართულების გამო საერთოდ გააუქმეს ალბანური ეკლესიის ავტოკეფალია და ის სამართავად გადასცეს მონოფიზიტურ, ანუ ანტიბიზანტიურ სომხურ ეკლესიას, ეკლესიებში ალბანური ენის გამოყენებაც კი აიკრძალა.

ასეთი მიღომის გამო სახალიფო  
მხოლოდ მონოფიზიტ მთავრებს ენდო-  
ბოდა და დევნიდა ქალკედონიტ მთავრებს,  
მონოფიზიტობა კი უპე ამ დროისათვის  
სომეხთა ეროვნულ აღმსარებლობას წარ-

მოადგენდა, ქალკედონიტობა კი – ქართველებისა. შესაბამისად, არაბები მთავრებად ნიშნავდნენ სომხებს, ქართველებს კი ხელისუფლებიდან დევნიდნენ. მაგალითად, ქართლის ხოსროიან მეცენატებს, ანუ არჩილსა და მირს და მათ შთამომავლებს არაბები სასტიკად დევნიდნენ, ხოლო ოუშეიპყრობდნენ, ხოცავდნენ. სანაცვლოდ, მაგალითად, განადიდეს შაქისა და არანის მმართველი საჰლ იბნ სუნბატ ალ-არმანი, მას „არანის ბატრაკის“, ანუ „რანის მეფის“ ტიტული მიანიჭეს.

ასეთ ვითარებაში ქვემო ქართლსაც, არაბების შემწეობით, დაუფლდა სომებს მონოფიზიტ ბაგრატუნ-კვირიკიანთა ოჯახი, მიუხედავად იმისა, რომ როგორც შაქში, ისე ქვემო ქართლსა და გარდმანშიც მგვიდრი მოსახლეობა ეთნიკურად ქართული იყო, მისწრაფებული მართლმადიდობებლობისაკენ, ანუ ქართველთა საერთო ეროვნული სარწმუნოებისაკენ.

არაბთა ფაქტორის დამცრობა-გაჭ-  
რობისთანავე ეს პროცესი დაუბრუნ-  
და ქართულ ეროვნულ სახლს - საქარ-  
თველოს სახელმწიფოს.

ვითარება სხვაგვარი იყო კახეთში. ამ ქვეყანამ თავისი მხნე ომით აირიდა არაბთა ბატონობა. კახეთის ტახტზე კვირიკიანები აღმოჩნდნენ ქალის მხრიდან ნათესავრი კაგშირის გამო. ამ ტახტზე ისინი ადიოდნენ როგორც მართლმადიდებლები, ანუ ქალკედონიტები. კახეთის ტახტზე ასახვლელად ისინი ვალდებული იყვნენ თავის სარწმუნოებად ქალკედონიტობა ელიარებინათ, რადგანაც უპაშ მტკიცედ მართლმადიდებლურ კახეთის ქვეყანას უნდა ჩადგომოდნენ სათავეში, არაბული ფაქტორი აქ უკვე აღარ არსებობდა, ამიტომ ისინი „ქვეშმარიტი ქრისტიანები“ (ანუ მართლმადიდებლები) უნდა ყოფილიყვნენ, თუკი გავიმეორებთ მემატიანის სიტყვებს.



## თავის დასკვნა

გამოირკვა, რომ თავდაპირველი, ანუ ისტორიული ჰერეთი მდებარეობდა მდინარეებს – გიშისწყალსა (ან, ალიჯანჩაისა) და აღსუს (თეთრწყალს) შორის. ართლის ცხოვრების მიხედვით ის მდებარეობდა „მტკვრის ჩრდილოთ“ ანუ ალაზან-იორის შესართავიდან ვიდრე, აღნიშნულ მდ. აღსუმდე, ანუ მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ხოლო მის მოპირდაპირე, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე (ამ შემთხვევაში სამხრეთ მხარეს) რანი მდებარეობდა (შესაბამის რუკაზე ნათლად ჩანს, რომ ამ აღილას მტკვრის მარცხენა სანაპირო ჩრდილოეთის მხარესაა მიმართული).

რანსა და აღნიშნულ ჰერეთს (ანუ სხვა სიტყვით – „შაქის ჰერეთს“) შორის, იმ ტერიტორიაზე, რომელიც ამჟამად მინგეჩაურის წყალსაცავითაა დაფარული, მდებარეობდა კამბისენა ანუ კამბეჩინი, ის, მე-7 ს. „სომხური გეოგრაფიის“ ცნობით მტკვარზე მდებარეობდა, ცნობილია, რომ იყო გორებით მოზღუდული რეგიონი, აქ კლდეთა და ჭაობთა შორის გადიოდა ალბანეთიდან იბერიაში შემავალი გზა. ამასთანავე, მიმდებარე შაქის ოლქს საზღვარავს კავკასიონის ქვედის მაღალი თოვლიანი მთები, როგორც აღწერს სტრაბონი კამბისენას შესახებ. ეს ოლქი (კამბისენა) მოიცავდა ტერიტორიას მინგეჩაურის წყალსაცავის ტერიტორიის ქვემოთაც, ვიდრე იმ ნაყოფიერი ველამდე, რომელსაც სტრაბონი აღწერს მტკვარაქის შესართავთან.

შესაბამისად, კამბისენა, სტრაბონის სიტყვითვე მდებარეობდა იბერიას, არმენიასა და ალბანეთს შორის. მის მარცხნივ საკასენა მდებარეობდა, ხოლო მარჯვნივ – ისტორიული ჰერეთი. ამ ქვექნის (ჰერეთის) საზღვარი მხოლოდ მე-9 საუკუნეში გაფართოვდა სამხრეთ კახეთის ხარჯზე.

არაბობის დროს კახეთის საქორეპისკოპოსო მუდამ იბრძოდა არაბთა წინააღმდეგ, ხოლო შაქის ჰერეთის იმჟამინდელი მონოფიზიტი მმართველები ერთგულად ემსახურებოდნენ სახალიფოს,

ამის გამო ისტორიული კახეთის მიწა-წყლის სამხრეთი ნაწილი (გიშისწყლიდან ვიდრე გავაზამდე და ილტომდე) არაბთა ნებით შეიერთა იმჟამად პოლიტიურად გაძლიერებულმა შაქის ჰერეთმა (ამ საკითხის კვლევას ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი). მაშასადამე, სამხრეთ კახეთის მიწა-წყალს მხოლოდ მოგვიანებით, დაახლოებით მე-9 საუკუნის შემდეგ ეწოდა ჰერეთი, შემდგომშიც, მონღოლების ეპოქაშიც, ქართველები ჰერეთს უწოდებდნენ შაქის ოლქის მხარეებს და ტერიტორიას ვიდრე აღსუმდე (ამას მიუთითებს წყროებში ნახსენები ჰერეთის ერისთავების საპატრონო არეალი. ისინი, წყაროს მიხედვით, მართავდნენ შაქის ოლქსა და მიმდებარე მხარეებს მიმართულ რახსისაკენ).



## თავი III დავით-გარეჯის მიწა-ფყალი

### ფყაროები ასურელ მამათა გახეთში მოღვაწობის შესახებ

ამჟამად გავრცელებულია არასწორი აზრი, თითქოსდა, ასურელი მამების ერთი ნაწილი მოღვაწეობდა ალბანურ ტომთა შორის. შეცდომის საფუძველია ის, რომ ალბანეთს მიაკუთვნებენ დავითგარეჯის მონასტრების მიწა-წყალს, ასევე, ამჟამინდელი ბოდის, გურჯანის, სინალის, საგარეჯოს რაიონებსა და საერთოდ, სამხრეთ კახეთს თელავის სამხრეთით. (მაგ., იხ. საიტი <https://ka.wikipedia.org/wiki/კამბე-ჩოვანი> 19.01.2021).

ამასთან დაკავშირებით განვიხილოთ ჩვენთვის საინტერესო წყაროები ასურელ მამათა შესახებ („ცხორებაი შიონი და ევაგრესი“, 2005, „ხევნებაი საკვირველ-მოქმედისა წმიდისა მამისა შიონი, 2005, „ცხორებაი შიო მღვიმელისა მოკლედ ნათქვამი“ და სხვა).

საქართველოს ეპლესის გამორჩეული წმიდანები, ასურელი მამები, წყაროთა მიხედვით, იყვნენ ეთნიკური ასურელები, მოღვაწეობინები სირიის მონასტრებში, სადაც მათ მიიღეს უფლისმიერი ბრძანება, რათა წასულიყვნენ „ქართლის ქვეყანაში“, რათა ქართველთა შორის განემზევ-ბინათ სარწმუნოება.

მემატიანე წერს, რომ იქამდე მათ არც კი სმენოდათ ქართლის ქვეყნის შესახებ და არც ქართული ენა იცოდნენ, რაც აუცილებლად საჭირო იყო ქადაგებისათვის.

ასეთ გამოუგალ დროს მათ მიეცათ ნუგეში უფლის მიერ, კერძოდ კი, მიენიჭათ მათთვის უცნობი ენის ცოდნა, ვითარცა სულომოფენისას წმიდა მოციქულებს მიეცათ მეისიერი ცოდნა მათთვის უცნობი ენებისა.

კერძოდ, ქართლში გამომგზავრების წინ, ქართული ენის ცოდნა თავდაპირველად სულიწმიდის მიერ მიეცა ბერ იოვანეს, რომელსაც შემდგომ ზედაზნელი ეწოდა –

„ნეტარმან იოვანეცა წამსა შინა ისწავა ენა ქართველთა სულისა მიერ წმიდისა“ („ცხორებაი შიონი და ევაგრესი“, 2005, გვ.109).

ასურელ მამათა ცხორებიდან ნათლად ჩანს, რომ სულიწმიდა, რომელმაც ენათა ცოდნის უნარი მიანიჭა წმიდა მოციქულებს, საქართველოს ეკლესიის განმანათლებლთა შორისაც იღვწოდა. ამიტომაც, იოანე ზედაზნელის მემატიანის ცნობით, წმიდა იოანეს, გვარტომობით ასირიელს, საქართველოში გამომგზავრებისას სულიწმიდის მიერ მიენიჭა ქართული ენის ცოდნა – „ნეტარმან იოვანეცა წამსა შინა ისწავა ენა ქართველთა სულისა მიწმიდისა მიერ“ („ცხორებაი შიონი და ევაგრესი“, 2005, გვ.109).

სულიწმიდის მიერ ქართული მეტყველების მინიჭება ასურელი მამებისათვის უდიდესი სასწაული იყო იმ დროის მორწმუნებისათვის. მემატიანე წერს – „ესე სასწაული, მმანო, მიმსზგავსებულ არს სიონს გარდამოსვლასა სულისა წმიდისასა წმიდათა ზედა მოციქულთა და გან. ოფასა ენათა ცეცხლისათა, ჰეშმარიტად საკვირველ არს ლმერთი შორის წმიდათა მისთა, რომელმან სულითა წმიდითა წამსა შინა აღატ-უა სიტყვითა ზრახვად იოანე, რომელი არცა ოდეს ასმიოდა და არა თუ ესწავა“ ... „მოცა იოანეს ენაი ქართულად მეტყველი“ (იქვე, გვ.29).

ასურელ მამათაგან ნახევარი კახეთში მოღვაწეობდა, კახეთის დიდი ნაწილი კი ,ამჟამად არასწორად, ალბანეთად მიიჩნევა, დავითგარეჯასა და ბოდებსაც კი ალბანეთის ნაწილად მიიჩნევენ, ასეთი არასწორი მსჯელობით მიდიან დასკვნა-მდე, რომ ასურელი მამების ნაწილი ალბანეთში მოღვაწეობდა დავთ გარეჯელის თუ სტეფანე ხირსელის ჩათვლით.

წყაროები მიუთითებს, რომ ასურელნი იყვნენ ქართული ენის (და არა ალბანური ენის!) აღორძინების მამები, მისი უფლისმიერი დამცველ-მეპატრონები. ლოცა ვამბობთ, რომ ასურელი მამები იყვნენ ქართული ენის მცოდნე უფლისმიერი, ზეგარდმო ნიშნით აღჭურვილი წმიდანები, გვაქვს შესაბამისი უეჭველი და უძველესი



წყაროები, ესაა თვით ამ წმიდანთა ცხოვრებანი.

ვინ იყვნენ ასურელი მამები და რა კავშირი ჰქონდათ მათ ქართულ ენასთან? როგორც ითქვა, წარმოშობის მიხედვით არაფითარი, მათ საერთოდ არ იცოდნენ ქართული ენა და არც კი სმენოდათ ქართლის ქვეყნის შესახებ, როგორც მოგვითხოვები მათი ცხოვრებანი.

კიდევ ერთხელ რომ გავიმეოროთ, ასურელი მამების მიერ ქართული ენის ცოდნა მიუთეოებს, რომ ისინი არა ალბანეთში, არამედ ქართლში მოღვაწეობდნენ და შესაბამისად დავით გარეჯა ოუ სხვა მათი მონასტრები ქართლში მდებარეობდნენ და არა ალბანეთში.

ამასთან დაკავშირებით, შეიძლება კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ იოანე ზედაზნელი, რომელიც იყო მეთაური და უაღრესად ავტორიტეტული წინამდღვარი ასურელი მამებისა, ეროვნებით ასურელი იყო, ასურეთში მცხოვრები და იქ დაბადებული. მას გაგონილიც კი არ ჰქონდა იმის შესახებ, რომ არსებობდა ქართული ენა. გამოხდა ხანი, მას მიეცა უფლის-მიერი ბრძანება, რომ უნდა ექადაგა ქართველების ქვეყანაში. მართლაც, ის მოწაფეებთან ერთად შემოვიდა ქართლში და ქართული ენით დაიწყო ხალხის დამოდგრა. როგორ? მან შეისწავლა ქართული ენა? არა, მას საგანგებოდ არ შეუსწავლია ქართული ენა და არც დრო დაუხარჯავს მის შესასწავლად. მოხდა დიდი სასწაული, მის გარშემო მყოფი ადამიანები ამ სასწაულით დიდად შეშინდნენ და ამასთანავე გაკვირდნენ კიდეც, რა მოხდა? წმიდანის ცხოვრების თანახმად, უფალმა ინება, რომ როგორც წმიდა მოციქულებს მიეცათ სულთმოფენობისას ენების ცოდნა (საქმე, 2–14), ასევე, სულიწმიდის მიერ, „ერთშამში“, ანუ ელვისებური სისწრაფით მიეცა წმიდა იოანე ზედაზნელს ქართული ენის ცოდნა, მისი მემატიანე წერს: „მოეცა იოანეს ენაი ქართულად მეტყუელი ესე სასწაული, მმანო, მიმსგავსებულ არს სიონს გარდამოსვლასა სულისა წმიდისასა წმიდათა ზედა მოციქულთა და განყოფათა ენათასა ცეცხლისასა სულითა

წმიდითა წამსა შინა ადატყუა სიტყვითა ზრახვად. იოანე, რომელი არცა ოდეს ასმიოდა, არათუ ესწაგა რომელი მაშინ მუნ იყვნეს ყოველი ზარგანხდილი და განკვირვებული ადიდებდეს ლმერთსა, მოქმედსა საკირველებათასა“ (ცხოვრება და მოქალაქება ლირსთა მამათა ჩვენთა შოთი და უკაგრები, 2005 წ., გვ. 29).

მაშასადამე: 1. სულიწმიდის მიერ იოანე ზედაზნელი ქართულად ამეტყველდა; 2. მას ქართული ენის ცოდნა მიეცა „წამსა შინა“, ანუ მყისიერად; 3. იოანეს იქამდე არასოდეს უსწავლია ქართული ენა და არც კი სმენოდა მის შესახებ; 4. იოანემ მაშინვე დაიწყო „სიტყვათა ზრახვად“, ანუ ის უკვე ქართული ენით წარმოთქამდა ფრაზებს და საერთოდ, ის ქართულად სრულყოფილად ამეტყველდა, მაშასადამე, უნარი მიეცა ქართულად ქადაგებისა; 5. ეს უდიდესი სასწაული სხვების თანდასწრებით მოხდა, რამაც მათ შიშის ზარი დასცათ და ამავე დროს, გაუკვირდათ; 6. იქ მყოფმა ადამიანებმა მაშინვე დაიწყეს ლმერთის დიდება, რადგანაც სწორედ ისაა „მოქმედი საკირველებათა“, ანუ სასწაული მხოლოდ მისგან მომდინარეობდა; 7. სასწაული თავის არსით იდებული იყო სულთმოფენობისას „ცეცხლის ენათა განყოფისას“ მოციქულებზე სულიწმიდის გარდამოსვლისა და მათი სხვადასხვა ენაზე ამეტყველებისა (ცხოვრება და მოქალაქება ლირსთა მამათა ჩვენთა შოთი და უკაგრები, 2005 წ. გვ. 29).

ადსანიშნავია, რომ იოანე ზედაზნელის აღნიშნული სასწაულის დროს მის გვერდით იყო მისი მოწაფე შიო მღვიმელი, სასწაულის მნიშვნელობა გაორკეცდა იმით, რომ შიო მღვიმელზეც გადმოვიდა მაღლი სულიწმიდისა და ისიც ამეტყველდა ქართულად.

მისი ცხოვრების აღმწერი წერს, რომ შიო მღვიმელი „იყო ნათესავით ასური ოდეს იოანე, მოძღვარი მისი, უწყებითა ლმრთისაითა ჰევანად ქართლისა მიიწია, ესეცა ნეტარი მისთანავე მოგზაურ იქმნა და მისთანავე მოციქულებრივი ქადაგებაი აღასრულა, რომელთა ლმერთან მისცა ენაი ქართულად მეტყუელი“ (ხსენებაი



საქართველოში წმიდისა გამისა შორსი, 2005 წ., გვ. 113).

მაშასადამე, შიო მდვიმელი 1. იყო ეთნიკურად ასური; 2. მისი მოძღვარი იოანე „დმრთის უწევებით“ მოვიდა საქართველოში; 3. იოანემ და შიომ აღასრულეს მოციქულებრივი ქადაგება; 4. მათ დმერთმა უბოძათ ქართული ენის ცოდნა – „რომელთა დმერთმან მისცა ენაი ქართულად მეტყველი“.

აღნიშნულთა გარდა, არსებობს აგრეთვე შიო მდვიმელის მოკლე ცხოვრებაც, რომელშიც კერძოდ ნათქვამია – „წარმოემართნენ წმიდანი და მოვიდნენ ქართლად კათალიკოზსა უვლავიოზს გამოცხადა ანგელოზი უფლისაი და აუწყა მოსვლა მათი და წინა მიეგებოდა ნეტარმან იოანეცა წამსა შინა ისწავა ენა ქართველთა სულისა მიერ წმიდისა“ (ცხოვრებაი შიო მდვიმელისა მოკლედ ნათქვამი, 2005 წ., გვ. 107).

„მოკლე ცხოვრებაც“ იმასგე იმეორებს, რომ იოანე ზედაზნელმა „წამსა შინა ისწავა ენა ქართველთა სულისა მიერ წმიდისა“.

ამ ცხოვრებათა შეჯერებით ნათელი ხდება, რომ იოანე ზედაზნელმა, შიო მდვიმელმა და ჩანს, სხვა მამებმაც, დმრთის ნებით, სულიწმიდის მიერ მყისიერად მიიღეს ცოდნა ქართული ენისა და დმერთის უწევებით გამოემართნენ საქართველოში, ხოლო „ანგელოზი უფლისა“ აფრთხილებდა და ამზადებდა სათანადო პირებს მათთან შესახვედრად. მართლაც, ეს გამორჩეული სასწაული ერთგვარი გამეორებაა სულთმოფენობის სასწაულისა, როდესაც აღდგომიდან 50-ე დღეს სულიწმიდის მიერ მოციქულები ამეტყველდნენ სხვადასხვა ენაზე. ოდონდ ამ შემთხვევაში საუკუნეთა შემდგომ, როგორც მემატიანე წერს, ასურელმა მამებმა სულიწმიდის ძალით შეისწავლეს ქართული ენა. ცხადია, ეს მომენტი ანცვიფრებდა ძველ ქართველ მამებს და უნერგავდა თვალსაზრისს ქართული ენის განსაკუთრებულობის შესახებ. ასურელ მამათა აღნიშნული ცხოვრებანი წარმოადგენდნენ თფიციალურ საკითხავებს, რომელიც ეკლესიებში ხმამაღლა იკი-

თხებოდა წირვა-ლოცვების სათანადო მომენტების დროს. რევლს ოდნავადაც კი ეჭვი არ ეპარებოდა მოსმენილის სინამდვილეში. ეს ამბავი ნამდვილად მოხდა, ასე რომ არ კოფილიყო, არც აღწერდნენ და არც მიიჩნევდნენ ღმერთის სადიდებელ საკირველ სასწაულად. შაზოგადოდ, ლოცვის ენას ძველ ქრისტიანულ სამყაროში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგანაც „ახალი აღთქმის“ ქადაგებათა ენა დვოთიური ნიშნით იყო აღბეჭდილი. ეს საგანგებოდ უუწყათ სულთმოფენობისას მოციქულებსა და, შესაბამისად, პირველქრისტიანებს, „აღივწენენ ყოველნი სულითა წმიდითა და იწყეს სიტყვად უცხოთა ენათ ვითარცა სული იგი მისცემდა მათ სიტყვად (საქმე, 2,4).

ამით მოიხსნა ის ენობრივი ბარიერი, რომელიც პირველმქადაგებელ მოწაფეებს შესაძლოა შეხვედროდათ, როცა ისინი წავიდნენ დასამოძღვრად წარმართებისა მთელ მსოფლიოში.

ასეთი ენობრივი ბარიერი ელოდათ ასურელ მამებსაც საქართველოში, მაგრამ, როგორც ითქვა, სულიწმიდის მიერ მიეცათ არა ზოგადად ცოდნა სხვადასხვა ენისა, არამედ კონკრეტულად, მხოლოდ ქართული ენისა. ქართული ენის ასეთი გამორჩევა უფლის მიერ, რაც იყო თვალისწილელი ფაქტი, ქართველ მრევლს, ცხადია, სიამაყით აღავსებდა. აღიწერება ისეთი მომენტიც, როცა მაგალითად, ქართლის კათალიკოსი შეეგება ასურელ მამებს ასურული ენით, მაგრამ მათ ქართულად უპასუხეს. ასურელი მამები ქართულენვანი მქადაგებლები იყვნენ, უფრო მეტიც, ქართულენვანი მწერლებიც კი, მეცედებლებაში გვაქვს შიო მდვიმელის ქართულენვანი ლექსები. ჩანს, ეს მომენტიც აძლიერებდა ქართველ მამებს, მათ შორის კირიონ I კათალიკოსს, რომელმაც წამოიწყო დიდი საეკლესიო მოძრაობა გუგარქში ქართული ენის თავის უფლებებში აღსაღენად.

ჩვენში, ბოლო საუკუნეში, დამკვიდრდა თვალსაზრისი, რომ ასურელი მამების ქართულენვნება გამოწვეული იყო იმით, რომ თითქოსდა, ისინი იყვნენ ეთნიკური ქართველები და ცხოვრობდნენ



ჩრდილოეთ მესოპოტამიაში. ამ არასწორ თვალსაზრისს, როგორც ვთქვით, აბათილებს წყაროები, კერძოდ კი ასურელ მამათა „ცხოვრებანი“.

ასურელი მამები საქართველოში სირიიდან ჩამოვიდნენ, მოღწეულია მათი ცხოვრებანი, საუკეთესო წყაროები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის.

ისინი ლეონტი მროველის თხზულებამდე გაცილებით ადრეა დაწერილი.

„ასურელ მამათა ცხოვრებანი“ აღმოჩნდა სინას მთის ხელნაწერთა შორისაც ამ ბოლო წლებში. ისინი მე-10 საუკუნეებიდან შედგენილი, ამის აღნიშვნა საჭიროა იმისათვის, რათა გავარკვიოთ ასურელი მამები რომელ ქვეყანაში ჩამოვიდნენ – ქართლში, პერეთში, ალბანეთში თუ კამბეჩანში, მათი „ცხოვრების“ მიხედვით.

მათ ცხოვრებებში სრულიად ნათლად წერია, რომ ისინი გამოემგზავრნენ ქართლში იმის შემდეგ, რაც მათ თვით უფალმა დმერთმა უბრძანა, რომ ქართლში უნდა ჩამოსულიყვნენ და არა სხვა რომელიმე კავკასიურ ქვეყანაში.

საქმე ისაა, რომ ამჟამად, მაგალითად, მიჩნეულია, რომ სტეფანე ხირსელი, ანუ სტეფანე ქიზიყელი, თითქოსდა, კამბეჩანში ქადაგებდა, რადგანაც ხირსა კამბეჩანის ნაწილად მიაჩნიათ, ასევე დავით გარეჯელი, თითქოსდა, პერეთში, ანუ ალბანეთში ქადაგებდა, რადგანაც გარე კახეთის უდაბნო ამჟამად პერეთად (ალბანეთად) მიაჩნიათ, აბიბოს ხეკრესელიც, თითქოსდა, პერეთში ქადაგებდა (შესაბამის საიტზეც, ქიზიყის ხირსას, სადაც სტეფანე ხირსელი ჩამოვიდა, კამბეჩანის პუნქტად მიაჩნევენ, ხოლო საგარეჯოს, სადაც დავით გარეჯელი იღწვოდა – პერეთად ანდა ალბანეთად).

მსგავსი ფაქტების გამო ისმის კითხვა, მათი ცხოვრების მიხედვით, სად ქადაგებდნენ ასურელი მამები, იბერიაში? ალბანეთში? ან იქნებ კამბეჩანში ანდა პერეთში?

პასუხი ასეთია –

მათი ცხოვრება აღწერს, რომ მათ მიიღეს ბრძანება დვთისაგან, რათა წასულიყვნენ ქართველთა ქვეყანაში, ქართლში

და არა ალბანეთში ანდა კამბეჩან-პერეთში. შესაბამისად, ისინი ჩამოვიდნენ ქართლში, კახეთი კი ქართლის ქვეყნის ნაწილი იყო.

არსენ ქართლის კათალიკოსის კვლევაზე დაყრდნობით, ქართლის ცხოვრება წერს – იოანე (ზედაზნელი) ასურეთში უდაბნოში მოღვაწეობდა „მუნ ბრძანება მოიღო ანგელოზისა მიერ, რათა ათორმეტი მოწაფითურთ თვისით წარვიდეს ქართლად“ (ქ. 1, 1955, გვ. 208).

(„იოანემ დვთისაგან მიიღო ბრძანება, რომ თავის მოწაფეოთაგან გამოერჩია თორმეტი, წასულიყვნენ ქართველთა ქვეყანაში, მეუწყა დვთისაგან: ვნახე ყოვლადწმიდა დედოფალი დვთისმშობელი, რომელმაც მიბრძანა, რათა თქვენგან გამოგარჩიო თორმეტი და წავიდე ქართველთა ქვეყანაში. შემდეგ დაადგნენ ქართლისაკენ მიმავალ გზას“.

შიომღვიმის მონასტრის ტიპიკონში ნათქვამია – „ხოლო ოდეს იოვანე, მოძღვარი მისი, უწყებითა დმრთისაითა ქუეყანად ქართლისა მოიწია, ესეცა ნეტარი მის თანავე მოგზაურ იქმნა და მის თანავე მოციქულებრი ქადაგებაი აღასრულა, რომელთა დმერთმან მისცა ენაი ქართულად მეტყუელი“

(ტიპიკონი შიომღვიმის მონასტრისა, 2005, გვ. 178).

ამიტომაც ის ტერიტორია, სადაც მათ იქადაგეს, მათ შორის გარეჯა თუ ხირსა, იყო ქართლში შემავალი მიწა-წაფლი და ალბანეთი.

ამის დაწერა საჭიროა, რადგანაც, მაგალითად, ქართული საიტი „კამბეჩანი“, <https://ka.wikipedia.org/wiki/> 19.01.2021, როგორც აღინიშნა, წერს, რომ „კამბეჩანი ქიზიყია და ის ალბანურ ტომთა გაერთიანებაში იგარაუდება“, კამბეჩოვანი აქ კი სტეფანე ხირსელი და ასურელი მამები ქადაგებდნენ.

არასწორ ცნობას იძლევა საიტი, რომელიც წერს – „ანტიკურ წყაროებში მოხსენებულია სტრაბონთან (ძვ.წ.I-ას.წ. I სს.) როგორც კამბისენე. კამბეჩოვანი ძველი პერეთის ნაწილი იყო, მოიცავდა უფრო დიდ ტერიტორიას, ვიდრე დღევანდელი



ქიზიყი, კერძოდ, ტერიტორიას ალაზნის ქვემო წელსა და მტკვარს შორის...ცენტრი ხორბაძული. გარაუდობენ, რომ უძველეს ხანაში კამბეჩოვანი ალბანურ ტომთა კავშირის გაერთიანებაში შედიოდა. აქ ერთმანეთს ემიჯნებოდნენ იბერიელები (აღმოსავლეთ ქართველები), ალბანელები და სომხები... XV საუკუნის დასაწყისიდან კამბეჩოვანი ქიზიყად იწოდება, გვიან შუა საუკუნეებში შეერწყა კახეთს.

<https://ka.wikipedia.org/wiki/კამბეჩოვანი>  
19.01.2021

მსგავს საიტებსა და კვლევებს ეწინააღმდეგება ასურელ მამათა ცხოვრებათა ცნობები.

ცნობილ 12 ასურელ მამათაგან 6 კახეთში მოღვაწეობდა – „ზენონ და სტეფანე წარვიდნენ კახეთს და მოვლეს იგი ქადაგებითა დუთისათა“. ჭმიდა მამა სტეფანემ, წყაროს ცნობით – „ადაშენა სამყოფელი თვისი“ ხირსის სოფლის ახლოს, მრავალს უქადაგნია კახეთში დავით გარეჯელის მსგავსად.

ზენონ იყალთოელი, აბიბოს ნეკრესელი, იოსებ ალავერდელი, ანტონ მარტინიფელი, დავით გარეჯელი, სტეფანე ქიზიყელი ანუ ხირსელი, მუდამ ქართველ და არა ალბანელ წმიდანებად მიიჩნეოდა, რასაც უპვე ეჭვის ქვეშ აყენებს ჩვენი ზოგიერთი ისტორიკოსი, მითუმეტეს, როგორც გულისტკივილით აღინიშნა, მათ ბოდებც კი ალბანელების ქალაქად მიიჩნიეს.

შეცდომაა, როგორც აღინიშნა, გავრცელებული და დაბეჯითებული მტკიცება იმისა, რომ, თითქოსდა, კამბისენე, კამბეჩონი მდებარეობდა დღევანდელი ქიზიყის ადგილას, კამბეჩონი მდებარეობდა ამჟამინდელი მინგეჩაურის წყალსაცავის ადგილას, ხოლო ქიზიყი – მის ჩრდილოეთით, მის მეზობლად. დავით გარეჯელისა და სტეფანე ქიზიყელის, ანუ ხირსელის ცხოვრებანი აჩვენებს, რომ ქიზიყი არ ყოფილა ნაწილი კამბეჩონისა, ანუ კამბისინესი.

მხოლოდ საუკუნეთა შემდეგ, რაც ასურელმა მამებმა კახეთში იდგაწეს, კერძოდ კი, მე-9 საუკუნეში, სამხრეთ კახეთი მიიტაცა შექის სამეფო (ანუ ჰერეთმა). აი, ამის შემდეგ კახეთის ამ ნაწილს,

გარეგვეული დროით, ჰერეთსაც უწოდებდნენ. მაშასადამე, ეს ასურელი მამები კახეთში იღწოდნენ და მტკიცე ბურჯად ედგნენ წმიდა ქალაქედონურ სარწმუნოებას.

### მდ. ილარიონ ქართველი – დავითგარების მცველი

სამხრეთ კახეთში წმიდა ქალაქედონურ სარწმუნოებას საფრთხე მას შემდეგ შეექმნა, რაც მე-9 საუკუნეში არაბთა უძლეველმა ხალიფამ „არმენის, ივერისა და ალუანქის მეფის“ ტიტული მიანიჭა შაქის, ანუ ჰერეთის მმართველ მონოფიზიტ საპლ სმბატიანს. მას ხალიფამ დიდი ჯარიც მიაშენელა მეზობელი ივერთა ქვეყნის, ანუ კახეთის დასაპყრობად.

ამ დროს დავით-გარეჯი წარმოადგენდა ბურჯს წმიდა მართლმადიდებელი სარწმუნოებისა მთელს იმჟამინდელ ქართულ სამყაროში, ამიტომაც კახეთის ქორეპისკოპოსების, დონაურების საგვარეულო მის გაძლიერებას ცდილობდა. ამ მონასტრის სამმოს, დაახლოებით 838–839 წლებში შეემატა ამ საგვარეულოს წევრი, წმიდა ილარიონ ქართველი.

ჰერეთის, ანუ ალბანეთის მეფედ წოდებულმა მონოფიზიტმა საპლ სმბატიანმა მე-9 საუკუნეში, 840-იან წლებში, მიიტაცა სამხრეთ კახეთი, იორ-ალაზნის შესართავის ზემოთ, ვიდრე გავაზამდე. მიტაცება მიუდებელი იყო ქართული სამყაროსათვის. გავაზისა და სამხრეთ კახეთის მიწების გასათავისუფლებლად იბრძოდნენ კახეთის ქორეპისკოპოსები და აფხაზთა მეფეები.

შაქ-ჰერეთის სომები მეფეების აგრესის მიუხედავად, მე-9 საუკუნეში, დავით-გარეჯის მონასტრები როგორც იყვნენ, ისეთივე ქართულ-მართლმადიდებლურ მონასტრებად დარჩნენ როგორც იოქვა, მათ განსაკუთრებით მფარველობდა გარდაბნის ძლიერი ოლქი და იქაური ძლიერი საგვარეულო დონაურებისა, რომელთა წიაღიდანაც ინიშნებოდნენ წანარ-კახთა ქორეპისკოპოსები. დონაურების დიდი საგვარეულოდან ერთ-ერთი, წმიდა ილა-



რიონ ქართველი, პირადად დავითგარეჯში დაეყუდა და იცავდა მას მონოფიზიტური აგრესიისაგან.

მე-9 საუკუნეში წმიდა ილარიონ ქართველმა უდიდესი დვაწლი დადო დავითგარეჯის ქართული საეკლესიო სულის გაძლიერებას.

მისი ბიოგრაფის ცნობით, ილარიონ ქართველი დაბადებულა 822 წელს დონაურების მდიდარ კახურ ოჯახში, 12 წლისა ადგევილა ბერად, 16 წლისა გადავიდა დავითგარეჯელის ლავრაში, განაახლა და გაამშვენა წმ. დავით გარეჯელის სამკალე. გარეჯის მონასტრები რუსთველის საეპისკოპოსოში შედიოდა და ის აქ მდგდლად აკურთხა რუსთველმა ეპისკოპოსმა.

30 წლის ასაკამდე წინამძღვობდა, შემდეგ კი მსოფლიოს წმიდა ადგილების მოსალოცად გაემგზავრა, იორდანის უდაბნოში იცხოვრა 17 წელი, დაბრუნდა საქართველოში, თავის მშობლების სახლში მონასტერი დააფუძნა და თვითონ კვლავ დავითგარეჯის ლავრაში დაეყუდა და მას თავისი ქონების ნახევარი შესწირა, შემდეგ კვლავ უცხოეთში გაემგზავრა, ოლიმპზე 5 წელი გაატარა, ესტუმრა კონსტანტინოპოლისა და რომს, თესალონიკში იცხოვრა სამი წელი და გარდაიცვალა 882 წელს. ის წმიდა წერილს თარგმნიდა ქართულ ენაზე, უდიდესი ავტორიტეტი პქონდა საიმპერატორო კარზე. მისი ცხოვრების ცნობით, მაკედონელთა დინასტიის პირველმა იმპერატორმა ბასილი I-მა მას თავისი შეილები, ალექსანდრე და ლეონი დაუმოწაფა, იმპერატორმა თხოვა, რათა ილარიონს ამ უფლისტულებისათვის ქართული ენა ესწავლებინა.

იმპერატორ ბასილი I-ის წინაპრები მაკედონიაში გადასახლებულან არმენიოდან მე-5 საუკუნეში. არმენიას იმჟამად ასევე უწოდებდნენ მცირე აზიის ნაწილს ტრაპეზინგის მიმართულებით. ამ მიწაწყალზე დიდი იყო იბერიული მოსახლეობის წილი.

ბასილი I-ს სურდა, რათა მათ შვილებს, მომავალ იმპერატორებს, ესწავლათ

ქართული ენა და ეს საქმე დაუვალებია წმ. ილარიონ ქართველისათვის. ეს უცნაური ფაქტი, რომ ბიზანტიის ეს იმპერატორი თავის შვილებს ქართულ ენას ასწავლიდა იძლევა საფუძველს მოსახლებისა, რომ მიუხედავად მაკედონიაში ცხოვრებისა, ჩანს, ბასილის წინაპრების ოჯახში იყო მოგონება თავიანთი ქართული წარმოშობისა, ალბათ ამიტომ, ბასილის მშობლიურ გრძელებს ადუმრავდა ქართული ენის მოსმენა და თუნდაც სიახლოვე ქართველ ბერთან, ამიტომაც მან დიდი პატივი სცა მას და შემდგომ, დიდებულებით დაკრძალა ილარიონ ქართველი.

როგორც ითქვა, ილარიონ ქართველი დონაურთა სახელოვან საგვარეულოს განეკუთვნებოდა. ცნობილია კახეთის ორი ქორეპისკოპოსი დონაურათა გვარიდან, მმები სამოელი და გაბრიელი. დონაურები გარდაბნელები იყვნენ. გარდაბანი იყო ძველი საქართველოს ერთ-ერთი პროვინცია, ნაწილი კახეთისა მოქცეული ამჟამინდელი აზერბაიჯანის ქალაქ განჯიდან ვიდრე სამშვილდემდე. ის იყო ქართველთა ეთნოგრაფიის ერთ-ერთი დიდი კერა, რადგანაც მისი სახელი მოდის ქართველთა ეთნარქ ქართლოსის შვილის გარდაბოსის სახელისაგან, რომელსაც ქართლის ცხოვრების ცნობით, წილად ხვდა ეს ქვეყანა. ამ ქვეყანაში დაარსა ქართლოსმა ორი ქალაქი – სამშვილდე და ხენანი. ხემო გარდაბნის ოლქს აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრებოდა დავითგარეჯის უდაბნოების მონასტერები, სადაც ერთ პერიოდში დაეყუდა წმ. ილარიონ ქართველი. დავითგარეჯის უდაბნოების მიწაწყალს, ქალაქ ბოდინთან ერთად, ჩანს, მე-4 ქვეყანაში სოჯის, სუჯის ქვეყანა ერქვა და ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა, რომლის პირველი გამოხატულება იყო სოჯი და დოფალი, რომელიც მცხეთაში მოინათლა.

დონაურები არა მხოლოდ ამ ვრცელ მხარეს, არამედ მართავდნენ მთელ კახეთს, რომელიც, ზოგადად, ამ ოლქის (გარდაბნის) აღმოსავლეთით მდებარეობდა (იორ-ალაზნის შესართავიდან და გიშისწყლიდან ვიდრე არაგვამდე).



წმიდა ილარიონ ქართველის სენების დღე 19 ნოემბერი ძველი სტილით, მისი ტროპარი ამბობს, რომ მისი მადლით ხარობს ქართველი ერი, ხოლო კონდაკი აღნიშნავს, რომ ქართველი ერი მას პატივით აქებს.

### ტროპარი

„მადლი პპოვა სოფელმან შობითა შენითა, დირსო, და იხარებს ერი ქართველთა მის შორის აღმოცენებისა შენისათვის, რამეთუ ხედვენ შორის მადლსა საღმრთოსა მქონებელად, რომელმან ანგელოზებრ უხორცო აჩუენე ცხორებამ, და სასწაულთა მოქმედებითა შეიმკუე მოდუაწეთა შენინერებათ ილარიონ, ეველი ქრისტესა დმერთსა შეწყალებად სულთა ჩუენითათვის“.

### კონდაკი

„სიერმით შენითგან დირსო, იწყე აღმოსლვად ხარისხთა სათხოებისათა, და სოფლისა დამტევებელმან არად შერაცხენ სიმღიდრენი მისნი, რომელი აღყუავდი სახლსა შინა დმრთისასა მსგავსად ფინიკოსა, ილარიონ სამ-გზის სანატრელო, ვინა ყოველნი ერნი ქართველთანი პატივით გაქებთ, ვითარცი მამასა და მეოხესა ჩუენსა“.

სინას მთის წმ. გაატერინეს მონასტრის გასაშლელი ხატის მესამე დაფაზე არის წარწერა „მნათობნი ქართველთანი, პეტრე იბერი, ილარიონ ქართველი და შიო მღვიმელი“, ამავე დაფაზეა წარწერები – „მაქსიმე აღმსარებელი, საბა. პეტრე. აავლენ“.



მეუფე ანანია სინას მთის მონასტერში  
წმ. ილარიონ ქართველის ხატთან

### პახეთის ძორების პოლიტიკი დონაშოთა საბგარეულოდან

მექელმა მქადაგებელმა მუპამედმა ახალი რელიგიით (ისლამით) გააერთიანა არაბები და საფუძველი ჩაუყარა ხალიფატს, სახელმწიფოს, რომელმაც 632 წლიდან ერთ საუკუნეში მოიცვა ვრცელი მიწა-წყალი ესპანეთიდან ინდოეთამდე.

თავისი ძელი სახე დაკარგეს ქრისტიანობის იმჟამინდელმა ცენტრებმა – მათ შორის ეგვიპტემ, ხრდილოვთ აფრიკამ, სირიამ და სხვა. ისლამი გავრცელდა ცეცხლთაყვანის მცემელთა ირანში, რამაც მისი ისტორია და უძველესი პულტურა შეცვალა. ხალიფატის ძირძველი მოსახლეობა ძირითადად გაარაბდა.

VIII–XII საუკუნეები არის არაბული კულტურის აყვავების პერიოდი. ამ ეპოქაში გაიფურჩენა არაბული პოეზია, პროზა, დაიწერა ძალზე მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოებები, იურიდიული კოდექსები და ფილოსოფიური ტრაქტატები. ეს ეპოქა „ისლამის ოქროს საუკუნეა“, დიდად განვითარდა მედიცინა, გეოგრაფია, ისტორია, მათემატიკა, ასტრონომია და სხვა. არაბები თავიანთი სამეცნიერო დარგების წარმატებებს იყენებდნენ ისლამის გავრცელების საშუალებად. ამ დროს ისლამს ავრცელებდნენ ძირითადად განათლებული მოქალაქეები. ეროვნული გადაგვარების თუ რა საფრთხე აიცილა ქართველმა ხალხმა შეიძლება ჩანდეს ერთი მაგალითთი –

დიდი ნაწილი მრევლისა, მაგალითად, ანტიოქიის საპატრიარქოსი, რომელიც დააფუძნა პეტრე მოციქულმა და რომელმაც უძლვნა მსოფლიოს იოანე ოქროპირი, ეფრემ ასური და სხვა მრავალი წმიდანი, განუდგა ქრისტიანულ სარწმუნოებას და ისლამი აღიარა. თუმცა ქრისტიანული სარწმუნოება შეინარჩუნა მრევლის მცირე, მაგრამ თავდადებულმა ნაწილმა, იერუსალიმისა და ანტიოქიის საპატრიარქოებში. აი, ასეთ გარემოში შეძლო გმირული სულისკვეთების მქონე საქართველოს ეკლესიამ თავისი მრევლის, ანუ ქართველი ერის სარწმუნოების შენარჩუნება.



რუკა კონსტანტინოპოლისა, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის  
საპატრიარქოების იურისდიქციისა.

[https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/b/bc/1800\\_Wilkinson\\_Map\\_of\\_the\\_4\\_Eastern\\_Churches\\_rectified.jpg](https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/b/bc/1800_Wilkinson_Map_of_the_4_Eastern_Churches_rectified.jpg)



აქედან ჩანს, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქო თავის იურის-დიციას ავრცელებდა არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ის მოიცავდა მხოლოდ ამჟამინდელ ლაზისტანს (თურქეთში). რუკაზე არ არის აღნიშნული, მაგრამ ანტიოქია თავის იურისძიეციას ავრცელებდა სირიაში, არაბეთში, კილიკიასა, ივერიასა და პალესტინაში. ეს ასახულია მის ტიტულატურაში – „პატრიარქი დიდისა და ფილის ქალაქისა ანტიოქიისა, სირიისა, არაბეთისა, კილიკიისა, ივერიისა, მესოპოტამიისა და მთელი აღმოსავლეთისა“.

ის, რომ ანტიოქიის პატრიარქი თავის თავს „ივერიის“ პატრიარქსაც უწოდებს, გაუგებრობის წყაროა, მაგრამ აქ „ივერიის“ ქვეშ იგულისხმება არა თანამედროვე საქართველო, არამედ ამჟამად თურქეთში მოქცეული ქართველების ისტორიული მიწა-წყალი – არზრუმსა და ვანის ტბას შორის, რომელსაც ძველი ჩვეულების თანახმად, ანტიოქიაში „ივერიას“ უწოდებდნენ. ბიზანტიაში ივერიას ასევე უწოდებდნენ. გათბასიანის ქართულ ქვეყანას, სადაც შემდგომში „ქართველთა სამეფო“ ჩამოყალიბდა.

როგორც ითქვა, ისლამი მიიღო მთელი მისი კულტურით ასევე ისეთმა დიდმა ქვეყნებმა, როგორიც იყო, მაგალითად, ირანი და ეგიპტე. ასეთ დროს ქართველმა ხალხმა შეინარჩუნა თავისი ქრისტიანული სარწმუნოება, ამასთანავე, მტკიცედ დაიცვა ქალკედონიტობა, მიუხედავად იმისა, რომ მტკირი კავკასიაში მხარს უჭერდა სომხურ მონოფიზიტურ ქრისტიანობას.

მიუხედავად მცდელობისა და ლაშქრობისა არაბებმა ვერ შეძლეს დასავლეთ საქართველოს, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისა და კახეთის დიდი ნაწილის დაყრობა, თუმცა მათ საქართველოს გული, თბილისი დაიპყრეს ქვემო ქართლთან ერთად და იქ თავისი საამირო დააარსეს.

არაბთა შემოსევის წინ საქართველო სასტიკად იყო დაზარალებული და განადგურებული ბიზანტიის კეისრის პერაკლეს შემოსევის გამო და ქვეყანამ არაბებს ვერ გაუწია სათანადო წინააღმდეგობა.

პირველად არაბების ლაშქარი საქართველოში 642–643 წლებში გამოხნდა. როგორც ითქვა, მათ შემოსევამდე სულ რამდენიმე წლით ადრე საქართველოს სახელმწიფო ბრიობის ძლიერ შეარყიდა პერაკლე კეისარმა და ქართლის სამეფოს მნიშვნელოვანი ტერიტორიები წაართვა.

ის საქართველოს გზით შევიდა სპარსეთში და სასანიდების სახელმწიფო ბრიობის ბოლო მოუდო. პერაკლეს თბილისში შეუერთდა ხაზართა ლაშქარი და დაიწყეს თბილისის ციხის აღების იერიში.

თბილისის ციხეში კი თავი მოიყარეს სასანიდების მომხრე ქართველმა დიდებულებმა, ამიტომ მტკირმა 627 წელს ვერ შეძლო ციხის აღება, მეციხოვნეუბმა კი დასცინეს იმპერატორ პერაკლეს, რამაც ის განარისხა, იმდენად, რომ მემატიინის სიტყვით, ის ქართველ ქრისტიანებს ეკლესიებშიც კი ხოცავდა, ქართული ხელისუფლება კი დასაჯა.

VII ს-ში ბიზანტიის იმპერატორის ქართლში მოსვლასთან დაკავშირებით ჩვენი წყარო წერს –

პერაკლე „წარმოემართა სპარსეთად, ძებნად ძელისა ცხოვრებისა და მივიდა პირველად ქართლს“ (ქ.ც., გვ. 224). ამ შემთხვევაში ჩვენი თემისათვის მნიშვნელოვანია ის, რომ მან, ქართლის ცხოვრების ცნობით, სამეფო ტახტი დაუბრუნა ხოსროიანთა დინასტიას.

პერაკლემ თბილისში მისვლის შემდეგ ბაგრატიონებს ჩამოართვა მეფობა და დაუბრუნა კახეთში დარჩენილ ფარნავაზიან-ხოსროიანების დინასტიის წევრს – ადარნასე (ბაკურის ძე) ერისთავს, მაგრამ ტრაგედია იყო ის, რომ მან ქართლის სამეფოს საზღვრები დაამცრო, ანუ მას წაართვა ძირძღვლი მიწა-წყალი – სპერი და ბოლო კლარჯეთისა ზღვისპირი. ეს ქართული მხარეები ჯერ კიდევ იუსტინიანეს დროს იყო მიტაცებული, სადაც მან ბუფერული სახელმწიფო ბრივი ერთეული დაარსა, რომელსაც ლაზიკის ბასილევსი ჩაუკენა სათავეში. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მიტაცებული სპერისა და ზღვისპირა კლარჯეთის



ერისთავები ბაგრატიონები იყვნენ, მათ კი კლარჯეთის ზღვისპირა საერისთავო ბიზანტიის იმპერიის სფეროში შეიყვანეს, შემდგომში ეს მიწები დაბრუნებია ქართლს, მაგრამ პერაკლეს ისინი „კვალად“ წაუდია.

„მაშინ კეთლად წარიდეს ბერძნებმა საზღვარი ქართლის: სპერი და ბოლო კლარჯეთისა ზღვისპირი და შვილნი სტეფანოზისნი (ბაგრატიონისა, გურამის ძისა) დარჩეს კლდეთა შინა კლარჯეთისათა, სხვა ყოველი ქართლი დაიპყრა ადარნასე ბაკურის ძემ (ხოსროიან-ფარნავაზიანმა) მთავრობით“ (გვ. 226).

[როგორც ითქვა, იქამდე ქართლის საზღვრებში შედიოდა სპერი და ბოლო კლარჯეთისა – ზღვისპირი, ეს ტერიტორიები პერაკლემ მიიტაცა].

„ხოლო ერეკლე მეფე შევიდა სპარსეთს და მოკლა ხუასრო მეფე და წარიდო ბალდადი და წარმოიყვანა ძელი ცხოვებისა, უკუმოიარა გზა ქართლისავე მეშვიდესა წელსა რაითგან ჩაევლო... მაშინ ერეკლე მეფემან წარისუნა მანგლისით და ერუშეთით ფერხთა ფიცარნი და სამსჭუალნი უფლისა ჩვენისა იქსო ქრისტესნი, რომელიც მოცემულ იყვნეს კონსტანტინესაგან მირიანისადა“ (ქ.ც., ტ. I, გვ. 227). „და აღმოვლო ერეკლე კეისარმან გზა რანისა და მეორედ შემოვიდა ქართლად“ (ქ.ც., ტ. I, გვ. 231).

არაბთა შემოსევების შემდეგ იმპერიამ მიატოვა „შუამდინარეთი და ფილისტიმი“ 632–641 წლებში პერაკლე კეისრის დროს.

იმ სისასტიკით, რაც პერაკლე კეისარმა საქართველოში გამოიჩინა, ასევე, არასწორი სარწმუნოებრივი პოლიტიკით, მისი დრმა კავშირით („უნიოთ“) სომხურ ეკლესიასთან, პერაკლემ მისი ბუნებრივი მოკავშირე – საქართველო სრულიად დაასუსტა და არაბებს გზა გაუხსნა თბილისისაკან. საბოლოოდ, სპარსეთის სახელმწიფოს განადგურებამ ხელი შეუწყო ისლამის გავრცელებას.

საერთოდ კი, აღმოსავლეთის ქრისტიანები, მათ შორის სირიაშიც, არაბების შემოსევამდეც მტულად იყვნენ განწყობ-

ილი ბიზანტიური საიმპერატორო კარისა და ოფიციალური ეკლესიის მიმართ, ამიტომაც სწრაფად მიიღეს ისლამი.

ბიზანტიის არათანმიმდევრული სარწმუნოებრივი პოლიტიკა ხელს უწყობდა იმპერიის ცენტრში მრავალი მწვალებლობის გავრცელებას, მათ შორის ხატმებრძოლობასა და მონოთელიტობას. ასეთ დროს მისმა იმპერატორმა პერეკლემ მართლმადიდებელი ქართველობაც არ დაინდო „როცა მათ ეკლესიებში სისხლის მდინარეები დააყენა“, ხოლო სომხური ეკლესია, შეიძლება ითქვას, რომ განადიდა, ყურადღების მიპყრობითა და შეთანხმებით და, როგორც ითქვა, მასთან უნია დადო.

პერაკლე კეისრის წასვლიდან მალევე 642–643 წლებში არაბები საქართველოში შემოიჭრენ. მართალია, მალევე უკუიქცენენ, მაგრამ 652 წლის შემდეგ კვლავ დაბრუნდნენ და ქართლი დაიმორჩილეს ჰაბიბი იბნ მასლამას მიერ 654–655 წლებში.

არაბებს ორი წელი უხდიდნენ ხარქს ქართველები, შემდეგ კი შეწყვიტეს. ასპარეზზე კვლავ ბიზანტია გამოჩნდა და მათაც ქართველობა დახარკეს.

685 წლიდან ქართველები ხარკს ორივე დამპყრობელს უყოფდნენ.

ერისმთავარი ნერსე I (დაახლოებით მე-7 ს-ის 80-იან წლებში) სათავეში ჩაუდგა აჯანყებას. ფიქრობენ, რომ ის ატენის სიონის ერთ-ერთი მაშენებელია.

ატენის სიონის კედლის მინაწერებიდან ჩანს, რომ ქართლი და ეგრისი ამ ეპოქაში ერთიანი ხელისუფლის, ქართლის ერისმთავარ სტეფანზ III-ის მიერ იმართებოდა.

მას ატენის სიონის წარწერაში ეწოდება – „კურთხეული მაფალი სტეფანზ, დმრთისა მიერ ქართველთა და მეგრელთა ერისმთავერისთავი უფალი“, რაც მიუთითებს ჩვენი ეროვნული წყაროს – „ქართლის ცხოვრების“ ცნობების სისწორის შესახებ, იმის შესახებ, რომ ქართლის სამეფო და, ზოგადად, ქართლის პოლიტიკური ერთეული თავისი საზღვრების შიგნით მოიცავდა ასევე დასავლეთ



საქართველოს, როგორც სტეფანოზისა და მისი შვილების, მირისა და არჩილის დროს, ისე წინა საუკუნეებში.

ამიტომაც არასწორი უნდა იყოს ამჟამინდელი ოვალსაზრისი, რომ არაბები მე-7 საუკუნის ბოლოს დასავლეთ საქართველოს მართავდნენ სერგი ბარნუკის ძის დროს.

697 წ. ბიზანტიულთა წინააღმდეგ აჯანყებული სერგი ბარნუკის ძე მმართველი იყო არა ეგრისისა, არამედ ამჟამინდელი ლაზისტანისა, რომელსაც ბიზანტიურ წყაროებში ლაზიკა ერქვა.

ლაზიკის მმართველ სერგის ბიზანტიულების წინააღმდეგ აჯანყების დროს არაბები მოუწვევია და მათ არქეოპოლისი დაუკავებიათ. ამ არქეოპოლისის ქვეშ არ იგულისხმება ციხე-გოჯი. ის ლაზისტანის მხარეს, უფრო ჭოროხის ხეობისაკენ უნდა ვეძიოთ, ხოლო რაც შეეხება ციხე-გოჯს, ის, წყაროს თანახმად, ამ ვპოქაში ქართლის მეფების, მირისა და არჩილის სატაცო გახდა ქუთაისთან ერთად (თბილისის დაკარგვის შემდეგ). წყარო წერს –

„ხოლო არჩილ ... რქეა „გურთხეულ იყავ შენ უფლისა მიერ... წარვალ და დავეშენები ციხე-გოჯს და ქუთათის“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 242).

კერძოდ, როგორც აღინიშნა, ატენის სიონის წარწერაში აღინიშნულია, რომ ქართლის ერისმთავარი (710-იანი წლებიდან 740-იან წლებამდე) სტეფანი III (მამა ქართლის მეფე მირისა და არჩილისა) იყო – „ღმერთისა მიერ ქართველთა და მეგრელთა ერისთავთ ერისთავი უფალი“.

მართლაც, წყაროს ცნობით, მე-8 სის დასაწყისისათვის ქართლის მეფე მირი სტეფანოზის ძე ფლობდა „საუხუცესო“ მიწებს – ეგრისს, სვანეთს, არგვეთსა და გურიას.

არაბთა შემოსევებით დასუხტების გამო მეფე მირმა თავისი სახელმწიფო „ქართლის სამეფო“ დაშლილად გამოაცხადა და თავისი ძმის, არჩილის ხელით გაუნაწილა სუვერენული ოლქების სახით თავის სიძეებს, ანუ მეფე მირის ქალიშვილების ქმრებს.

მეფე მირის ძმა, წმიდა მეფე არჩილი (დაახლოებით, 670-იანიდან 730-იანი წლების ჩათვლით) ერთხანს სამეფო საუხუცესო მიწაზე, დასავლეთ საქართველოში ცხოვრობდა, შემდეგ კი კახეთში გადავიდა, აქ მმართველობის დროს მან მიიღო წმიდა მოწამის გვირგვინი.

738 წელს, მისი სიკვდილით, ქართლის სამეფო ფაქტობრივად გაუქმდა, ქართული წყაროების ცნობით, ქართლის სამეფო აერთიანებდა ქვეყნის ორივე გეოგრაფიულ, მის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებს.

საქართველოს გული, როგორც ითქვა, მე-8 საუკუნიდან თბილისის სამირომ დაიკავა.

მურვან ყრუმ 735–736 წლებში საქართველოს სრულად დაპყრობა სცადა თავისი დიდი ლაშქრით.

აღნიშნული ქართველი მეფეების, მირისა და არჩილის შეპყრობა და დაპატიმრება მისი უმთავრესი სამიზნე ყოფილა, მაგრამ ეს ვერ შეძლო. შაქართველოს განაპირა მხარეები მტერმა ვერ დაიყრო, მათ შორის ეგრისი და კახეთი.

აღმოსავლეთ საქართველოში ქართლის სამეფოს საერისთავოთა (III–IV სს.) ჩამონათვალში შედის კახეთისა და ხუნანის საერისთავოები.

„ამაზასპ უწოდა ყოველთა ერისთავთა ქართლისათა და მოვიდეს ერისთავი აღმოსავლისანი: ერისთავი კახეთისა, ერისთავი ხუნანისა, ერისთავი სამშვილდისა და შემოკრეს მხედარნი სპასპეტისანი და ვიდრე მოსვლამდე დასავლეთისა ერისთავისა მოვიდეს ოვსნი“ (ქც., I, გვ. 55). დასავლეთის ერისთავები ეწოდებოდა დასავლეთ საქართველოს ერისთავებს, ისინიც ქართლის ერისთავთა წრეს განეკუთვნებოდნენ.

ქართლის „ზემო ერისთავები“ არიან აღნიშნული „აღმოსავლეთის ერისთავები“ – ერისთავი კახეთისა, ერისთავი ხუნანისა და ერისთავი სამშვილდისა, ხოლო „ქვემო ერისთავები“ არიან „დასავლეთის ერისთავები“ – ორი ერისთავი ეგრისისანი, ერთი ოძრხისა, ერთი კლარჯეთისა და ერთი წუნდისა. ისტორიულად, „ზემო ქვეყანა“ ერქვა აღმოსავლეთ სა-



ქართველოს, ხოლო „ქვემო ქვეყანა“ – დასავლეთს, შესაბამისად, „ზემო ივერია“ – აღმოსავლეთს, „ქვემო ივერია“ – დასავლეთს.

ქართლის სამეფოს საერისთავოებში ვახტანგ გორგასლის დროს (V ს.) შედიან კახეთ-ჯუხეთის, პერეთისა და ხუნანის საერისთავოები, კერძოდ, ვახტანგ გორგასლის ერისთავებია:

1. ჯუანშერ სპასპეტი მპყრობელი შიდა ქართლისა,
2. დემეტრე, ერისთავი კახეთისა და კუხეთისა,
3. გრიგოლი, ერისთავი პერეთისა,
4. ნერსარან, ერისთავი ხუნანისა,
5. ადარნასე, ერისთავი სამშვილდისა,
6. სამნალირ, ერისთავი შიდა ეგრისისა და სუახეთისა,
7. ბაქურ, ერისთავი მარგვისა და თაკვერისა,
8. არტავაზ, ერისთავი კლარჯეთისა,
9. ნასარ, ერისთავი წუნდისა,
10. ბივრიტიან, ერისთავი ოძრხისა,
11. საურმაგ, ეჯიბი მისი დიდი (ქ. ც. I. 185).

ვახტანგ გორგასლის დროის თორმეტ ეპისკოპოსს შორის ხორნაბუჯის ეპისკოპოსი კახეთს მწყსიდა, ხოლო ჩელეთის საეპისკოპოსო – ამჟამინდელი შაქის ოლქის ჩრდილოეთ მხარეს, რადგანაც, ჩვენი კვლევით, ქალაქი ჩელეთი ეკუთვნოდა კახეთს და ის მდებარეობდა ამჟამინდელი შექის ოლქის მთიანეთში, ახლოს ამჟამინდელ სოფლებთან, ხალხალი და ფილფილი, რომელთა ახლოსაც, მდინარე გიშისწყლის სათავესთან მდებარეობდა პერეთთან სასაზღვრო პუნქტი ტყება-გულგულა (შესაბამისად, ტყება-გულგულა არ მდებარეობდა ოელავთან, ხოლო ჩელეთი – თიანეთთან).

1. „და სამოელ ეპისკოპოსად მცხეთასავე საეპისკოპოსა;
2. დასვა ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთს ეკლესიასა ახიზისას;
3. ერთი არტანს, ერუშეთს;
4. ერთი ჯავახეთს, წუნდას;
5. ერთი მანგლისს;

6. ერთი ბოლნისს;

7. ერთი რუსთავს;

8. ერთი ნინოწმიდას, უჯარმის კარს;

9. ერთი ჭერემს;

10. ერთი ჩელეთს;

11. ერთი ხორნაბუჯის;

12. ერთი აგარაკს, რომელ არს ხუნანს გამართებით“ (ქ.ც.გვ. 199).

ქართლის ცხოვრების (VI ს.) ჩამონათვალში „ზემონი და ქვემონი ერისთავნი“ შედიან კახეთისა და ხუნანის (შემდეგი გარდაბნის ოლქის) ერისთავები –

„შეითქუნეს ყოველი ერისთავნი ქართლისანი – ზემონი და ქვემონი“ (ქ.ც. გვ. 218).

ქართლის „ზემო ერისთავები“ არიან აღნიშნული „აღმოსავლეთის ერისთავები“ – ერისთავი კახეთისა, ერისთავი ხუნანისა და ერისთავი სამშვილდისა,

ქართლის სამეფოს ერისთავები მეფების, მირისა და წმ. არჩილის დროს (VIII ს.)

ერისთავები, რომელთაც შერთეს მირ მეფის ქალიშვილები:

1) „ხოლო არჩილ მოუწოდა ერისთავთა ქართლისათა და მისცნა ძმისწულნი მისნი: ერთი მისცა მამის ძმისწულსა მისსა, შვილსა გუარამ კურაპალატისასა, რომელსა პქონდა კლარჯეთი და ჯავახეთი.

2) „მეორე მისცა პიტიახშასა, ნათესავსა ფეროზისასა, რომელ მთავრობდა თრიალეთს, ტაშირს და აბოცე“ – ესაა გარდაბნის ოლქის ჩრდილოეთი მხარის ნაწილი.

3) მესამე მისცა ნერსეს ნერსიანსა, რომელი იგი იყო წარჩინებული ვახტანგ მეფისა. (მან, ჩანს, დაიმკვიდრა კახეთი)

4) მეოთხე მისცა ადარნასეს ადარნასიანსა და ორთავე ამათ განეყო ზენა სოფელი, რომელ არს ქართლი.

5) მეხუთე მისცა ვარაზმანს და მისცა კოტმანიოგან ქურდისხევამდე. იყო ესე ვარაზმან ნათესავი სპარსთა ერისთავისა ბარდაველისა, რომელ იყო დედის მამა ვახტანგ მეფისა.



(გარდამნის ოლქის სამხრეთი ნაწილის შემდგომი ერისთავი უნდა იყოს)

6) მექქვე მისცა ჯუანშერს ჯუანშერიანსა, რომელ იგი იყო ნათესავი მირიან მეფისა, შვილთაგან რევისათა, და მისცა ჯუარი და ხერკი და ყოველი მთიულეთი, მანგლისის ხევი და თბილისი.

ხოლო ნაწილი არჩილისი იყო განზოგადებით გამონაყოფი ყოველთა ამათ ხევთაგან... ჯუანშერს უმეტესი ნაწილი მისცა.

7) ხოლო არჩილ მოუწოდა ლეონს და რქეა „აურთხეულ იყავ შენ უფლისა მიერ... აწ უწყიეს შენება კლისურითგან აღმართ, წარვალ და დავეშენები ციხეგოვანს და ქუთათისს.

(დასავლეთ საქართველო და მისი ცენტრები კი, ციხე-გოვანი და ქუთათისი არჩილის სამკვიდროს ნაწილად იქცა)

ე.ი. „კლისურიდან აღმართი“ ქვეყანა – ლიხის მთიდან კლისურამდე – ქართლის მეფეთა ოჯახის „საუხუცესო“ მიწა-წყალი იყო, ამიტომ არაბთა შესუსტების შემდეგ აქ, ციხე-გოვანსა და ქუთათისში, ტახტი დაიდო არჩილმა აფხაზეთიდან უკან დაბრუნების შემდეგ. ეს ქვეყანა მეფის ქალიშვილ გურანდუხესა და არჩილს ხვდათ წილად (დანარჩენ ქალიშვილებს აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო ერგოთ).

არჩილი დაემკვიდრა კახეთში. ამჟამად მიჩნეულია, რომ „ყოველი მთიულეთი“ იყო თავდაპირველი კახეთი“ (<https://ka.wikipedia.org/wiki/კახეთი>).

არასწორადაა მიჩნეული, რომ „უძველეს დროს კახეთი გაცილებით მცირებერიტორიას მოიცავდა, მხოლოდ ერწოთიანეთსა (მდ. ივრის ზემოწელი) და ფხევს (მდ. არაგვის მარცხენა ნაპირი).“

მაგრამ, წყაროს ცნობიდან გამომდინარე, ეს მოსაზრება არასწორია, რადგანაც ერწოთიანეთი შედიოდა „ყოველ მთიულეთში“, რომელსაც უკვე პყავდა თავისი მფლობელი, ამიტომაც არჩილს ადარ გააჩნდა მის მიწაზე უფლება, კერძოდ, „ჯვარი, ხერკი და ყოველი მთიულეთი“ უკვე ეკუთვნოდა ჯუანშერ-ჯუანშერუანს.

წყარო წერს – „ჯუანშერს ჯუანშერიანსა... მისცა ჯუარი და ხერკი და ყოველი მთიულეთი, მანგლისის ხევი და თბილისი“.

მაშასადამე, ის კახეთი, სადაც დაემკვიდრა არჩილი, არ იყო „ყოველი მთიულეთი“, შესაბამისად, არც ერწო-თიანეთი.

რატომ? თუნდაც იმიტომ, რომ არაბები ქართველ დიდებულთაგან განსაკურებით დევნიდნენ ხოსროიანი მეფების შთამომავლებს, ანუ ქართლის სამეფოს დინასტიას, ვახტანგ გორგასლის შთამომავლებს.

ერწო-თიანეთი ძალზე ახლოს იყო თბილისის საამიროსთან და ამიტომ არჩილს ხელში აღვილად ჩაიგდებდნენ, ამიტომაც შეაფარა მან თავი ჯერ შორეულ ანაკოფიას, შემდეგ დასავლეთ საქართველოს სხვა ნაწილებს, დაბოლოს, გადავიდა კახეთის უკიდურეს ნაწილში, კახეთის მთიულეთში და ასევე მთის ოლქ შაკისში, ამჟამინდელ შაქთან, რადგანაც ისინი იმჟამად ითვლებოდა კახეთის ნაწილებად და მათზე სუვერენული უფლება პქონდა არჩილს.

ის იყო ამ მიწების მფლობელი და არაბების მიერ გამოწვეული კრიზისის გამო იძულებული გახდა, საკუთარი მიწები გადაეცა თავისი ვასალებისათვის, მან კახეთის დიდი ნაწილი გადასცა თავის ტაძრების, ანუ სამეფო გვარდიის წერებს. ისინი, აღბათ, რამდენიმე ასეული მაინც იქნებოდა, ამიტომაც მათ დიდ ფართობს გადასცემდა, შემდეგ კახეთის მთიულეთის (ანუ დასავლეთ დაღესწის) ნაწილი გადასცა თავის ვასალს, ხოლო შემდეგ თავის ნათესავ-მოგვარე ბაგრატიონებს, რომლებმიც მასთან მივიდნენ სომხეთის ოლქ ტარონიდან. მათ გადასცა ციხე-ქალაქი შაკისი ანუ შაქი.

იქვე აღნიშნულია, რომ მათ გადასცა შაკისი „ვიდრე ბულგულამდე“. ღობორც ქვემოთ მრავალჯერა მითითებული ბულგულა ერქვა კაგბასიის ქედობან, ანუ ბუნებრივ სასაზღვრო ხაზთან მდებარე პუნქტს გიშისწყლის სათავეში. ყველა ეს ოლქი კახეთის ნაწილად ითვლებოდა.

კახეთი ერქვა მიწა-წყალს მდინარე არაგვიდან ვიდრე იორ-ალაზნის შესარ-



თავამდე, ვიდრე სასაზღვრო მდინარე გიშისწყლამდე და ვიდრე კავკასიონის მთაგრეხილამდე, რომელიც კახეთის ბუნებრივი საზღვარი იყო.

**კიდევ ერთხელ შევეხოთ საკითხს კახეთსა და პერეთს შორის ისტორიული საზღვრის დასაღვენად. ამ სასაზღვრო ხაზე მდებრეობდა ცნობილი პუნქტი – „ტყეტბა-გულგულა“:**

### ხალხალი და ტყეტბა-გულგულა (გულგოლა) – სასაზღვრო პუნქტები

გულგულას ადგილსამყოფელი უცნობი ყოფილი უკვე ლეონტი მროველის დროს, მით უმეტეს, მისი ადგილსამყოფელი დაზუსტებით არ სცოდნია ვახუშტისაც – ივ. ჯავახიშვილის კვლევით.

ამჟამად მიჩნეულია, რომ ტყეტბა-გულგულა მდებარეობდა თელავთან ახლოს, რაც ეკვებოდა ივ. ჯავახიშვილს.

ის წერს – „ტყეტბა, როგორც საგეოგრაფო სახელი უკვე ლეონტი მროველის დროს აღარ არსებობდა თურმე და იგი უხსნის თავის მკითხველს, რომ ამ ადგილს „აწ ჰქვიან გოლგოლა“, ახლა გულგულად გამოითქმის. ამ ადგილის (ტყეტბას) მდებარეობას დიდი მნიშვნელობა აქვს კახეთ-კუხეთ-პერეთის საზღვრების გამორკევისათვის და სხვადასხვა მოსაზრებათა გამო ეჭვი გვებადება, ლეონტი მროველი ხომ არ სცდება, როდესაც ძველი ტყეტბა მერმინდელ გოლგოლად იცნა? გოლგოლას სამხრეთი მდებარეობდა თელავი“ (ივ. ჯავახიშვილი, გ. II, 1983, გვ. 46).

თუ თვით ლეონტი მროველის დროს უკვე აღარ იცოდნენ, თუ სად მდებარეობდა ტყეტბა-გოლგოლა, მით უმეტეს, ვახუშტი ბატონიშვილის დროს, ხოლო ივ. ჯავახიშვილს, როგორც ითქვა, ძალზე ეეჭვებოდა ამჟამად აღიარებული მოსაზრება, რომ ეს პუნქტი თელავთან მდებარეობდა.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, თელავის ახლოს (მის ჩრდილოეთი) მდებარე პუნქტი – გულგულა – არ შეიძლებოდა ყოფილიყო საზღვარი პერეთისა, რადგა-

ნაც მატიანები კახეთის ქალაქებად აცხადებდნენ მის სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მრავალ ქალაქს – ნეკრესს, კუხეთის სოფელ ბოდინს („ბოდინი – სოფელი კოხეთისა“, – წერდა მატიანე ქართლისა). კახეთში შედიოდა, წმ. არჩილ მეფის ცხოვრების მიხედვით, დღევანდელი საინგილოს ტერიტორია VIII საუკუნეში და სხვა. მოვსეს კალანკატუაცის ცნობა აჩვენებს, რომ ქართველთა ქვეყნის საზღვარი მდებარეობდა პუნქტი ხალხალასთან (მოვსეს კალანკატუაცი, აღვანთა ქვეყნის ისტორია, 1985, გვ. 60).

ლეონტის სიტყვა „გოლგოლა“ და მოვსეს „ხალხალა“ ეტიმოლოგიურად ძალზე ახლოა ერთმანეთთან. რომელ საზღვართან მდებარეობდა პუნქტი ასეთი სახელის მქონე? ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით 1923 წელს გამოცემულ ქველი საქართველოს ისტორიულ რუკაზე საქართველოსა და აღბანეთს შორის საზღვარზე მართლაც აღნიშნულია პუნქტი სახელწოდებით ხილხალა. პუნქტი ხილხალა საქართველოსა და აღბანეთს შორის საზღვარზე იდო. აქედან იწყებოდა საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია. ეს პუნქტი შაქსა და კაბალას შორისაა. ისტორიულ შაქს ამჟამად „ნუხა“ ეწოდება და ქმნის აზერბაიჯანის ნუხის რაიონს. ისტორიულ კაბალას ამჟამად „გაბალა“ ეწოდება და ქმნის აზერბაიჯანის გაბალის რაიონს. ამ ორ რაიონს შორის მდებარეობს ისტორიული ვარდთაშენის რაიონი, სადაც, აღნიშნული რუკის მიხედვით, გადიოდა საქართველო – აღბანეთის საზღვარი, ამ რუკაზე აღნიშნულია „ხილხალა“. ქალაქ ვართაშენის ამჟამად „ოგუზი“ ეწოდება და ქმნის აზერბაიჯანის ოგუზის რაიონს. მართლაც, ამ ყოფილ ვართაშენის რაიონში ამჟამადაცაა სოფელი აღნიშნული სახელის მქონე – „ფილფილა“. ეტიმოლოგიურად სიტყვები გოლგოლა-გულგულა-ხილხალა-ფილფილა ერთი წარმომავლობისაა. ის ფაქტი, რომ ყოფილ სასაზღვრო თლქში ამჟამადაც არსებობს სოფელი ფილფილას სახელწოდებით მნიშვნელოვანი მომენტია გულგულას რეალური ადგილ-



მდებარეობის დადგენისას და უფლებას იძლევა ის ისტორიულ ტემაზე გოლგოლად მივიჩნიოთ.

„ტემაზე-გოლგოლა“ იყო არა თელავთან მდებარე „გულგულა“, არამედ ნუხაბატოსთან მდებარე პუნქტი – „ხილხალა“, რომელიც ასევე ახლოს იყო პუნქტ კაბალასთან – ვარდაშენის რეგიონში, რომელთანაც (ქართლის სამეფოს დაშლამდე) მუდამ ქართველთა ქვეყნის საზღვარი გადიოდა. როგორც ითქვა, ეს ხილხალა ვარდაშენის რეგიონში, კარგად ჩანს 1923 წელის ივ. ჯავახიშვილის რუპაზე.

ეტიმოლოგიურად სიტყვა ხალხალხილხალიდან შესაძლებელია სიტყვა ხულხულას და ასევე ფილფილას, იგივე გულგულას მიღება.

მოვსეს კალანკატუაცის ცნობით, ხალხალი იყო „ქართველთა საზღვრები“ ალბანეთსა და ჩორის რეგიონს შორის.

მას აქვს ორი ცნობა ამის შესახებ – მოვსეს კალანკატუაცი წერს:

ა. „ქართველთა საზღვრები მახლობლად ქალაქ ხალხალისა“ (მოვსეს კალანკატუაცი, ალვანთა ქვეყნის ისტორია, 1985, გვ. 60);

ბ. „მეორე რაზმი ჩააბარა ზორავარ ვარდანს, რათა ქართველთა საზღვრებთან შებრძოლებოდა ჩორის მარზანს, რომელიც წამოსული იყო ალვანთა ეკლესიების დასახვრევად“ (იქვე, გვ. 60).

მაშასადამე, ქართველთა საზღვრებთან მდებარე ხალხალა მდებარეობდა ალბანეთისა და ჩორის შემაერთებელ გზაზე. ჩორი – კასპიის ზღვისპირას მდებარე დერბენის მახლობელ რეგიონს ერქა. მოვსეს კალანკატუაცის დროს სპარსელები და არაბები ალბანეთს „არანს“ უწოდებდნენ, არანი ქართული წყაროების რანია – შემდგომში განძის ოლქად სახელდებული. სპარსულ და არაბულ წყაროებში, როგორც ითქვა, ალბანეთი არანად იწოდება, მხოლოდ სომხურ გეოგრაფიაში მტკვარსა და კავკასიონის ქედს შორის მოქცეულ ტერიტორიას ეწოდება ალბანეთი. ამ ტერიტორიას ქართულ წყაროებში ჰერეთი ეწოდება. ერეთი და ალბანეთი კი სხვადასხვა ქვეყნები იყვნენ, ერთმანეთის მეზობლად მდებარენი, თუმცა ისინი ზოგჯერ ერთიანდებოდნენ კიდეც.

დაახლოებით ამავე ეპოქის ქართულ წყაროში (არსენ საფარელის „განყოფისათვის“) ჰერეთს ალბანეთი ეწოდება. ამის მიზეზი უნდა ყოფილიყო ის, რომ მის დროს ალბანეთი და ჰერეთი გაერთიანებული იყვნენ, ალბათ, ამიტომვე ამავე ეპოქის სომხური გეოგრაფია, როგორც ითქვა, ალბანეთს უწოდებს ტერიტორიას მტკვარსა და კავკასიის ქედს შორის.

ჩვენთვის მნიშვნელოვანი წყაროს ავტორი – მოვსეს კალანკატუაცი ალბანეთს რანს, ანუ არანს უწოდებს. ალბანეთსა და ჩორის შემაერთებელ გზაზე ხალხალი მდებარეობდა. ის, როგორც ითქვა, ჩორისა და ალბანეთის შემაერთებელ გზაზე უნდა ყოფილიყო, შექთან და კაბალასთან იქ, სადაც აღნიშნულ რუკაზე პუნქტი „ხილხალა-ფილფილა“ მდებარეობს, იგულისხმება დარუბანდისა და განძის შემაერთებელი კავკასიის ქედზე გამავალი ხაზი.

მოვსეს კალანკატუაცი ხალხილას მიიჩნევდა საზღვრად ქართველთა და ალბანელების ქვეყნებს შორის, ქართულ წყაროში კი – ამ საზღვარზე მდებარე პუნქტს, ჩანს, გულგულა ეწოდება. მაშასადამე, ხილხილა (ხალხალა) და გულგულა ერთი და იგივე პუნქტია. ხოლო ხალხალას ადგილსამყოფელი ცნობილია, ის თანამედროვე სოფელი ფილფილა.

აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანულ-თურქულენოვან სამყაროში საკმაოდ ხშირია ტოპონიმი (პიდრონიმი) გოლგოლა, გოლგოლ ნიშნავს ამ ენაზე ლურჯ, ლამაზ ტბას – გეიგელ (azərb. Goygöl – голубое озеро), ქართული ყურისათვის სიტყვა „გეოგელ“ შეიძლება ისმოდა, როგორც „გოლგოლა“, ასეთი სახელი ჰქონია ტბას გიშისწყლის სათავესთან ახლოს, კავკასიის მთის ძირში, სოფლებთან, ფილლფილთან და ხალხალასთან ახლოს. ასე რომ, სახელების მსგავსების გამო თელავის გულგულასა და გიშისწყლის გოლგოლას სახელები, ჩანს, ერთმანეთში აირია.



## ბარდაბნელი დონაშრები და ზანარები

გარდაბანი ვრცელი ოლქი იყო სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოში.

„გარდაბოსი“ – ეპოქენი გარდაბნისა, იყო ძე ქართლოსისა. ამ გენეალოგიით ძველი ქართველი ისტორიკოსები მიუთითებდნენ, რომ გარდაბნელები – ეთნიკური ქართველები იყვნენ. ზოგადად, გარდაბანი ერქვა ვრცელ ქართულ ოლქს.

ქართლის ცხოვრება გვამცნობს – „...ქართლოს აღაშენა ციხე ორბისა, რომელსა აწ ჰქვან სამშვლდე. და კუალად ადაშენა მტუერის-ციხე, რომელსა აწ ჰქვან ხუნანი... ხოლო შვილთა შორის მისთა გამოჩნდეს ხუთი გმირი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა მცხეთოს, მეორესა გარდაბოს, მესამესა კახოს, მეოთხესა კუხოს, მეხუთესა გაჩიოს. ესე ხუთი-ვე იყვნეს გმირი. არამედ მცხეთოს უგმირეს იყო სხუათა მათ.

გარდაბოსს მისცა ხუნანი და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით მდინარე ბერდუჯისი, დასავლით ქალაქი გაჩიანი, და სამჯრით მთა პირველ ჭიენებული, და ჩრდილოთ მტკუარი“.

[http://www.amsi.ge/istoria/qc/qarTlis\\_cxovreba\\_1\\_2.html](http://www.amsi.ge/istoria/qc/qarTlis_cxovreba_1_2.html)

ამ საზღვრებში არსებობდა ქართლის გარდაბნის ოლქი. ეს იყო მდინარე ბერდუჯიდან (მდ. ძეგამჩაი ან დებედა) ვიდრე ხუნანამდე (თითქმის რესთავ-თბილისამდე).

მაგრამ, შესაძლოა, არსებობდა ასევე მეორე ოლქი ამავე სახელით – გარდაბანი უფრო აღმოსავლეთით, მას ეწოდებოდა „ალაზნის გაღმართ ჩაყოლება“.

„როგორც აღინიშნა, გარდაბანი ერქვა როგორც მტკვრის მარჯვენა, ისე ალაზნის მარცხენა სანაპიროს ტერიტორიებს. კერძოდ, უძველესი ხანიდან ტერიტორია „ბერდრუჯის მდინარიდან ვიდრე ტფილისამდე“ გარდაბანი იყო. მაგრამ VIII–IX საუკუნეებში გარდაბანი ასევე ერქვა „ალაზნის გაღმართ ჩაყოლებას“. ეს მიწა კახელებით იყო დასახლებული ქართლის

ცხოვრების ზემოთ მოყვანილი ცნობებით, შემდეგ – ბუდათურქის დროს – ეს გარდაბანი ჰქონდა გადაეცა. საქართველოს გაერთიანების შემდეგ კვლავ კახეთის პროვინციაში მოექცა. საქართველოს დაშლის შემდეგ კი – კახეთის სამეფოში XVIII-მდე. შაპ-აბასმა ის ჩამოაჭრა კახეთის სამეფოს, რამაც იქამდე მცხეთის პატრიარქის სამრევლო ამ მხარეებისა გაამარტინა, ნაწილი მართლმადიდებლებისა კი სომხური ეკლესის იურის-დიქტიაში მოექცა, თუმცა მცირე ნაწილმა შეძლო თავისი ვინაობის შენარჩუნება. [https://gtu.ge/Library/Pdf/sveticxoveli\\_1\\_2013.pdf](https://gtu.ge/Library/Pdf/sveticxoveli_1_2013.pdf)

827 წელს კახეთის მთავრის გრიგორის შემდეგ კახეთმა თავის ქორეპის-კოპოსის ტახტი ჩააბარა გარდაბნელ დონაურებს.

კახელმა დიდებულებმა გარდაბნის მხარიდან (დონაურთა საგვარეულოდან) შეძლო კახეთის ხელისუფლების თავის ხელში მოქცევა, ისინი კახეთ-კუხეთ-გარდაბანს მართავდნენ ქორეპისკოპოსის ტიტულით.

„მას შამს შეითქვნეს გარდაბნელნი (გარდაბანი ალაზნის გაღმართ ჩაყოლება) და განაჩინეს ქორეპისკოპოსად დაჩი (ძე იოანე ქუაბულის ძისა) და შემდგომად ამისა დასვეს ქორეპისკოპოსად სამოელ დონაური“ (ქ.ც., 1955, ტ. I, გვ. 254).

კახეთ-კუხეთ-გარდაბნის მთავარი ვაჩე (დაჩი) დონაური სათავეში ჩაუდგა აჯანყებას 827–839 წლებში არაბების წინააღმდეგ. მის დროს თბილისის საამიროც ეურჩებოდა სახალიფოს, ამიტომაც აჯანყებული კახეთი (მას არაბები „სანარიას“ – წანარეთს უწოდებდნენ), თბილისის ამირას მოკავშირედ იქცა.

იმუამად კახეთის დიდმა ოლქმა – გარდაბანმა ახალი სიცოცხლე შეიძინა დონაურების საგვარეულოს მმართველობის წლებში. დონაურების გვარიდანაა მე-9 საუკუნის ცნობილი პირები, წმიდა ილარიონ ქართველი, კახეთის ქორეპის-კოპოსები – ვაჩე, ასევე, სამოელი და მისი ძმა გაბრიელი.



იმჟამად გარდაბანი არაბებისაგან თავისუფალ ქართულ სამყაროს ქმნიდა კახეთონ და კუხეთოან ერთად.

829–832 წლებში კახეთს, ანუ „სანარიას“ ებრძოდა არაბი სარდალი ხალიდ იბნ იაზიდი. რამაც კახეთი ძალზე დაასუსტა.

კახეთის ქორეპისკოპოს სამუელ დონაურის დროს პერეთის გზით ხალიდ იაზიდის ძე უკვე მეორეჯერ შემოესია კახეთს 840–842 წლებში. ჩანს, ამ დროს არაბი სარდლის მიზანი იყო დახმარებოდა პერეთის მეფეს საპლ ალ-არმანს, რათა მას ივერია, ანუ ამ შემთხვევაში კახეთი, დაეპრო და რეალურად მიეღო „ივერიის მეფის“ ტიტული.

იქამდე, 839 წლისათვის, ხალიფამ ტიტული „არმენიის, ივერიისა და ალუანქის მეფე“ მიანიჭა პერეთის მმართველს საპლ ალ-არმანს. ამ ტიტულის რეალურობად გადაქცევისათვის ხალიფას სარდალი ხალიდ ისიდის ძე მეორედ შემოიჭრა კახეთში. იმჟამად ქორეპისკოპოსი იყო სამოელ დონაური (839–861).

არაბებმა პერეთის გავლით შეადგიეს კახეთში, მაგრამ სასტიკი მარცხი განიცადეს კახეთის ლაშქართან ბრძოლაში, რომელიც სოფ. გაგაზთან გაიმართა. აი, ამ ომის შემდეგ, ჩანს, მიიტაცა სამხრეთ კახეთი საპლ სმბატიანმა არაბების მხარდაჭერით, ანუ დახლოებით, 841 წელს.

არაბთა ხალიფამ სახალიფოს ერთგულ სახელმწიფო მოხელედ მიჩნია პერეთის მმართველი საპლ სმბატიანი ბაბეკის აჯანყების ჩაბმობის შემდეგ. ბაბეკი სიკვდილით დასაჯეს 838 წლის 7 იანვარს. ეს იყო საპლ სმბატიანის დამსახურება და ამის სანაცვლოდ, როგორც ითქვა, საპლ სმბატიანმა მიიღო არმენია-ივერია-ალუანქის მეფის ტიტული, ამ ფაქტმა ის არაბთა მეგობრად და მხარდამჭერად აქცია ქართველთა წინააღმდეგ ომში.

სომეხი ისტორიკოსი ვარდან დიდი (ვარდან არეველი), მე-13 საუკუნეში ქორეპისკოპოსს საეკლესიო ტიტულად მიიჩნევდა. მისი ცნობით, რომელიც განხილულია ქვემოთ, გარდაბნის, ანუ „ქართველთა ქვეყნის“ მთავარმა, დაახლოებით მე-7

საუკუნისათვის, თავის სამთავროში მიიღო ქართულენოვანი ტომი წანარებისა. ისინი ქალდეას ქვეყნიდან მოსულან აქ. იმჟამად სახელი „ქალდეა“ ერქვა ჭანებით დასახლებულ ბიზანტიურ ადმინისტრაციულ ოლქს ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ანუ ჭანეთში. როგორც ითქვა, ისინი არა მხოლოდ ქართულენოვანი ყოფილან, არამედ ძალზე მტკიცე და მოშურნე ქრისტიანები. მათი უპირველესი სურვილი, ვარდანის სიტყვით, გარდაბანში მისვლისას, ყოფილა მიეღოთ ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილი, რომელიც გარდაბნის მთავართან ინახებოდა.

მოგვეს კალანკატუაცის ცნობით, გარდმანში ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილი ჩამოუსვენებიათ მთავარ ჯუანშერის დროს, ის მას მე-8 საუკუნის ბოლოს გადასცა იმპერატორმა კონსტანტინე VI, კეისარ პერაკლეს შვილი-შვილმა. წმიდა ნაწილი საქმაოდ დიდი ზომისა ყოფილა, ცხოველმყოფელი ჯვრის ჩამონატეხი.

თბილისის სამხრეთით, თითქმის ბარდავამდე მდებარე მიწა-წყალი, ქართული წყაროების მიხედვით, იწოდებოდა გარდაბნად. ამ ოლქის თავდაპირველი მოსახლეობა ქართველი ხალხი რომ იყო, ჩანს „ქართლის ცხოვრების“ ცნობებიდან. ამ წყაროს მიხედვით, ქართველი ხალხის პირველწინაპარი იყო ქართლოსი და მისი ძეები, მათ შორის ერთ-ერთი იყო „გარდაბოსი“.

ოლქ გარდაბნის ხალხის ეპონიმი გარდაბოსია, მათი დიდი პირველწინაპარი, რომლის პატივსაცემად ამ გეოგრაფიულ ობიექტს დაერქვა სახელი „გარდაბანი“, შესაბამისად, მიიჩნევდა, რომ ზოგადად, გარდაბნელები ქართლოსის შთამომავლები, ანუ ქართველები იყვნენ.

გარდაბნელებს გააჩნდათ თვითშემეცნება, რომ ისინი ქართველები იყვნენ.

ეს თვითშემეცნება გარკვეული დონით კვლავ დარჩა მას შემდეგ, რაც გარდაბან-გარდმანის და საერთოდ, ქვემო ქართლის კიდევ უფრო სამხრეთით მიმდებარე ქართული ოლქების ალბანიზაცია და არმენიზაცია დაიწყო.



თუმცა ალბანიზაცია, ამავე დროს, არმენიზაციასაც ნიშნავდა. ალბანიზაცია უფრო პოლიტიკური მომენტი იყო, რადგანაც სასანიდების ანტიქალკედონური პოლიტიკა გააგრძელეს არაბებმა. ხალიფატმა ეს ოლქი მიაკუთნა ე.წ. „პირველ არმინიიას“, რომელშიც არანი და თბილისიც შედიოდა, ჩვენს ოლქთან ერთად, მაგრამ ამ დროს, კულტურის თვალსაზრისით, მიმდინარეობდა აქაური მოსახლეობის არმენიზაცია ეკლესიებში სომხურებოვნების დანერგვით და ასევე ადმინისტრაციულ სფეროში. ერთგვარი გამონაკლისი იყო მე- 7 საუკუნე, როცა გარდანის მთავრებმა აირჩიეს ქალკედონიტური მიმართულება. თავისთავად, ეს ქართული ფესვებისაკენ, მისი კუტურისაკენ მიბრუნებას ნიშნავდა.

ამ ოლქის არმენიზაციას თავისი ღრმა წარსული და ისტორია ჰქონდა, არმენიზაცია ამ მხარეებისა დაიწყო ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე.

ეს მნიშვნელოვანი გახდა მას შემდეგ, რაც გარდაბნის ოლქის სამხრეთი ნაწილი, გუგარქთან ერთად არმენიამ მიტაცა ძვ.წ. მე-2 საუკუნეში არმენიის მეფეების არტაქსიასა და ზარიადრეს დროს, ხორძნასა და გოგარენასთან ერთად.

სტრაბონის ცნობით, ხორძენა დიდი ოლქი იყო გადაჭიმული მტკვრამდე (და ის არ იყო, როგორც ამჟამად მიაჩნიათ, პატარა ოლქი მხოლოდ კლარჯეთისა), შესაბამისად, ქრისტეშობამდე მე-2 საუკუნემდე გარდაბნი იბერიის ნაწილი იყო.

შემდგომში გარდაბნის სამხრეთი ნაწილი, რომელსაც ასევე გარდმანს უწოდებდნენ, ალბანეთის ნაწილად აქცია სასანიდების იმპერიაში.

განსაკუთრებით დაზარალდა გარდაბნის მოსახლეობა, ანუ ქართველობა სომხურ-მონფიზიტური სარწმუნოების გაბატონების კვალდაკვალ მე-6 საუკუნედან.

საქმე ისაა, რომ ორივე დამპყრობელი იმპერია, თავდაპირველად სასანიდური სპარსეთი, შემდეგ კი ისლამური არაბული ხალიფატი კავკასიაში ერთმნიშ-

ვნელოვნად უჭერდნენ მხარს სომხურ მონფიზიტურ ეკლესიას და თავგამოდებით დევნიდნენ ალბანურ და ქართულ ქალკედონიტურ ეკლესიებს.

თავისი პოლიტიკის შესაბამისად (ქალკედონურ ბიზანტიისთან საუკუნოვანი სამქედრო-სასიცოცხლო ომის გამო), დამპყრობლები მხარს უჭერდნენ სომხურ ეკლესიას, რათა მას მონფიზიტობა (შესაბამისად, სომხურენოვანი დვითისმსახურება) გაევრცელებინა ქართლისა და ალბანეთის დაპყრობილ ნაწილებში.

კერძოდ, მოგვს კალანკატუაცი კარგად აღწერს, თუ როგორ გაანადგურა არაბულმა ხელისუფლებამ ალაბანეთის ეკლესიის ავტოკეფალია და ალბანეთში კი ალბანური ენის ნაცვლად დანერგა სომხურენოვანი დვითისმსახურება.

ალბანური წიგნები მდინარე „ტრტში“ (ტერტერში) გადაყარეს, დაიწყო ალბანური ენის დასამარების პერიოდი, ზუსტად იგივე პროცესები მიმდინარეობდა ჯერ სპარსელების და შემდეგ არაბების მიერ დაპყრობილ გუგარქსა და გარდაბან-გარდმანში.

ეპისტოლეთა წიგნიდან ჩანს, რომ გუგარქში, ანუ დიდ ქართულ ოლქში, ეკლესიებში ქართულენოვანი დვითისმსახურება ჩანაცვლებულ იქნა სომხურენოვანი დვითისმსახურებით მე-6 საუკუნეში სპარსეთის ბაგონობის დროს (გამოკვლევა, იხ. ჩემი „საქ. სამოციქ. ეკლ. ისტ.“), რომლის სიმბიმის აღმოფხვა, ანუ ქართულენოვანი დვითისმსახურების აღდგენა სურდა ქართლის დიდ კათალიკოს კირიონს, რაც მას ტახტის დაკარგვად დაუჯდა.

კიდევ უფრო მძიმე იყო გარდაბნის დიდი ოლქის ბედი, რადგანაც ის ხან ალბანეთში და ხანაც არმინიიაში შეიყვანეს.

ამ პროცესმა, ჩანს, გარკვეულწილად შეარყია გარდაბნის ოლქის სამხრეთ ნაწილის – გარდმანის ქართველობის ოვით შემეცნება, ამის მიუხედავად მისი მთავრების სახელებიდანაც (მაგალითად, ბაკური, ჯუანშერი, ვახტანგი და სხვა) კი ჩანს, მათი ქართული ფესვები.



მათი ქართული თვითშემეცნება განსაკუთრებით გამოამჟღავნა მათმა სარწმუნოებრივმა ორიენტაციამ – ქალკედონიტობისადმი მიდრეკილებამ ურთულეს არახელსაყრელ პოლიტიკურ ვითარებაში.

ამ ეპოქაში, ზოგადად, ქართველობა მხარს უჭერდა ქალკედონიტურ აღმსარებლობას, ხოლო სომხები – მონოფიზიტობას. ეს აღმსარებლობანი ფაქტობრივად მათი ეთნიკური თვთშემეცნების ნიშნად იქცა.

ასეთ ფონზე გარდმანის მთავრები (ჯუანშერისა და სხვა) თავდადებული ლტოლვა დიოფიზიტური ბიზანტიისა და ქართველი ერისაკენ, მიუთითებდა მათ ეროვნულ-ქართულ ფუძესაც.

გარდაბნის ჩრდილოეთ ნაწილში, თავის ქართული ვინაობის შენარჩუნება კარგად შეძლო არაბობის დროს, უფრო მეტიც, გარდაბანი, ვითარცა იმჟამად კახეთის სამთავროს ერთი ნაწილი, გადაიქცა ანტიარაბული წინააღმდეგობის უმთავრეს კერად, აქ წანარების ქართულებოვან ტომს მიეცა დიდი ქალკედონური და ქართული სულისკეთება, გმირული შემართებით ებრძოლათ არაბების წინააღმდეგ, რასაც უამრავი არაბი და სომხები ავტორი აღწერს, ქართველებტონ ერთად.

გარდაბანი და გარდმანი ერთად მოიცავდა საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ ნაწილებს ხუნანიდან, მდინარეების, ძეგამის (ძეგამჩაის), აღსტაფის (აღსტაფჩაის), ხეობების ჩათვლით, რასაც ემატებოდა შამქორის ხეობა, შემდგომში საქართველოს დიდმოხელის, ვარამ გაგელის გამგეობაში. გარდმანი ეტიმოლოგიურად იგივე ქართმანი, ანუ ქართველთა ქვეყანა, ამაზე მიუთითებს ვარამ გაგელის დროს დამოწმებული მეორე სახელწოდება გარდმანისა – „ქართმანიკი“, ანუ ქართველთა ქვეყანა.

გარდმანთან დაკავშირებით ჩემს სტატიაში „კავკასიის ალბანეთი“ ზემოთ უკვე კწერდი.

<http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/კავკასიის-ალბანეთი>

## არაბი ისტორიკოსის ცნობა და მრედვის ეპლასიის ზარდება

არაბმა ისტორიკოსმა და გეოგრაფმა აბულ-ჰასან-ალი-იბნ-ალ-ჰასან-ალ-მასუდიმ 915–945 წლებში იმოგზაურა სამხრეთ კავკასიაში და აღწერა ნანახი და გაგონილი. მას უწოდებდნენ არაბ ჰეროდოტეს, „ყველა ისტორიკოსის მამას“, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მისი ცნობები გაცილებით უფრო ზედაპირულია მისი თანამედროვე ქართველი მემატიანების ცნობებთან შედარებით.

მასუდის ნაშრომები საისტორიო წყაროა შაქისა და კახეთის ისტორიისათვის, თუმცა ის ტერმინი ჰერეთს არ იცნობს.

ისმის კითხვა, რატომ არ ხმარობს მასუდი ტერმინს „ჰერეთი“ მაშინ, როცა მისი მეფეების ცხოვრების წვრილმანებსაც კი აღწერს? ფაქტი იმისა, რომ ჰერეთის უდიდესი სიძლიერის წლებში, ანუ მე-10 საუკუნის შუა წლებში იქ მყოფი თვითმხილველი ისტორიკოსი მასუდი სიტყვა ჰერეთს არ ასენებს, მიუთითებს, რომ ამ ტერმინს – „ჰერეთს“, მასუდის დროსაც კი არ ისენიებდნენ. მას იმ დროსაც მხოლოდ ქართველი მწიგნობრები მოიხმარდნენ. რეალურად, ქართველთა მიერ ჰერეთის მეფეებად მიჩნეული პირები იყნენ არა „ჰერეთის“, არამედ არცახ-რან-შაქის სამთავროს მმართველი ხელმწიფები.

უპირველეს ყოვლისა, მასუდი დაწვრილებით აღწერს ჩვენთვის საინტერესო მხარეს, რომელსაც ქართველი ისტორიკოსები ჰერეთს უწოდებენ, თანაც ჰერეთის სამეფოს ყველაზე დიდი ძლიერების პერიოდში, მაგრამ, როგორც ითქვა, მასუდი სიტყვა „ჰერეთს“ არ ხმარობს და ამ სამეფოს „ჰერეთს“ არ უწოდებს, თუმცა კი უამრავ ტოპონიმს, აღგილისა და ქვეყნის სახელს მოიხსენიებს.

სხვათა შორის, აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ ის ქვეყანა, რომელსაც ქართველი ისტორიკოსები ჰერეთს უწოდებენ, 1310 წელს მოილოცა საქართველოს პატრიარქმა და, მასუდის მსგავსად, არც ის უწოდებს ამ ქვეყანას



„ჰერეთს“. ის მივიდა უამრავ სოფელსა და ეკლესიაში, მისი მოგზაურობის აღწერაში ჩამოთვლილია ამჟამინდელი საინგილოსა და შაქის მომიჯნავე ადგილები შირვანამდე, ასევე, საინგილოს მოსაზღვრე დაღესტანი და კახეთის მომიჯნავე რეგიონი, ნახევებია უამრავი ადგილის სახელი, მაგრამ აქ ნახევებიც კი არ არის სიტყვა „ჰერეთი“, რადგანაც ასეთი ოლქი, ანდა ქვეყანა მისთვის ამ ადგილებში უცნობი იყო.

როგორც ითქვა, მე-10 საუკუნეში ეს ქვეუნები მოიხილა არაბმა ისტორიკოსმა მასუდიმ და არც ის ახსენებს სიტყვა ჰერეთს, თუმცა ახსენებს შაქისა და მიმდებარე ქვეუნებს, მასუდი ახსენებს კიდევ მისი მეფის სახელს, ეს ყოფილი „ადერნესე-იბნ-ჰამიძი“. ქართველები მას „ჰერეთის მეფე“ უწოდებენ, მასუდისათვის ის „შაქის მეფე“.

კარაულოვი, მასუდის რუსულ ენაზე მთარგმნელი, ამასთან დაკავშირებით წერს – „Шекины или шеккины, – обитатели города Шакки и его окрестностей. Упоминаемый здесь царь шеккинов – это грузинский царь Адарнае II (881 – 928 г. п. Р.Х.)“.

მასუდის წიგნის წერის დროს ეს ადარნასე ჰამამის ძე ყოფილი შექის მეფე.

მამამისი იყო ცნობილი გრიგოლ ჰამამი, მისი სამეფო (სამთავრო) მე-9 საუკუნის მეორე ნახევარში მოიცავდა მტკვრის ორივე სანაპიროს, ანუ არანს, ქალაქ ბარდასთან ერთად და ასევე ხაჩენარცას (ამჟამინდელ მთიან ყარაბახს). გრიგოლ ჰამამის ხელში იყო მტკვრის მოპირდაპირე მარცხენა სანაპიროს შაქის ოლქიც, ანუ ჰერეთი, ასევე მათ შეამტკვარზე მდებარე კამბისენა (ამჟამად დაფარულია მინგეჩაურის წყალსაცავით), ამიტომაც გრიგოლ ჰამამს „ალბანეთის სამეფოს“ აღმდგენელსაც უწოდებენ, მისმა სამეფომ მცირე ხანს იარსება.

გრიგოლ ჰამამის სამეფოს პოლიტიკური ცენტრი იყო არა თელავი, როგორც წარმოუდგენიათ ქართველი ისტორიკოსებს, არამედ არცახის ციხე-ქალაქი

გეგარქუნიკი, სადაც აღმოჩნდა კიდევ მისი სახელით შესრულებული წარწერები. გეგარქუნიკის წარწერა თარიღდება 881 წლით.

მისი სიკვდილის შემდეგ, ანუ დაახლოებით 890-იანი წლიდან, მისმა შვილებმა მისი დიდი სამეფო დაშალეს და ერთმანეთს შორის გაინაწილეს,

გრიგოლ ჰამამის შვილი სმბატი იყო განდასარის ოლქის, ქვემო ხაჩენის უფალი.

მეორე შვილი ვასაკი ზემო ხაჩენს მართავდა.

სხვა შვილი ატრნერსეხი (ატრნერსებ II, ანუ მასუდის მიერ ნახევები ადარნასე) დახლო. 890 წლის შემდეგ გახდა მპყრობელი მტკვრის მარცხენა სანაპიროს ქვეუნებისა, შაქისა და კამბეჩანისა, ეს კამბეჩანი მდებარეობდა უშუალოდ შაქის ოლქის მეზობლად, მტკვრის ხეობაში და ეს არ იყო ქიზიყი, როგორც წარმოუდგენიათ ქართველ მეცნიერებს, არამედ უშუალოდ მტკვრის ხეობის ქვეყანა (ე.ი. კამბეჩანი არ იყო იორისა და, მით უმეტეს, ალაზნის ქვეყანა), მისი აღგილი, როგორც უამრავჯერ ითქვა, ამჟამად დაფარულია მინგეჩაურის წყალსაცავით.

არაბი ავტორი მასუდი აღნიშნავს – „შაქელების მეფე, ამ ჩემი წიგნის შედგენის დროს არის ადერნერსე-იბნ-ჰამამი, როგორც მას უწოდებენ“.

ცხადია, გრიგოლ ჰამამი და მათი შვილები სომხებად და სომხეთის მეფის ხელდებულებად ითვლებოდნენ.

გრიგოლ ჰამამს მიიჩნევენ სომხები პოეტად და სომხური საგრამატიკო შრომის ავტორად.

მხოლოდ შაქის ჰერეთში, ანუ მასუდის მიერ ნახევები მეფე ადარნასეს შვილების დროს, შეიცვალა ზედა ფენისა და საეკლესიო ხელისუფლების სომხურენოვნება ქართველი ენით, რადგანაც მოელ ამ ქვეყანათაგან, შაქის რეგიონი, ანუ ჰერეთი უფრო მჭიდროდ იყო დასახლებული ქართულენოვანი ხალხით – ჰერებით, რომელთაც მე-8 საუკუნიდან სომხურენოვანი მმართველები ჰყავდა პოლიტიკური მიზეზების გამო.



მე-10 საუკუნიდან, დინარ დედოფლის შემდეგ, შაქტერეთი დაუბრუნდა მართლმადიდებლობას, საქართველოს წმიდა ეკლესიის წიაღს, შესაბამისად, შაქტაბალას ოლქის, ანუ პერეთის ეკლესია ქართულენოვანი გახდა. ამის მიზეზი იყო შაქელების ეთნიკური წარმომავლობა, ისინი ეთნიკური ქართველები იყვნენ, თავდაპირველად ალბანეთის სახელმწიფოს შიგნით მცხოვრებინი, გიშისწყალსა და აღსუს შორის, შემდეგ კი მოექცნენ სომხური ადმინისტრაციის ქვეშ, მაგრამ საბოლოოდ, ისინი მე-10 საუკუნეში დაუბრუნდნენ ქართულენოვან წიაღს.

გრიგოლ ჰამამის მამა, ანუ ბაბუა ატრევერსებისა (ადარნასე II -სი) ამავე სახელს ატარებდა – ატრევეს I.

ისიც (ატრევესებ I, გარდ. დაახლ. 80-იანი წწ. შემდეგ) ფლობდა შაქს, ანუ შაქის პერეთს, მაგრამ მისი სახელმწიფოს დედაქალაქი იყო არა თელავი, როგორც ახლა მიიჩნევა, არამედ ზემო ხაჩინის ოლქი, რომელსაც ერქვა „ცარი“, კერძოდ, ამ ოლქში მდებარე ციხესიმაგრე ანდაბერდი (სომხურად ტყის ციხე). როდესაც ის, 854 წლის შემდეგ, ბუდა თურქმა გადასახლა სახალიფოში (ამჟამინდელი ერაყის ქალაქ სამარაში), ამ დროს მის სამეფოს მართავდა მისი ცოლი, დედოფალი სპრამი, რომელიც ხელს უწყობდა აქ (ხაჩიში) სომხური კულტურის აყვავებას.

გადასახლებიდან დაბრუნებულმა ატრევესებმა (ადარნასე I-მა) თავის რეზიდენციად გამოაცხადა გაიგუნიკი, ამჟამინდელ მთიან ყარაბაღში, კელბაჯარის რაიონში (და არა თელავი!).

რაც შეეხება მათ უდიდეს წინაპარს, საგვარეულოს ჩამოყალიბებელ საპლ სმბატიანს (საპლ იბნ სუნდატ ალ-არმანი, გარდ. 855 წ. შემდეგ), ის იყო არცახისა და ხაჩინის მმართველი და თავის ძალაუფლებას ავრცელებდა მთელ არანის ოლქზე, ასევე შაქის ოლქზე, მისი მირითადი რეზიდენციაც არცახში მდებარეობდა.

837 წლის ხურამიტების აჯანყების შემდეგ, ბაბეკი, აჯანყების მეთაური, სახალიფოს უდიდესი მტერი, ცდილობდა

თავი შეეფარებინა საპლ სმბატიანის ოლქისათვის, მაგრამ დალატით შეიპყრო საპლმა და ხალიფას გადასცა.

ამ უდიდესი მოვლენის სანაცვლოდ ხალიფამ საპლ სმბატიანი არანის (ალ-ბანეთის) მეფედ („ბატრიკად“) გამოაცხადა და ერთი მილიონი დირჰემი გადასცა საჩუქრად.

ამ დროს, 837 წლის შემდეგ გაძლიერებულმა საპლ სმბატიანმა, შესაძლოა, დაიპყრო იმჟამად არაბთა სამხედრო სადამსჯელო ექსპედიციებით დასუსტებული კახეთის სამხერეთი მიწები, ვიდრე გავაზამდე.

მაგრამ დაახლოებით ასი წლის შემდეგ, მე-10 ს-ის პირველ ნახევარში, მასუდის ცნობიდან ჩანს, რომ შაქი-კამბეგიანის მმართველი ადარნასე უკვე აღარ ფლობდა სამხერეთ კახეთს, თუმცა შესაძლოა, პოლიტიკური კითარება შეიცვალა და შაქმა კვლავ ჩაიგდო ხელში მიწები შაქის რომელიმე მომდევნო მეფის დროს.

კერძოდ, მასუდი წერს შემდეგს – „თბილისსა და ალანთა სიმაგრეს შორის მდებარებს სამეფო, რომელსაც ეწოდება სანარია (წანარეთი), ხოლო მათ მეფეს უწოდებენ პურისკუსს (ქორიკოზი, ქორეპისკოპოსი). ეს ხალხი აღიარებს ქრისტიანობას...სანარიის სამეფოსთან ახლოს ცხოვრობენ შექელები, ქრისტიანი ხალხი, მათ შორის მრავალი მუსულმანი გაჭარი და ხელოსანი ცხოვრობს, შაქელების მეფე, ამ წიგნის შედგენის დროს არის ადერნერსე პამამის ძე (Адернерсэ-იბн-Хамам), მის შემდეგ არის კილხის სამეფო (კაბალას სამეფო), მისი დედაქალაქი დასახლებულია მუსულმებით, მის ირგვლივ სოფლები ქრისტიანებითა დასახლებული, მათ მეფეს ეწოდება ანბასა“.

<http://www.vostlit.info/Texts/Dokumenty/Kavkaz/Karaulov/frametext8.htm>

მასუდის ამ ცნობიდან ჩანს, რომ შაქის სამეფოს უშუალოდ ესაზღვრება სანარია, ანუ წანარების მიწები, წანარები ამ ეპოქაში გარდაბანთან (გარდმანთან) იყვნენ კავშირში, მასუდი არ ასევებს სიტყვა ჰერეთს, ის მხოლოდ შაქსა და სანარიას



(წანარეთს) ახსენებს, ანუ ის კახეთის საქორეპისკოპოსოს უწოდებს სანარიას. მასუდი ამბობს, რომ წანარების მეფის ტიტულია ქორეპისკოპოსი მაშინ, როცა ეს იყო კახეთის მმართველების ტიტული, შესაბამისად, მასუდის სანარია არის კახეთი და უშეალოდ ამ სანარიის შემდეგ მდებარეობს შაქის სამეფო, მისი მოსაზღვრეა ასევე, მოვაკანი და კაბალა. ანუ შაქის სამეფოს ესაზღვრებიან სანარია, მოვაკანი და კაბალა (კილხის სამეფო).

„კილხის სამეფოს“მასუდი უწოდებს კაბალას სამეფოს, მის დროს ამ სამეფოს მთავარ ქალაქს არ ერქვა ეს სახელი კაბალა, არამედ „კილხი“. ეს ტერმინი „კილხი“ შეიძლება იყოს ამ რეგიონის მთვარი პუნქტ „ხილხალას“ სახელი, ანუ „ხილხი“, აქედან „კილხი“.

ხილხალა→ხილხი→კილხი

„სანარიას“ შესახებ მასუდის ცნობასთან დაკავშირებით, უნდა ითქვას, რომ მისი ამ ცნობიდან გამომდინარე, სამხრეთ კახეთის, მასუდის აღწერით, შაქის მეფე არ ფლობდა.

მასუდის ცნობას ეთანადება ერედვის ეკლესიის შესანიშნავი წარწერა, რომ სამხრეთ კახეთის მიწები გაათავისუფლა აფხაზთა მეფე კონსტანტინემ დაახლოებით 915 წლისათვის (დაახლოებით მასუდის დროს), თუმცა ეს მიწები ადარნასეს შეილმა იოანე სენექერიმმა შემდგომში კვლავ დაიძყო.

ერედვის ეკლესიის მდებარეობს ქართლის გულში, ცხინვალიდან 7 კილომეტრში, მის ჩრდილო-დასავლეთით, ასეთი არქიტექტურის მქონე ბაზილიკა დამახასიათებელია მხოლოდ ქართული ხუროთმოძღვრებისათვის. ამ ტიპის ბაზილიკა ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი უძველესი ძეგლია.

ერედვის ეკლესიის სამხრეთის ფასადის მრგვალ სვეტზე მოთავსებულია თარიღიანი სამშენებლო წარწერა:

„სახელითა დმრთისათა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა და, მეოხებითა წმიდისა დმრთისმშობელისათა, წმიდისა გიორგისითა, ხელმწიფობასა დმრთივ დამყარებულისა წმიდისა კონსტანტინე მეფისასა, რომელმან ბრძანა და ჩავიდა

ჰერეთს შიგან, ჰერთა მეფე გააქცია და მუნით მშვიდობით იქცა. ცისკრად ალავრდს ილოცა; მწუხერი ბრემას გადაპხოვა. მეორედ კულა ავიდა, ვეჯინისა ციხე დალეწა. ქართლს შინა უფლობასა ტბელისა ივანესა, მთავარებისკოსობასა სანატრელისა კარტი, მისითა, განხორციანი ნიქოზელისა სანატრელისა სტეფანე ეპისკოსისა და ძალითა შეწენითა მოყვასთა და მე თეოდორე თაფლა სხემან დავდე საძირკველი, ლენი იყნეს ხფი ქრონიკ“.

— შიდა ქართლი, პატარა და დიდი ლიახვის ხეობების არქიტექტურული მემკვიდრეობა, ტ. I, გვ.60, ობ., 2002. <https://ka.wikipedia.org/wiki/ერედვის-ბაზილიკა>

ამ წარწერიდან ჩანს, რომ ქართული სამყარო გახარებული იყო აფხაზთა მეფე კონსტანტინეს გმირობით, რომელმაც „ჰერთა მეფე გააქცია“ და გაათავისუფლა კახეთის ვეჯინის ციხე. მისი ენერგიულობითა და მორწმუნებით აღტაცებულია ხალხი აფხაზთა მეფეს ქართლში უბრალოდ „ჩვენს მეფეს“, „წმიდა მეფეს“ უწოდებდნენ (აფხაზთა მეფე კონსტანტინე III (893–922), რადგანაც სამხრეთ კახეთი გაათავისუფლა სომხებად მიჩნეულ ჰერთა მეფეებისგან). წარწერაში აღნიშნულია, რომ მან დილაუთენია, ცისკარზე, ალავერდში ილოცა, სადამოს უკვე ბრემაში (ქარელის ატოცთან) იყო, მეორე დღეს კი კვლავ კახეთისაკენ გაილაშქრა ვეჯინის გასათავისუფლებლად. ასეთ ენერგიულ მეფედ შემდგომში დავით აღმაშენებელი მიაჩნდათ. აღსანიშნავია, რომ ჩვენი მემატიანეც იგივეს წერს და ამბობს აფხაზთა მეფეზე, რომ ქართველ ერს ვახტანგ გორგასლის შემდგომ ასეთი ძლიერი მეფე არ ჰყოლია. საერთოდ, დავით აღმაშენებლადე ის ითვლებოდა ვახტანგ გორგასლისდარ, ანუ გმირ ქართველ მეფედ.

როგორც მასუდის ცნობიდან შეიძლება გავიგოო, სამხრეთ კახეთი მის დროს გათავისუფლებულა შაქის ჰერეთის მეფეთა ბატონობისაგან, ანუ ეს უნდა მომხდარიყო სამხრეთ კახეთში აფხაზთა მეფის, კონსტანტინე მესამის ლაშქრობის შედეგად 915 წლისათვის.



აფხაზთა მეფე კონსტანტინეს მიერ პერთა მეფის გაძევების გამო, ჩანს, მასუდი, რომელიც დაახლოებით ამ დროს ჩამოსულა კავკასიაში, სამხრეთ კახეთს არ მიიჩნევს შაქის სამეფოს ძალაუფლების ქვეშ, რადგანაც ის შაქის მეზობლად სანარიას, ანუ კახეთს წარმოადგენს. როგორც ითქვა, ეს მოხდა 915 წლისათვის. სულ სხვა ვითარება იყო ასი წლით ადრე, როცა სამხრეთ კახეთს პერეთი უწოდეს შაქის პერეთის მეფის აქ ლაშქრობის შემდეგ.

მას შემდეგ, რაც შაქის, ანუ პერეთის მეფები საპლ სმბატიანმა სამხრეთ კახეთის მიწები მიიტაცა 837 წლიდან, სამხრეთ კახეთს პერეთი დაერქვა. აქ მდებარეობდა პუნქტები და ციხეები – ორჭობი, გავაზი და არიში.

ცხადია, კახეთის ქორეპისკოპოს კვირიკესათვის მიუღებელი იყო ეს მიტაცება და, საერთოდ ქართული სამყაროსათვის, რადგანაც შაქის მეფები სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის წევრები იყვნენ, შესაბამისად, სამხრეთ კახეთის ხალხი ეწინააღმდეგებოდა მათი მიწების მიტაცებას შაქელი მეფების მიერ, ამიტომაც 915 წლისათვის ერთობლივი ძალებით კვირიკე კახეთის ქორეპისკოპოსმა და აფხაზთა მეფე კონსტანტინემ გაილაშქრეს სამხრეთ კახეთის ციხეების გასათვისუფლებლად პერეთის მეფისაგან. და ასეც მოხდა, ამიტომაც მასუდი სამხრეთ კახეთს, მთლიან კახეთთან ერთად, სანარიად ანუ შაქის მეზობელ კახეთის სამეფოდ მიიჩნევს.

მაგრამ შემდგომში ვითარება კვლავ შეიცვალა, როდესაც მანვე (ადარნასე პატრიკმა 915-944) ან მისმა შვილმა, იოანე სენექერიმმა კვლავ დაიპყრო სამხრეთ კახეთი.

## მასუდის ცნობები

6. კარაულოვმა რუსულ ენაზე გამოსცა მე-10 საუკუნის არაბი მწერლის მასუდის (†966) ცნობები კავკასიის შესახებ თავისივე შენიშვნებით <http://www.vostlit.info/Texts/Dokumenty/Kavkaz/Karaulov/frametext8.htm>

მასუდი წერს – „ალანების ქვეყნის გეერდით ცხოვრობენ აფხაზები, ისინი ქრისტიანულ რელიგიას ადიარებენ, მათ პყავთ მეფე, ალანთა მეფე უფრო ძლიერია. აფხაზების ახლოა ჯურიას სამეფო (არაბებს არა აქვთ ბერა გ, ამიტომაც მას გამოთქმავნ, როგორც ჯ), დიდი ქრისტიანი ხალხია, მათ ჰქვიათ სახელი „ხაზრანი“ (ქართველები), მათ მეფეს უწოდებენ ტაბს (ალბათ თავადი)…“

აფხაზები და ხაზრანები ხარაჯას უხდიან თბილისის მეზობელი მხარის მფლობელს, რაც ეს მხარე მუსლიმანებმა დაიპყრეს. განმტკიცდნენ ამ ქალაქში. ხალიფა მუტევაკილის (ალ-მუთავაჯილი, 846–861) დროს თბილისში იყო კაცი სახელით ისხაკ იბნ ისმაილი, მუსლიმანების მხარდაჭერით მან დაიმორჩილა აქ ქალაქის გარშემო მცხოვრები ტომები და აიმულა, ეხადათ გადასახადი, იქამდე სანამ მუტევაკილმა (ქართულად, ხალიფა ამირ-მუმლი) არ გამოაგზავნა ბუდა, ის დაბანაკდა თბილისთან, ალფა შემოარტყა, და დაიპყრო ხმლით, მოკლა ისხაკი...

ამის შემდეგ, ვიდრე დღემდე, თბილისში მუსლიმანებმა დაკარგეს ყოველგვარი პატივისცემა, მეზობელი მხარეები მას უკვე აღარ ემორჩილებოდნენ, მის ირგვლივ სოფლები და მხარეები გადავიდნენ გიაურების (კაჭირ, ქრისტიანი) მხარეს, იყვნენ მხნე მებრძოლები და ენერგიულები. ხაზრანის (ქართველთა) სამეფოს გვერდით არის სამეფო, რომელსაც ეწოდება სამსახა (სამცხე), რომლის მოსახლეობა არის ქრისტიანი, არეულები წარმართებთან, მათ მეფე არა პყავთ. შამსახას მეზობლად, თბილისსა და ალანთა სიმაგრეს შორის მდებარეობს სამეფო, რომელსაც ეწოდება სანარია (წანარეთი), ხოლო მათ მეფეს უწოდებენ კურისკუსს (ქორიკოზი, ქორეპისკოპოსი). ეს ხალხი



ადიარებს ქრისტიანობას, ყველა ქრისტიანია, ისინი თვლიან, რომ წარმოშობილი არიან არაბებისაგან (მუჰამედის წინაპრისაგან), უკაილიას მუხლისაგან და ამ ქვეყანაში დიდი ხანია რაც დამკვიდრდნენ. აქ აქვთ უდიდესი პატივისცემა... (აღსანიშნავია, რომ იმ ეპოქაში თავის მოწოდება აბრაამის შთამოძალობით და მუჰამედის წინაპრებისაგან წარმომავლობით დიდ პატივად ითვლებოდა. მასუთის მიხედვით, სხვა ტომებიც თავს იწონებონ არაბელი წარმომობით, თუმცა სინამდვილეში, არ იყენებ ასეთები, მაგალითად, ამ ეპოქის ხომეხი ისტორიუმის ვარდანის ცხობით, წანარები ქართულებოგანი ხალხი იყო, შესაბამისად, ისინი ქართველები იყვნენ).

სანარიის სამეფოსთან ახლოს ცხოვრობენ შექელები, ქრისტიანი ხალხი, მათ შორის მრავალი მუსულმანი ვაჭარი და ხელოსანი ცხოვრობს,

შექელების მევე, ამ წიგნის შედეგების დროს არის ადერნერ ქამა (ადერნერ ქამა), მის შემდეგ არის კილხის სამეფო (კაბალა), მისი დედაქალაქი დასახლებულია მუსლიმანებით, მის ირგვლივ სოფლები ქრისტიანებითაა დასახლებული, მათ მევეს ეწოდება ანბასა (Анбаса Кривой), ეს სამეფო არის ყაჩაღების, ქურდებისა და მაწანწალების თავშესაფარი.

(ჩემი შენიშვნა – აბალას სამეფო, მის მევეს ანბასა ალ-ავარს უწოდებდნენ ცალთვალას, ვ კი სამეფო არის ალ-ავარის აღმდეგ არის კილხის სამეფო (კაბალა), მისი დედაქალაქი დასახლებულია მუსლიმანებით, მის ირგვლივ სოფლები ქრისტიანებითაა დასახლებული, მათ მევეს ეწოდება ანბასა (Анбаса Кривой). როგორ არის ყაჩაღების, ქურდებისა და მაწანწალების თავშესაფარი.

<https://guide.travel.ru/azerbaijan/4512.html>,

ის ეხება მუჰამედის (მოვაკანის) სამეფოს, რომელიც დაამარცხა შირვან-შაჰმა და შეუერთა თავის სამეფოს...

(ქართული წყაროებით, ბუდამ მოკლა თბილისის ამირა საჰაკი. გადაწვა ქალაქი,

მას შეებრძოლა აფხაზთა მეფე თეოდოსი, მაგრამ ტაო-კლარჯეთის მეფე ბაგრატი (826–878) ბუდას მიემხრო. ეს მოხდა 851 (853) წელს. თეოდოსი დამარცხდა და გაიქცა. ბუდამ მთებში გააგზავნა თავისი ჯარი, მაგრამ მთელებმა დაამარცხეს. ბუდამ გამოიზამთრა ბარდაში, გამოიყანა ჩრდილოკავკასიიდან 300 ხაზარული ოჯახი და შამქორში ჩაასახლა (854 წელს კახეთის ოლქი გარდაბანი ააოხრა. არაბი ისტორიოსის ალ-ტაბარის ცნობით, მარტო თბილისში 853 წელს დაიღუპა 50 ათასი კაცი (საქართველოს ისტორია, ტ. I, 2008 წ. გვ. 181–182). ამჟამად ფსევდოლიბერალები დასცინიან ვკლესიას, რომ შეუძლებელია თბილისში 100 ათასი ქრისტიანი მოეკლათ, რადგანაც იმ დროს მოსახლეობა მცირე იყო, მაგრამ ალ-ტაბარის ცნობით, თბილისში მე-9 საუკუნეში ბუდამ 50 ათასი კაცი დახოცა, მით უფრო დიდი უნდა ყოფილიყო თბილისის მოსახლეობა მე-13 საუკუნეში, როცა თბილისი კავკასიის ზესახელმწიფოს დედაქალაქი იყო, ამიტომაც 100 ათასი წმიდა მოწამის შესახებ ცნობა შეესაბამება ალ-ტაბარის ცნობას. ბუდა უკან გაიწვია ხალიფამ ხაზარებთან ურთიერთობის გამო). <http://www.vostlit.info/Texts/Dokumenty/Kavkaz/Karaulov/frametext8.htm>

**Мас'уди** – „Рядом со страною алланов живут абхазы, исповедующие христианскую религию, и в наше время у них есть царь. Царь алланов сильнее их и область их простирается до гор Кабх.

Около Абхаз находится царство Джурдия, населенное большим племенем христианского вероисповедования; зовут их «хазран». Царь, управляющей ими в настоящее время, называется Таб'и и живет в месте называемом Месджид-дзильт-Карнайн.

Абхазы и хазраны платят харадж владетелю пограничной области Тифлис со времен завоевания этого города мусульманами и утверждения их в этом городе в царствование халифа Мутеваккиля. В Тифлисе был человек, по имени Исхак-ибн-Исмаиль; при содействии бывших с ним мусульман он сумел подчинить себе окружавшие его



племена, и они подчинились ему и примирились с уплатой в его пользу поземельной подати; ему; были подвластны все здешние племена, пока Мутеваккиль не прислал Буга; тот расположился лагерем около Тифлиса и осаждал его, пока не завоевал его мечем. Он убил Исхака, властвовавшего над всей страной. Подробный рассказ о происшествиях этих был бы очень длинен, да и он известен в народе этой области и среди прочих лиц, знающих историю. Я полагаю, что этот Исхак был Курейшиит из колена Омейядов или принятый в их среду вольноотпущенник.

С этого времени до нынешних дней мусульмане Тифлиса лишились всякого уважения, соседние государства более им не подчинялись, от них отделилось много деревень тифлисских и сношения между Тифлисом и землями ислама перешли от него к этим племенам кяфиров, окружавших Тифлис со всех сторон; а население его оставалось воинственным и энергичным, хотя и было окружено, как мы упомянули, опасными соседями.

Затем рядом с царством Хазран находится царство, называемое Самсаха население которого христиане, смешанные с язычниками; у них нет царя.

По соседству с Самсаха между Тифлисом и Алланским укреплением, о котором мы уже упоминали, находится царство по имени Санария, а царя их зовут Курикус. Этот народ исповедует христианство. Все христиане, сколько их есть, считают, что происходят от арабов, нисходя от Низар-ибн-Ма'ад-ибн-Мудара, а затем колено 'Укаиля основалось с давних времен здесь в этих странах, где они пользуются громадным уважением. Я видел в стране Мариб в землях Емена 'Укаилитов, союзных с Масхиджитами, характер которых похож на характер однофамильцев их в Кабхе; они богаты лошадьми и обладают могуществом. Во всем Емене нет потомков Низар-ибн-Ма'ада, кроме этого колена 'Укаилитов. Мы раньше упомянули о потомках Ахмад-ибн-Низар-ибн-Ма'ада и о том, как они вошли в Емен, согласно преданиям о том, что было с Джерири-ибн-Абдулла-ал-Баджили и пророком, да помилует его Господь и да спасет! и вообще, что было с

племенем Баджили. Санарийцы считают, что они некогда отделились от этих Марибских 'Укаилитов, которых мы только что поименовали.

Не далеко от царства Санария находятся шекины, племя христианского вероисповедания, среди которых живет большое число мусульман, занимающихся торговлей и разными ремеслами. Царь шекинов во время составления этой нашей книги Адернерсэ-ибн-Хамам, как его называют. За ними следует царство Килах; столица его населена мусульманами, тогда как деревни и села вокруг нее населены христианами. Царь их в настоящее время называется Анбаса Кривой. Это царство – убежище разбойников, воров и бродяг.

Оно соприкасается с царством Мукания, о котором мы уже говорили, и которое покорил Шарван-шах и присоединил в своем царству. Не следует это царство, именуемое Муканией, смешивать со страной того же имени, лежащей на берегу Хазарского моря.

КАРАУЛОВ Н. А. Сведения арабских писателей X и XI веков по Р. Хр. о Кавказе, Армении и Адербайджане. VIII. **Мас'уди.** (умер в 966 году по Р.Х.)

<http://www.vostlit.info/Texts/Dokumenty/Kavkaz/Karaulov/frametext8.htm>

შანარების ქართულებოვნების შესახებ წერს სომები ისტორიკოსი გარდან არეველცი (მე-13 ს.)

შანარების ავტორი მე-13 საუკუნისა გარდან არეველცი თავის „მსოფლიო ისტორიაში“ წერს – „ქალდეველი კაცების ნაწილი, თავიათი მამულიდან გამოსვლის შემდეგ, მივიღებ გარდმანში (გარდაბანი) და უთხრებ გარდმანის მთავარს – „დაგვითმე იმ ჯვრის ნაწილი, რომელიც მოგვა პერაკლე კეისარმა, ხოლო ჩვენ მივიღებთ ქრისტიანულ სარწმუნოებას და გავხდებით შენი მსახურები“, რაც შესრულდა. „**Они говорили на иверийском**

სომები ავტორი მე-13 საუკუნისა გარდან არეველცი თავის „მსოფლიო ისტორიაში“ წერს – „ქალდეველი კაცების ნაწილი, თავიათი მამულიდან გამოსვლის შემდეგ, მივიღებ გარდმანში (გარდაბანი) და უთხრებ გარდმანის მთავარს – „დაგვითმე იმ ჯვრის ნაწილი, რომელიც მოგვა პერაკლე კეისარმა, ხოლო ჩვენ მივიღებთ ქრისტიანულ სარწმუნოებას და გავხდებით შენი მსახურები“, რაც შესრულდა.



**языке“ – „ისინი ივერიულ ენაზე დაპარაგობდნენ“**

<http://www.vostlit.info/Texts/rus11/Vardan/frame/text3.htm>

«...некоторые мужи халдейские, вышедшие из своего отечества, пришли в Гардман (Гардабан) и сказали гардманскому князю – „Уступи нам часть Креста, данного тебе Ираклием, а мы примем христианскую веру и станем твоими слугами“, что и исполнилось.

<http://www.vostlit.info/Texts/rus11/Vardan/frame/text3.htm>

ბალდადის ემირმა შეიტყო ამის შესახებ და მათ დაემუქრა, ხოლო ისინი შეშინებულები, გაიხიზნენ და თავი შეაფარეს კავკასიის მთის ძირს. ქრისტეს შემწეობით, რომელთაც ის სწამდათ, დაეუფლნენ ყველა გარშემო ოლქს, ისე, რომ ერთი მათგანი, სახელად დავითი ტახტზეც კი ავიდა, ძოროგეტის მევესთან მოყვრობით.

ამ ქალდეებმა თავიანთ ოლქს წანარეთი დაარქეს იმ საფუძველზე, რომ მასში დაინახეს თავიანთი პირველი საცხოვრებელი და რადგანაც ისინი ივერიულ ენაზე საუბრობდნენ, გარდმანის მთავარმა მათვის მოწვია ქორეპისკოპოსის დანიშვნა, ასე უნდა დარქმეოდა წანარების სულიერ და საერო მეთაურს სახელი ქორეპისკოპოსი.

ტოვა თავისი საცხოვრებელი და დაიძრა ისტორიული საქართველოსაკენ, გარდმანში მათ განაცხადეს თავიანთი ქრისტიანული მიდრეკილების შესახებ და რადგანაც ქართულ, ანუ ივერიულ ენაზე ლაპარაკობდნენ, ისინი ქართული ეპლასის წევრებად მიიჩნიეს, ამიტომაც მათვის მოწვიეს ქორეპისკოპოსი, ანუ მცხეთის პატრიარქს (ქართულენოვან პატრიარქს) სთხოვეს მათვის ქორეპისკოპოსის, სოფლური ოლქის ეპისკოპოსის დანიშვნა, ასე უნდა დარქმეოდა წანარების სულიერ და საერო მეთაურს სახელი ქორეპისკოპოსი.

იმ დროისათვის კი მსგავსი სოფლური აღგილების მღვდელმთავრებს ცოლებიც ჰყავდათ და შვილებიც, ამიტომაც ქორეპისკოპოსის მემკვიდრეობითი გახდა წანარებში.

იმ ეპოქაში, როდესაც წანარები გამოჩნდნენ ისტორიის ასპარეზზე, VII–IX საუკუნეებში, ქალდეა ერქვა სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულს (ფემა, იგივე თემი) ტრაპეზუნტის რეგიონში.

ის (ქალდეა) თავდაპირველად არმენიაკონის ფემის (თემის) ნაწილი იყო.

იმპერატორ ტეოფილეს დროს (840-იანი წლებისათვის) ჩამოყალიბდა ქალდეას ფემა (თემი), რომლის ცენტრი იყო ტრაპეზუნტი, ბასილი მე-2 ბულგართმულევრელის დროს ქალდეას მმართველები დაუკას წოდებას ატარებდნენ, ქალდეას ფემას ძირითადი მოსახლეობა იყო ჭანები და ლაზები, რომელიც შექმნილი პოლიტიკური და რელიგიური ვითარების გამო გაბერძნებული, ანდა არმენიზებული იყვნენ, თუმცა ჭანების მნიშვნელოვან ნაწილს თვითმყოფადობა არ დაუკარგავს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ წანარები იყვნენ ქალდეას ფემადან ლტოლვილი ჭანები. ქალდეას ფემა გეოგრაფიულად ზღვისპირის გარდა ძირითადად მოიცავს მაღალ და კლდოვან მთიანეთს, სწორედ ამის გამო წანარებს დარიალის ხეობისათვის მიუმსგავსებიათ ქალდეას გეოგრაფიული სახე და იქ სიამოვნებით დამკვიდრებულან.

**(Эти Халдеи назвали свою область Тцанарка (Цанарк) на том основании, что в ней они узнали первое свое местожительство.**

**И так как они говорили на иверийском языке, то гардманский князь пригласил для них, хорепископа»).**

<http://www.vostlit.info/Texts/rus11/Vardan/frame/text3.htm>

ეს მიუთითებს, რომ წანარები იყვნენ არა ურარტულები ქალდეები, როგორც ახლა მიიჩნევენ, არამედ ჭანეთის მცხოვრებნი, ჭანეთს კი ამ ეპოქაში მოიცავდა ბიზანტიური ქალდეებს თემი.

როგორ მოხვდა ბიზანტიური სამხედრო-ადმინისტრაციული ოლქიდან, ქალდეებან გამოსული მეომრების ჯგუფი აღმოსავლეთ საქართველოში?

მაშასადამე, არაბთა შემოსევის გამო ქალდეას თემის ჭანების ნაწილმა მია-



მაშასადამე, წანარებს არავითარი კავშირი არ შეიძლებოდა პქონოდათ ურარტუსთან, თუნდაც იმის გამო, რომ მათ დროს ურარტუ უკვე ორიათასი წლის წინ იყო განადგურებული და მისი არსებობა საისტორიო წრეებმა შეიტყვეს მხოლოდ მე-18 საუკუნის შემდეგ.

მაშასადამე, წანარები იყვნენ ტრა-პეზუნების რეგიონის ჭანები, შესაბამისად, ქართულენოვანი ხალხი, მიდრეკილი ქრისტიანობისაკენ, ქრისტეს ჯვრის მოყვარულები, ამიტომაც მათ რელიგიურ-სასულიერო ლიდერად დაუდგინეს მცხეთის კათალიკოსის ქორეპისკოპოსი.

როცა წანარები გარდმანში მივიდნენ იყვნენ მხურვალე მორწმუნე ქრისტიანები. მათ მოითხოვეს იქ დაცული წმიდა ჯვრის ნაწილი, ამ ქრისტიანებს ესაჭიროებოდათ სასულიერო ზედამხედველი, ანუ ეპისკოპოსი. როცა გარდმანის მთავარმა შეიტყო მათი ქართულენოვნება, მოითხოვა მცხეთის კათალიკოსისაგან ქორეპისკოპოსი და დანიშნა მათ ეპისკოპოსად.

მე-7 საუკუნეში გარდმანი ტაოსთან და სხვა ქართულ მხარეებთან ერთად არ მიექცეო სომხურ-მონფიზიტურ ფრთას და იცავდა ქალკედონიტობას.

ამის გამო სრულიად უსაფუძვლოა ამჟამად გავრცელებული აზრი, რომელიც საინტერნეტო სივრცეშია, თითქოსდა, ვარდან არველცი თავის ტექსტში აფიქსირებს ფაქტს იმისა, რომ წანარები ურარტუელი ქალდებისაგან წარმოიშვნენ და ა. შ.

**(„Этот текст весьма интересен не только тем, что фиксирует происхождение царя от халдов-урартийцев...  
<https://vk.com/@isstukx-canary-zabytaya-voina-zabytogo-naroda>). Романчик აღინიშნა, ვარდან არველცი წერს, რომ ქალდეადან გარდმანში მოსული წანარები ივერიულ, ანუ ქართულ ენაზე ლაპარაკობდნენ, ამიტომაც გარდმანის მთავარმა მათითვის მოწვია ქორეპისკოპოსი (И так как они говорили на иверийском языке, то гардманский князь пригласил для них хорепископа“ Вардан Великий. Всеобщая история. часть 3**

<http://www.vostlit.info/Texts/rus11/Vardan/frame/text3.htm>

ჩვენი აზრით, გარდმანში მივიდნენ ტრაპეზუნების ქალდეას თემიდან ლტოლვილი ჭანები, ბუნებრივია, რომ ისინი ქართულ, ანუ ივერიულ ენაზე ლაპარაკობდნენ, ამ მიზეზის გამო, წერს მემატიანე, გარდმანის მთავარმა მათითვის მოწვია ქორეპისკოპოსი.

მაშასადამე, ვარდან დიდის, ანუ ვარდან არველცის ცნობაში, ქართული ენა და ქორეპისკოპოსი ერთმანეთთან კავშირშია, ანუ ქორეპისკოპოსის საეკლესიო-ლიტურგიული და სალაპარაკო ენა იყო ქართული ენა, ამიტომაც მას უკვე თავის მრევლთან, წანარებთან, მჭიდრო ურთიერთობა ექნებოდა. ეს ნიშნავს, რომ იმჟამად მონოფიზიტურ გარდმანში მისული წანარები ჩააბარეს არა სომებს მდვერელმთავრებს, არამედ ქალკედონიტ, ანუ ქართულენოვან ქორეპისკოპოსს. ამ იერარქს წანარები ჩააბარეს ქართული ენის ცოდნის გამო, თანახმად სომები მემატიანის ცნობისა.

საქმე ისაა, რომ საქართველოს ქალკედონიტური ეკლესია, ბუნებრივია, ქართულენოვანი იყო, ხოლო მონოფიზიტური ეკლესია – სომხურენოვანი, ანუ მრევლის ქართულენოვნება უკვე ნიშნავდა ქალკედონიტური მიმართულების მატარებლობას, ხოლო სომხურენოვნება – მონოფიზიტურისა (მე-8 საუკუნის ბოლოდან).

ამიტომაც ქალდების, ანუ წანარების ქართულენოვნება უკვე ნიშნავდა, რომ ისინი ქართული ეკლესიის მრევლი იყო და, შესაბამისად, ქართველი ქორეპისკოპოსი ესაჭიროებოდათ.

რაც შეეხება გარდმანს, ის ძირითადად ორ ნაწილად იყოფოდა – ქართულ-ქალკედონიტურად და სომხურ-მონფიზიტურად.

საერთოდ, წყაროს ცნობით, თავდაპირველად გარდმანი, ანუ გარდაბანი, მოლიანად ქართული ოლქი, იყო დასახლებული მხოლოდ ქართველებით, რადგანაც მემატიანემ, გარდაბანის, ანუ გარდმანის ხალხის ეპონიმი „გარდაბოსი“ ქართველთა წინაპრის – „ქართლოსი“



ძედ დასახა. ეს ნიშნავს, რომ მისი მტკიცებით ეს ოლქი ქართველების თავდაპირველ მიწა-წყლად და ქართველებით დასახლებულად მიიჩნეოდა.

მემატიანე წერს – „გარდაბოსს მისცა ხუნანი და უჩინა სახლვარი: აღმოსავლით მდინარე ბერდუჯისი, დასავლით ქალაქი გაჩიანი, და სამჯრით მთა პირველკსენებული, და ჩრდილო მტკვარი.“

ეს მომხდარა ქრისტეშობამდე რამდენიმე ათასწლეულით ადრე, ქართლოსისა და მისი ძის გარდაბოსის ეპოქაში.

მაშასადამე, თუ ვარდან დიდს ვენდობით, წანარები ქართულენოვანი ხალხი იყო, გამოსულნი ქალდეას, ანუ ჭანეთის ოლქიდან. ჩანს, რაღაც დევნის გამო მათ თავი შეაფარეს საქართველოს შედარებით დაცულ ოლქს – გარდაბანს. ქართულენოვნების გამო მათ მცხეთის პატრიარქის მიერ დაენიშნათ ქორეპისკოპოსი (საეკლესიო-სასულიერო მეთაური), რომელიც მალე მათ საერო მეთაურადაც იქცა.

## წანარების პინაობა

პონტოსპირეთის იბერიულობის შესახებ წერენ თვით სომები ისტორიკოსები, ხორენაცი, უხტანესი და სხვა. ისინი მიუთითებენ, რომ პონტოსპირეთში იბერები ჩაასახლა ნაბუქოდონოსორმა და, მათი აზრით, იბერების საცხოვრისი პონტოსპირეთიც არის.

სომები ისტორიკოსების ეს დაბეჯითებული მტკიცებანი მიუთითებს, რომ მათ დროს, V–X საუკუნეებში, ტრაპეზუნტისა და მისი ჩრდილოეთის მხარეები ისევ ქართული ქავები იყო და ისინი ამის ასენას ცდილობდნენ.

სტრაბონიც მიუთითებდა, რომ მთელი ეს მხარეები პარიადრედან ხორმენასა და გოგარენას ჩათვლით ძვ. წ. მე-2 საუკუნეებში იბერიას ეკუთვნოდა, რომელიც არმენის მეფეებმა მიიტაცეს.

უშუალოდ ტრაპეზუნტის რეგიონში ხალიბების, ანუ ქალდეების, ლაზების,

კოლხების, იბერებისა და სხვა ქართული ტომების შესახებ ცნობებს უამრავი ბერძენ-რომაელი აგზორი იძლევა ქსენოფონტებან არიანეს ჩათვლით.

შემდგომში, ბიზანტიამ აქ დააარსა თავისი ადმინისტრაციული ერთეული „ქალდეას თემი“. ქართველები ამ მიწა-წყალს ჭანეთს უწოდებდნენ. აქ ჭანები სახლობდნენ და მათ სახელს უნდა უკავშირდებოდეს წანარების სახელი.

სტრაბონი წერს, რომ ტრაპეზუნტოან ცხოვრობდნენ ტიბარენები, ქალდები, სანები, მაკრონები (XII,3.18). პლინიუსი კი აღნიშნავდა, რომ ტრაპეზუნტის ახლო მთებს იქით არის იბერია (ბუნების ისტორია, VI,1.3) და აქვე, ტრაპეზუნტოან ცხოვრობდნენ კოლხები და სანები (ჭანები ან სვანები).

მაშასადამე, წელთაღრიცხვათა მიჯნაზე სხვადასხვა ქართულ ტომთან ერთად აქ ცხოვრობდა ქალდეების ტომი. აქ მცხოვრობი ქალდეების მიწა-წყალზე ბიზანტიის იმპერიამ 820 წელს დააარსა თავისი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული „ქალდეას თემი“ (Хალბია).

ქალდები სახელოვანი მეტალურგები და მჭედლები იყვნენ, ამიტომაც, ჩანს, საბრძოლო იარაღს კარგად იცნობდნენ და ფლობდნენ. ისინი უმეტესად გუმუშხანეს რეგიონში ცხოვრობდნენ, მაგრამ ტრაპეზუნტის ირგვლივ მცხოვრებ ქართულ ტომებს ერთმანეთთან კავშირი არ ჰქონდათ და პირიქით, ურთიერთბრძოლით ერთმანეთს ძალზე ასუსტებდნენ.

ასეთი პოლიტიკური სისუსტის გამო ისინი ძლიერ იჩაგრებოდნენ ბიზანტიელების მიერ.

ქალდეების მაგალითზე ეს იქიდან გამოჩნდა, რომ მათი მიწა-წყალი ბიზანტიელებმა იუსტინიანეს დროს ოლქ „1 არმენიაში“ შეიყვანეს, შემდეგ კი – „არმენიაკონის“ ოლქში.

შესაძლოა, ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მათი ერთი ნაწილი ქალდეას მიწა-წყლიდან აყრილა და წამოსულა იმ ქვეყანაში, რომელშიც მშობლიური ერი



ეგულებოდა – **ივერიაში**, რადგანაც ისინიც ივერიულ ენაზე ლაპარაკობდნენ.

ქალდეადან წამოსულები თავდაპირველად თითქმის იმავე სახელის მქონე ქართულ ოლქში მოსულან, რომელიც დატოვეს – **გარდმანში** (გარდმანი-ქართმანთი-ქალდმანი). აქ მათ დაუდასტურებიათ თავიანთი ქრისტიანობა, აღბათ, ადგილობრივი ეკლესიის მრევლად იქცნებ და დიდი სურვილი გამოუთქვამთ, მათაც ჰქონდათ იმ პატიოსანი ძელი-ჭეშმარიტის ნაწილი, რომელიც აქ დაუტოვებია ჰერაკლე კეიისარს, – წერს ვარდან დიდი არევალცი თავის წიგნში „მსოფლიო ისტორია“.

**«Точно таким же образом некоторые мужи халдейские, вышедшие из своего отечества, пришли в Гардман (Гардабан) и сказали гардманскому князю – „Уступи нам часть Креста, данного тебе Ираклием, а мы примем христианскую веру и станем твоими слугами;“ что и исполнилось. Эмир багдадский, узнав об этом, стал грозить им; и они, устрашенные, удалились к подошве Кавказских гор.»**

**При помощи Христа, в которого они уверовали, завладели они всеми (окрестными) областями, так что один из них, по имени Давид, вступивший в свойство с царем дцоро-гетским, вступил даже на престол. Эти Халдеи назвали свою область Тцанарк' (Цанарк) на том основании, что в ней они узнали первое свое местожительство. И так как они говорили на иверийском языке, то гардманский князь пригласил для них, хорепископа». Вардан Аревелци, «Всеобщая история» [http://www.vostlit.info/Texts/rus11/Vardan\\_2/obz0r1.htm](http://www.vostlit.info/Texts/rus11/Vardan_2/obz0r1.htm)**

ვარდანი წერს – „ქალდეველი ვაჟა-ცები თავიანთი მამულიდან გამოსვლის შემდეგ მივიდნენ გარდმანში (გარდაბანი) და უთხრეს გარდმანის თავადს „დაგვითმე იმ ჯვრის ნაწილი, რომელიც ირაკლიმ მოგცა, ხოლო ჩვენ მივიღებთ ქრისტიანულ სარწმუნოებას და თქვენი მსახური გავხდებით“, რაც შერულდა. ბადდაის ემირმა როცა ეს შეიტყო, მათ დაემუქრა, და ისინი შემინებულები გან-

შორდნენ კავკასიის მთის პირისაკენ. ქრისტეს მეოხებით, რომელიც სწამდათ, ისინი დაეუფლნენ გარშემო ოლქებს... რომელსაც ეს ქალდეები „ჭანარს“ (ჭანეთს) წანარს უწოდებდნენ, იმ საფუძვლზე, რომ ის პგავდა მათ თავდაპირველ ქვეყანას. იმის გამო რომ ისინი ლაპარაკობდნენ ივერიულ ენაზე, ამიტომაც გარდმანის თავადმა მოიწვია მათთვის ქორებისკოპოსი“ (ე.ი. წანარეთი ჭანეთ-ქალდეას წააგავდა).

(შესაძლოა, ადსანიშნავი იყოს ის, რომ გიუმუშხან-ქალდეადან სხვა დროსაც გადმოსახლდნენ ქალდეები საქართველოში. ეს მოხდა მე-19 საუკუნეში, როცა გიუმუშხანებს ოლქიდან რუსის გენერალ პასკევიჩის დროს ხალხი საქართველოში – თრიალეთში ჩამოსახლდა, მათ თან ჩამოიტანეს თავიანთი ეკლესიიდან ქართულენოვანი სახარება, მაგრამ ქართული ძალზე ცუდად იცოდნენ, თუმცა საოჯახო ქართულენოვნება გარკვეულწილად შენარჩუნებული ჰქონიათ. მაგალითად, ბავშვის აქვანში ჩასაკრავი მოწყობილობების ქართული სახელები (არგახი და სხვა), მაგრამ ისინი ოფიციალურად ჩამოსახლებს ვითარცა ბერძნები, რადგანაც იქამდე თსმალეთის იმპერიის ბერძნულ მილეთში იყვნენ შეეგანილები მართლმადიდებლობის გამო. საქართველო ამ დროს თვითონ იყო დაპყრობილი, ამიტომ ქალდეებს სკოლებში დაუწერეს რუსულენოვნება და გაუძლიერეს ბერძნული თვითშემეცნება, თუმცა მათ ბერძნული ენა საერთოდ არ იცოდნენ და ნარევი თურქულ-ქართული დიალექტით საუბრობდნენ, ისინი შემდგომ საბერძნეთში გადასახლდნენ მე-20 ს. ბოლოს, ვითარცა ბერძნები, მათ შორის ზოგიერთი სოფლის მოსახლეობა (მაგ., სოფ. სანთასი) აცხადებდა, რომ ისინი ლაზები იყვნენ).

როგორც ითქვა, ვარდან დიდის ცნობის შესაბამისად, ქალდეები გარდაბნის პროვინციაში ჩამოსახლდნენ დაახლოებით მე-8 საუკუნეში. ამ დროს გარდმან-გარდაბანი მტკიცე ქალქედონური ქვეყანა იყო, შესაბამისად, ქართული ეპლესის იურისდიკიაში, ამიტომაც გარდმანის ერისთავს ამ მოსული ქალდე-



ბისათვის დაუნიშნავს ქორეპისკოპოსი (ანუ ქართლის კათალიკოსის დამხმარე ეპისკოპოსი რეგიონების საჭიროებისათვის). ის ქალდებისათვის, პირველ რიგში, სასულიერო იერარქი იყო, თანდათან საერო საქმეებსაც ხელმძღვანელობდა.

მე-7 საუკუნეში გარდმანი ტაოსთან ერთად არ მიემხრო სომხურ-მოხოვიზიტურ ფრთას და იცავდა ქალკედონიტობას.

ამჟამად ამ ქალდებს სომები და რუსი მეცნიერები ქალდ-ურარტულებს უწოდებენ, ხოლო ინგუშებისა და ჩეჩენების ისტორიკოსების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ მათი ხალხები არიან წანარების შთამომავლები და ისინი ურარტუს ქალდებისაგან არიან წარმოშობილნი. სინამდვილეში, როგორც გავარკვიეთ, გარდმანში მისული წანარები იყვნენ ქალდებს თემიდან გამოსული ჭანები, ანუ ვარდან დიდის ცნობით, იყვნენ ბიზანტიურ თემ ქალდიას ქართულენოვანი სამყაროს წევრები.

ისინი გარდმანიდან არაბების მუქარის შემდგომ გადასახლებულან საქართველოს მთიან მხარეში, ასე რომ, წილკანი და დარიალის ხეობა მათ კონტროლქვეშ აღმოჩენილა. ეს მხარები მათ, ვარდან დიდის ცნობით, თავიანთ უძველეს სამშობლოდ მიაჩნდათ. შემდეგ კი კახეთის არაბებისაგან გასათავისუფლებლად იბრძოდნენ დიდი ხნის მანძილზე. წანარების, ანუ კახეთის ქორეპისკოპოსი დონაურების საგვარეულოდან იყო, როგორც აღინიშნა, ილარიონ ქართველი.

მასუდისა და საერთოდ, არაბ ისტორიკოსებს, ისე მოსწონდათ წანარების თავდაცემული და ვაჟაცური ომები არაბებთან, რომ დაენახათ მათი კავკასიურ ტომებად წარმოჩენა და ირწმუნეს ლეგენდა, რომ წანარები არიან არაბული სამყაროს წევრები, კერძოდ კი, იემენელები.

Знаменитый арабский ученый-энциклопедист **ал-Масуди** в книге «Мурудж аз-захаб» («Золотые источники»), написанной в 20-30-е годы X века, приводит такие сведения о цанарах: «...между приграничной областью Тбилиси и уже упомянутой крепостью


«Аланские ворота» лежит царство Санария (Цанар), царь которого называется корискус (греческое **χορεπισκόπος**), что является обычным титулом здешних царей... Они христиане. В этой стране они господствуют над многими народами. Санары утверждают, что они те, кого мы называли среди народов в стране Маариб (в Йемене)».

Отметим для себя, что арабы название цанаров всегда произносили со звуком «с» впереди – санары, санарийцы. Поэтому название древней причерноморской страны, откуда пришли на Кавказ предки цанаров, ал-Масуди мог воспринять как «Сана». Именно здесь, на наш взгляд, и кроется объяснение того, что ал-Масуди связал происхождение цанаров со страной Маариб (Йемен).

Дело в том, что ал-Масуди древнюю **Сану в Колхиде** перепутал с городом Сана – древней столицей Йемена. Его не смущило и то, что современные ему санарийцы (цанары) были христианами. Ведь и жители **Йеменской Саны еще в V веке приняли христианство из Эфиопии**, что было известно арабскому ученому-энциклопедисту. Все эти факты вкупе с рассказами цанаров о своем южном происхождении и породили ошибочную «йеменскую» версию ал-Масуди, нашедшую отражение в книге «Золотые источники».

გარდმანის ხევს, ანუ გარდმანის ოლქს ქართველები თავიანთი წინაპრების სამშობლოდ მიიჩნევდნენ (ქართლოსის ძის გარდაბოსისაგან), ხოლო ამჟამინდელი აზერბაიჯანელი მეცნიერები ალბანეთის ნაწილად თვლიან, სომხურ წევრების მიხედვით, არმინიაში შედიოდა, არმენიელების მიერ იბერიის მიწების მიტაცებათა გამო. სტარბონის ცნობით, არმენიამ იბერიისაგან მიიტაცა ძვ. წ. 180 წლისათვის იბერიული ოლქები – პარიადრეს კალთები, ხორქენა და გოგარენა, ერთ-ერთი ასეთ მიტაცებული ოლქის ნაწილი უნდა ყოფილიყო გარდმანი.

**Гирдыман – историческая область в Закавказье, в античный период один из восьми гаваров ашхара Утик Великой Армении, в раннем средневековье – феодальное владение в Кавказской Албании.**



ამჟამად გარდაბან-გარდმანის ისტორიულ ოლქს ორ ნაწილად ყოფენ, ჩრდილოეთ ნაწილს ქართულ სამყაროსთან აკავშირებენ, ხოლო ქვემო ნაწილს – სომხურთან.

სტრაბონის ცნობიდან გამომდინარე, იბერიისაგან არმენიის მიერ მიტაცებული ერთ-ერთი ოლქის (ხორძენას, ანდა გოგარენას) ნაწილი უნდა ყოფილიყო სივნიეთი, სევანის ტბის სამხრეთიდან მიმდებარე ოლქი, ისიც (გარდმან-გარდაბნის მსგავსად) ამ მიტაცებამდე ქართველებით უნდა ყოფილიყო დასახლებული. სტრაბონის ცნობიდან გამომდინარე, რომ იბერებისაგან მიტაცებულ ოლქებში არმენიელებმა შეძლეს მკვიდრი მოსახლეობის არმენიზაცია იმდენად, რომ სტრაბონის დროს ისინი უკვე სომხურ ენაზე ლაპარაკობდნენ, მიუთითებს არმენიზაციის დაჩარებულ პროცესზე.

მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ადმინისტრაციის ენას, ანუ სომხურ ენას, უფრო მეტად ზედაფენა სწავლობდა და ქვედა ფენა, ალბათ, კიდევ დიდხანს ინახავდა ქართულენოვნებას, დრმა კავშირს მშობელ ქართველ ერთან და ასევე, მისევნ სწრაფვას. ამის გამოხატულ მაგალითად მიგვაჩნია ჩვენ პეროვავრა სივნიელი, წმიდა ნინოს თანამოსაგრე ქართველთა მოქცევისას.

სივნიეთი, ისევე, როგორც გუგარქი, კლესიურად, წმიდა ნინოს ცხოვრების მიხედვით ქართული კლესიის იურისდიქციაში შედიოდა, პეროვავრა სივნიელი ამის პიროვნული გამოხატულება იყო.

გუგარქის ვრცელი ოლქი ქართველთა ქვეყანა იყო, რომელზეც არმენია მუდამ ცდილობდა გაბატონებას, თუმცა, როგორც ეპისტოლეთა წიგნიდან ჩანს, აქ მუდამ მიმდინარეობდა ბრძოლა ქართული



ენისათვის, რათა მისი უფლებები ადგენილიყო საეკლესიო და საერო ცხოვრებაში.

გუგარქი რომ ქართველთა ქვეყანა იყო ჩანდა ეკლესიურადაც, ამას ადასტურებს ის, რომ გუგარქის ეპარქია საქართველოს ეკლესიის ოურისდიქციაში შედიოდა.

მისი ეპისკოპოსი მოსე კირიონ კათალიკოსის დროს ეპისტოლებთა წიგნში – „ქართველთა ეპისკოპოსად“ იწოდება.

ამავე ეპისტოლებთა წიგნიდან ჩანს, რომ გუგარქის ეპარქიის ეკლესია-მონასტრებში სომხურენოვანი საეკლესიო მსახურება დაინერგა მხოლოდ მე-6 საუკუნეში, თავდაპირველად წმ. შუმანიკის საფლავის ეკლესიაში, ანუ ცურტავის ეკლესიაში, შემდეგ კი სომხურენოვნება მთელს ეპარქიაში გავრცელდა (იხ. პისტოლებთა წიგნის ანალიზი ჩემს ნაშრომში – „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“).

ამის შესახებ მე ასევე ვწერ სტატიაში, რომელიც „პრავოსლავნია ენციკლოპედიის“ სტატიაში „კირიონ გადმოცემული –

„В «Книге посланий», где также повествуется о церковном разделении в Закавказье, собрана переписка между К. и участниками межцерковного спора. Важное место в тексте отводится еп. Цуртавскому Моисею и истории Цуртавской епархии, расположенной в Квемо-Картли (арм. Гугарк). Убедившись в приверженности К. к решениям Халкидонского Собора, еп. Моисей, названный во 2-м письме «епископом грузин», покинул епархию и перешел в Армению (Книга посланий. 1968. С. 2, 12, 15).

После самовольного ухода еп. Моисея из епархии последовала переписка К. с представителями ААЦ (католикосом Мовсесом II Елиандеци (574–604), наместником арм. католикоса Вртанесом Кердолом, католикосом Авраамом I) и арм. светских властей (ставленником персид. шаха в вопросах упорядочения церковных дел в Армении Врканским марзпаном Смбатом Багратуни), где К. доказывал правомочность своей

внутренней и внешней политики. Оппоненты обвиняли главу ГПЦ в притеснении еп. Моисея, в упразднении армяноязычного богослужения, установленного в Цуртави вмц. Шушаниკ, а также в приверженности К. к «ромеям (т. е. византийцам.- Авт.), которые приняли Халкидонский Собор» (Там же. С. 67). Особенно непримиримо выступал против позиции К. католикос Авраам I.

Однако К. убедил Смбата Багратуни в своей лояльности к Ирану, а также отверг обвинения в отмене арм. богослужения: «Мы богослужение (на арм. языке.- Авт.) не отменяли, но тот, кто поставлен (нами.- Авт.) епископом, знает и грузинскую, равным образом и армянскую грамоту, и богослужение совершается на обоих языках» (Книга посланий. 1968. С. 70, 78; Ухтанес. 1975. С. 125, 153). Груз. историки считают, что К. ввел груз. богослужение в Цуртавской епархии (Джавахишвили) или лишь в той ее части, к-рая была населена армянами (Алексидзе). Однако, по мнению груз. церковных историков, К. восстановил в регионе древнюю практику богослужения на груз. языке, что было ранее отменено под давлением персид. властей.

<https://www.pravenc.ru/text/1840497.html>



## თავის დასკვნა

დავითგარეჯისა და მიმდებარე ოლქების მიწა-წყალი, ქართული წყაროების თანახმად, ქართველთა წინაპრების (ეპონიმების – ქართლისის, კახეთისა, კუხოსისა და გარდაბოსის) წილ ქვეყნად მიიჩნეოდა და ჯერ კიდევ ფარნავაზის ეპოქიდან შედიოდა ქართლის სამეფოს შემადგენლობაში.

აქ, და საერთოდ სამხრეთ კახეთში (კუხეთ-კხოვეთში), მოღვაწეობდნენ წმიდა ნინო – ქართველთა განმანათლებელი, და მე-6 საუკუნიდან – ასურელი მამები.

არაბობის ეპოქაში თავდაპირველად აქაურ რეგიონებში გამოჩნდნენ წანარები, როგორც ამ ეპოქის ისტორიკოსი უწოდებს „ივერიულენოვანი“ ტომი, რომელთაც კახეთი გადააქციეს არაბთა წინააღმდეგ მიმართული განმანთავისუფლებელი ომების არეალად, ქორეპისკოპოსთა მეთაურობით. მათ ოჯახში დაიბადა იმჟამინდელ ქრისტიანულ მსოფლიოში სახელოვანი წმიდანი – ილარიონ ქართველი.

არა მხოლოდ დავით გარეჯის მიწა-წყალი და სამხრეთ კახეთი, დიდი ოლქი გარდმანიც წმიდა ილარიონ ქართვლისა და უფრო ადრე, ასურელი მამების დროს, წყაროთა მიხედვით – ქართული ოლქები იყვნენ.



შან რასინის ბიბლიური ფრაგმენტის „ათალიას“ გენეზისის საპითხოსათვის

გაუა ოთარაშვილი  
თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
ეპა ქვანტალიანი  
დასავლეთეროპული და ამერიკული  
ლიტერატურის დოქტორანტი  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

### რეზიუმე

სტატიაში წარმოდგენილია ქან რასინის ბიბლიურ მოტივებზე შექმნილი დრამის „ათალიას“ ლიტერატურული წყაროების გენეზისის პალევა და რასინისეული ინოვაციები. გაანალიზებულია, რომ პიესა ეყრდნობა როგორც ბიბლიურ მოტივებს, ასევე ებრაული თალმუდისა და თანახის ნაწილს, პარალიპომენას ანუ პროტესტანტულ ქრონიკებს“, ისტორიულ გადმოცემებსა და ანტიკური, ძველბერძნული დრამების გავლენას.

ზოგადად რასინი, როგორც კლასიცისტური ტრადიციის ჭეშმარიტი მემკვიდრე, თქმებს ანტიკური ისტორიიდან და მითოლოგიიდან იღებდა. მისი პიესა „ათალია“ კი (როგორც „ესთერი“) ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს, რომლის ძირითადი ლიტერატურული წყაროები ბიბლიურ სიუჟეტებს ეფუძნება, სადაც ავტორის ინოვაციური ხელწერა წარმოდგენილი.

ქან რასინმა „ათალიაში“ დამუშავებული ძველადთქმისეული სიუჟეტებით შექმნა სრულიად ახალი, ორიგინალური ფრანგული კლასიცისტური ტრაგედია, რომელიც ღირსეულ მეტოქებას უწევს დღესაც იდეალურ ესთეტიკურ ეტალონებად გამოცხადებულ კლასიკურ დრამატურგიულ ნიმუშებს.

საკვანძო სიტყვები: ბიბლიური ტრაგედია, რასინი, „ათალია“, ფრანგული კლასიცისტური დრამა.

ქან რასინის „ათალია“ (1690წ.) ბიბლიურ მოტივებზე შექმნილი ტრაგედია, რომელიც ავტორმა „ესთერის“ შემდეგ დაწერა მეფე ლურ XIV-ისა და მადამ დე მენტენონის დაკავითო, სამეფო მეურვეობის ქვეშ მყოფი სენ-სირის სასულიერო სასწავლებლის აღსაზრდელ გოგონათვის. ფაქტობრივად, „ათალია“ რასინის თეატრალური კარიერის გრანდიოზული დასასრულის ბოლო დიდებული დრამა იყო შთაგონებული ძველი აღთქმის ტექსტებით, განსაკუთრებით „მეფეთა წიგნით“. პიესა ასევე ეყრდნობა ბერძნული წყაროების ნაწილს. „ათალიას“ მისი შინაარსიდან გამომდინარე, „სქიზმის“ დიდ ტრაგედიას უწოდებს როლან ბარტი. (Barthes, 2002 :69-72).

ქან რასინის პიესის „ათალიას“ მთავარი პერსონაჟი, ბიბლიური დედოფალია, რომლის სიუჟეტი ძირითადად, სწორედ, ძველი აღთქმის წიგნებიდან, განსაკუთრებით „მეფეთა წიგნიდან“ აქვს აღებული ავტორს. ათალია, იორამის ქვრივი, იოასის (იოაშის) ბებია, იყო ასული აქაბისა (აქაბის) და იეზაბელისა (რომელიც დევნიდა ელიას და სხვა წინასწარმეტყველებს, რისთვისაც ისრაელის მეფემ იეჰუმ, დავითის შთამომავალმა, ბრძანა მისი ფანჯრიდან გადაგდება, რათა ძალლებს შეეჭამა). ათალიამ ტახტისა და ძალაუფლების გამო დავითის ტომის ეველა შთამომავალი ამოწყვიტა, მათ შორის მისი შვილიშვილებიც. გადარჩა მხოლოდ ერთერთი მათგანი, იოასი, რომელიც დავითის შტოს პირდაპირი შთამომავალი იყო. იგი გადარჩინა ათალიას ქმრის ასულმა იოსაბეთმა (იეჰოშაბეთმა), მღვდელმთავარი იოადის (იეჰოიადას) ცოლმა და იერუსალიმის ტაძარში ელოაკიმის სახელით საიდუმლოდ აღზარდეს.

„ათალიას“ ამბავი მოთხოვობილია ბიბლიაში, ძველ აღთქმაში, წიგნში „მეოთხე მეფეთა“ (თ.XI.1). საინტერესოა, რომ ძველი აღთქმის მცხეთური ხელნაწერის



მიხედვით ათალია მოხსენიებულია, როგორც გოთოლია:

„1. გოთოლია, დედამან ოქტოისამან, ვითარცა იხილა, რამეთუ მოსწყდდეს შვილი მისნი, წარწყმიდა ყოველი ნათესავი შარავანდედთა მათ. 2. და ადიქვა იოსაბე, ასულმან მეფისა იორამისამან, დამან ოქტისამან, თოას, ძე ოქტისასი, ძმისა თვისისა, რამეთუ მოიპარა იგი შორის ძეთა მათ მეფისათა, რომელ მოსრუება, და დამალა იგი და დედამძუძე მისი სენაქსა სასვენებელისასა პირისაგან გოთოლიასა, და არა მოკუდა. 3. და იყო მის თანა სახლსა მას უფლისასა მალულად ექუს წელ და გოთოლია მეფობდა ზედა მას ქუფენასა.“ (მცხეთური ხელნაწერი, 1982: 214)

ხოლო თანამედროვე ქართული რედაქციით ბიბლიაში ათალია მოხსენიებულია დოთოლიად, სადაც ვკითხულობთ: „როცა დაინახა დოთოლიამ, ახაზიას დედამ, რომ მოკვდა მისი შვილი, ადგა და ამოწყვიტა მთელი სამეფო მოდგმა...“ (ბიბლია, 1989: 333)

ამ ტექსტს მცირედი განსხვავებით ვხვდებით წიგნში მეორე „რიცხვთა“ (XXII და XXIII) და თავში „პირველი ნეშტთა“ (ებრ. מִנְחָה־יְהוָה), რომელიც ძველი აღთქმის ერთ-ერთი წიგნია. ბიბლიის წიგნი „მეორე ნეშტთა“ იწყება ისრაელში სოლომონის მეფობით, ხოლო მთავრდება სპარსეთის მეფის კიროსის სიტყვებით, რომლითაც ის ბაბილონში გადასახლებულ იუდეველებს მიმართავდა. წიგნის წერა ეზრა მდვდელმა ძვ. წ. 460 წელს დაასრულა. კიროსის ბრძანებით იუდეველებს შესაძლებლობა ეძლეოდათ, იერუსალიმში დაბრუნებისა და დმერთისადმი თაყვანისცემის განახლებისა. ბაბილონში მრავალწლიანმა ტყვეობამ ერს თავისი კვალი დააჩნია. გადასახლებიდან დაბრუნებულებმა ბევრი არაფერი იცოდნენ თავიანთი ერის ისტორიის შესახებ. ამ წიგნების „ნეშტთა“ სახელწოდება „ქრონიკები“ კი გამოიყენება ბიბლიის პროტესტანტულ თარგმანებში ფრანგულად –

„Livre des chroniques“ (XXII et XXIII), ინგლისურად – Chronicles, germanulad – Chronik (Coogan, 2007: 576).

რასინმა ასევე მიმართა ძველ და თანამედროვე ისტორიკოსებს: იოსებ ფლავიუს (Flavius Josèphe), სუპლიციუს-სევერს (Sulpice-Sévère), ბოსუეტს (Bossuet), ანგლიკან ლაიტფეტის (Anglican Lightfoot), სასის (Sacy) (მეფეთა წიგნის „Livre des Rois“ კომენტარში), რაბინ ლეონ მოდენს (le rabbin Léon de Modène) რომლის ნაშრომი „იუდეველთა შორის აღმოჩენილი ცერემონიები და წეს-ჩვეულებები“ („Cérémonies et coutumes qui s'observaient parmi les Juifs“) თარგმნა და გამოსცა რიჩარდ საიმონმა (Richard Simon) 1674 და 1681 წლებში. მაგრამ რასინმა მათი მხოლოდ რამდენიმე დეტალი გამოიყენა დროის სულისკვეთების უკეთ გაგებისათვის.

„ათალიას“ ლიტერატურული წყაროს ანტიკური ელემენტების შტრიხები კი, როგორც მკვლევრები აღნიშნავენ სიუჟეტის მოქმედების განვითარებით ძველბერძნული ტრაგედიების ევრიპიდეს „იონის“ და სოფოკლეს „კრეუსადან“ არის აღებული (Lanson, 1903: 67-89; Laurence, 2008: 41). ტრაგედია „იონი“ ძველ ბერძენ დრამატურგ ევრიპიდეს ანტიკური მითებიდან აქვს გადმოგანილი თავის მხრივ (ძვ.წ. 412-408), სადაც ევრიპიდე ავითარებს იონის – იონიელთა წინამორბედის მითს, რომელიც სოფოკლემ მასზე აღრე გამოიყენა პიესაში „კრეუსა“. ათენის დედოფალი კრეუსა ერთხელ გახდა აპოლონის ძალადობის მსხვერპლი და იძულებული იყო დაეტოვებინა ამ ურთიერთობით დაბადებული ბავშვი. სპექტაკლის დასაწყისში ის თავის ქმართან ქსუბუსთან ერთად მოდის დელფში წინასწარმეტყველების მისაღებად (Chédotzeau, 1999: 30-47; Declercq, 1982: 268-294).

„იონი“ – ძველი ბერძენი დრამატურგის სოფოკლეს ტრაგედიაცაა, რომლის ტექსტი თითქმის მთლიანად დაკარგულია. ევრიპიდემ გამოიყენა იგივე სიუჟეტური მოტივები მის შემდგომ ტრაგედიებში



„ანტიოპა“ და „პიფსიპილი“. მოგვიანებით ისინი გახდნენ საერთო მასალა ანტიკურ და რომაულ კომედიაში.

რასინისეული სიახლე არა მარტო დრამის ფორმის, არამედ შინაარსის ინოვაციურად წარმოჩენა. რასინმა ბიბლიის მშვენიერება და წინასწარმეტყველთა უკელაზე ამაღლებული შთაგონება საერთო პირთათვის უკეთ გასაგებ ენაზე გადმოიტანა, – აღნიშნავს მკვლევარი დანიელ ბუნეფონი თავის წიგნში: „ცნობილი ფრანგი მწერლები“ (Bonnefon, 1895:160-161).

რასინის წინა ტრაგედიებისაგან (მაგალითად „ფედრასგან“) განსხვავებით „ათალიაში“ პერსონაჟთა ფსიქოლოგია მეორე პლანზეა გადანაცვლებული, ხოლო წინ წამოწეულია სამეფო ტახტისა და სამართლიანობისათვის ბრძოლის სცენები. ავტორი ცალკეულ პროტაგონისტთა მონოლოგებსა თუ დიალოგებს, დროდადრო, როგორც ანტიკურ ტრაგედიაში, ქოროს მიერ წარმოთქმული სიტყვებით ცვლის. რასინი და კორნელი, როგორც გასტონ ბუაჩიდე აღნიშნავს ტრაგიკული კონფლიქტების შექმნის დიდოსტატები არიან, რომელთაც სურთ მაყურებულში მაღალი მჭვენვარება აღძრან (ფრანგული დრამა, 1978: 5-20).

ეპოქის ბიბლიურ-ისტორიული ვოთარება კი შემდეგია, რომელიც რასინის დრამა „ათალიაშია“ აღწერილი: როგორც ცნობილია, იუდეველთა სამეფო ორი ტომისაგან, იუდასა და ბენიამინისაგან შედგებოდა, დანარჩენი ათი ტომი რობომს აუჯანყდა და ისრაელის სამეფო ჩამოყალიბდა. იერუსალიმი და მისი ტაძარი იუდეის მეფეთა, დავითის შთამომავალთა წილხვედრი იყო. მდგრელმთავრებმა და ლევიტებმაც სწორედ დავითიანთა გარშემო მოიყარეს თავი და ბოლომდე მათთან დარჩენ, რადგან მას შემდეგ, რაც სოლომონის ტაძარი აშენდა, დათისმსახურება მხოლოდ იქ იყო ნება-

დართული. ყველა სხვა საკურთხეველი რაც მთებზე იდგა, სადვოო წერილი მხოლოდ სიმაღლეებს უწოდებდა და ღმერთისთვის კერპმსახურებად მიიჩნეოდა და სძაგლა. ამრიგად, ჰემარიტი დავთის თაყვანისცემა მხოლოდ იუდეაში არსებობდა. დანარჩენი ათი ტომი, მცირეოდენი გამონაკლისით კერპთაყვანისმცემელი და განდგომილი გახდა (Mesnard, 1996: 13-20).

ლევიტები ცალკე ტომი იყო, საკმაოდ მრავალრიცხვანი, რომელთაგან გამოდიოდა მდვრელმსახურნი. მხოლოდ მათი შთამომავალი სხვადასხვა ჯგუფებად დაყოფილი, რიგოგობით ემსახურებოდნენ ტაძარს შაბათიდან შაბათამდე. მსხვერპლშეწირვის უფლება მხოლოდ, აარონის შთამომავლებს მდვრელებს ჰქონდათ. ლევიტები მათ ემორჩილებდნენ, რომელთაც ევალებოდათ გალობა, მსხვერპლშეწირვა და ტაძრის მოვლა. ვინც კი ლევის მოდგმისა იყო ზოგჯერ ყველას განურჩევლად ლევიტს უწოდებდნენ. მდვრელმთავარი და ისინი, ვისაც იმ კვირით მორიგეობა უწევდა, ცხოვრობდნენ ტალანებსა და სტოკებში, ტაძარს, რომ ეკრა, რომელიც ტაძრისავე ნაწილს შეადგენდა. მთელ შენობას, ერთიანად, წმინდა აღგილი ერქვა, უფრო ზუსტად კი ეს სახელი ეწოდებოდა ტაძრის შიდა ნაწილს, სადაც იდგა ოქროს სასანთლე, სურნელთა საბმევი სამსხვერპლო და შესაწირავი პურების ტაბლა. მაგრამ ეს ნაწილიც გამომიჯნული იყო წმიდათაწმიდასაგან, სადაც აღთქმის კიდობანი ესვენა და მხოლოდ მდვრელმთავარს ჰქონდა შესვლის ნება წელიწადში ერთხელ. გადმოცემის მიხედვით, ტაძარი სწორედ იმ მთაზე იყო დაშენებული, აბრაჟამა რომ თავისი ძის ისააკის მსხვერპლად შეწირვა დააპირა. რასინმა საჭიროდ ჩათვალა ზოგი რამ განემარტა შესავალშივე, პიესისათვის „იოასი“ უნდა ეწოდებინა, მაგრამ რაკი თავიდან „ათალიას“ სახელით გახმაურდა, სათაურის შეცვლისაგან თავი



შეიკავა, ათალია ხომ ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირია და პიესაც მისი სიგვდილით მთავრდება.

რასინის პიესა „ათალიას“ მოკლე შინაარსი კი ასეთია: ჩვენს წელთაღრიცხვამდე IX საუკუნეში პალესტინაში თანაარსებობდნენ ისრაელის სამეფო, სამარიის დედაქალაქით და იუდას სამეფო, რომელიც შედგებოდა იუდას და ბენიამინის ტომებისგან, იერუსალიმის დედაქალაქით. სწორედ, ამ სამეფოს უნდა შეენარჩუნებინა ოჯახი, საიდანაც მესია დაიბადებოდა. მაგრამ მეფის, იორამის სიკვდილის შემდეგ, ათალიამ, მისმა ქვრივმა, რომელიც ისრაელის სახლიდან იყო, ხელში ჩაიგდო ძალაუფლება და დააწესა ფინიკიელი ღმერთის ბაალის კულტის თაყვანისცემა, რომელიც სამარიაში მამამისმა, აქაბმა და დედამ, იეზებელმა (ბიბლიაში ყოველივე უწმინდეულთან ასოცირებულმა დედოფალმა) დაუდგინა.

ისრაელის ახალმა მეფემ, იეჰუმ, პირიქით, ღვთიური შთაგონებით აღადგინა ერთი ღმერთის თაყვანისცემა და აჯანების დროს გაანადგურა იეზებელი, ბაალის მღვდლები, აქაბის შთამომავლები და იუდას კანონიერი მემკვიდრე – ახაზია, იორამისა და ათალიას ძე, მისნაირი უწმუნო. ამ ხოცვა-ჟლეტის შურისძიებისა და იერუსალიმის ტახტზე თავის შესანარჩუნებლად ათალიამ მოკლა შვილიშვილები, რომლებიც დავითის შთამომავლები იყვნენ. როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ ერთი, იოასი, მკვლელობის ხელიდან იხსნა ათალიას რძალმა, იოსაბეთმა და მისმა მეუღლემ მღვდელმთავარმა იოადმა და ფარულად აღზარდეს იგი იერუსალიმის ტაძარში, ელიაკინის სახელით.

მოქმედება ძირითადად ხდება იერუსალიმის ტაძარში, მღვდელმთავარის იოადმის ბინის დარბაზში, და პირველი სცენა იწყება პირველნაუოფის დღესასწაულის დროს, სადაც მოიხსენებდნენ მოსესთვის უფლის მიერ რჯულის გამოცხადებას სინას მთაზე. იოადი ცდილობს

განამტკიცოს იუდეის არმიის ლიდერის აბნერის ურყევი რწმენა, რომელიც თუმცა ემსახურება ათალიას, მაგრამ მაინც ერთგულია მამაპაპისეული რელიგიისა. ის აფრთხილებს იოადს, რომ ათალია, რომელსაც მათანი უბიძებებს ისედაც ბოროტებით საგეს მეტი ბოროტებისკენ, ბაალის კულტზეა მოქცეული და ემზადება ტაძარზე თავდასხმისთვის, საიდანაც თვლის, რომ მას საფრთხე ემუქრება. ასევე აბნერი უმნელს მღვდელმთავრს, რომ ათალიას ტაძრის ურიცხვი განძის ხელში ჩაგდებაც სურს.

შეიტყობს რა ათალია გრძნეული სიზმრიდან იოასის შესახებ მიდის ტაძარში და მემკვიდრისა და განძის გადაცემას ითხოვს. დიდი წინააღმდეგობებისა და ბრძოლების შემდეგ ათალია მარცხდება და სიკვდილით დასჯიან. ღვთისადმი მაღლიერებით საგეს მღვთელმთავარი იოადი წინასწარმეტყველებს მეფის, ებრაელი ხალხისა და ქრისტიანული ეკლესიის მომავალს. ერს მეფე იოასი წარუდგინეს და ერთად ადიდებენ უფალს.

პიესა „ათალიას“ თითქმის 42% (დაახლოებით 766 სტროფი) პირდაპირ ან ირიბად არის შთაგონებული ბიბლიით. ავტორი იყენებდა, საღვთისმეტყველო სიმბოლიკას. მან ათალიას ბიბლიური სიუჟეტის ბოლო ამბები არ შეიტანა პიესაში: „აღთქმის განახლება უფლის, მეფესა და ხალხს შორის“, ბაალის სამსხვერპლოებისა და გამოსახულებების განადგურება და მისი მღვდლის მკვლელობა; ტაძრის დაცვისა და მსხვერპლ შეწირვის წესები; იოაშის საზეიმო გამეფება სასახლეში; ხალხური დღესასწაულები. რასინმა ეს ყველაფერი მხოლოდ პიესის შვიდ კუბლებში ჩაატარა.

მეორეს მხრივ, ის არსებით მნიშვნელობას ანიჭებდა მოთხოვბის დანარჩენ ნაწილს, რაზეც მეფეთა წიგნში არ არის საუბარი. რომელზედაც მოთხოვბილია პარალიპომენაში ანუ პროტესტანტულ ქრინიკებში . პარალიპომენო-



ნი – ძველ ბერძნულად παραλειπομένων-dan παραλείπω, „გამოტოვება, ხელიდან გაშვება“, ძირითადად ოროტესტანტულია.

ამ ამბავს ყვება თანახის ორივე (მატიანეგბის პირველი და მეორე) წიგნი და კანონიკური წიგნი ბიბლიის ძველი აღთქმიდან „ნეშტოა“, რომელთა ავტორებს ტრადიციულად მიაკუთვნებენ ეზრას და ნეემიას. ეს არის ბიბლიური ისტორიის ზოგადი ქრონიკა, დაწყებული კაცობრიობის გენეალოგიით ადამიოდან, ისრაელის ტომებიდან, დავითის ომებიდან, ტაძრის აშენებით და დამთავრებული ბაბილონის ტყვევიბით. ათალიას მეფობის მომდევნო თავში, ნაჩვენებია, რომ მისი გარდაცვალებიდან თითქმის ორმოცი წლის შემდეგ ებრაელებმა კვლავ მიატოვეს თავიანთი ღმერთი და ზაქარია, მდვდელმთავარ იოადის ვაჟი და მემკვიდრე „ქვებით ჩაქოლეს ტაძრის ვერანდაზე, მეფისგან მიღებული ბრძანებისამებრ“. ეს ნაწილი რასინს არ შეუტანია თავის პიესაში, რადგან კლსასიცისტური დრამის სპეციფიკიდან გამომდინარე სცენაზე იკრძალებოდა სისხლიანი სცენების წარმოდგენა და ამის შესახებ მხოლოდ წინასწარმეტყველურად საუბრობს პიესაში მდვდელმთავარი (ფრანგულიდან თარგმანი შესრულებულია ეკა კვნატალიანის მიერ):

*„Par cette fin terrible, et due à ses forfaits,  
Apprenez, roi des Juifs, et n'oubliez jamais,  
Que les rois dans le ciel ont un juge sévère,  
L'innocence un vengeur, et l'orphelin un père.*

“(v.1815)

*„კა ხარელი აღსახული მრავლის  
მთქმელია.*

*იუდეველთა ხელმწიფე, მარად გახსოვ  
კვებს,*

*მეფეთათვისაც არის ცაში მაცრი  
მსაჯული,*

*დმერთი, ჩავრულთა მეოხი და ობოლთა  
მამა.“ (ფრანგული დრამა, 1978: 509)*

რასინი წერს, რომ მეფეთა წიგნის მიხედვით, ათალიას ამბები მოხდა შვიდი

წლის შემდეგ, მაგრამ „ნეშტოა“ წიგნის იგივე „პარალიპომენის“ ბერძნულ ტექსტს თუ მივყვებით, რომელსაც ემყარებოდა სუპლიციუს სევერუსი, ნათქვამია, რომ ეს რვა წლის შემდეგ მოხდა, ამის საფუძველზე უფლისწელი ცხრა-ათი წლისად გამოიყვანა რასინმა, რათა იმ შეკითხვებზე, რომელებსაც მას უსვამენ, ჯეროვანი პასუხის გაცემა შეძლებოდა:

*„L'histoire des Rois dit que ce fut la septième année d'après. Mais le texte grec des Paralipomènes, que Sévère Sulpice a suivi, dit que ce fut la huitième. C'est ce qui m'a autorisé à donner à ce prince neuf à dix ans, pour le mettre déjà en état de répondre aux questions qu'on lui fait“ (Racine, 2020 : 5).*

რასინი აღნიშნავს, რომ მან გამოიყენა რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი ბიბლიურ განმარტება, რომელიც თვით წმინდა წერილის ტექსტშია, რომ ყველა ეს მეომარი ვინც ემსახურებოდა იქჰადას, ანუ იოადს, როგორც მას იოსებ ფლავიუსი უწოდებს, დავით მეფის მიერ ღმერთისთვის მიძღვნილი იარაღი იყო, იმდენვე მდვდელი და ლევიანი, როგორც თავად ხელმძღვანელობდა ხუთ ასეულ მეფის პირად გვარდიას :

*„J'ai suivi l'explication de plusieurs commentateurs fort habiles, qui prouvent, par le texte même de l'Ecriture, que tous ces soldats à qui Joïada, ou Joad, comme il est appelé dans Josèphe, fit prendre les armes consacrées à Dieu par David, étaient autant de prêtres et de lévites, aussi bien que les cinq centeniers qui les commandaient.“ (Racine, 2020 : 6)*

უფრო მეტიც, ამ ტრაგედიის დაწერის განმავლობაში, რასინს ბიბლიის განსაკუთრებული ერთგულება სურდა, როგორც ამბობს პიესა „ათალიას“ შესავალში და ხელახლა წაიკითხა სხვადასხვა პასაუები ძველი აღთქმიდან, რაც გამოიყენა იოადის სიტყვებისთვის და გუნდისთვის ანუ ქოროსთვის; განსაკუთრებით მაშინ, როცა იოადი წინასწარმეტყველებს: «*J'ai eu la précaution de ne*



*mettre dans sa bouche que des expressions tirées des prophètes mêmes» (Racine 2020:6).*

კვლევის შედეგად ჩვენ შევძელით გაგვერკვია, რომ ამ ნაწარმოების სულ მცირე 209 ლექსს (გარკვეული რეფრენების გამეორების ჩათვლით) აქვს ზუსტი წყარო ბიბლიაში: საერთოს თითქმის 12%. რასინი ხშირად იყენებს ბიბლიურ სახის-მეტყველებას თავის პიესაში „ათალია“, მაგალიათად, 85–92 სტროფები შტაგონებულია შემდეგი ბიბლიური პასაუებით ესაიას საწინასწარმეტყველოდან:

„რად ჩემდა სიმრავლე მსხუერპლთა თქვენთა? – იტყვს უფალი, – რამეთუ სავსე ვარ მე ყოვლად დასაწველებითა ვერძთა, და ცმელთა კრავთათა, და სისხლი კურთა და ვაცთად არა მნებავს... უაეთუ მომართვათ სამინდოვ ამაო, საკმეველი საძაგელ არს ჩემდა. ხალთოუენი თქვენი და შაბათი და დღე დიდი არა თავს-ვიდვა...არ შევისმინო თქვენი, რამეთუ ჯელნი თქვენი სისხლითაა სავსე... ისწავეთ კეთილსა ქმნავ...და მოვედით და შევიტყუნეთ...“ (ესაია I, 11-18).

ან ფსალმუნიდან: „არა თუ მსხუერპლთა შენთაოზს გამხილო შენ, რამეთუ საკუერთხენი შენი ჩემ წინაშე არიან მარადის....არა შევიწირავ მე სახლისა შენისა ზუარაკთა, არცა არავისა შენისაგან ვაცთა“ (ფსალმ. 49.8-15).

მოვიყვანოთ რასინის პიესის „ათალიადან“ ამ ნააზრევის ლიტერატურულად, პოეტურად გარდაქმნილი მონაკვეთი I მოქმედების, I სცენიდან – იოადის სიტყვები, რომელიც ამბობს, რომ ასე პასუხობს მისი ბაგით უფალი ურწმუნებაში მყოფს და ურჯულოება გამრავლებულ ერს:

*„Du zèle de ma Loi que sert de vous parer ?  
Par de stériles voeux pensez-vous m'honorer ?  
Quel fruit me revient-il de tous vos sacrifices ?  
Ai-je besoin du sang des boucs et des génisses ?  
Le sang de vos rois crie, et n'est point écouté.  
Rompez, rompez tout pacte avec l'impiété.  
Du milieu de mon peuple extermez les crimes,*

*Et vous viendrez alors m'immoler des victimes.“*

v.85-92.

რა სარგებლობა მოაქვს რჯულისადმი გულმოღვინებაზე დააპარაქს? მართლა გვონია, რომ უნაყოფო სურვილებით განმადიდებ?

რას ვიღებ შენი უველა მსხვერპლისგან? ნუთუ მჭირდება თხისა და ხბოს სისხლი? თქვენი მეფეთა თქვენის მიერ დაღვრილი სისხლი დაღადებს და არას ისმენთ.

დაარღვიეთ, დაარღვიეთ ყოველი უბატიონს შეთანხმება.

აღმოფხვარით დანაშაულებები ჩემი ხალხიდან,

მერე კი მოდით და შემომწირეთ მსხვერპლი ყოველადდასაწველი.

ასევე შეიძლება პარალელი გავავ-ლოთ ბიბლიის პირველ წიგნთან „დაბადება“, სადაც ღმერთი უუბნება კაენს, რომელმაც აბელი მოკლა:

„და თქეა ღმერთმან: რად ესე ჰყავ? კმად სისხლისა მმისა შენისა დაღადებს ჩუენ-და-მო ქუეყანით“ (დაბ. IV, 10).

*„Le sang de vos rois crie, et n'est point écouté.*

*Rompez, rompez tout pacte avec l'impiété.“*

v. 89-90

თქვენი მეფეთა თქვენის მიერ დაღვრილი სისხლი დაღადებს და არას ისმენთ.

დაარღვიეთ, დაარღვიეთ ყოველი უბატიონს შეთანხმება.

„ათალიას 228–229 სტროფები შეიცავს ნააზრევს ახალი აღთქმიდან, მაგალითად „მეორე კისტოლე კორინთელთა მიმართ“ (XII, 9):

„და მრქეა: კმა არს შენდა მადლი ჩემი, რამეთუ ძალი ჩემი უძლურებასა შინა სრულ იქმნების, უმჯობესდა უგუე და უფროს ვიქადი უძლურებათა შინა ჩემთა, რამთა დაიმკვდროს ჩემთანა ძალა ქრისტესმან.“

„ათალიაში“ კი რასინმა ამ მონაკვთს შემდეგი ინტერპრეტაცია მისცა:

*„Dieu, qui de l'orphelin protège l'innocence,*



*Et fait dans la faiblesse éclater sa puissance. " v.  
228-229*

ღმერთი, რომელიც იცავს უდაბაშაულო  
ობდებს,  
ოქვებს სისუსტებს ძლიერებად  
გადააქვეცს.

ბიბლიური სიმბოლიკა ჩანს დრამის  
406 სტროფშიც, სადაც ნახენებია „ცო-  
ცხალი ღმერთი“ – «le Dieu vivant», რომე-  
ლიც ბიბლიური გამოთქმაა და სალვოს-  
მეტყველო დატვირთვა აქვს, რომელზედაც  
საუბრობს მკვლევარი ანდრე დურანი  
თავის კრიტიკაში ( ურანდ, 2020: 4):

„და ცხოველ არს უფალი აღმომ-  
ყვანებელი და მომყვანებელი თესლსა  
სახლისა ისრაცლისასა“ (იერემია, ო.23.8)

პიესაში კი ზაქარია (იოადის ძე  
იოადისა და იოზაბედისა) ამბობს:

„Viens-tu du Dieu vivant braver la majesté ?“  
v.406;

ცხოველი (ცოცხალი) ღმრთისგან ხარ  
გამოგ ზავნილი,  
რომ მისი დიდება ვაძედო?

ძველადოქტისეული სიმბოლოა ასევე  
410 სტროფში «glaive étincelant» – „ცეცხ-  
ლოვანი (ან ზოგან მოიხსენიება გაშიშვ-  
ლებული) მახვილი“, რაც მინიშნებაა  
იერემიას საწინასწარმეტყველოდან ბა-  
ლამის კითხოდზე: ის თავის ვირზე  
ამხედრებული მიდიოდა ღვთის ხალხის  
დასაწყევლად, როცა მოულოდნელად  
უარი თქვა წინსვლაზე, მიუხედავად იმისა,  
რომ პატრონი სცემდა:

„და განუხენა ღმერთმან თუალი  
ბალამისნი და იხილა ანგელოზი იგი  
ღმრთისა მდგომარე წინაშე ვირისა და  
მახვლი კიდილი კელთა შინა მისთა,  
დადრება და თაყვანის-სცა პირითა.“  
(რიცხვი, თავი 22.31)

ათალიაში ასეა ეს სიმბოლური  
დატვირთა აღწერილი:

*„La reine alors sur lui jetant un ? il farouche,*

*Pour blasphémer sans doute ouvrira déjà la  
bouche.*

*J'ignore si de Dieu l'ange se dévoilant,  
Est venu lui montrer un glaive étincelant.“  
(v.407-410)*

შემდეგ დედოფალმა მრისხანებ მზერა  
მიაპყრო მას:  
გჯვარებული, ის უკვე პირს აღებდა  
ღვთისგმობისთვის.  
არ ვიცი, ალბათ ანგელოზი, გამოჩნდა  
ღვთისგან  
და უჩვენებ ცეცხლოვანი მახვილი.

რასინმა თავისი ტრაგედია მისი ეპო-  
ქისეული ლუი XIV-ისთვის დამახასია-  
თებელი ღვთისმოსაობის სულისკვეთებით  
ჩაიფიქრა. მან ჭეშმარიტად აქცია პიესა  
წმინდა ტრაგედიად, შექმნა ბიბლიური  
აღმოსფერო სიზმრების, წინასწარმეტ-  
ყველებებისა და სასწაულების მეშვეობით.  
რასინმა აჩვენა, რომ თუ ადამიანები  
მოქმედებენ, ეს ღმერთია, რომელიც ხელმ-  
ძღვანელობს ყველა მათ ჩანაფიქრს (აქ  
გამოსჭვივის იანსენისტური სწავლების  
გავლენა რასინის მიერ), როგორც ათალია  
ძალიან გვიან ხვდება ამას:

*„David, David triomphe. Achab seul est détruit.  
Impitoyable Dieu, toi seul as tout conduit.“  
(v.1773-1774)*

ღავითი, ღავითი იმარჯვებს. მარტო  
აქაბია განადგურებული.  
უძაცველობრივ ღმერთო, მარტო შენ მართავ  
უკელავერს.

თუმცა რასინი იანსენიზმს ავგუს-  
ტიანელთა ნააზრევს უპირისპირებს და  
ერთგვარ ოქროს კვეთას პოულობს თავის  
პიესაში: ღვთაებრივი ჩარევა არ აქცევს  
ადამიანებს მარიონეტებად, არამედ კიდევ  
უფრო აცოცხლებს მათ, ანიჭებს მათ  
ქმედებებს მნიშვნელობას, რომელიც  
სცილდება ადამიანური შესაძლებლობების საზღვრებს.

მაგალითად ბოსუეტი აღნიშნავს,  
რომ რასინმა ტრაგედიაში „ათალია“, ბიბ-  
ლიური პოეზიის სასულიერო მისტერიე-  
ბის («Mystères de la religion») ამაღლებული



სიღიადის მიღმა ზოგიერთ ეპიზოდში ეპონის ტონი წარმოაჩინა ქემოთ მოყვანილი სტროფებით (Bossuet, 2015: 4-51) :

*„Seigneur, le Temple est libre, et n'a plus d'ennemis.*

*L'étranger est en fuite, et le Juif est soumis.*

*Comme le vent dans l'air dissipe la fumée,  
La voix du Tout-puissant a chassé cette armée.*

*Nos lévites, du haut de nos sacrés parvis,  
D'Ochosias au peuple ont annoncé le fils,*

*Ont conté son enfance au glaive dérobée,  
Et la fille d'Achab dans le piège tombée.“ (v.1745-  
1752)*

*უფალო, ტაძარი განთავისუფლდა და  
აღარ ჰყავს მტერი.*

*უცხო გარბის, ებრაულები გმორჩილებები.  
როგორც პაერში ქარი ფანტაზე კვამდნებ,  
უზენაესის ხმამ განდევნა მტრის ჯარი.*

*ჩვენმა ლევიტებმა, ჩვენი ტაძრის  
სიწმინდიდან,*

*ამცნებს ხალხს ოქონიას ძის (ოთახის)  
მეფედ დადგინდება,*

*რომელიც ფარულად გადაურჩა მახვილით  
სიკვდილს*

*აქაბის ახელისაგან (ათალიასაგან),  
რომელიც თავადებები ამ ხაფანგში ჩავარდა.*

დასკვნისთვის შეიძლება აღნიშნოთ, რომ რასინი ძირითადად ბიბლიურ, ძველადოქმისეულ წეაროებს ეყრდნობა თავის პიესაში „ათალია“, თუმცა, აღსანიშნავია ებრაული თალმუდის და ანტიკური ტრაგედიების მნიშვნელოვანი ანარეკლი ძველბერძნული დრამების პარალელების სახით. როგორც კლასიცისტი დრამატურგი რასინი ბერძნული ტრაგედიების ერთგული დარჩა სხვადასხვა მასასიათებლების გამო: პიესა „ათალია“ მისტიკური დირიკულობის სინთეზით გამოიჩევა, მიუხედავად იმისა, რომ გაჯერებულია ბიბლიური მოტივებით და ზოგჯერ მოგვაგონებს რასინის „სასულიერო საგალობლებს“ („Cantiques spirituels“). ნაწარმოებში, საგუნდო სიმღერების, დიალოგებისა და მონოლოგების მონაცელება უფრო ახლოს არის ოპერასთან, ვიდრე

ტრადიციულ ფრანგულ ტრაგედიასთან. მაშასადამე, ეს რასინში „ათალიას“ სახით დრამატული ხელოვნების სიახლე შემოგვთავაზა.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბიბლია, წიგნი ესთერისა, თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, 1989;
2. „ფრანგული დრამა, პიერ კორნელი, ეს რასინის, ჟან-ბატისტ მოლიერი“, თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1978;
3. ფსალმუნი და ლოცვანი (სრული კრებული), თბილისი, გამომცემლობა „იადგარი“, 2010;
4. მცხეთური ხელნაწერი (მეფეთა I, IV, III, IV, ნეშტთა I, II, ეზრას I, II, III წიგნებია გამოსაცემად მოამზადა .ელ. დოჩანაშ ვილმა, "მეცნიერება", 1982;
5. Barthes, Roland, " Sur Racine", Paris : Éditions du Seuil, 2002;
6. Bonnefon, Daniel (1832-1922). Auteur du texte. Les écrivains célèbres de la France, ou Histoire de la littérature française depuis l'origine de la langue jusqu'au XIXe siècle (7e éd.) 1895;
7. Bossuet Jacques Benigne, ÉLÉVATIONS À DIEU SUR TOUS LES MYSTÈRES DE LA RELIGION CHRÉTIENNE, Saint-remi 8 Juin 2015 Religion & Esotérisme, pp. 2-540 1819, Versailles;
8. Chédozeau, «La dimension religieuse dans quelques tragédies de Racine», Oeuvres et critiques, XXIV-1, 1999;
9. Coogan, M. D. Brettler, M. Z. Newsom, C. A. Pheme Perkins. The New Oxford Annotated Bible with the Apocryphal / Deuterocanonical Books: New Revised Standard Version. — Oxford University Press, 2007;
10. Declercq, G. «Les mœurs oratoires dans le théâtre de Racine (application à Andromaque)», Actes du colloque «Pouvoir et Dire», Albi, 1982;
11. Lanson G. Études sur les origines de la tragédie classique en France // Revue d'Histoire littéraire de la France. 1903. № X.;



12. Mesnard, Jean « Biblical exegesis and dramatic creation : the case of Athalie », Théâtre, opéra, ballet, 2, Paris, 1996;
13. Racine Jean, Athalie , Tragédie tirée de l'écriture sainte, Publié par Ernest et Paul Fièvre pour Théâtre-Classique.fr, Paris, 2020;
14. Durand André, “Athalie”\_ Tragédie tirée de l'Écriture sainte”, 2020, [www.comptoirlitteraire.com](http://www.comptoirlitteraire.com)
15. Laurence Plazenet, « Esther et Athalie : deux tragédies de la conversion ?», Courrier Blaise Pascal [En ligne], 41-42 | 2020; consulté le 15 avril 2024. URL: <http://journals.openedition.org/cbp/381>; DOI: <https://doi.org/10.4000/cbp.381>

ალგანეთი მიტროპოლიტ ანანია  
ჯავარიძის ნააზოებში

**ბადრი ცხადაძე, სტეფანე პროფესორი,  
საქართველოს მწერალათა შემოქმედებითი  
კავშირის წევრი, ღირსების მედლის  
კავალერი, ეკროპის საბუნებისმეტყველო  
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი**

ჩვენ წინაშეა საქართველოს საპატ-  
რიარქოს მანგლის-თეოთორიწყაროს ეპარ-  
ქიის მიტროპოლიტ ანანია ჯავარიძის  
ფუნდამენტური გამოკვლევა „ალბანეთი –  
ალბანეთის საკათალიკოსო და საქართვე-  
ლოს ეკლესიის ოურისდიქცია კახეთსა და  
პერეთში“. 432-გვერდიანი მონოგრაფია  
2022 წელს გამოიცა, რომელიც დიდ ინტე-  
რესს აღდრავს არა მარტო ქართული, არა-  
მედ, ზოგადად, სამხრეთ კავკასიის ისტო-  
რიის თვალსაზრისით.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ მო-  
ნოგრაფია „ალბანეთი“ ერთგვარი ცდაა,  
რომელიც ავსებს სამხრეთ აღმოსავლეთ  
კავკასიის რეგიონის ქრისტიანობამდელი  
და ქრისტეს შემდგომი ეპოქის ისტორიის  
ათასწლოვან ხელულებს. ამ პრობლებას  
ნაწილობრივ ეხება დიდი სომეხი ეპისკო-  
პოსის უხევნების ისტორიული ნაშრომი  
„ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომებ-  
თაგან“, რომელშიც განხილულია X საუ-  
კუნის სომეხი ისტორიკოსის უხევნების  
თხზულება, ძველ სომხურ ტექსტს ახლავს  
ზაზა ალექსიძის უკული თანამედროვე ქარ-  
თული თარგმანი და მთარგმნელის უკული  
მეცნიერული დანართები.

მეუფისეული მონოგრაფია ალბანეთი  
საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი პირ-  
ველი ცდაა, რომელიც სკრუპულოზურად  
განიხილავს ძველი კავკასიური ტომის –  
ალბანელების ისტორიულ განფენას მეც-  
ნიერული რაკურსით.

და ბოლოს, დაისმის კითხვა; ვინ  
იყვნენ ალბანელები?

ჩვენი ეტიმოლოგით, ალბანელები  
ანუ ალბანეთი ეკროპაში ახლანდელი



იტალისის ანუ ძველი რომაელების მეზობელი ქავებანაცაა, რომელიც ინდოევროპელების ერთ-ერთ, კერძოდ, ალბანურ ენაზე ლაპარაკობს. ასე რომ, ძველად ორი ალბანეთი არსებობდა. ერთი სამხრეთ კავკასიაში და მეორე ძველი რომის აღმოსავლეთით, ისე როგორც ანტიკური ხანის დროინდელი პატარა მდინარე (ლელე) **ალაზანი** გურიაში (ჩოხატაურის რ.) და მეორე დიდი მდინარე კახეთში **ალაზანი**. (**შენიშვნა 1.** ჩვენი ახსნით: ალაზანი საკუთრივ ქართული წარმოშობის ლექსემაა (პიდრონიმი, ტოპონიმი...), რომლის ზანური შესატყვისია \*ოლაზანი (=სალაზე, „ლაზების მდინარე“), რომელშიც **ა-**, **ო-** თავსართები სა- პრეფიქსის ფარდი ელემენტია, **ალაზანი** დასავლეთ საქართველოდან ანუ ძველი კოლხეთიდან გავრცელებულებადან გადაწანილი ტოპონიმია აღმოსავლეთ საქართველოში (კახეთში), რომელიც შესაძლოა ერთ-ერთი დასავლურ-ქართული მთიელი ტომის წანარების დამსახურება იყოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღმოსავლეთ საქართველოში ადრევე დამკვიდრებული ალაზანი „წანარები“ ანუ კოლხური მიგრაციული ტოპონიმი და პიდრონიმია, წარმომდგარი და ნაწარმოები **ლაზ** ეთნონიმისაგან. ჩვენს სინადვილში ვახუშტისეული რამდენიმე ალაზნის არსებობა სწორედ ქართველურ ტომთა გადაადგილება-მიგრაციის შედეგითაა გამოწვეული [4, 525].

**P.S.** ჩვენ აქ შენებულად ბოლოში მოვიტოვეთ ვახუშტი ბაგრატიონისეული ეტიმოლოგია „ალაზან“ ლექსემისა, რადგან მას მეცნიერულ ჭეშმარიტებასთან არაფერი აქვს საერთო. ერთგან, იქვე, ვახუშტი ხალხურ ეტიმოლოგიაზე დამყარებით, წერს: „არს ქავებანასა ამას შინაუდიდესი მდინარენი ალაზანი და მეორე მცირე ალაზანი ანუ **იორი**, რომელთა მოიგეს სახელი ალონის გამო, არამედ იორი გაორებისათვის, ვინამთვან აქუთ, სახელი ერთი – „იორა ამ მდინარემ“ [4, 525]. ივრისა და ალაზნის ასეთი ახსნა

გულუბრყვილო ეტიმოლოგიათა რიცხვს მიეცუთვნება ისე, როგორც, აზერბაიჯანული ხალხური ეტიმოლოგიით, **ალაზანი** თურმე „დვოთის დაწყევლილს“ ნიშნავს (ჩვენი მასალა). ვახუშტის მიერ დამოწმებული „სმენილთა კაცთა-ზე“ დამყარებული მსგავსი ხალხური ეტიმოლოგიები უმეტესწილად არასანდოა; ჩვენი აზრით, ხალხის გენია ცდება მაშინ, როცა ამ ტოპოსახელდების „ისტორიულ მესხიერებას“ ივიწყებს [3]. ასე რომ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ალბანეთი რომაელთა შექმეული სახელია თავიანითი მეზობელი ტომის ალბანეთის გამო, ისე როგორც გურიის (ჩოხატაურის რაიონის მდინარე ალაზანი ანუ გუბაზოული) **ალაზანი**.

**შენიშვნა:** 1. მართალია, სკუიალურ ლიტერატურაში ამ რეგიონში **ალაზანის** გვერდით იმავდროულად დამოწმებულია მდინარე **ოკაზანიც**, რაც, ჩვენი აზრით, დიდ სიახლოეს ამჟღავნებს მდინარე ალაზნის სახელთან. სავსებით შესაძლებელია ეს მდინარეც (**ოკაზანი**) წარმოშობით **ალაზანის** სახეცვლილი ფორმა იყოს, რადგან ორივე პიდრონიმი ერთ რეგიონში ფიგურირებს **ზან** ძირძველი ფუძე, **-ალა-** და **-ოკა-** ფორმანტების წარმომავლობა კი საძიებელია.

ვახუშტის მიერ აქ მოხსენიებული **ალონი** სხვა არაფერია, თუ არა დღევანდელი ტოპონიმი **ალვანი** (სოფლები - ქვემო და ზემო ალვანი თუშეთში): **ალბანი** → **ალვანი** → **ალონი**. გა→ ო კომპლექსის მოცემულობა ქართულ ენაში ჩვეულებრივი მოვლენაა. შდრ. იყვა იყო, შალვა → შალუა, დათო დათუა და ა. შ. სწორედ კახეთისა და ახლანდელი აზერბაიჯანის ისტორიულ წინასახეს ეხება მეუფე ანანია ჯაფარიძის წიგნი „ალბანეთი“. როგორც ზოგიერთი ფიქრობს, ძველი ალბანები ახლანდელი უდები ანუ უდიები არიან. არაერთ მკვლევარს მიაჩნდა, ისე როგორც დღესაც, საისტორიო წყაროებში, ალბანეთი არის ბერძ. თI I, სომხ. უტიქ და სხ. [5, 3]. ამ ტერმინით



აღინიშნებოდა ძველი ალბანეთის ტერიტორიაზე მოსახლე ხალხი, რომელსაც უდიები ეწოდება. ეს ცნობები სპეციალურად განხილულია პროფ. ლეონ მელიქეშებეგის ნაშრომში [6].

დღესდღეობით უდიერი ენის ორი დიალექტი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე განთავსებული: ნიჯური და ვართაშნული. მესამე – საქართველოს ტერიტორიაზე სოფელი ზენობიანი (ოქტომბერი), კვარლის რაიონში. პირველი ორი სოფელი აზერბაიჯანულენვანია, უკანასკნელი ქართულად მეტყველებს (1922 წლიდან ისინი ქართველი მართლმადიდებლები არიან. როგორც ქართული ინტერნეტგამოცემები მიუთითებენ, სოფელ ზენობიანში დღეს 300-მდე სული ცხოვრობს, ანუ ეს სოფელი გაქრობის პირასაა მისული). ვართაშენის სახელწოდება მიგვანიშნებს, რომ ეს სოფელი ძველად ქართულენვანი შეიძლება ყოფილიყო, რადგან აზერბაიჯანი და აზერბაიჯანულები ძველად, იმ დროს საერთოდ არ არსებოდა. შდრ. ვართაშენის მსგავსი ქართული სოფლის სახელწოდებები: ჯარიაშენი, გოგაშენი, ახალშენი // ახაშენი, საღოლაშენი, ოთარშენი, თამარაშენი, ნორაშენი, მინდაშენი, პეტაშენი, ფეიქრაშენი, ქორფაშენი, გურაშენი, დიგაშენი, ჯიგრაშენი, გავაშენი (შდრ. გვარსახელები: გავაშელი, გავაშელიშვილი), ოკრაშენი, ხევაშენი. ყველა მათგანში შენ სპარსული წარმოშობისაა და სოფელს უნდა ნიშნავდეს, თვით ტოპოგრამატი შენ და ქართული ზმნური ძირი – შენების ფუძე ქართულში, როგორც მიუთითებენ, საშუალი სპასულიდანაა შემოსული [7, 29-34].

სპეციალურ ლიტერატურაში ეს კავკასიური ტომი ორი სახეცვლილი სახით იხსენიება: უდები, უდური ენა (პროფ. პ. ფანქვიძე) და უდიები, უდიური ენა (პროფ. ე. ჯეირანიშვილი [8] და სხვ.), შეცდომა უდინები, ჩვენ უპირატესობას, წესისამებერ, ამ ბოლო ვერსიას ვანიჭებთ.

მეუფის წიგნი ხუთ თავადაა დაყოფილი, რომელსაც მრავლად ახლავს ძველი საისტორიო რუკები. იგი ავსებს და ამდიდებს საქართველოს ისტორიის, ძველი ქართული ეთნოფონის და ძველისძველი მეზობელი ქვეყნის, როგორც მონოფიზიტური და დიოფიზიტურ-მართლმადიდებლური სამეფოს განვენას აღმოსაზღვეთ კავკასიაში, ახლანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.

მონოგრაფიის პირველი თავი მოლიანად ეთმობა არსებული წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვას იბერიისა და ალბანეთის საზღვრებთან დაკავშირებით. წიგნში უარყოფილია ზოგიერთი მკვლევრის მიერ არასწორადაა მიჩნეული საზღვარი, სადაც ბოდე და სხვა დღევანდელი კახური სანახები ალბანეთსაა მიკუთვნებული.

ალბანეთი, როგორც არამდგრადი ეროვნულ-ბოლიტიკური ერთეული, მეშვიდე საუკუნის ბოლოს გაქრა, რაშიც მთავარი წვლილი დღევანდელი აზერბაიჯანულების წინაპრებს, როგორც თურქულენვან მოდგმას, მიუძღვის. მათ ნამოსახლარზე დღეს სწორედ ისინი სახლობენ და დღემდე უსაფუძვლოდ გვედავებიან კახეთის აღმოსალეთ რეგიონის ალბანურობაში. მეუფის საფუძვლიანი მტკიცებით, ძველად, რომაელი პლინიუსის დროს, საზღვარი მიუყვებოდა მდინარეს, და ეს მდინარე ალაზნის უმთავრესი შენაკადი გიშისწყალი (აგრიჩაი-გეტარუ) უნდა (გვ. 20) ყოფილიყო. მეტიც: „კულმუხი“ ანი „ქურმუხის ოლქი“, დღევანდელი საინგილო და ისტორიული კახეთის ნაწილი ჰერეთი ძველად საქართველოს ანუ კახეთის კუთვნილება იყო.

მონოგრაფიაში დაწვრილებით განხილულია ვახუშტის ცნობები იმდროინდელი ჰერეთისა და კახეთის შესახებ. მიჩნეულია, რომ მდინარეები აგრიჩაი, გალაჩაი და ალიჯანჩაი ხორანთასთან



ახლოს ერთმანეთისგან ყოფდა იბერებსა და ალბანელებს (გვ. 39).

ამავე წიგნში საყურადღებოა მეუფისეული მსჯელობა და ამონარიდი მოქსეს ხორენაცის წიგნის შესახებ; „**ძორძოდ, „კლარჯეთიდან დაწყებული, ვიდრე ალანთა და კასპიის კარამდე, მასქუთთა საზღვრებამდე“** [9, 172]. მართლაც, ეს ის მხარეა კასპიის ზღვის სამხრეთით, სადაც ამჟამად ირანის შემადგენლობაში თურქული მოდგმის ტომი აზერბაიჯანელები რომ ცხოვრობენ, რომელთა რაოდენობა, ჩვენი ინფორმაციით, 40 მილიონს აღწევს, სხვა სიტყვებით, ამ მხარეში ადრე კავკასიური ტომი „ყაშპიები“ იგივე კასპიები ცხოვრობდნენ, რომლებიც, ჩვენი ვარაუდით, მიგრაციის შედეგად ქართლში გადმოსახლებულან – ესაა დღევანდელი და ადრე, 1500 წლის წინ მოხსენიებული ქალაქი კასპი, რომელშიც ვახტანგ გორგასლის გამზრდელი, მისივე სარდალი საურმაგი ცხოვრობდა, რასაც ჩვენ სპეციალური წერილი მივუძღვენით [10, 172].

მონოგრაფიის მეორე თავი პერეთი მთლიანად ეთმობა პერეთის რეგიონის ლოკალიზებას. როგორც ირკვევა, პერეთი ერქვა რანს, ანუ შაქისა და ბარდავის მხარეებს და არა თელავის ახლო მდებარე მიწა-წყალს, როგორც ეს ახლა ზოგიერთს ჰგონია [1, 51]. მეუფის მონოგრაფიაში დაწვრილებით არის განხილული აზერბაიჯანელი მეცნიერების, კერძოდ, აზერბაიჯანის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის იაკუბ მახმუდოვის მტკიცებულება, რომ თითქოს საქართველომ მიიტაცა აზერბაიჯანული ტერიტორიები საინგილოში და დავით გარეჯის რეგიონში, რომ წითელწყარო-გურჯაანის რეგიონი ისტორიული აზერბაიჯანია, თითქოს თბილისის საამიროს გაუქმებამდე ეს მხარე იყო მაკმადიანების ტერიტორია და რომ ქართველებმა გააჩანაგეს მეჩეთები და მედრესებით [1, 53]. ადვილი წარმოსადგენია იაკუბ მახმუდოვის მსგავსად როგორ უჭირავთ თვალი ჩვენს მიწ-

აწყალზე აზერბაიჯანელ თურქულ მოსახლეობას.

ასე რომ, აზერბაიჯანელი კოლეგები ყოველგვარი ფაქტის გარეშე ამტკიცებენ საქართველოს ტერიტორიების აზერბაიჯანულობას. ის კი „ავიწყდებათ“, რომ ერთ დროს, რამდენებელი ათეული წლის წინ, მინგეჩაურში შემთხვევით აღმოჩენილი ძველი ალბანური წარწერების პოვნიერებისას, როგორც კი ქართველებმა შეიტყვას, საქართველოს მეცნიერებმა სამი აკადემიკოსი გააგზავნეს მის სანახავად, ხოლო „ბრძენმა აზერბაიჯანელმა მეცნიერებმა“ სიმართლე გაასაიდუმლოეს – წარწერები გადამალეს და ქართველ მეცნიერებს არაფერი უჩვენეს. აი, ასე ამტკიცებენ თურქულენოვანი აზერბაიჯანელი მეცნიერები დავითგარეჯისა და სხვა ქართული მიწების თავიანთ სასარგებლოდ გადაწყვეტას, და არც ჩვენი მთავრობა იწუხებს თავს. რომ, ერთ დროს აზერბაიჯანელებისაგან მიტაცებული ჩიჩიტურისა და ბერთუბნის შესახებ საქართველომ არაფერი იცოდეს და ცნობილი ქართველი მწერლის ლევან გორგას რომანი „გმირთა ვარამი“ წაკითხული არ ჰქონდეს [11]. სინამდვილეში მთელი ახლანდელი აზერბაიჯანი თუ არა, მისი დღევანდელი მეტი ნაწილი კავკასიურ ტომებს „ყაშპიებს“ (//კასპებს) და ძველ ალბანელებს და ქართველთა წინაპრებს ეკუთვნოდა. როგორც ჩვენი წინაპრი იტყოდა; „დმერთო, სად არის აქ სამართალი!“ ანუ რატომ კარგავს საქართველო ყოველ საუკუნეში ძირძველ ტერიტორიებს და უკან არ / ვერ იბრუნებს?

რა თქმა უნდა, პერეთის მოსახლეობა მაშინ ერთგვაროვანი არ იყო. როგორც მეუფე გვაუწყებს, ისტორიიდან ცნობილია, ალბანეთში მანამდე 26 სხვადასხვა ენოვანი ტომი ცხოვრობდა (სტრაბონი) ერთერთი ასეთი ქართულენოვანი ტომი ალბანეთისა იყო, ხოლო მათი ქვეყანა – ამჟამინდელი შაქის მიმდებარე ოლქი, ცნობილი „შაქის სამეფო“, რომელიც კახეთს



ძირითადად, მდინარე ალიჯანნჩაიზე ესაზღვრებოდა. არაბთა შემოსევების შემდგა ალბანეთის სხვადასხვა ტომი სხვადასხვა ხალხში ასიმილირდა, ხოლო პერებმა შეინარჩუნეს ქართული იდენტობა, მაგრამ ქვეყნის სამმართველო სისტემები ხელში ჩაიგდეს მონოფიზიტმა მმართველებმა [1, 84]. მეტიც, მე-9 საუკუნის 40-იან წლებში შეიცვალა საზღვარი და პერებმა ანუ შაქის ოლქმა დაიცყრო სამხრეთ კახეთი, ვიდრე ილტო-გავაზის ხაზამდე [1, 84].

**შენიშვნა 2:** ერთ-ერთი ჩემი აზერბაიჯანელი სტუდენტის (ქალაქ მარნეულიდან) აზრით, ეს რეგიონი განსხვავდება სხვა დანარჩენი აზერბაიჯანული რეგიონისაგან, რადგან „მათ კარგი გოგონები ჰყავთ და არ ჰგავანან აზერბაიჯანელებს“. ეს რეგიონი თანამედროვე მკვლევრებს არ უპიროვია, მაგალითად, დნბ-ის მიხედვით შეუსწავლელია, გასარკვევია მათი წარმომავლობა, დღეს აზერბაიჯანის ამ რეგიონში ეთნიკურად რომელი ტომის ხალხია.

სპეციალურ დიიტერატურაში ქართველი ისტორიკოსების მიერ არაიშვიათად გვხვდება ტერმინი „ქართიზაცია“, რომელიც მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის აზრით, არა მხოლოდ არასწორია, არამედ უპასუხისმგებლოცაა [1, 85], რასაც ჩვენც ვიზიარებთ. ერთადერთი ტომი, რომლის „ქართიზაცია“ მოხდა ქართველთა მიერ, ესაა წოვა-თუშები/წოველები, მთის კავკასიურ ენათაგან ცნობილი ბაცბური ენა, რომელიც დღეს გადაშენების პირასა მისული (შდრ. ძველ ბერძნულ ენაში მოხსენიებული მათი სატომო სახელი „ტუხკოი“).

**შენიშვნა 3:** კარგად მახსოვს, ჩემი ასპირანტურაში სწავლების პერიოდში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს (ძველი სპი) ჰყავდა ერთი ლექტორი (გვარად გუდაძე), რომელიც ლექსად გარითმული სიტყვებით ამზიცებდა თითქოს, მთელი მსოფლიო წარმოშობილი იყო სიტყვა პერისაგან, ის ახლანდელ პერეთსაც

მასში აერთიანებდა, თავის ლექსად შეთხულ პოემას მთელ ქართველ ახალგაზრდობას ამცნობდა, მეტიც, თითქმის ყოველ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში „კარდაგარ დადიოდა“ და ყოველივე ამას ახალგაზრდებს უზიარებდა.

როგორც ირკვევა, ძველად კუხეთი ერქვა ქავებას გომბორის ქედიდან, ვიდრე მტკვრამდე, ხოლო კამბეჩანი ანუ დღევანდელი კამბეჩოვანი მდებარეობდა მტკვრამდე, იქ, სადაც ამჟამად არის მინგეჩაურის წყალსაცავი. კაბეჩანს მტკვარზე ათავსებს მე-7 საუკუნის სომხური გეოგრაფიაც [1, 94].

ირკვევა, რომ ისტორიული კახეთი განვრცხობილი იყო იორ-ალაზნის შესართავიდან, და მდ. გიშისწყლიდან, ვიდრე მდ. არაგვამდე, შემდგომ, ისტორიის ერთ პერიოდში კახეთის საზღვარი დაემცრო და პერეთის საზღვარმა, ვიდე თელავამდე მოაღწია. ეს კი მოხდა მე-9 საუკუნის დამპურობელი არაბების მეშვეობით.

რაც შეეხება ისტორიულ პერეთს, როგორც მეუფის მონვრაფია გვაუწყებს, მოქცეული იყო საზღვრებში მდინარე აგრიჩაისა (გიშისწყალსა) და მდ. აღსუს (თეთრწყალს) შორის, ამჟამინდელ აზერბაიჯანში (უფრო მეტად, გიშისწყლის მახლობელ მდ.. ალიჯანჩაისა და მდ. აღსუს შორის), ანუ ისტორიული პერეთი მოიცავდა ახლანდელი შაქის ოლქს, კაბალასა და ვართაშენის (ოუზების) რაიონებს, ხოლო ისტორიული ალბანეთი, კერძოდ, მისი დიდი ნაწილი კასპიის ზღვის პირას მდებარეობდა, მისი ძველი დედაქალაქი იყო ჩორი (მოვიგონოთ 1500 წლის წინათ იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებიდან“ ჩორი (შდრ. ქართული გვარ-სახელი ჩორდელი), სადაც ირანის შაპის პეროზ მეფის დავალებით გამაზდიანებული //ცეცთაყვანისმცემელი ქვემო ქართლის მმართველი გარსქენ პიტიახში გაემგზავრა პუნების წინააღმდეგ საბრძოლველად), დერბენდთან იქვე (სამურის ხეობის მიმარ-



თულებით კავკასიონის მთებისაკენ) ცხოვრობდნენ სხვა ალბანური ტომები დფინები და ჭილბები [1, 96], კიდევ უფრო ქვემოთ ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული ყაშპიები (ახლანდელ ქართლში გადმოსახლებული კასპიები = დღვანდელი კასპის რაიონი).

როგორც მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე გვაუწყებს, IX საუკუნე გამყოფია ისტორიულ ჰერეთსა და შუა საუკუნეების ჰერეთს შორის, მართალია, ეს სახელები პირობითია, მაგრამ ასახავს პროცესს ჰერეთის ისტორიისას, რადგანაც მე-9 საუკუნეს შაქის მმართველმა, რომელსაც არაბები საპლ იბნ სუნბატ ალ-არმანის უწოდებდნენ, დაიპურო არანი, ანუ რანი, მალევე მისი ძალაუფლების ქვეშ ადმონიდა ძალზე დიდი ტერიტორია – არცახი (ხაჩენი) ანუ ამჟამინდელი მთიანი ყარაბაღი. მას (საპლ იბნ სუნბატ ალ-არმანს) არაბები სომხად მიიჩნევენ, ხოლო სომხები „საპლ სმბატიანს“ უწოდებენ. შამწუხაროდ, არაბეთის არაერთ ქვეყანაში დღესაც არსებობენ პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ამ რეგიონს – მთელ საქართველოსაც კი თავიანით საკუთარ ტერიტორიად სახავენ.

მეუფის უწყებით, მე-9 საუკუნეში შაქის სახელმწიფომ დაიპურო კახეთის მიწაწყალი, ვიდრე გავაზამდე, მხოლოდ ამის შემდეგ ეწოდა კახეთის მიტაცებულ ადგილს ჰერეთი [1, 96]. მეტიც, ამ რეგიონში ქართული მოსახლეობა მრავლად იყო, ამ სამეფოში შემავალი ისტორიული ჰერეთი (აგრიჩაიდან, საერთოდ, ქართული იყო, ოდონდ ეს ქართველები სომხური ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდნენ, ანუ მოხოვიზიტები იყვნენ, შემდგომში ჰერეთის დედოფალმა წმ. დინარამ ჰერეთის ხალხი დაუბრუნა მართლმადიდებლურ წიაღს [1, 97]. ამგვარად, ამ სამეფოს მოსახლეობა ჭრელი იყო, შედგებოდა ქართველებისაგან, არმენიზებული ალბანელებისაგან და უშუალოდ სომხებისაგან. ამ სამეფოს მხოლოდ ერთ შედარებით

მცირე ნაწილს შეადგენდა ისტორიული ჰერეთი 1, 97].

სამეცნიერო ლიტერატურაში ზოგჯერ ჰერეთსა და ალბანეთს ერთმანეთთან აიგივებენ, მაგრამ როგორც მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე გვაუწყებს, სინამდვილეში, ჰერეთი ალბანეთის მხოლოდ ერთი ნაწილი იყო. კავკასიის ალბანეთში 26 ტომი ცხოვრობდა იბერიიდან კასპიის ზღვამდე. ამ ტომთა შორის ერთ-ერთი იყო ჰერეთის ტომი, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ცხოვრობდა გიშისწყლიდან თეთრწყლამდე [91, 9]. ჩვენი აზრით, ეს 26 ტომი სხვა არაფერია, თუ არა დღევანდელ დაღესტანსა და მიმდებარე არეალში მცხოვრები მთის კავკასიელები.

ამრიგად, მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ამ ნაშრომში დაწვრილებით არის განხილული ალბანეთის ისტორიული ხვეულები, შუა საუკუნეთა შაქის ჰერეთი, ჰერეთის საერისთაოები შაქის ოლქში (ქართველი ერისთავები: სამადაგლა ერისთავი, ვარდან კოლონგელიძე – 1150–110-იანი წლები), ასათ გრიგოლისძე, გრიგოლ ასათისძე) და სხვ.

ასე რომ, არაბი ხალიფას და, კერძოდ, ხალილ იზიდის ძე არაბი კახეთის დაპურობას ახორციელებდნენ, „კახეთი ამ დროს ძლიერ იყო დასუსტებული არაბებთან მუდმივი ომების გამო, ხოლო შაქის სამეფო, რომელსაც ქართველები ჰერეთს უწოდებდნენ, პირიქით, გაძლიერებული იყო არაბებთან თანამშრომლობით“ [1, 110–114]. ჩვენს და არაერთ ქართველ ისტორიკოსთა ნაშრომებში აღნიშნულია იმის შესახებ, თუ რა წლილი მიუძღვის არაბებთან დაუნდობელ ბრძოლაში ქართველთა ერთ-ერთ ტომს წანარებს-სანარებლებს, რომლებიც ადრე რაჭის ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ – კავკასიის სამხრეთითა და ჩრდილოეთით სახლობდნენ, მერე კი ქართველი მეფეების დაგადებით თანდათან აღმოსავლეთით გადმოიწიეს, იქ, სადაც შე როგორც „ქართლის ცხოვრება „ხევსა წანარეთისასა“-ს ომი მოხდა,



წანარები – ეს ძირძველი ეთნონიმი ხევად ანუ მოხევებად იქცა, შემდეგ მთიულეთში მოვიდნენ, მერე კი ქართლსა და კახეთში, საღაც ამ უკანასკნელებმა აჯანყებებით „შავი დღე“ აყარეს არაბებს [12], [13], [14]. ისტორიკოს თენგიზ პაპუაშვილის თქმით, წანარებმა კახეთში სახელმწიფობრიობასაც კი ჩაუფარეს საფუძველი [12, ]. ჩვენ კი ეს, ადრეულ ნაშრომებში, ტომობრივად სვანთა მონათესავეთ მივიჩნიეთ (რომლის რელიეფია თუშეთში დღევანდელი საფურხულო ცეკვა ქორბელელაყი) (ქორ სვან. სახლი, ბელელ კი ქართ. ბელელი) და ქვემოსვანური ტოპონიმი – სოფლის სახელწოდება წანერი ლენტების რაიონში).

მეუფის ნაშრომში საფუძვლიანად უარყოფილია ის ფაქტიც, თითქოს მე-12 საუკუნეში საქართველოს აყვავების პერიოდშიც კი, ალბანური საეკლესიო ცხოვრების ცენტრი იყო კახ-ზაქათალის ოლქი ანუ საინგილო. ამის შესახებ ბაქოს რუსულმა ეპარქიამ გამოაქვეყნა; „цетрами церковной жизни были Арцах (IX век) и Кахи-Закаталы (XII век)“. <http://bakur.eparhia.ru/history/> [16]. ყოველივე ეს, მეუფის მტკიცებით, კახი-ზაქათალის მოსახლეობა მე-12 საუკუნეში იყო „ალბანეთის“, ანუ მონოფიზიტური სომხური ეკლესიის იურისდიქციაში მყოფი, რაც ნიშნავს იმას, რომ აქაური ხალხი და იმდრონდელი ეკლესია-მონასტრები მონოფიზიტურ-სომხური იყო, ეს კი მტკნარი სიცრუეა. სამწუხაროდ, ასე ესმის და ასეთი პოზიცია უჭირავს დღესაც „მომე“ აზერბაიჯანს.

**კურმუხეთი** ანუ აზერბაიჯანელების მიერ მიტაცებული საინგილო, ისე როგორც დაგით-გარეჯი ძველად კახეთად იწოდებოდა კახეთის „გაღმამხარი“ კახეთის შემადგენლობაში შედიოდა მანამ, სანამ შაპ-აბასმა ეს მხარე არ მიიტაცა და სამართავად არ გადასცა დაღესტნელ მაკმადიანებს.

მონოგრაფიაში დიდი ადგილი ეთმობა დაგით-გარეჯის მიწა-წყლის ლოკალიზაციას (თავი მესამე, გვ. 205-246), სადაც დაბეჯითებით ახსნილია, რომ კამბეჩანი მდებარეობდა ამჟამინდელი მინგეჩაურის წყალსაცავის ადგილას, ხოლო ქიზიფი – მის ჩრდილოეთით (გვ. 210).

მონოგრაფიის მეოთხე თავი მოლიანად ეთმობა წმ. დინარა დედოფლის (გვ. 247-298), რომელიც იყო ბაგრატიონთა მეფეების შთამომავალი, ტაოკლარჯეთიდან. კერძოდ, კლარჯეთის ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენლის ადარნერსე მეორის (886) ასული და ძლიერი ერისთავთერისთავის გურგენ მეოთხის (918-941) და. სწორედ ადარნასემ დაუდო სათავე ქართველი ბაგრატიონების დინასტიას, ის იყო მამა აშოტ დიდი კუროპალატისა (826), რომელიც პაპა ყოფილა წმ. დინარასი. წმ. დინარას მამა ადარნასე ბაგრატიონთა სხვა შტოს ეკუთვნოდა. ის წმ. დინარასა და იბერიის ცნობილი ერისთავთერისთავის გურგენ დიდის მამა იყო. წმ. დინარას მეუდღე კი გახლდათ ადარნასე მეორე, აგრეთვე ქართველ ბაგრატიონთა სხვა შტოს წარმომადგენელი.

ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული ხახენის სამთავრო ძირითადად სომხებით, ანუ არმენიზებული ალბანელებით იყო დასახებული, შაქის ოლქის მოსახლეობა კი ეთნიკური ქართველები იყვნენ (გვ. 266).

იტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე ზედმიწევნით იკვლევს პერეთის („რანთა“) მეფეების მოღვაწეობასაც: საპლი, ადარნერსე, გრიგოლ პამამი, ადარნასე პატრიკი, იშხანაკი, იოანე სენექერიმი და სხვ., ასევე ალბანეთში, კასპიის ზღვის მთიანეთში, მოსახლე ტომებს – ლფინებსა და ჭილბებს. ასე რომ, ლფინები და ჭილბები ცხოვრობდნენ არა ყაზბეგის რაიონში ანდა ალაზნის ხეობაში, არამედ დაღესტანში, მდ. სამურის ხეობაში, კავკასიის



ქედის სამხრეთ ფერდსა და დერბენდის მხარეს შორის.

მკვლევარს ყურადღების მიღმა არ რჩება სპეციალურ ლიტერატურაში, აზერბაიჯანელი მეცნიერებისეული, ისეთი უსაფუძვლო თეორია, როგორიცაა სამხრეთ საინგილოსა და კახეთისა ალბანურობის საკითხი. იქნა განხილულია კახეთის საეკლესიო მმართველობა, კამბეჩანის, ხორნაბუჯისა და შაკის (შაქის) ისტორიოგრაფია და ლოკალიზაცია. მისივე დასკვნით, ალბანეთი, ანუ ქართულად ჰქონეთი, მტკვარსა და შაქ-გაბალას, მიმდებარედ კავკასიის მთებს შეუ მდებარე, როგორც ამას სომხური გეოგრაფიაც აღნიშნავს, ხოლო კამბეჩანი – შაქის დასკლეთით მიმდებარედ მტკვრის ხეობაში იყო განთავსებული. ასე რომ, ბოდგე გურჯანი, საინგილო და დავით გარეჯი არასოდეს შედიოდა ისტორიულ ალბანეთში, რომელიც მე-7 საუკუნის ბოლოს გაქრა, რაშიც მთავარი წვლილი მაშინდელ გეოკოლიტიკურ ვითარებას, კერძოდ, არაბულ მმართველობას და თბილისის საამიროს მიუძღვის, რომელსაც ქართველებისთვის სიკეთე მოუტანია, თუ არ ჩავთვლით არაბების მიერ თბილისში მეათე საუკუნეში დაარსებულ ობსერვატორიას და თბილისის გალავანს, რომელიც ჩვენმა კოლეგამ, სტუ-ს პროფესორმა, არქეოლოგმა მერაბ ძელაძემ და სხვ. აღმოაჩინეს (ახლანდელი თავისუფლების, ძველი დენინის მოედნის სიახლოვეს).

ბოლო მეხუთე თავი წიგნისა მთლიანად ეთმობა არმენიისა და ალბანეთის კ. წ. „იბერიულ ზოლს“ (გვ. 302–366). მიტროპოლიტი ანანია საგულისხმო დასკვნებით იძლევა იმ მითითებებს, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია სამხრეთ კავკასიის კვლევისას. კერძოდ, ახსნილია მონოფიზიტური ჰქონეთის მიერ სამხრეთ კახეთის დაპყრობის არშეცვლა და კახეთში ქართული ეკლესიების იურისდიქციის საზღვარი, რადგანაც დაპყრობილი სამხრეთ კახეთის მოსახლეობა

კვლავ მართლმადიდებლობას აღიარებდა, ამასთანავე მეათე საუკუნეში, წმ. დედოფალ დინარას დროს, ისტორიული ჰერეთი თავად გათავისუფლდა მწვალებელთა უდლისაგან და დედაქართული ეკლესიის წიაღს დაუბრუნდა.

წიგნს, დამატების სახით, დართული აქვს ისეთი ქვეთავები, როგორიცაა: „ალბანეთისა ხუნძეთის საეკლესიო იურისდიქცია (ალბანეთის საკათალიკოსო და ხუნძეთის საკათალიკოსო) (გვ. 369–430). როგორც მეუფე გვაუწყებს, კავკასიის ალბანეთს საარსელები, არაბები და სირიელები უწოდებდნენ არანს, ქართ ველები – რანს“ (გვ. 369), რასაც მოსდევს ქვეთავები: საქართველოს კათალიკოსო ჩეჩინეთ-დალესტანსა და შაქ-შირვანში (გვ. 379–393), ქართიზაციის თეორია საინგილოს შესახებ (გვ. 393–396), წმ. არჩილ მეფის აღმოსავლეთ კახეთში (შემდეგ საინგილოში) მოღვაწეობა (გვ. 307–404), ხუნძახის ეპარქია (გვ. 405–406), ანწუხის ეკლესიები (გვ. 406–407), თემურ-ლენგი ჩრდილო კავკასიაში (გვ. 407–409), „ხუნძელი კათალიკოსი ოქროპირი“ (409–410), ქართველები დადესტანში (გვ. 410–415), „კახნი გარდაბნელნი“ და ორი გარდაბანი (გვ. 415–421), „ალაზნის გაღმართი ჩაყოლება – გარდაბანი“ (გვ. 421–422), კახ-გარდაბნის დასუსტება და ჰერეთის გაძლიერება (გვ. 422–427).

მეუფის საბოლოო დასკვნით, მე-7 საუკუნის დასაწყიში კათალიკოსმა კორიონ პირველმა გუგარქში ქართულენოვანი ღვთისმსახურების აღდგენით აანოო სულიერი კოცონი, რომლის აღმა მე-8 საუკუნეში განანათლა იქამდე სომხური ეკლესიის უდელქვეშ მყოფი ტაოელი ქართველების სული და მისცა მათ ძალა დედაქართულ ეკლესიასთან კავშირის აღდგენისა. შემდეგ კი, უპვე მე-10 საუკუნეში, ამ სინათლემ წმ. დედოფალ დინარას ღვაწლით, მიაღწია ჰერეთამდე, ქართველთა დიდ ქვექნამდე, რომელიც გადაშლილი იყო კახეთის მდინარე გიშისწყლ-



იდან (და მდ. ალიჯანჩაიდან), ვიდრე მდ. თეთრწყლამდე.

ხოლო „სპარსელთა მიერ მეექვსე საუკუნეში და არაბთა მიერ მეშვიდე-მეათე საუკუნეებში დაზარალებული საქართველოს სამოციქულო ეკლესია, კირიონ პირველმა კათალიკოსმა, წმ. დინარა დედოფლის, ტაოელ და ათასობით სხვა ქართველ წმ. მამათა დვაწლით, მეოერთმეტე საუკუნის დასაწყისიდან, სრულებით გამობრწყინდა და ადორძინდა“ [1, 428].

ამრიგად, მიტროპოლიტმა ანანია ჯაფარიძემ თავისი მონოგრაფიით „ალბანეთით“ ამოავსო ის ხარვეზი და ნაკლულევანობა აღმოსავლეთ საქართველოს მე-7-მეათე საუკუნეების ერთ-ერთი ძირძველი ტომისა – ისტორიული ალბანეთის საკათალიკოსო და საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია კახეთსა და ჰერეთში, რითაც პასუხი გასცა საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკვლევრებს ამ ისტორიული ფურცლის შეცნობაში.

მეუფე ანანია ჯაფარიძეს ხსვევია ასეთი ნაშრომების ჯერ შურნალებში გამოქვეყნება და მერე ცალქე წიგნად გამოცემა. მართლაც, იგი ასე მოიქცა ამჯერადაც – შურნალ სვეტიცხოვლის ფურცლებზე გამოაქვეყნა ყოველივე ეს [17, 56-102].

მიტროპოლიტისადმი მიძღვნილ ერთერთ ჩვენს საიუბილეო წერილში მეუფე გრიგოლ ხანცოლის გზაზე მავალ პიროვნებად მივიჩნიეთ [18, ]. ამ აზრზე ვარ ახლაც. საოცარია მისი პიროვნული შემართება, ქმნელებითილება, როგორ ახერხებს იგი ამდენს. მინდა მას ეს ჩვეული ენერგია არ დაეკარგოს და სამოძალოდ მსგავსი წარმატებები ვუსურვო. ბედნიერია ერი, ვისაც ასეთი მიტროპოლიტი, მეუფე, საეკლესიო საზოგადო მოღვაწე და მკვლევარ-ისტორიკოსი ჰყავს. ღმერთმა ყველა ადამიანური სურვილი აუსრულოს. ამინ!

### ლიტერატურა

1. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, „ალბანეთი - ალბანეთის საკათალიკოსო და საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია კახეთსა და ჰერეთში“, თბ., 2022.
2. უხტანესი, „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომხეთაგან“, სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკლევით გამოსცა ზაზა ალექსიძემ, თბ., 1975.
3. ბ. ცხადაძე, ჰიდრონიმ ალაზანის ეტომოლოგიისათვის. ქ. ხელისუფლება და საზოგადოება. №2, 10. 2009.
4. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გამოსცა ს. ყაუხიშვილმა, თბ., 1973.
5. ვლ. ფანქვიძე, უდურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1974.
6. ლ. მელიქსებეკოვ, კ ისტორია უდიდესი შრომები. ტ. II, თბ., 1942.
7. მერაბ ბერიძე, სპარსული ელემენტები ჯავახეთის ტოპონიმიაში. ქრებ.: ონომასტიკა I. აკად. ჭ. მიგიგურის საერთო რედაციით. თბ., 1987.
8. ქ. ჯეირანიშვილი, უდიური ენა, სახელმძღვანელო, თბ., 19
9. მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, თბ., 1984.
10. ბ. ცხადაძე, ე. ცხადაძე, კასპის, კასპიის ზღვის, კასპიებისა და კავკასიის ლექსემათა ურთიერთმიმართებისათვის (ლინგვისტურ-ეტიმოლოგიური ანალიზი).
11. ლ. გორუა, გმირთა ვარამი ოთხ წიგნად, თბ., 1993.
12. ბ. ცხადაძე, წანარები (მონოგრაფია), თბ., 2013, გვ. 116.
13. ბ. ცხადაძე, წანარების სახელდებისათვის ქართულ წერილობთს ძეგლებში. სმა ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია, თბ., 2015.
14. ბ. ცხადაძე, წანარები და „წანარულ“, ქორ და ქორებისკოპოს სახელთა ისტო-



რიული ურთიერთმიმართებისათვის. ქ. ხელისუფლება და საზოგადოება, (თეორია, ისტორია, პრაქტიკა), №4 (12). 2009.

15. თ. პაპუაშვილი, პერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 19

16 <http://baku.eparhia.ru/history/lbania/after-viii-centre/17>

17. მიტროპოლიტი ა. ჯაფარიძე, ალბანეთის საკათალიკოსო და საქართველოს ეკლესიის იურიუსდიქცია კახეთსა და პერეთში. ქ. სვეტიცხოველი, ემდგნება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის დაარსების 20 წლისთავს., თბ., 2021, გვ. 56-102.

18. ბ. ცხადაძე, მ. ხართიშვილი, ქმნულკუთილი მეუფება (მეუფე ანანია ჯაფარიძე 65). ქ. სვეტიცხოველი, თბ., 2014.

## საქართველოს ეპლასიის ისტორიის აღიარებული მაცნევარი

### მონაზონი იოანე (მამუკა) ცუხიშვილი

მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძეს შესწავლილი აქვს საქართველოში წმინდა მოციქულთა მიმოსვლასთან დაკავშირებული ყველა წყარო და საეკლესიო გადმოცემა. უდავოდ საინტერესოა მეუფის არგუმენტირებული მოსაზრებები ქართველი ერის საერთო წარმოშობის, ერთიანი ქართული კულტურის, ფსიქო-კური წყობის, საერთო ენის, ტერიტორიისა და სახელმწიფოს შესახებ. დამაჯერებელი მტკიცებულებებით ამყარებს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის ეკონომიკურ კავშირურითერობებს. უადრესად ფასეულია მეუფის თვალსაზრისი საეკლესიო ენაზე ალბანეთში, ქართველ-სომეხთა საეკლესიო განხევებისაზე. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიასა და დიპტიხზე, აგრეთვე საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციის საზღვრებზე და ა.შ.

საქართველოში წმინდა მოციქულთა ანდრიას, მატათას და სვიმონის მოღვაწეობა და ქადაგება ადრეულ საუკუნეებში აღიარებული და დადასტურებული იყო უეჭველ ჭეშმარიტებად. ხოლო XX საუკუნის დამდეგს, საქართველოში მოციქულთა ქადაგება „ოქმულებად“ გამოცხადდა. მაგალითად, ამ თემაზე ივ. ჯავახიშვილის საბოლოო „ვერდიქტი“ ასეთია „ის გარემოება, რომ უძველესი რომაელი, ბიზანტიელი და ლათინი საეკლესიო მწერალ-ისტორიკოსები (ორიგენე, ევსერი) ანდრიას პონტოში ქადაგების შესახებ არას ამბობენ, პავლეს ეპისტოლებსა და „საქმე მოციქულთა“-ში კრინტიც არ არის დაძრული პირველწოდებულ ანდრიას ქადაგებრივ მოღვაწეობაზე, რადგან თვით „მიმოსვლის“ შინაარსს ზღაპრული ხასიათი აქვს და არაქს უფრო მოაგონებს კაცს, ასევე, ის რომ VIII-IX საუკუნეებდე არც საქართველოში იცოდნენ ანდრია მოციქულის იბერიაში მიმოსვლის შესახებ, უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ანდრია პირველ



წოდებული არც როდის არ ყოფილა კავკასიაში საზოგადოდ და კერძოდ საქართველოში. რომ ანდრიას მიმოსვლა და ქადაგება ივერიაში მხოლოდ თქმულებაა, ისეთი თქმულება, რომელსაც ისტორიისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს“ (ჯავახიშვილი, 1908:47-48).

თუმცა რამდენიმე ხნის შემდეგ ივ. ჯავახიშვილმა ტონი ოდნავ შეარბილა და მივიდა დასკვნამდე, რომ ბერძენ და რომაელ საეკლესიო მწერალთა თხულებებიდანაც გამოირკვა, რომ ანდრია მოციქულის ხვედრად სკვითეთიდ დასახელებული, და მხოლოდ დოსითეოსის კატალოგში, ეპიფანე მონაზონისა, ნიკიტა პაფლაგონიელის და სხვა VII-X სს. მწერლების თხულებებში ჩნდება თანდათან ცნობა ანდრია მოციქულის ქადაგების შესახებ შავი ზღვის სანაპიროზეც და სხვათა შორის იბერთა წილხდომილობაზეც. რადგან ეს ცნობა ბერძნულლათინურ მწერლობაში ასე გვიან ჩნდება, „საქმე მოციქულთამც“ და პავლე მოციქულის ეპისტოლეებიც ანდრია პირველწოდებულის ასეთ ქადაგებაზე არავითარ ცნობებს არ შეიცავს, ქართველებსაც X ს-მდე ანდრია მოციქულის საქართველოში მოღვაწეობის შესახებ არა სცოდნიათ რა, ამიტომ ცხადია ამ თქმულებას ქართველთა გაქრისტიანების ისტორიისათვის რეალური მნიშვნელობა არა აქვს. ირველად ამ თქმულების მნიშვნელობის შესახებ ქართულსა და ბერძნულ ფართო წრეებში საუბარი და მისით დასაბუთება XI ს. დაუწყიათ და ამის თავგამოღებული მებრძოლი გიორგი მთაწმიდელი ყოფილა (ჯავახიშვილი, 2012, 182).

დიდი ივანე ჯავახიშვილი არც წმინდა ნინოსდროინდელ ეპოქას სწყალობდა და თვლიდა, რომ წმ. ნინოს შატბერდისეული ცხოვრების კრიტიკულმა ანალიზმაც ცხადჰყო, რომ ცნობები, როგორც ნინოს შთამომავლობის შესახებ, ისევე ის გარემოება, ვითომც მთელი ამბავი თვით ნინოს და დანარჩენ თანამედროვეთა ნაამბობის ჩანაწერს წარმოადგენდეს, ყალბი და მოგონილია, რომ ეს ნაწილი მრავალს მცდარსა და

ანაქრონიზმებით სავსე ცნობებს შეიცავს და ყველა ამნაირ ნატყუარ თხულებათა თვისებების მქონებელია (იქვე: 90).

XX საუკუნის პირველ მეოთხედში გამოქვეყნებული შრომების მიხედვით აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი თვლიდა, რომ წმინდა მოციქულთა მიმოსვლა იყო თქმულება. შესაბამისად, ამავე საუკუნის ყველა მომდევნო მეცნიერ-გვლევარი მიჰყებოდა მასწავლებლის ან მასწავლებლთა მასწავლებლის გზას. ასე დაედო სათავე ქართლში ქრისტიანობის დამკვიდრებისა და გავრცელების არასწორ ტენდენციას.

ჩვენ ადრეც ვთქვით და ახლაც გავიმეორებთ, რომ გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ ივანე ჯავახიშვილი არ იცნობდა მრავალ წყაროს, რომელიც მას დაარწმუნებდა ქართლში ქრისტიანობის გავრცელების მთავარ ასპექტებში.

თუმცა, იქვე ასეთ ჩანაწერსაც ნახავთ (ოდნავ შეცვლილი პათოსით) „IV საუკუნის პირველ ნახევარში ქრისტიანობა საქართველოში სახელმწიფო სარწმუნოებად იქნა გამოცხადებული. უმჯობელია, ამ მნიშვნელოვან ამბავს თავისი წინასწარიცა და მერმინდელი ისტორია უნდა ჰქონოდა. იმ დიდი მნიშვნელობის გამო, რომელიც ქრისტიანობას საქართველოს ბედ-იღბლისა და კულტურისათვის ჰქონდა (ჯავახიშვილი, 1979:112) „ამ მნიშვნელოვან ამბავს თავისი წინასწარიცა და მერმინდელი ისტორია უნდა ჰქონოდა“ - მეტად საინტერესოა, მეცნიერი ამ სიტყვებში რას და ვის გულისხმობდა?

ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალებიდან ერთ წელიწადში, 1941 წელს გამოვიდა კრებული „გეორგია“, სადაც შეტანილია რამდენიმე ავტორის ცნობა და თხულება, მათ შორსაა ეპიფანე კონსტანტინეპოლელის თხულება „ანდრიას ცხოვრება“, სადაც ხუცეს-მონზონი ეპიფანე წერდა, რომ არ დაკმაყოფილდა წყაროებით, რომელთა ავტორები არიან: კლემენტი რომაელი, ევაგრე სიცილიელი და ეპიფანე კვიპრელი და თავადვე მოიარა ზოგიერთი ის ადგილი, სადაც მოღვაწეობდა ანდრია მოციქული „გად-



მოცემის მიხედვით ნეტარმა მოციქულმა ანდრიამ დამოძღვრა სკვითები და სოგ-დიანები და გორსინები დიდ სებასტოპოლისში, სადაც არის აფსარის ციხე, პისსოს ნავსადგური და მდინარე ფაზისი; იქ მოსახლეობენ იბერიელები, სუსები, ფუსტელები და ალანები“. ასევე, ტრაპიზონის შემდეგ ანდრია მოციქული წასულა იბერიაში და „მის შემდეგ, რაც მან ზღვის პირას მცხოვრები მრავალი განანათლა, ის ჩავიდა იერუსალიმში“ (გეორგია, 1941:57).

ქრისტეს მოციქულებს ჭეშმარიტი სიტყვის საქადაგებლად წილად ხვდათ სხვადასხვა ქვეყანა. წმინდა მოციქულებმა – ანდრია პირველწოდებულმა, მაგრამ და სვიმონ კანანელმა იქადაგეს საქართველოში, რასაც ფაქტებზე და გადმოცემებზე დაყრდნობით ამოწმებს ლეონტი მროველიც, რომელიც როგორც ჩანს კარგად იცნობდა რომაელი მწერლებისა და ისტორიკოსების შემოქმედებას „ხოლო ამან ადერკი მეფემან უმატა სიმაგრეთა ქართლისათა, ქალაქთა და ციხეთა, და უმეტეს მოამზიცნა ზღუდვენი ქალაქისა მცხეთისანი, წყლისა ამიერ და იმიერ. და ამისვე ადერკის მეფობასა შინა მოვიდეს ათორმეტთა წმიდათა მოციქულთაგანნი ანდრია და სკმონ კანანელი აფხაზეთსა და ეგრისს, და მუნ ადესრულა წმიდა სკმონ კანანელი ქალაქსა ნიკოფილისასა, საზღვარსა ბერძენთასა. ხოლო ანდრია მოაქცივნა მეგრელი და წარვიდა გზასა კლარჯეთისასა“ (მროველი, 1955:38).

თეიმურაზ ბატონიშვილი ანდრია მოციქულის აღმოსავლეთ საქართველოში ქადაგება-მოღვაწეობაზე წერდა, რომ „ანდრია მოციქულმა კაგაბასიისა მთათა შინა მცხოვრებთა მოვლო რომელნიმე ადგილი, გამოევლო ქართლი, მოიწია მცხეთად; არამედ არაგის განეცხადა მუნ მრავალთა და არცა შევიდა ქალაქსა შინა მცხეთისასა; არამედ პირისპირ მცხეთისა გაღმად არაგვსა აღვიდა მთასა მას ზედა, რომელსაცა ზედა არს მონასტერი ჯვარისა ცხოველს მყოფელისა (რომელსაცა ჯაჭვის მონასტრად სახელ-ედების)“ სადაც მოციქულს აღუმართავს ჯვარი, ხოლო იქედან კახეთს წასულა „განხდა

მდინარესა დიდსა იორსა (ესე იგი ალაზნისა მდინარესა) და მივიდა გრემს“, სადაც მცირე გორის მწვერვალზე ასევე აღუმართავს ჯვარი, რის შემდეგაც იქ აუგიათ „ეპატეტისი მისაიღ-მთავარ-ანგელოსისა“ (ბატონიშვილი, 1885:143).

საინტერესოა თხრობა ბიჭვინტისა და გელათის ტაძრებთან დაკავშირებითაც „ოდეს მიიცა მოციქული ანდრია ივერიად, ხატი იგი დედისა დუთისა ვედრებითა მუხებურთა ერთათა დაუტევა მუნ ბიჭვინტას; ხოლო ბიჭვინტისა დუთის-მშობლისა ხატი, რომელიცა ასვენიეს აწცა ქუემოსა საქართველოსა შინა, მახლობელად ქუთაისის ქალაქისა, მონასტერსა სამიტროპოლიტოს გენათლიას (ესე იგი გელათს), რომელიცა არს ფრიად მრავლითა სიმდიდრითა შემკულ დირს სახსოვარისა მეფისა ბაგრატ მეოთხისაგან, სრულიად ივერიის თვთ-მპერობელისა, დავითიან-ბაგრატოვანისა, იტყვიან მას ხატისა, რომელ იგი არს რომელიცა მოციქულმან ანდრია მოასვენა თვთ და ანუ არს იგი უეჭველად ორიგინალი ხატისა მისგან გარდამოხატული“ (თეიმურაზი, 1848:145-146).

პროფ. ვ. ლიხელი წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალის შეჯერების საფუძველზე მივიდა დასკნადე, რომ „სოსანგეთ-აწყურის სამოსახლო მართლაც წარმოადგენდა ძვ. წ. აღ-ის V საუკუნისა და ა. წ. წ. აღ-ის I საუკუნის საკმაოდ შეძლებულ და დაწინაურებულ ქალაქს, სადაც წმიდა ანდრია მოციქულის სამოღვაწეოდ ფართო ასპარეზი არსებობდა“ (ლიხელი, 2000, 25).

დასავლეთ საქართველოში მოციქულ ანდრიას ქადაგების შესახებ ასევე საინტერესოა, ყველაზე უდრევსი და უძველესი ცნობები, რომლებიც ეკუთვნის 1. დოროთეოს ტვირტელს, რომელიც წმიდა ანდრია მოციქულზე წერდა, რომ „ანდრია მოვიდა დიდ სებასტოპოლში, სადაც არის აფსარის ციხე-სიმაგრე („პარემბოლე“ - ჯარის „ბანაკისსაყოფელი“) და მდინარე ფასისი, სადაც ცხოვრობენ უშინაგანესი ეთოპნი (კოლხენი)“ და 2. IV საუკუნის მეორე ნახევრის დიდ საეკლესიო მოღვაწეს წმიდა ეპიფანე კვიპრელს (ან



კვიპროსელს) (Васильевский, 1909:213/295). ანდრია მოციქულის ქართლში ქადაგების შესახებ წმინდა ეპიფანეს მოწმობას თავის შრომაში იმეორებს ეპიფანე მონაზონი (გარდ. 780 წ.) ამრიგად, წმინდა ეპიფანე, კვიპროსის ეპისკოპოსი, გადმოცემის მიხედვით ადასტურებს, რომ წმინდა ანდრიამ იქადაგა სკვითებში, სოგდიანელებში, გორსინიელებში, დიდ სებასტოპოლისში, სადაც მდებარეობს აფსართა ციხე-სიმაგრე, ისოს ნავსადგური და მდინარე ფაზისი სადაც ცხოვრობენ იქერები, სუსები, ფუსტები და ალლანები, ამის საბუთები ხელთა გვაჭვს (გეორგიკა, 1961:68-69).

თეოდორიტე კვირელთან იქითხება, რომ „მიმოსვლასა შინა წმინდათა მოციქულთასა ანდრია პირველწოდებულისა მიერ ქადაგებად შორის ავაზგიავსა, რომელ არს აფხაზეთი და მიერ წარვლი თხეთად, და კუალად ბართლომეს მიერ მიმოვლად ჩრდილოეთისა, რომელ არს ქართლი“ (ინგოროვა, 1954:214). თხზულება ბართლომეს ქართლში მოციქულებრივ მოვაწეობაზეც საუბრობს, რაც დავს არ უნდა იწვევდეს, რადგან წმინდა მოციქული ბართლომეს განსასვენებელი ხომ ქართლის მეზობელ ალბანეთში არის (თანამედროვე აზერბაიჯანი).

არსებობს კიდევ ერთი მოსაზრება, რომელიც დაცულია „საეკლესიო ანალებში“, „იძერის იმ ნაწილმა, რომელიც პონტოს ზღვასთან მდებარეობს და კოლხეთად იწოდება, სახარება ჯერ კიდევ იმპერატორ ტრაიანეს (53-117 წწ.) დროს მქადაგებელი პაპის წმინდა კლიმენტის (88-97 წწ.) შემწეობით მიიღო. ეს უკანასკნელი კი ამ მხარეში იყო გადასახლებული“ (ტაბადუა, 1984:65). თუმცა წმინდა კლიმენტი რომის პაპისადმი მიძღვნილ ორიგინალურ თუ ნათარგმნ ლიტერატურაში მსგავსი არაფერი წერია.

„გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში“ გიორგი მცირე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ამათ ობოლთათვს წარუძუა აღმოსავლეთს, და ესრეთ ყოველი აღმოსავლი განახათლა და ნაწილი იგი

ანდრეა მოციქულისაი და სიმონ კანანელისაი კუალად განამტკიცა, რამეთუ ანდრეა მოციქულმან მოვლო ქუეყანა ჩუენი, ხოლო სიმონ კანანელმან სრულად დაიმკიდრა, რამეთუ ნიკოფის არიან ნაწილნი მისნი წმიდანი“ (გამსახურდია, 1967:173).

ოპონენტოათვის რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, სწორედაც, რომ უცხოელი, თან მეტად სახელოვანი და ეკლესიის ისტორიისთვის პატივდებული ავტორები წერდნენ და ავრცელებდნენ იმას, რომ მისიონერული მოღვაწეობისთვის მოციქული ანდრია საქართველოში ერთხელ კი არა სამჯერ შემოსულა. პირველ შემოსვლაზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. მეორე მოგზაურობის დროს ანდრია მოციქული ლაზიკის ქალაქ „ტრაპეზუნტიდან წავიდა იძერიაში [და] მას შემდეგ, რაც მან ზღვის პირას მცხოვრები მრავალი განახათლა, ის ჩავიდა იერუსალიმში“ (გეორგიკა, 1941:58). იგივე ეპიფანე კონსტანტინეპოლი მესამე მოგზაურობაზეც მიუთითებს, რომ ანდრია მოციქული „მესამედ ჩავიდა იძერიაში და ფაზისში, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ სუ(ს)ანიაში“. მოციქულ სიმონ კანანელთან ერთად იქედან მიბრძანებულა ჯერ ალანიაში და ქალაქ ფუსტაში, შემდეგ აბაზგიაში, საიდანაც გადასულა ჩრდილო კავკასიაში (გეორგიკა, 1941:59).

უდავოდ საინტერესოა მ. ჯანაშვილის და მ. თამარაშვილის პოზიცია მოციქულ ანდრიას საქართველოში მიმოსვლა-ქადაგებათა შესახებ, მაგრამ, მათ ვერ შეძლეს აშკარა წინააღმდეგობის გაწევა იმ მოსაზრებთა და არგუმენტთა გასაბათილებლად, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე იცავდნენ ივ. ჯავახიშვილი და პ. პეტლიძე. თუმცა, არსებობს პ. პეტლიძის სხვა ნაშრომიც, სადაც დვაწლმოსილი მეცნიერი მაინც მიდის სულის მარგებელ იმ დასკვნამდე, რომელიც მისი აღრეული შეხედულებების რევიზიად უნდა მივიჩნიოთ (კეკელიძე, 1956:82-83).

სამწუხაროა ის, რომ არა თუ მე-XX, არამედ XXI-ე საუკუნის მკვლევრებშიც



შეხვდებით ისეთებს, რომლებიც საქართველოში მოციქულთა მიმოსვლას, ქადაგებასა და მოღვაწეობას ხელადებით უარყოფენ ან ფაქტებს მკვეთრად ამახინჯებენ.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის მკვლევართა შორის არის მრავალი მონოგრაფიისა და წერილის ავტორი, მანგლისისა და თეორიულის მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), რომელიც სამეცნიერო-პედაგოგიურ ასპარეზზე გამოსვლის დღიდან, იკვლევს, სამართლიანად იბრძვის და ჯიუტად იცავს საქართველოს ეკლესიის ინტერესებს და ფართო საზოგადოების წინაშე ხშირად წარადგენს ინოვაციურ თემებს, რომლებიც ორიენტირებულია ჩვენი ქვეყნის წარსულისა და მომავლის ინტერესებზე და დადებით გავლენას ახდენენ საქართველოს სახელმწიფოსა და სამოციქულო, ავტოკეფალური, მართლმადიდებელი ეკლესიის გახვითარებაზე.

როცა საუბარი მიღება საქართველოს ეკლესიის მოციქულებრივ სტატუსზე, მყისიერად მეუფე ანანია გვახსენდება, რომელიც შემდეგნაირად აჯამებს მრავალწლიან შრომას: ქართველთა შორის ქრისტიანობა გაავრცელეს მოციქულებმა. როგორც უკვე ითქვა, საქართველოში იქადაგა რამდენიმე მოციქულმა, ხოლო ორი მათგანი განისვენებს აქვე, კერძოდ სიმონ კანანელი აფხაზეთში, ხოლო მატათა აჭარაში. ქართული ეკლესია დაამყარა წმ. მოციქულმა ანდრიამ, რადგანაც მან ხელი დაასხა საქართველოს პირველ ეპისკოპოსს აწყურში და დაუარსა მას საეპისკოპოსო კათედრა, სადაც მსახურობდნენ მღვდლები და დიაკნები (ჯაფარიძე, 2012:124).

ბევრი ინტერესის, ხოლო ნაწილი პროვოკაციული თვალსაზრისით სვამს კითხვას, უცხოეთის რომელი ეკლესიის იურისდიქციას განეკუთვნებოდა ქართლის ქრისტიანული მრევლი?

მიტროპოლიტ ანანიას პასუხი ამ კითხვაზეც ამომწურავია: მოციქულების მიერ დაარსებული ყველა ეკლესია, სადაც არ უნდა ყოფილიყო ის, იყო ავტოკეფალური. ყველა ეკლესია, ყველა

ქრისტიანული თემი იმ ეპოქაში ერთმანეთის მიმართ იყო დამოუკიდებელი და ავტოკეფალური. ისინი აღიარებდნენ მხოლოდ მოციქულთა ავტორიტეტს. ართული ეკლესიაც I საუკუნეში, საერთო წესის თანახმად, ავტოკეფალური იქნებოდა (ჯაფარიძე, 2012:124).

ასევე საინტერესოა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საზღვრების საკითხიც. თანახმად მსოფლიო საეკლესიო კრებების მიერ დადგენილი წესების ანალიზის საფუძვლზე მიტ. ანანია ჯაფარიძე თვლის, რომ მამათა კანონების მიხედვით, ქართული ეკლესიის იურისდიქციის საზღვრები ემთხვევა საქართველოს სახელმწიფოს საზღვარს. ხოლო ქართული ეკლესიის იურისდიქციის საზღვრის დადგენისთვის უნდა განისაზღვროს ქართული სახელმწიფოს საზღვრები, რომელიც გახდევს ეკლესიის საზღვარს (ჯაფარიძე, 2012:151).

არსებობს კიდევ ერთი საკითხი, რომელიც არაერთხელ გამხდარა დავისა და განსჯის საგანი. თითქოს ანდრია მოციქულს უქადაგია მხოლოდ სამცხესა და დასავლეთ საქართველოს ზოგ მხარეში. რაც ასე ნამდვილად არ ყოფილა. ლოგორც ჩანს, ეს აზრი ადრეულ საუკუნეებშიც კრცელდებოდა. შესაბამისად მასზე პასუხი სრულფასოვნად აისახა საქართველოს საეკლესიო და სახელმწიფო მნიშვნელობის ერთ-ერთ მთავარ ტრაქტატში - „რუს-ურბნისის კრების ძეგლისწერაში“: „პირველწოდებული ანდრია, მმაა თავისა მოციქულთავსა პეტრესი, ვიდრე ჩუენდამდეცა მოიწია და იქადაგა საცხოვებელი ქადაგებად სახარებისა და ყველსა ქუეყანასა საქართველომასასა და ურიცხვის სიმრავლენი ერთანი განაშორა საცურისაგან მრჩობლებმა გადაკეულებისა“ (ძეგლისწერა, 1978:171).

მიტროპოლიტი ანანია ხაზგასმით აკეთებს აქცენტებს ამ თემაზე და როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში, ისე სალექციო კურსის კითხვისას დაბეჯითებით მიუთითებს, რომ ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში „შეუძლებელია, რომ მოცი-



ქულებს თავიანთი მოღვაწეობისა და მთელ მსოფლიოში ქადაგების დროს გვერდი აევლოთ იმ დროისათვის ისეთი ძლიერი სახელმწიფოსათვის, როგორიც იყო იბერია. ამიტომ, დავასკვნით, რომ ქართული ეკლესია დაარსებულია თვით მოციქულთა მიერ და ქართული ქრისტიანული თემები საქართველოში საკმაო გავლენითაც სარგებლობდნენ. ჩენები ქრისტიანული ეკლესია და მრევლი (ქრისტიანული თემები) უწყვეტად არსებობდნენ I საუკუნიდან IV საუკუნემდე (ჯაფარიძე, 2012:135).

დიდი ვახუშტი ბაგრატიონი წერდა, რომ „რომელსა გინდა ქართველსა (იმერს, მესხს, ჰერ-კახს) პკითხო „რა რჯული ხარ“, წამსვე მოგიგებს: „ქართველი“, და პკითხო, „რა ენა და წიგნი უწყი“, მოგიგებს მყის „ქართული“. რამეთუ სხვას არა იტყვს, არცა რჯულსა, ენასა და წიგნსა, იმერთასა, ანუ მესხთა და ჰერ-კახთა“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „ყოველი“ საქართველო იყო ერთი რჯულისა და ერთ ენაზე მოლაპარაკე.

წმინდა ნინომ „სარწმუნოების, მიმართ თვისისა მიიზიდა ყოველი სავსებად ყოვლისა ქართველთა ნათესავისად საკვრველთმოქმედებითა ნიშებშემოსილთა სასწაულითამთა“ და „წმიდათა მიერ კელთა მისთა ნათელ-იღო [მირიან მეფემ] და ყოველმან ერმან ქართლისამან“. რასაც ადასტურებს რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, იგივე საკითხს უტყუარი მტკიცებულებებით ამყარებს მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე) რომელიც ათწლეულებია სწავლობს საქართველოს ეკლესიის ისტორიას და ფასდაუდებელი კვლევებით ანებივრებს საზოგადოების იმ ნაწილს, ვისთვისაც ძვირფასია ილია ჭავჭავაძისეული სამი „დმრთაებრივი“ საუნჯე „მამული, ენა, სარწმუნოება“.

### დამოწმებული ლიტერატურა:

1. Васильевский В. Г. Хождение апостола Андрея в стране мирмидонян. Москва. 1909;
2. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, სიმ. ყაუხებიშვილის გამოცემა, ტ. 4, ტფ. 1941;
3. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხებიშვილის და ალ. გამყრელიძის გამოც., ტ. 1, თბ., 1961;
4. ვახტანგ ლიჩელი, ანდრია მოციქული სამცხეში, თბ., 2000;
5. ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს ისტორია, ზ. ჭიჭინაძის რედაქციით, ტფ., 1885;
6. ოეიმურაზ [ბატონიშვილი], ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგისა, რომელ არს სრულიად საქართველოისა, სანკტ-პეტერბურდი, 1848;
7. ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 1, თბ. 2012;
8. ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 1, თბ., 1979;
9. ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 1. ტფ., 1908;
10. ილია ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, თბ., 1984;
11. ქორნელი პეტელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 1, თბ., 1956;
12. ლეონტი მროველი, მატიანე ქართლისა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმ. ყაუხებიშვილის მიერ, ტ. 1. თბ., 1955;
13. მიტრ. ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია ტ. 1. 2012;
14. პავლე ინგოროვა, გიორგი მერჩულე, მწერალი მეათე საუკუნისა, თბ., 1954;
15. რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, გამოსაცემად მოამზადა ე. გაბიძაშვილმა, თბ., 1978;
16. სვიმონ გამსახურდია, საზოგადოებრივისტორიული აზრის განვითარება XI ს. საქართველოში, თბ., 1967.